



მესტვრები უას საუკუნეების საქართველოში



GEORGE CHUBINASHVILI NATIONAL RESEARCH
CENTRE FOR GEORGIAN ART HISTORY AND HERITAGE PRESERVATION

PAINTERS IN MEDIEVAL GEORGIA

Tbilisi

2022

გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების
ისტორიისა და კეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი

მხატვრები შუა საუკუნეების საქართველოში

თბილისი
2022



კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო
ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (გრანტი № FR 17_271)

The research was supported by Shota Rustaveli National Science
Foundation of Georgia (SRNSFG) (Grant No FR 17_271)

გამოსაცემად მოამზადეს
მარიამ დიდებულიძემ და ქეთევან მიქელაძემ
ინგლისური თარგმანი: ნინო საყვარელიძე
დიზაინი: დალი ჯვარშეიშვილი

Edited by
Mariam Didebulidze, Ketevan Mikeladze
English translation by Nino Sakvarelidze
Design by Dali Jvarsheishvili

წიგნში გამოყენებულია გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული
ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრის
ფოტოლაპორატორიის, ზურაბ ცერცვაძის, მარიამ დიდებულიძის, ნიკა ვახანიას,
მირიან კილაძის, ნანა კუპრაშვილის, თამარ ხოსროშვილის ფოტოები

Photography Credits: George Chubinashvili National Research Centre For Georgian Art History
and Heritage Preservation, Zurab Tsertsvadze, Mariam Didebulidze, Tamar Khosroshvili,
Mirian Kiladze, Nana Kuprashvili, Nika Vakhania.

გარეკანზე: იფრარის მთავარანგელოზთა ეკლესიის კანკელი.
Front Cover: Iprari. Church of the Archangels. Chancel barrier.

© ჩუბინაშვილის ცენტრი, 2022
Chubunashvili Centre, 2022

შინაარსი

წინათქმა	7
ქეთევან მიქელაძე შუა საუკუნეების მხატვართა წარწერები.....	10
ქეთევან მიქელაძე ცნობები შუა საუკუნეების მხატვრების შესახებ (ფერწერული წარწერების მიხედვით)	77
თამარ ხოსროშვილი მხატვართა შესახებ ცნობები ისტორიულ საბუთებსა და ნარატივულ ცყაროებში	86
ქეთევან მიქელაძე მხატვრის საზოგადოებრივი მდგრადარეობა შუა საუკუნეების საქართველოში	100
მარიამ დიდებულიძე „ჩადაგება ვერებით და ხაზებით“	121
მარიამ დიდებულიძე დაპვეტა – ეტიტორები და მხატვრები	139
მარიამ დიდებულიძე შუა საუკუნეების ოსტატთა შემოქმედებითი თავისუფლება	165
დანართი წარწერების კატალოგი	
I ქართული წარწერები (გიორგი გაგოშიძე)	198
II ბერძნული წარწერები.....	252
PINTERS IN MEDIEVAL GEORGIA (Summary)	260
პიგლიოგრაფია.....	307

ნინათქმა

შუა საუკუნეების ხელოვნების მკვლევართათვის ძალიან ცოტაა ცნობილი იმ მხატვართა, საზოგადოდ, ოსტატთა შესახებ, რომელთა შემოქმედებასაც იკვლევენ. ჩვენ არ მოგვეპოვება ისეთი თხზულება, როგორიცაა, მაგალითად, ჯორჯო ვაზარის ცნობილი წიგნი რენესანსის ეპოქის იტალიელ მხატვრებზე, არც თუნდაც მშრალი ბიოგრაფიული ცნობები, რომ არაფერი ვთქვათ ოსტატთა ჩანაწერებზე ან თანამედროვეთა მოსაზრებებზე მათ შესახებ. მეტიც, ჩვეულებრივ, ოსტატთა ვინაობაც უცნობია, რადგან ისინი თავის ნაწარმოებებს იშვიათად ანერდნენ ხელს. არადა ინტერესი შუა საუკუნეების ხელოვანთა მიმართ დიდია – ვინ იყვნენ, როგორ ცხოვრობდნენ, სად და როგორ პროფესიულ განათლებას იღებდნენ, როგორ ქმნიდნენ თავიანთ ნამუშევრებს, რა ადგილი ეკავათ შუა საუკუნეების საზოგადოებაში, როგორი ურთიერთობა და თანამშრომლობა ჰქონდათ დამკვეთებთან, როგორ აფასებდნენ მათ და მათ მიერ შექმნილ ხელოვნებას გარშემოყოფნი, უპირველესად ქტიტორები, რამდენად თავისუფალნი იყვნენ ისინი თავის შემოქმედებაში და სხვა.

ამ პრობლემათა კვლევას ისახავდა მიზნად ჩვენი პროექტი – შუა საუკუნეების მხატვრები საქართველოში, რომელიც შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნულ კვლევით ცენტრში განხორციელდა და რომლის შედეგებიცაა თავმოყრილი წინამდებარენაშრომში.

შუა საუკუნეების ოსტატთა სოციალურ სტატუსს, საზოგადოებრივ მდგომარეობას, დამკვეთისა და ოსტატის თანამშრომლობას და სხვა საკითხებს დიდი ხანია, შეისწავლიან ბიზანტიური ხელოვნების მკვლევრები. უკანასკნელ წლებში ამ პრობლემებით ქართველი მეცნიერებიც დაინტერესდნენ. ამ

მხრივ აღსანიშნავია 2012 წელს გამოცემული წიგნი „მშენებელი ოსტატები შუა საუკუნეების საქართველოში“ (დ. თუმანიშვილი, ნ. ნაცვლიშვილი, დ. ხოშტარია), რომელშიც განხილულია შუა საუკუნეების ხუროთმოძღვართა საზოგადოებრივი მდგომარეობა და სოციალური სტატუსი, დამკვეთისა და მშენებლის როლები, საკუთრივ მშენებლობასთან დაკავშირებული საკითხები და სხვა. ამ ნაშრომმა გვიპიძგა, ამავე კუთხით შეგვესწავლა შუა საუკუნეების მხატვრებიც. ჩვენ მხოლოდ კედლის მხატვრობის ოსტატებით შემოვიფარგლეთ.

შუა საუკუნეების მშენებელი ოსტატების, ხელნაწერთა გადამწერებისა და მომხატველებისგან (იხ. ვ. ბერიძე, ძველი ქართველი ხუროთმოძღვრები, თბილისი, 1956; დ. თუმანიშვილი, ნ. ნაცვლიშვილი, დ. ხოშტარია, დასახ. ნაშრ.; ე. მაჭავარიანი, ი. გაჩეჩილაძე, ქ. ტატიშვილი, ნ. ხიზანიშვილი, ქართული ხელნაწერი წიგნის მომხატველ ოსტატთა შემოქმედება, თბილისი, 2022) განსხვავებით, კედლის მხატვრობის ოსტატებთან დაკავშირებული ცნობები აქამდე არ ყოფილა შეკრებილი. შევეცადეთ, შეგვევსო ეს ლაკუნა და თავი მოვუყარეთ მხატვართა შესახებ არსებულ ინფორმაციას.

ნაშრომი ნარკვევების კრებულს წარმოადგენს. კვლევის სირთულეს შუა საუკუნეების მხატვართა შესახებ ცნობათა სიმწირე განაპირობებს. ძირითადი წყარო ქართულ კედლის მხატვრობაში შემორჩენილი ის წარწერებია, რომლებშიც მხატვრები არიან დასახელებულნი. ამიტომ წარწერებს, მათ შინაარსსა და ფუნქციას დიდი ადგილი დაეთმო (ქ. მიქელაძე, შუა საუკუნეების მხატვართა წარწერები). ცალკეა წარმოდგენილი შუა საუკუნეების მხატვართა შესახებ ცნობები ფერწერული წარწერებისა (ქ. მიქელაძე) და ნარატიული წყაროების მიხედვით (თ. ხოსროშვილი). საგანგებოდ არის განხილული მხატვრის ადგილი შუა საუკუნეების საზოგადოებაში (ქ. მიქელაძე) და შუა საუკუნეების მხატვრის შემოქმედებითი თავისუფლება (მ. დიდებულიძე), მხატვრისა და მომგებლის როლი მხატვრობის შექმნის პროცესში (მ. დიდებულიძე, დაკვეთა – ქტიტორები და მხატვრები), რასაც უშუალოდ უკავშირდება ისეთი საკითხები, როგორიცაა შუა საუკუნეების ხელოვნების დანიშნულება, საეკლესიო კანონიკა, პირველსახის მნიშვნელობა და სხვა (მ. დიდებულიძე, ‘ქადაგება ფერებით და ხაზებით’).

წიგნში დანართის სახით არის წარმოდგენილი წარწერათა კატალოგი (ქართული წარწერები გამოსაცემად მოამზადა გიორგი გაგოშიძემ). ქართულ კედლის მხატვრობაში შემორჩენილი ბერძნულენოვანი წარწერები, რომლებშიც მხატვრები არიან დასახელებულნი, თინათინ ყაუხეჩიშვილის ნაშრომის (საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი, თბილისი, 2009) მიხედვით არის მოყვანილი.

დაბოლოს, გვინდავისარგებლოთ შემთხვევით და მადლიერება გამოვხატოთ მათ მიმართ, ვინც პროექტზე მუშაობის დროს დიდი დახმარება გაგვინია. საგანგებო მადლობას ვუხდით გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ეროვნული კვლევითი ცენტრის მეცნიერ თანამშრომელს, ქ-ნ მზია ჯანჯალიას არაერთი საყურადღებო და სასარგებლო შენიშვნისა და რჩევისთვის, მადლობას ვუხდით ამავე ცენტრის თანამშრომელს ქ-ნ ნატალია ჩიტიშვილს: ის ბევრჯერ დაგვეხმარა ჩვენთვის საჭირო სამეცნიერო ლიტერატურისა და ვიზუალური მასალის მოპოვებაში; ფოტომასალის მოწოდებისთვის გულითად მადლობას მოვახსენებთ ცენტრის ფოტოლაბორატორიის ხელმძღვანელს ქ-ნ მარინა ფანცხავას. ჩვენი სამეცნიერო ექსპედიციების მუდმივი წევრი ფოტოგრაფი ბ-ნი ზურა ცერცვაძე ფოტოების გადაღების გარდა დიდ დახმარებას გვინევდა საველე სამუშაოების დროს, რისთვისაც მას მადლობას ვუხდით. დიდ მადლობას მოვახსენებთ ქ-ნ ნინო საყვარელიძეს ნაშრომის მომზადების დროს გაწეული კონსულტაციებისთვის და ტექსტის ინგლისურად თარგმნისთვის.

შუა საუკუნეების მხატვართა წარცერები

შუა საუკუნეების ქართულ ნარატიულ წყაროებში, ისევე როგორც, ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურაში ეკლესიის მომხატველ ოსტატებთან დაკავშირებული ცნობები თითქმის არ მოგვეპოვება. მხატვართა თაობაზე ცალკეულ ცნობებს აქა-იქ მხოლოდ გვიანი შუა საუკუნეების დოკუმენტებში თუ გადაეყრები¹. ინფორმაციის ძირითად წყაროს შუა საუკუნეების მხატვართა შესახებ კედლის მხატვრობის თანმხლები ის წარწერები წარმოადგენს, რომლებშიც მხატვრები არიან დასახელებულნი.

მხატვრებთან დაკავშირებული ინფორმაციის სიმწირეს ბიზანტიური ხელოვნების მკვლევრებიც უჩივიან, თუმცა ბიზანტიური, განსაკუთრებით პოსტბიზანტიური ხანის მასალა ქართულთან შედარებით მაინც უფრო მდიდარია. ეპიგრაფიკის გარდა მხატვართა შესახებ ცნობები ისტორიულ წყაროებშიც დასტურდება, ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურაშიც, კორესპონდენციაშიც და იურიდიულ დოკუმენტებშიც². ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კრეტილი მხატვრებისა და მათი დამკვეთების ნოტარიული ხელშეკრულებები თუ მხატვართა ანდერძები³. მხატვართა თაობაზე საკმაო ინფორმაცია მოიპოვება რუსულ წყაროებშიც⁴. მეტად მნიშვნელოვანია ნოვგოროდში არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი XII საუკუნის მხატვრის, ოლისეი გრეჩინის სახე-

1 ამ საკითხზე იხ. აქვე, თ. ხოსროშვილი, მხატვართა შესახებ ცნობები ისტორიულ საბუთებსა და ნარატიულ წყაროებში.

2 Kazhdan, Maguire, Byzantine Hagiographical Texts, 1–20; Mango, The Art of the Byzantine Empire, 159, 229–233, 249–250.

3 Vassilaki, The Painter Angelos, მისივე, Looking at Icons, 101–116.

4 მაგალითად, XVII ს-ის ‘Сказание об иконописцах’, რომელშიც 24 მხატვრის ბიოგრაფია შევიდა. იაზიкова, Богословие Иконы, 142; ცნობები ცალკეულ მხატვრებზე იხ. Православная энциклопедия; ასვე, Лазарев, Древнерусские художники; Преображенский, О некоторых формах выражения.

ლოსნოც თავისი ინვენტარით (სახატავი მოწყობილობები, ხატწერისთვის საჭირო ნივთები და სხვა)⁵.

შუა საუკუნეების მხატვართა წარწერებს, მათ მნიშვნელობასა და დანიშნულებას, ისევე როგორც, მხატვრებთან დაკავშირებულ მთელ რიგ საკითხებს, როგორიცაა მათი საზოგადოებრივი მდგომარეობა და სოციალური სტატუსი, თვითაღება, მხატვრისა და დამკვეთის ურთიერთობა და სხვა დიდი ხანია იკვლევენ ბიზანტიური ხელოვნების მკვლევრები⁶. ამ პრობლემებით უკანასკნელ ნლებში ქართველი მეცნიერებიც დაინტერესდნენ⁷.

მხატვრის სახელის შემცველი წარწერები (მათი დიდი ნაწილი) პალეოგრაფიული და ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი თვალსაზრისით დიდი ხანია შესწავლილია, ზოგიერთ მათგანს საგანგებო გამოკვლევაც ეძღვნება⁸; ცხადია, ისინი განხილულია იმ მონოგრაფიებსა და გამოკვლევებშიც, რომლებიც იმ მხატვართა შემოქმედების სახელოვნებათმცოდნეო კვლევას ეძღვნება, რომელთა „ხელმოწერებიცაა“ შემორჩენილი⁹. მაგრამ მხატვართა სახელის შემცველი წარწერები არ არის გაშუქებული როგორც წყარო შუა საუკუნეების მხატვართა თაობაზე; ჩვენთვის ისინი, პირველყოვლისა, სწორედ ამ კუთხითაა მნიშვნელოვანი და საყურადღებო.

როგორც ცნობილია, შუა საუკუნეების აღმოსავლეთქრისტიანული ხელოვნების ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი მისი ანონიმურობაა. მართლაც,

5 Колчин, Хорошев, Янин, Усадьба новгородского художника, 114–129, 136–155; Гиппиус, К биографии Олисея Гречина, 104–106; Vassilaki, The Portrait of Artist, 7–10.

6 ამ საკითხებთან დაკავშირებული ვრცელი და კარგად ცნობილი ლიტერატურა არსებობს. მოგვყავს რჩეული მამრომები: Kalopissi-Verti, Painters, მისივე, Painters' Information, მისივე, Painters' Portraits; მისივე, Καλοπίστη-Βέρτη, Οι ζωγράφοι; Todíe, “Signatures”, მისივე, Λιγνι ζητήσεις; მისივე, Η αρχαιότητα των ζωγράφων; მისივე, Σρψκи сликари; Drpić, Painter as Scribe; Marković, Painters in the Late Byzantine World; Χατζήδάκης, Έλληνες ζωγράφοι, 1; Χατζήδάκης, Δρακοπούλου, Έλληνες ζωγράφοι, 2; Δρακοπούλου, Υπογραφές; მისივე, Ζωγράφοι; Vassilaki, The Portrait of Artist, მისივე, The Painter Angelos; Lidova, Manifestation of Authorship; მისივე, The Artist's Signature; Куюмджиева, ‘Рукою грешного изуграфа’; Преображенский, О некоторых формах выражения; იხ. ასევე კრებულები: Barral y Altet (ed.), Artistes, artisans; Басилаки, То Портрето; Bacci (ed.), L'artista a Bisanzio; ასევე, The Oxford Dictionary of Byzantium, 1, 196–201.

7 Chichinadze, “King’s Painter”, მისივე, Self-Representations of Artists, მისივე, Representing identities; სხირტლაძე, მღვდელმონაზონი მარკოს; მიქელაძე, ხელოვან-მომსატველთა წარწერების მნიშვნელობა; მისივე, Greek Painters.

8 მაგალითად, ორაერთი მხატვრის სახელის შემცველი წარწერა აქვს შესწავლილი ვ. სილოგაგას, ზ. სხირტლაძეს და სხვ. სილოგავა, სვანეთის წერილობითი ძეგლები, II; სხირტლაძე, საბერებების ფრესული წარწერები, მისივე, ტაძრის მომხატავი ისტატის აღმნიშვნელი ტერმინისათვის; კავლელაშვილი, მხერის ეკლესიის მხატვარი.

9 Вирсаладзе, Фресковая роспись художника Микаела Маглакели; Аладашвили, Алибегашвили, Вольская, Живописная школа; Лорткипанидзе, Роспись в Цаленджиха; ლორთქიფანიძე, ჯანჯალია, ნალენჯიხა; ჭიჭინაძე ი., სორის წმინდა გიორგის ეკლესიის მოხატულობა; Привалова, Новые данные და სხვა.

მხატვრები იშვიათად ტოვებდნენ „ხელმოწერებს“. გავრცელებული მოსაზრებით ბიზანტიაში მხატვართა წარწერებში დასახელების შემთხვევები XIII საუკუნემდე იშვიათად გვხვდება; ისინი უფრო მეტად გვიანბიზანტიურსა და განსაკუთრებით პოსტბიზანტიურ ხანაში გავრცელდა¹⁰. რაოდენობრივადაც, ცხადია, უფრო მეტი წარწერა ამ ეპოქიდან არის შემორჩენილი, თუმცა როგორც ს. მანგო შენიშვნავს ბიზანტიელი მხატვრები XII საუკუნიდან იწყებენ „ანონიმურობიდან გამოსვლას“¹¹. მაგრამ ეპიგრაფიკა მოწმობს, რომ მხატვრები თავიანთ ნაწარმოებებს უფრო ადრეც (IX-XI სს.) „აწერდნენ ხელს“ და მათ ქტიტორებიც ახსენებდნენ წარწერებში. ამის არაერთი შემთხვევა გვხვდება კაპადოკიის¹², სამხრეთ იტალიის¹³, საქართველოს კედლის მხატვრობის ძეგლებში. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ხუროთმოძღვართა, ოქრომჭედელთა, ხელნაწერი წიგნის გადამწერთა და მომხატველთა „ხელმოწერები“ თუ მათი სახელების შემცველი საქტიტორო წარწერები X საუკუნიდან მაინც დასტურდება¹⁴.

ჩვენი წაშრომი მხოლოდ კედლის მხატვრობის ოსტატთა სახელის შემცველი ფერწერული წარწერებით შემოიფარგლება, რომელთა უადრესი ნიმუშები საქართველოში საბერეების სამონასტრო კომპლექსის III, IV, VII და VIII ეკლესიების IX-X საუკუნეებით დათარიღებულმა მოხატულობებმა შემოინახა, თუმცა ზ. სხირტლაძის მოსაზრებას თუ გავითვალისწინებთ, შესაძლოა ფერმწერს ეკუთვნოდეს თელოვანის ჯვარპატიოსნის ეკლესიის აფსიდის VIII საუკუნის მოხატულობის წარწერაც¹⁵.

წარწერები საკმაოდ დიდ ქრონოლოგიურ პერიოდს – IX-XVII საუკუნეებს მოიცავს¹⁶. ქართულ კედლის მხატვრობაში შემორჩენილია ბერძნული წარწერებიც, რომლებიც ჩამოსულ, ბერძნულებოვან მხატვრებს მიეკუთვნებათ¹⁷ და, რომელთაც პირობითად ბერძნ მხატვრებს ვუწოდებთ, პირობითად, რად-

10 Kalopissi-Verti, Painters' Information, 56–57, Βασιλάκη, Το Πορτραίτο, 7; Δρακοπούλου, Υπογραφές 129–134; Chouliaras, Painter's Cultural, 82.

11 Mango, The Art of the Byzantine Empire, 183.

12 Wharton Epstein., Tokali Kilise, 35; Thierry, Mentalité, 88–89.

13 Safran, The Medieval Solento, 94; Pace, By the Hand of the Painter.

14 შუა საუკუნეების სხვადასხვა დარგის ოსტატთა წუსხა და მათი სახელების შემცველი წარწერები იხ. ბერძნები, ძველი ქართველი ოსტატები, მისივე, ძველი ქართველი ხუროთმოძღვრები; მაჭავარიანი, გაჩერილაძე, ტატიშვილი, ხიზანიშვილი, ქართული ხელნაწერი წიგნის მომხატველ ოსტატთა შემოქმედება.

15 სხირტლაძე, ადრეული შუა საუკუნეების ქართული კედლის მხატვრობა, 20, ნახ. 12, 14. მოგვყავს წარწერის ზ. სხირტლაძის გადმონანერი: „ლ[----] მოიტსენეთ“.

16 წარწერები და მათ შესახებ ბიბლიოგრაფია, იხ. აქვე, წარწერების კატალოგი, I ქართული წარწერები.

17 ბერძნული წარწერები შესწავლილი და გამოცემულია თ. ყაუხჩიშვილის მიერ, თ. ყაუხჩიშვილი, საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი. წარწერები მოგვყავს ამ წაშრომიდან, იხ. აქვე, წარწერების კატალოგი, II ბერძნული წარწერები.

გან ბერძენი, მეტადრე პოსტბიზანტიურ ხანაში, ეთნიკურ კატეგორიას კი არ გულისხმობს, არამედ კულტურულ წრეს, რომელსაც საერთო ბერძნული განათლება და ენა აერთიანებს¹⁸.

მხატვრის სახელის შემცველი წარწერების ტიპები

შუა საუკუნეების მხატვრები ძირითადად ორი ტიპის – საქტიტორო და საკუთრივ მათ წარწერებში სახელდებიან, რომელთაც პირობითად მხატვრის „ხელმოწერებს“ ვუწოდებთ. მხატვართა ვინაობა უმთავრესად სწორედ მათივე „ხელმოწერებიდან“ არის ცნობილი. ქტიტორები მათ შედარებით იშვიათად ახსენებენ.

უადრესი საქტიტორო წარწერა, რომელშიც მხატვარია დასახელებული ზემო სვანეთში ნეზგუნის მაცხოვრის სახელობის ეკლესიის საკურთხევლის აფსიდის X საუკუნის მოხატულობამ შემოინახა (№5, სურ. 1)¹⁹. გამორჩეული მნიშვნელობისაა კვლავ ზემო სვანეთის იფრარის მთავარანგელოზთა (1096), ლაგურკისა (1111) და ნაკიფარის წმ. გიორგის (1130) ეკლესიათა საქტიტორო წარწერები (№6, 7, 8), რადგან სამივე მათგანი იუნყება, რომ ეკლესიები „...მოხატა წელითა თევდორე მეფისა მხატვრისაითა...“ (სურ. 2, 3, 4). თევდორეს მოხატულობათა საქტიტორო წარწერები თავისი შინაარსითა და სტრუქტურით ერთი ტიპისაა, ყველგან ერთნაირი ფორმულებია გამოყენებული; დასახელებულია ქტიტორი, თარიღი და მხატვარი. მხატვრის სახელის შემცველი საქტიტორო წარწერები სხვაგანაც გხვდება (გრემი /1577/, ბერძ. №4, ერთაწმინდა /1654/, №31). საქტიტორო წარწერებში მხატვრის დასახელების ერთგვარი წესიც იკვეთება – მისი სახელი, ჩვეულებრივ, ტექსტის ბოლოს იწერება, რისთვისაც საყვაველთაოდ მიღებული ფორმულას იყენებენ: „მოიხატა ხელითა“. ასეთივე ტრადიცია იყო ბიზანტიაშიც²⁰.

მხატვართა „ხელმოწერების“ ყველაზე დამახასიათებელი და გავრცელებული ტიპი მარტივი და ლაკონიური სავედრებელი წარწერებია, რომელიც მხატვრის სახელისა და სავედრებელი ფორმულისგან (ქრისტე შეინყალე, მეოხე ექმენ და სხვა) შედგება და აღნიშნულია მისი ხელობაც. ამ რიგის წარწერები კედლის მხატვრობის ადრეულ ეტაპზევე დასტურდება, მაგალითად, საბერეების VII და VIII ეკლესიების X საუკუნის წარწერები: „მწერალი გლახაკი კვ[ირიკე]

18 Χατζηδάκης, Έλληνες ζωγράφοι, 1, 12.

19 ნეზგუნის ეკლესიაში მხატვრობის ორი ფენაა: საკურთხევლის აფსიდის – X ს-ით, დანარჩენი მოხატულობა XII ს-ით თარიღდება, ალაძევილი, ალიბეგავილი, ვოლსკა, Живописная Школа, 13-15.

20 Kalopissi-Verti, Painters, 147.

შემიწყალე ღმერთო]“ (№3) და „მაცხოვარ, შემიწყალე მონად შენი მნერალი ლოცვა ყავთ...“ (№4, სურ. 6, 7). ორივე შემთხვევაში „მნერალი“, რა თქმა უნდა, მხატვრის მნიშვნელობითაა გამოყენებული²¹. მარტივ სავედრებელ წარწერებს მომდევნო საუკუნეებშიც ვხვდებით, მაგალითად: მხერის მთავარანგელოზთა ეკლესის წარწერა: „მაცხოვარო, მეოს ექმენ დავითს მხატვარსა“ (XIV ს., №21), მარტვილის წარწერა: „ყოვლად წმინდაო, შეიწყალე გიორგი მხატვარი“ (XVI ს., №29), ნიკორწმინდის (XVI ს. №28), კალაურის (XVI ს., №27ა) მხატვართა წარწერები. ასეთივე ტიპის წარწერებს მიეკუთვნება მხატვარ გიორგი ჯოხტობერიძის (XVI ს.) „ხელმოწერაც“. ჯოხტობერიძე იმ მხრივაცაა საყურადღებო, რომ მისი ოთხი წარწერა შემორჩენილი (წითელხევი, ილემი, ობჩა, გელათის წმ. ელიას ეკლესია). ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ მან თითქოს ერთხელ შეიმუშავა „ხელმოწერა“ და ოთხივე თავის მოხატულ ეკლესიაში ერთნაირი „ავტოგრაფი“ დასვა: „ამის მხატვარსა გიორგის ჯოხტობერიძეს შეუნდოს ღმერთმან, ამინ“ (№23ა, №24, №25, №26).

არის შემთხვევები, როცა მხატვრები უფრო ვრცელ წარწერებსაც აკეთებდნენ, მაგრამ ისინი გავრცობილია არა მათ შესახებ ინფორმაციის, არამედ ქტიორის ან თარიღის დასახელების ხარჯზე, მაგალითად, მცხეთის სვეტიცხოვლის კათედრალის „ცხოველი სვეტის“ მხატვარი გრიგოლ გულჯავარასშვილი თავის წარწერაში ქტიორის კათოლიკოსს, ნიკოლოზს (ამილახვარი, 1678-88; 1692-95) ასახელებს (№33), სამთვნელი ეპისკოპოსი მელიტონი, რომელმაც გივი ამილახორის ბრძანებით მოხატა სამთავისის ტაძრის საკურთხევლის აფსიდი, წარწერაში თარიღს (1679) აღნიშნავს (№32)²².

21 ა. ვოლსკაია მიიჩნევს, რომ საპერეების VII და VIII ეკლესიების მოხატულობები წიგნის მომსატველთა მიერ არის შესრულებული, რაკი მათ წარწერებში „მნერლებად“ მოიხსენიეს თავი (ვოლსკაია, გარეჯის ფერწერული სკოლის ისტორიისთვის, 30). მართალია, „მნერალი“ და „წერა“ უპირველესად სამწიგნობრო საქმიანობასთან დაკავშირებული ტერმინებია, მაგრამ „მნერალი“ მხატვრის, ხოლო „წერა“ და მისგან ნაწარმოები ტერმინები (დაინწერა, მოიწერა და სხვა) შეასაუკუნეებში ხატვის მნიშვნელობითაც იხმარებოდა. X ს-ის სვანურ მრავალთავში (A 19) ტაძრის მომსატველთა აღსანიშნავად ტაძრის მნერალი იხმარება (საკითხავი დავით იაკობისი, თქმული იოვანე ოქროპირისაა ტაძრის მნერალთათვეს), მაჭავარიანი, ძველ ქართულ ხელნაწერ წიგნთა შემკულობის, 112-114; მისივე, წიგნის ხელოვნება, 30-32; სხირტლაძე, ტაძრის მომსატავი ოსტატების აღმნიშვნელი ტერმინისათვის, 221-224; მისივე, საპერეების ფრესკული წარწერები, 68-70; მ. სურგულაძე, ძველი ქართული პალეოგრაფიული ტერმინები, 8-19; მესხია, საისტორიო ძიებანი, I, 144-146. ასეთი მნიშვნელობა აქვთ ამ ტერმინებს ბერძნულ ენაშიც, Dripić, Painter as Scribe.

22 გივი ამილახორის საქტიტორო წარწერა ([და]აიხატა წმიდა საკურთხევლსა ამას ბრძანებითა გივის ამილახორისითა, ღმერთმან შეუნდვნეს, ამინ) მოთავსებულია ჩრდილო-აღმოსავლეთ ბურჯზე, სამთავნელი ეპისკოპოსის მელიტონის წარწერის გასწვრივ. გივი ამილახორი თავის თანამეცხედრესთან ერთად საკურთხევლის კონქის წარწერაშიც არის მოხსენიებული, სოხაშვილი, სამთავისი, 100-103.

ერთი შეხედვით, მხატვარს ეკუთვნის მაცხვარიშის მაცხოვრის სახელობის ეკლესიის მოხატულობის (1140 წ.) წარწერაც: „მოხატა საყდარი ესე მეფობასა დემეტრესა ნელსა იე, ქელითა მიქაელ მაღლაკელისათა“ (№10), მაგრამ ის არ შეიცავს სავედრებელს, რომელიც იშვიათი გამონაკლისის გარდა ყოველთვის ახლავს მხატვრის წარწერას და უფრო საქტიტორო წარწერისთვის დამახასიათებელ ფორმულას იმეორებს, ვგულისხმობთ თარიღსა და ოსტატის სახელს, რომელსაც ტექსტის ბოლოს განათავსებდნენ (მაგალითად, „...მოხატა დასაბამითგანთა წელთა ხე, ქორონიკონსა ტივ, ქელითა თევდორე მეფისა მხატვრისათა...“). მიქაელ მაღლაკელის წარწერას მთლიანი მოხატულობის კონტექსტში თუ შევხედავთ, მის შექმნაში კვირიკე მამასახლისის მონაწილეობა გამოიკვეთება, რომლის პორტრეტიც და ორი წარწერაც არის მაცხვარიშის ეკლესიაში. კვირიკეს როლი მხოლოდ ეკლესიის მოხატვის გაძლოლით, ზედამხედველობით არ უნდა შემოიფარგლებოდეს როგორც ამას მისი გამოსახულების თანმხელები წარწერა („ესე არს კვირიკე მამასახლისი, რომელმან დიდი მოაჭირვა ამის ეკლესიისა ზედგომაა ხატვასა, ამინ“²³) იუწყება, არამედ ის, როგორც ჩანს, მოხატულობის ერთ-ერთი მომგებელი, „მეორადი ქტიტორიც“ იყო²⁴. კვირიკე რომ მხოლოდ სამუშაოს ზედამხედველი ყოფილიყო, ვთიქრობთ, მისი პორტრეტი ეკლესიის კედელზე ვერ „აღმოჩნდებოდა“, მით უფრო, მეფის გამოსახულების სიახლოვეს (ვგულისხმობთ, ჩრდილოეთ კედელზე გამოსახულ დემეტრე I-ის მეფედ კურთხევის სცენას). კვირიკეს მეორე წარწერა („ვინცა ამას ეკლესიასა შიგან მამასახლისი იყო, კვამლისგან შევკრძალეთ ხატული რომელ ფერი არ დააკლოს“²⁵) მიქაელ მაღლაკელის წარწერის სიმეტრიულად, ჩრდილოეთი კედლის ქვედა რეგისტრშია მოთავსებული. ისინი კომპოზიციურადაც ერთნაირად

23 სილოგავა, სვანეთის წერილობითი ქეგლები, II, 77–78, 15.

24 თ. ვირსალაძე მოხატულობის დამკვეთად დემეტრე I-ის მეფედ კურთხევის სცენაში გამოსახულ ერთ-ერთ ერისთავს მიიჩნევს; კვირიკეს კი — მოხატულობის ხელმძღვანელად (Вирсалидзе, Фресковая роспись художника Микаела Маглакели, 162–163). ე. ისტმონდის მოსაზრებით, კვირიკე ქტიტორიც იყო (Eastmond, Royal Imagery, 74, 192). რასაც ჩვენც ვიზიარებთ. ამას გვაფიქრებინებს კვირიკეს წარწერაში ნათქვამი: „...დიდი მოაჭირვა ამის ეკლესიისა ზედგომაა ხატვასა“, რომელიც ორნაირად შეიძლება გავიგოთ — რომ მან გაჭირვებით იმრომა, ან რომ დიდი გაჭირვებით გადაიხადა მოხატვის საფასური. უპირატესობა ამ ვერსიას მივანიჭეთ. „მოჭირვება“-ს რამდენიმე მნიშვნელობა აქვს — მოთმენა, გაჭირვების ატანა (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი V, 1088, 748). სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, 513) გარჯა (აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, 290), მაგრამ მას ხარჯის გაღების მნიშვნელობაც ჰქონდა, რასაც ეპიფრაფიკის ქეგლებიც მოწმობს, სილოგავა, სვანეთის წერილობითი ქეგლები II, 44, 91–92, 23. თუ კვირიკეს მხოლოდ ზედამდგომლად მივიჩნევთ, მაშინ გამოდის, რომ სამუშაოთა გამძლოლს ეკლესის კედელზე წარწერათა გაკეთებაც შეეძლო და თავისი პორტრეტის გამოსახვაც. სხვათა შორის, ყურადსალებია, რომ ოშეის ტაძრის ზედამდგომი გრიგოლიც მხოლოდ წარწერიდან არ არის ცნობილი, არამედ, როგორც ვარაუდობენ, კარიბჭის რვანახნაგა ბურჯზე მის რელიეფური გამოსახულებაც არის მოთავსებული, ვ. ჯობაძე, ადრეული შუა საუკუნეების, 127.

25 სილოგავა, სვანეთის წერილობითი ქეგლები, II, 79, 16.

არის აგებული და თანაბარი მნიშვნელობითაცაა წარმოჩენილი (სურ. 5). მაღლაკელის წარწერა კვირიკე მამასახლისის წარწერებში გადმოცემული ინფორმაციის დამასრულებელ ნაწილად აღიქმება. ცხადია, კვირიკეს პორტრეტი და წარწერები მისი დაკვეთით შეიქმნა. ის გვაუწყებს, რომ მისი მეცადინეობითა და, ალბათ, ხარჯითაც მოიხატა მაცხვარიშის ეკლესია და მომავალ მამასახლისებს ანდერძადაც უტოვებს მოხატულობის მოვლას და, ჩვენი ვარაუდით, კვირიკეს და არა მხატვრის ინიციატივით დაიწერა ვინ და როდის მოხატა ეკლესია.

ცალკე ჯგუფად შეიძლება გამოიყოს მარტივი სავედრებელი წარწერები, რომლებშიც ავტორის ხელობა ან მისი ლვანტი არ არის აღნიშნული, მაგრამ ისინი მხატვრებს მიეწერებათ. რატომ უნდა მივაკუთვნოთ ამ ტიპის წარწერები მაინცადამაინც და უპირობოდ მხატვრებს, როცა ასეთ სავედრებლებს ეკლესის კედლებზე სხვებიც წერდნენ, თუნდაც მომლოცველები. ამ შემთხვევაში წარწერათა ატრიბუციას იმდენად შინაარსი არ განსაზღვრავს რამდენადაც სხვა ფაქტორები — მდებარეობა, შესრულების დრო, ფერწერულ ფენასთან მიმართება, პალეოგრაფიული მახასიათებლები, ხელწერა, გამოყენებული სალებავი.

სწორედ ამ გარემოებათა გათვალისწინებით ივარაუდა, თავის დროზე, ზ. სხირტლაძემ, რომ საბერეების III ეკლესის ამჟამად ძლიერ დაზიანებული წარწერა: „dმანო, ლოცვასა გოკედია“ (IX ს., №1) მხატვარს უნდა ეკუთვნოდეს. ის პალეოგრაფიულადაც მოხატულობის სხვა წარწერებს ჰგავს და საკმაოდ მაღლაცაა მოთავსებული (ჩრდილოეთ კედელზე), რის გამოც „პილიგრიმულ მინაწერად ვერ ჩაითვლება“ (სურ. 8)²⁶.

ამ რიგის წარწერებს მიეკუთვნებათ ბეთანიის ღვთისმშობლის ტაძრის მოხატულობის („ქრისტე, შეინყალე დემეტრე“, XII ს., №12ა), ოზაანის ამაღლების ეკლესის XII-XIII სს-ის ფერწერული ფენის („ქრისტე ღმერთო, შეუნდვენ მიქაელს, ამინ“ (№13)²⁷, გელათის ღვთისმშობლის ტაძრის 1550-იან წლებში შესრულებული მოხატულობის („ქრისტე, შეინყალე სული ელიასი“, №22ე), ჭოხულდის მაცხოვრის ეკლესის (XIII ს., №14), კალაურის წმ. გიორგის ეკლესის (XVI ს. №27ბ, გ) სავედრებელი წარწერები.

ბეთანიის და ოზაანის წარწერები საკურთხევლის აფსიდშია მოთავსებული; ბეთანიაში — დასაჯდომელში გამოსახული ორნამენტის ყვავილზე წვრილი ასოებით არის მიწერილი (სურ. 9, 10), ოზაანში — აფსიდის თაღის სამხრეთ

26 საბერეების სამონასტრო კომპლექსის ეკლესიები დანომრილია გ. გაფრინდაშვილის ნახაზის მიხედვით. იხ. ძველი ხელოვნება დღეს, 04, 2013, 44, 45. III ეკლესია შეესაბამება ზ. სხირტლაძის ნუმერაციის V ეკლესიას, სხირტლაძე, საბერეების ფრესკული წარწერები, 12, 24-26.

27 ოზაანის ეკლესიაში მოხატულობის რამდენიმე ფენაა, Привалова, Роспись церкви «Вознесения».

პირზე (სურ. 11, 12). ცხადია, ამ წარწერებს მხოლოდ ის დაწერდა ვინც აფსიდის მოხატულობას ასრულებდა.

ეჭვს არ იწვევს, რომ გელათის ზემოხსენებული წარწერაც მხატვარს, ვინ-მე ელიას ეკუთვნის. ის ძილი მოწაფეთა სცენაშია ჩაწერილი, რომელიც ძალიან მაღლა, დასავლეთი კედლის ლუნეტშია გამოსახული, სადაც მხოლოდ მხატვარი თუ შეძლებდა წარწერის დაწერას; თანაც ის პალეოგრაფიულადაც და ხელწე-რითაც ამ სცენის ზედწერილების ანალოგიურია და იგივე თეთრი სალებავითაა შესრულებული (სურ. 13).

ჭოხულდის მაცხოვრის ეკლესიის მოხატულობაში (XIII ს.) წარწერა („ძეო ღმრთისაო, საღირ შეიწყალე“ №14) სულიწმიდის მოფენის სცენაში, მოციქულ-თა სამოსზეა დაწერილი, კალაურის წმ. გიორგის ეკლესიაში საკურთხევლის აფსიდში. ორივე შემთხვევაში წარწერები მოხატულობათა თანადროულია და პალეოგრაფიულადაც სხვა წარწერებს ჰგავს.

საინტერესო შემთხვევაა ვარძიის ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის მოხა-ტულობის (XII ს.) წარწერა, რომელიც ამჟამად აღარ იკითხება²⁸. ის საკურთხევ-ლის აფსიდის ორნამენტული ზოლის ცალკეულ სეგმენტებში (ყვავილებში) იყო განაწილებული და, ცხადია, მას სხვა ვინ დაწერდა, თუ არა ის, ვინც ამ ორნა-მენტს ხატავდა (№11). ვარძიის წარწერა მხატვართა აქამდე განხილული წარწე-რებისგან განსხვავდება. ის ერთმანეთისგან დაშორებული გრაფემისგან შედგე-ბა („გვ“, „ჭ“ და „რ“ – გიორგი ჭარი) და, ფაქტიურად, მონოგრამას წარმოადგენს. წარწერა თავისებურ კრიპტოგრამადაც შეიძლება მივიჩნიოთ. მხატვრის ამ ტი-პის სხვა წარწერა ქართულ კედლის მხატვრობაში არ დასტურდება, თუმცა ვინ იცის იქნებ სადმე არის კიდეც მიმალული.

როგორც ჩანს, მხატვრის „ხელმოწერასთან“ გვაქვს საქმე საფარის მო-ნასტრის წმ. საბას ტაძრის მოხატულობაშიც. აქ სამხრეთ კედელზე სამცხის ათაბაგთა ჯაყელთა ჯგუფური პორტრეტია (XIV ს. დასაწყისი) გამოსახული. ბოლო, მეოთხე მამაკაცი, რომელიც ჯაყელთა სახლის ერთ-ერთი წევრი უნდა იყოს რამდენადმე მოგვიანებითაა დამატებული²⁹. სწორედ მის კაბაზეა მიწერი-ლი წარწერა. მამაკაცს წითელი კაბა მოსავს, ქვემოდან წითელი ორნამენტით შემკული თეთრი პერანგის ქობა მოუჩანს, რომელზეც სტილიზებული მხედრუ-ლით შესრულებული წარწერაა დატანილი. გრაფემები ისეა გადახლართული, რომ ორნამენტად აღიქმება (სურ. 14, 15). ამიტომ მისი გაშიფრვა არ აღმოჩნდა

28 წარწერის შესახებ იხ. მელითაური, ვარძიის სამშენებლო-ხუროთმოძღვრული შესწავლის საკითხები, 13. იხ. აქვე, წარწერათა კატალოგი I, 11.

29 ხუციშვილი გ., საფარის კედლის მხატვრობა, 72-73; მიქელაძე, ჯაყელთა პორტრეტები, 221-222.

იოლი. წარწერა სამი სიტყვისგან შედგება: „პტრთ:: ძესა: თვრეტს ... (ან) თბრეტს“, რომლებიც წითელი, შავი და წითელი საღებავითაა შესრულებული. გ. გაგოშიძე მისი წაკითხვის სამ ვარიანტს გვთავაზობს. სამივე შემთხვევაში მხატვრის სახელი თეოდორეტად არის გაშიფრული. საყურადღებოა გ. გაგოშიძის მიერ გამოთქმული ვარაუდი, კერძოდ, ხომ არ იყო თეოდორეტი (თეოდორიტე) ბერძნული წარმომავლობის მხატვარი, რადგან მისი სახელი ბერძნული უღერადობისაა³⁰. ამ საკითხის გარკვევა საფარის მოხატულობის სპეციალურ კვლევასაც საჭიროებს და საკუთრივ წარწერის კიდევ უფრო საფუძვლიან შესწავლას. ამჯერად მხოლოდ ის შეიძლება ითქვას, რომ წარწერა და საფარის საქტიტორო პორტრეტის ბოლო ფიგურა მხატვარ თეოდორეტს ეკუთვნის.

ქართულ კედლის მხატვრობაში არის რამდენიმე შემთხვევა, როცა მხატვრის წარწერა ქტიტორის პორტრეტის სიახლოვესაა მოთავსებული (წვირმი-ჩობანის წმ. გიორგის ეკლესიის მოხატულობა (XII ს.), (სურ. 16), ნიკორწმინდის კარბიჭის მოხატულობა (XVI ს.), სურ. 17), მაგრამ გამოსახულებაზე დატანილი „ხელმოწერა“ საფარის გარდა სხვაგან არ შემორჩენილა.

შუა საუკუნეების ბიზანტიური მხატვრებისთვის სახელის ან ინიციალების მოხატულობის სხვადასხვა გამოსახულებებზე მიწერა უცხო არ იყო. ამ მხრივ, პირველ რიგში, მიხეილი და ევტიხი ასტრაპა უნდა გავიხსენოთ, თუმცა ამ ხერხს სხვებიც მიმართავდნენ³¹. მაგრამ საფარისა და ბერძენ მხატვართა შორის არსებითი სხვაობაა. ბერძნები წმინდანთა გამოსახულებებზე (მათ სამოსზე, იარაღზე, ზოგჯერ სიუჟეტური სცენების ნაგებობებზე, ჭურჭელზე) წერდნენ თავიანთ სახელს ან ინიციალებს, რითაც როგორც ბ. ტოდიჩი აღნიშნავს, უშუალოდ მათ მიმართავენ ვედრებით, მაშინაც კი, როცა წარწერებს სავედრებელი არ ერთვოდა, მათ მაინც შესაწყალებლის დანიშნულება ჰქონდათ³². საფარის წარწერას ასეთი ფუნქცია ვერ ექნებოდა, რადგან ის საერო პირის გამოსახულებაზეა დატანილი, რაც მას მართლაც ავტოგრაფის მნიშვნელობას ანიჭებს. ამ შთაბეჭდილებას პორტრეტული რიგის მთლიანი კონტექსტიც უწყობს ხელს. მხატვარს საფარაში უკვე დახვდა ჯაყელთა (სარგის I (საბა), ბექა და სარგის II) გამოსახულებები და მას მხოლოდ ერთი პორტრეტი უნდა დაემატებინა, რაც

30 იხ. აქვე, წარწერთა კატალოგი I, №16. ვარაუდი, რომ ეს წარწერა მხატვარს ეკუთვნის პირველად ისტორიკოსმა თ. ჯოჯუამ გამოთქვა ვ. ბერიძის 100 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე (2014) წარმოდგენილ მოხსენებაში: სამცხის მთავართა ქტიტორული პორტრეტები. ჯოჯუას ცერსით აქ იკითხება სახელი „პეტრე“.

31 Todić, "Signatures", 650.

32 Todić, "Signatures"; მისივე, ლични записи, 515–518.

შეასრულა კიდეც. დაზიანების მიუხედავად მაინც გაირჩევა, რომ ეს უკანასკნელი ბექასა და სარგის II-ის გამოსახულებებისგან თითქმის არ განსხვავდება; სამივე ერთნაირი პოზითა და მსგავსი კაბით არის წარმოდგენილი. მხატვარმა თავისი დახატული პორტრეტი ჯაყელთა ადრინდელი გამოსახულებებისგან თითქოს „ხელმოწერით“ გამოარჩია, რითაც მან, თუ შეიძლება ითქვას, თავისი ავტორობა დაადასტურა, ეს პორტრეტი თეოდორეტმა დახატაო. თავისი შესრულების ხასიათით წარწერა ისტორიული საბუთების ხელრთვებსაც მოგვაგონებს.

ქართულ კედლის მხატვრობაში მხატვრის წარწერის რამდენიმე უჩვეულო შემთხვევაც გვაქვს, ვგულისხმობთ, ბეთანიის ღვთისმშობლის ტაძრის ორ წარწერას. ერთი მათგანი საკურთხევლის აფსიდის ქვედა რეგისტრშია მოთავსებული; მას ეკატერინე პრივალოვა ზემოხსენებულ მხატვარ დემეტრეს მიაკუთვნებს³³. წარწერა თავისი შინაარსითა და პოეტური ფორმით იქცევს ყურადღებას („არ მარტო ვარ, შავპირი, ჭეშმარიტად. მსაჯულო ყოველთაო, ნუ მარტომქმენ ყოველთა ქრისტიანეთა წმიდათა შენთავან“ (№12 ბ). ამ ტიპის მხატვრის სხვა წარწერა ქართულ კედლის მხატვრობაში არ შემორჩენილა.

მოულოდნელი შინაარსისაა ბეთანიის მეორე წარწერა: „უფალო, ნუ შეუნდობ სოფრომს“ (№12გ). მისი მდებარეობა უეჭველს ხდის, რომ ის მხატვრის დაწერილია. წარწერა საკმაოდ მაღლა, ტაძრის სამხრეთი მკლავის დასავლეთი სარკმლის ნირთხლში, წმ. აარონის ფიგურის ფეხებთან არის თეთრი საღებავით მიწერილი. ამ ადგილას და ასეთ სიმაღლეზე მხატვრის გარდა ვერავინ გააკეთებდა წარწერას. აღსანიშნავია ისიც, რომ აქვე შავი საღებავით მცირე ზომის მამაკაცის დაჩოქილი ფიგურაა მიხატული, რომელსაც ე. პრივალოვა მხატვართან აიგივებს³⁴. წარწერის ტექსტი ორნაირად შეიძლება გავიგოთ, რომ ავტორი უფალს შესთხოვს ვინმე სოფრომს არ შეუნდოს ცოდვები ან, რომ თავად სოფრომი იმდენად ცოდვილად მიიჩნევს თავს, რომ უფალს ევედრება არ შემინდო, ამისი ღირსი არ ვარო. ე. პრივალოვამ სწორედ ამ ვერსიას მიანიჭა უპირატესობა და წარწერა მხატვრის უკიდურესი მორჩილებისა და დამცრობის გამოხატულებად მიიჩნია, თუმცა შუა საუკუნეების ეპიგრაფიკასა თუ ხელნაწერთა მინაწერებში ისეთი შემთხვევებიცაა ცნობილი, რომლებიც ვისამე წყევლას შეიცავს³⁵.

33 Привалова, Новые данные, 16.

34 იქვე, 16–17.

35 სილოგავა, სვანეთის წერილობითი ძეგლები, II, 215–216.

ადგილობრივი მხატვრების მსგავსად საქართველოში ჩამოსული მხატვართა ვინაობაც ძირითადად მათი „ხელმოწერებიდან“ არის ცნობილი³⁶; საქტიტორო წარწერაში პერძენი ოსტატის დასახელების შემთხვევა მხოლოდ გრემის მთავარანგელოზთა ტაძრის მოხატულობაშია (1577) შემორჩენილი (ბერძ. №4). ყველა მხატვრის წარწერა პერძნულ ენაზეა შესრულებული, გარდა გელათის ღვთისმშობლის შობის სახელობის გუმბათის მხატვრების „ხელმოწერებისა“ (1520-იანი წნ.), რომელიც ქართული ასომთავრულითაა დაწერილი; წალენჯიხაში ორენოვანი – პერძნულ-ქართული წარწერები გვაქვს.

ბერძენ მხატვართა „ხელმოწერებში“ მოკლე და ლაკონიური წარწერებიც გვხვდება (გელათის ღვთისმშობლის შობის ტაძრის სამხრეთ მკლავის მოხატულობაში (1550-წნ.) – „მოიხატა ჩემი მდაბალი და ცოდვილი ტიმოთეოსის ხელით წელსა [...]“ (ბერძ. №2, იხ. ასევე ბობნევის მხატვრის წარწერა (1683), ბერძ. №6) და უფრო გავრცობილიც, რომელშიც ქტიტორია დასახელებული (ბიჭვინთის ღვთისმშობლის ტაძრის სამხრეთ-დასავლეთ კაპელის წარწერაში მოხსენებულია დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) კათოლიკოსი ევდემონ I (ჩხეტიძე, 1557-1578), ბერძ. №3); არის უჩვეულო ან არატრადიციული წარწერების შემთხვევებიც. ამ უკანასკნელს მივაკუთვნეთ კონსტანტინოპოლელი მხატვრის, მანუელ ევგენიკოსის პერძნული წარწერა წალენჯიხის მაცხოვრის სახელობის ეკლესიის მოხატულობაში (1384-1396) და მაღალაანთ ეკლესიის კანკელის მომხატველის – აპოსტოლეს წარწერა (1680-იანი წნ. ბერძ. №5)³⁷.

წალენჯიხაში, როგორც ცნობილია, მანუელ ევგენიკოსი სამ წარწერაშია დასახლებული (სურ. 22, 23, 24). მათგან ერთი (ჩრდილო-დასავლეთ ბურჯზე) ბერმონაზონ მახარებელი ქვაბალიასა და ანდრონიკე გაბისულავას ეკუთვნის³⁸ (№20ბ), რომლებიც ვამეყ დადიანმა მხატვრის ჩამოსაყვანად კონსტანტინოპოლის გაგზავნა. ევგენიკოსის პერძნული (ბერძ. №1) და ქართული (№20ა) წარწერები ერთმანეთის გვერდით სამხრეთ-დასავლეთ ბურჯზეა მოთავსებული და არსებითად ერთსა და იმავე ამბავს გვაუწყებს, რომ ტაძარი მანუელ ევგენიკოსმა მოხატა, რომელიც ოდიშის ერისთავთერისთავისა და მანდატურთუხუცესის ვამეყ დადიანის (1384-1396) ნებით ჩამოვიდა კონსტანტინოპოლიდან. ქართულ წარწერაში ნათქვამია: „...დადიანისა ვამეყის ბრძანებითა მოვ[ედი] კოსთანტიპოლით მხატვარი კირმანული ევიენიკოს და დავხა[ტე] ესე [ეკლესია]“ (№20ა).

36 პერძენი მხატვრებისა და მათი წარწერების შესახებ იხ. Mikeladze, Greek Painters.

37 იქვე, 176-85.

38 ქვაბალია და გაბისულავა რომ პერმონაზვნები იყვნენ ევგენიკოსის პერძნული წარწერიდან არის ცნობილი, იხ. აქვე, ბერძ. №1.

ბერძნულ წარწერაში დამატებით ისიცაა აღნიშნული, რომ ევგენიკოსის ჩამოსაყვანად ვამეყმა კონსტანტინოპოლს ქვაბალია და გაბისულავა გაგზავნა: „ვე-დრება ღვთის მონისა და ცოდვილისა მანუელ ევგენიკოსისა, მხატვრისა, რომელმაც მოხატა ეს ტაძარი კონსტანტინეპოლიდან მოსულმა, [სადაც] გაგზავნა ბერძონაზვნები [ამ ტაძრის] შესამკობად [ერისთავთერისთავმა?], რომლის სახელია ვამეყ, ხოლო [ბერძონაზონთა] სახელებია ქობალია მახარებელი და ანდრონიკე გაბისულავა...“ (ბერძ. №1). ამ ინფორმაციის ქართულ წარწერაში გამეორების აუცილებლობა არ იყო, რადგან ვამეყის მიერ კონსტანტინოპოლში მხატვრის ჩამოსაყვანად წარგზავნილი ქვაბალია-გაბისულავა ამ ამბავს თავის წარწერაში აღნიშნავენ (№20ბ).

ევგენიკოსის ბერძნული წარწერა შუა საუკუნეების მხატვრის ტრადიციულ ლაკონიურ „ხელმოწერას“ არ წარმოადგენს, რომელიც ოსტატის სახელით და სავედრებლით შემოიფარგლება, ის არც მხოლოდ ქტიტორის დასახელების ხარჯზე გავრცობილი, როგორც, მაგალითად, ბიჭვინთის (ბერძ. №3), სვეტიცხოვლის (№32) მხატვართა წარწერები, ან შორს რომ არ წავიდეთ თვით ევგენიკოსის ქართულენოვანი წარწერა, არამედ აქ მისი საქართველოში ჩამოსვლის მთელი ისტორიაა გადმოცემული. ასეთი თხრობითობა უფრო საქტიტორო წარწერისთვისაა დამახასიათებელი, რაც გვაფიქრებინებს, რომ ევგენიკოსის წარწერა ვამეყის სურვილით შეიქმნა; ამ აზრს ამყარებს წარწერათა მდებარეობა და საზეიმოდ წარმოჩენა, რაც ასევე საქტიტორო წარწერისთვისაა დამახასიათებელი.

წინარეხის მაღალანთ ეკლესიის კანკელის წარწერა (ბერძ. №5) ბერძენი მხატვრის, აპოსტოლეს სითამამით იქცევს ყურადღებას. წარწერა კანკელისა და მისი მოხატულობის (1680-იანი წე-ის ბოლო) მომგებლის, მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრის ქადაგის, ნიკოლოზ მაღალაძის³⁹ დედის, ელენეს მემორიულ პორტრეტს ახლავს და მის სულის მოსახსენიებელს, ფაქტობრივად, ეპიტაფიას წარმოადგენს („მოიხსენე, ქრისტე, სული მხევლისა შენისა ელენესი და განაწესე იგი სამოთხესა შინა, სადა წმიდათა გუნდნი, უფალო, და მართალნი

³⁹ ცნობა იმის შესახებ, რომ ნიკოლოზ მაღალაძე კანკელისა და მისი მოხატულობის მომგებელი იყო არ გვაქვს, მაგრამ მაღალანთ ეკლესიის (XIII ს.) აღმოსავლეთ ფასადის წარწერა მოწმობს, რომ მან 1677 წელს ეკლესია აღადგინა. რადგან კანკელის არქიტექტურული თავისებურებები და მისი მოხატულობის სტილი XVII ს-ს მიუთითებს, ამიტომ მათ დამკვეთადაც ნიკოლოზ მაღალაძეა მიიჩნეული, ბერიძე, წინარეხელ მაღალაძეთა მშენებლობა, 199–200; შმერლინგ, მალე ფორმები, 207–208, 263–265; გაგოშიძე თ., „კუალად უვლინებდნენ, 5–15; მისივე, XVII საუკუნის მოხატულობა, 124–129.

გამოაბრწყინებენ, როგორც ვარსკვლავნი სულსა მხევლისა შენისა ელენუსსა და მისმინე ცოდვილსა და ულირსსა მონასა შენსა აპოსტოლე მხატვარსა“ (ბერძ. №5, სურ. 35, 36). აპოსტოლემ სწორედ ამ წარწერაში ჩართოთ თავისი სავედრებელი, რაც შუა საუკუნეების ოსტატის მხრიდან წარჩინებული ქალბატონის მიმართ ერთგვარ ფამილიარულ დამოკიდებულებას ავლენს. წარწერა, უთუოდ, აპოსტოლეს შეთხზული უნდა იყოს.

გელათის ღვთისმშობლის ტაძრის გუმბათის მოხატულობის (1520-იანი წე.) მხატვართა ქართულ წარწერებში დაშვებული შეცდომები („სიმეონ გამდელი ესე“, „და შრომა სიმდაბლე თეოდორო ხელი წერა ესე“, „სიმეონ საქმე აქა“ (№22, ა, ბ, გ, დ) გვაფიქრებინებს, რომ ისინი ქართულის არმცოდნეს, სავარაუდოდ ბერძენ ოსტატს ეკუთვნის⁴⁰. წარწერები გუმბათის ყელში წინასწარმეტყველთა გამოსახულებების ქვემოთაა მოთავსებული (სურ 27, 28, 29, 30). ისინი ერთი ხელითაა შესრულებული. შესაძლოა მხატვართაგან ერთ-ერთმა იცოდა ქართული ანბანი; ხელწერა არადამაჯერებელია, ოსტატს თითქოს უჭირს ქართული გრაფემების გამოყვანა. შეცდომებისა და წინადადებათა გაუმართაობის მიუხედავად მხატვრებმა მაინც მოახერხეს აზრის გადმოცემა – რომ გუმბათი ვინმე სიმეონსა და თეოდორეს მოუხატავთ.

ქართულ კედლის მხატვრობაში შემორჩენილი წარწერები საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ მხატვრის „ხელმონწერის“ ტრადიცია საქართველოში IX-X საუკუნეებში ჩაისახა; საბერებების სამონასტრო კომპლექსის ოთხი ეკლესიის დაახლოებით ერთი ეპოქის (IX-X სს.) მოხატულობათა წარწერები გვაფიქრებინებს, რომ აქ მხატვრის „ხელმონწერა“ გავრცელებული, თითქოს მიღებული იყო; მხატვართა წარწერებს საუკუნეების მანძილზე შინაარსისა და ფორმის მხრივ არსებითი ცვლილებები არ განუცდიათ. უპირატესობას მარტივ და ლაკონიურ სავედრებელს ანიჭებდნენ; ამ ტიპის მხატვართა წარწერები ფართოდ იყო გავრცელებული ბიზანტიურსა და პოსტბიზანტიური ხანის ხელოვნებაშიც⁴¹. როგორც ალინიშნა, საქტიტორო წარწერებში მხატვარს იშვიათად ასახელებდნენ. ასე იყო ეს ბიზანტიაშიც⁴².

40 მიქელაძე, ხელოვან-მომხატველთა წარწერების მნიშვნელობა, 155–156; მისივე, Greek Painters, 177–180. გუმბათის მხატვრებს ბერძნებად მიიჩნევს ი. მამაიაშვილი, ი. მამაიაშვილი, გელათის ღვთისმშობლის ტაძრის XVI საუკუნის მხატვრობა, 208–209.

41 მაგალითები იხ. Kalopissi-Verti, Painters, 139–144; Χατζηδάκης, Έλληνες ζωγράφοι, 1.

42 Kalopissi-Verti, Painters' Information, 57.

მხატვართა წარწერების ფუნქცია და მათი ადგილი ეკლესიის სივრცეში

ეკლესიის კედლებზე მოთავსებული წარწერა იქნება ეს განმარტებითი თუ ისტორიული ხასიათისა მთელი ფერწერული ანსამბლის თუ წაგებობის შემადგენელი და განუყოფელი ნაწილია. ამიტომ მისი მნიშვნელობისა და დანიშნულების გაგება შეუძლებელია იმ გარემოს გათვალისწინების გარეშე, რომლისთვისაც ის შეიქმნა; ამ მხრივ შინაარსთან ერთად დიდი მნიშვნელობა აქვს წარწერათა მდებარეობას, ზომას, მხატვრულ-კომპოზიციურ გადაწყვეტას, კედლის მხატვრობის შემთხვევაში მის მიმართებას გამოსახულებებთან.

როგორც აღინიშნა, შუა საუკუნეების მხატვარი თავის ნაწარმოებს იშვიათად „აწერდა ხელს“ და არც ქტიტორი ახსენებდა მას ხშირად წარწერაში, რის გამოც შუა საუკუნეების ხელოვნება, ფაქტობრივად, ანონიმურია. ეს, ერთი მხრივ, ამ ხელოვნების დანიშნულებით, ხოლო, მეორე მხრივ, დამკვეთის საქტიტორო საქმიანობის და შემსრულებელი ოსტატის თავისი შრომის, მის მიერ შექმნილი ნაწარმოების მიმართ დამოკიდებულებით და საკუთრივ წარწერათა ფუნქციითაა გაპირობებული.

ცნობილია, რომ შუა საუკუნეებში მიიჩნევდნენ, რომ ეკლესია უფლის ნებითა და ხელდასხმით შენდებოდა, იხატებოდა და იმკობოდა, რათა იქ წირვა-ლოცვა აღსრულებულიყო. ტაძრისა და სახვითი ხელოვნების ფორმა კი წმინდა წერილს, წმინდა მამათა თხზულებებსა და საეკლესიო ტრადიციას ეფუძნებოდა. ქტიტორი, დღევანდელი ტერმინი რომ გამოვიყენოთ, სპონსორი, სამუშაოს დამფინანსებელი იყო, რომელიც უფლის ნებით ახორციელებდა ეკლესიის მშენებლობასა თუ მის მოხატვას.

VII საეკლესიო კრების (787) ერთ-ერთი განჩინების თანახმად ხატის კონცეფცია წმინდა მამებს ეკუთვნის და ეკლესიის მიერაა დაკანონებული; მხატვარი მხოლოდ შემსრულებელი იყო⁴³. სხვანაირად რომ ვთქვათ, წმინდა გამოსახულებათა ავტორი ეკლესიის მამები იყვნენ, მხატვარს მათ მიერ „შეთხზული“ ხატების ფერებითა და ხაზებით შესრულების უნარი შესწევდა, რომელიც მას ღვთისგან ჰქონდა ბოძებული. ამას თავად მხატვრებიც აღნიშნავენ, მაგალითად, ხელობათა ცოდნას ღვთის წყალობად მიიჩნევს XIV საუკუნის კალიგრაფი და მხატვარი ავგაროზ ბანდაისძე: „წყალობითა ღმრთისათა მომეცა თვინიერ მოძღვრისა წელოვნებად ესევითარი...“ და ჩამოთვლის თავის ხელობებს, რომელ-

43 Деяния Вселенских соборов, 225–226; Mango, The art of the Byzantine Empire, 172; Тодић, Лични записи, 499; მისივე, Надписи художников, 202.

თა შორის „ქელი მეექუსე მხატვრობისად“ არის⁴⁴; იგივე აზრი გამოხატა თავის ნარწერაში (ღვთის ძღვენი იოანეს ხელიდან) პეჩის საპატრიარქოს წმ. დემტრეს ტაძრის მხატვარმაც (1322-1324)⁴⁵; XVI საუკუნის სერბი მხატვარი, ლონგინი ხატვის უნარს უფალსა და მფარველ წმინდანებს უმადლის: „გიხაროდენ ეტიენ და ნიკოლოზ, რამეთუ უფლის მადლითა და თქვენი შემწეობით ვისწავლე ისე როგორც შევძელი. გიხაროდენ ჩემო დიდო მეოხენო, მფარველნო და წმინდანნო რადგან თქვენი წმინდა ხატები ბევრჯელ დავხატე ჩემი ხელით“⁴⁶. ალბათ შემთხვევითი არ არის, რომ ნარწერებში ხშირად აღნიშნულია არა ის, ვინც დახატა, არამედ, ვისმა ხელმა დახატა („...მე ბეჭედ მოვწერე...საკურთხეველი....ქელითა გიორგისითა“ (ნეზგუნის ნარწერა, XI., №5), „....მოხატა... ქელითა თევდორე მეფისა მხატვრისათა...“ (იფრარი 1096, №6), „მოხატა... ქელითა... მიქაელ მალლაკელისათა“ (მაცხვარიში, 1140, №10), „დაიხატა... ქელითა სამთავნელ ეპისკოპოზ მელიტონისითა“ (სამთავისი, 1679, №32) და სხვა).

ასე რომ, შუა საუკუნეების მხატვარი თავის საქმიანობას წმინდა აქტად მიიჩნევდა, რომელსაც ის უფლის მიმადლებული ნიჭით, მისი ნებით, მომგებლის დავალებით და ეკლესიის დადგენილი კანონების დაცვით ასრულებდა. შეიძლება ითქვას, რომ ხელოვნების შექმნის პროცესში ის ბოლო ადგილზე იყო ღმერთის, ეკლესიისა და ქტიოტორის შემდეგ⁴⁷. ამდენად, მხატვარი იყო არა შემოქმედი, არამედ შემსრულებელი. შესაბამისად ის არც თავის ნაწარმოებს მიიჩნევდა საავტორო ნამუშევრად და, ცხადია, ვერც მისი ნარწერა იქნებოდა საავტორო ხელმოწერა, ავტოგრაფი. შემთხვევითი არ არის, რომ შუა საუკუნეების მხატვრის ნარწერას, ჩვეულებრივ, სავედრებლის ფორმა აქვს. ბ. ტოდიჩის სამართლიანი შეხედულებით, ის მხატვრის პრივატულ სავედრებელს ნარმოადგენდა⁴⁸; მას უფლისადმი (წმინდანისადმი) „მიწერილი“ შესაწყალებლის ფუნქცია ჰქონდა. შუა საუკუნეების მხატვარი „ხელმოწერას“ თავისი პიროვნების, ინდივიდუალობის ნარმოსაჩენად არ აკეთებდა. ამიტომ სავსებით ვიზიარებთ ზოგიერთი მეცნიერის შენიშნავს, რომ შუა საუკუნეების მხატვრის ნარწერის სახელდება ხელმოწერად არ არის სწორი⁴⁹ და ჩვენც მას მხოლოდ პირობითად ვუწოდებთ ხელმოწერას. ასეთივე ფუნქცია ჰქონდა სხვა დარგის ოსტატთა სავედრებელ ნარწერებსაც. ხუროთმოძღვარი იქნება, ოქრომჭედელი, ხატმწერი

44 ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, A-II,₂, 190; ბერიძე, ძველი ქართველი ოსტატები, 15.

45 ნარწერა ბევრჯერაა გამოცემული, მაგ., Kalopissi-Verti, Painters, 139; თოდიჩ, ლични записи, 509.

46 თოდიჩ, ლични записи, 518, მისივე, “Signatures”, 658–659.

47 თოდიჩ, ლични записи, 499.

48 თოდიჩ, ლични записи, მისივე, “Signatures”.

49 თოდიჩ, Надписи художников, 202; Bacci, the mystic cave, 144.

თუ წიგნის გადამწერი თავისი „ხელმოწერით“ ის პირველყოვლისა ცოდვათა შენდობას შესთხოვს უფალს⁵⁰.

მხატვრისა და საქტიტორო წარწერებს გარკვეული თვალსაზრისით ერთნაირი დანიშნულებაც აქვთ. შუა საუკუნეების ქტიტორს სწამდა, რომ ტაძრის აშენებით, მოხატვით, ხატის ან სხვა ნივთის ეკლესიისთვის შენირვით ცოდვებს გამოისყიდდა და სასუფეველში დაიმკვიდრებდა ადგილს. მომგებელი წარწერაში თავის დამსახურებას, ეკლესიისთვის გაღებულ ძღვენს განაცხადებს, რის სანაცვლოდაც უფლისგან კეთილდღეობასა და სულის ხსნას მოელის. მაგრამ ის, ჩვეულებრივ, თავის საზოგადოებრივ მდგომარეობასა და რეგალიებსაც აღნიშნავდა, რაც მისი ამქვეყნიური დიდების დემონსტრირებას ემსახურებოდა. მხატვარი, ჩვეულებრივ, მხოლოდ მოკრძალებული სავედრებლით შემოიფარგლება, თუმცა ნებით თუ უნებლიერ ეკლესის წინაშე თავის ღვაწლსა და დამსახურებას ისიც გამოხატავს, როცა აღნიშნავს ეკლესია მე მოვხატეო. ის თავისი შრომით ემსახურება ეკლესიას, ესაა მისი დონაცია და ამისთვის მოელის უფლის წყალობას. ეპიგრაფიკაში მრავლად არის შემთხვევები, როცა ოსტატი არა მხოლოდ თავისი შრომის საფასურს, არამედ, თუ შეიძლება იქვას, თავის ნაშრომს სწირავს ეკლესიას („...მე კკრიკე ჩემითა კალატოზობითა შევსწირე ამას ეკლესიასა კე დრამაი“ /ზემო კრიხის წარწერა, XI ს./; „ნმიდაო გიორგი, შეინყალე მონა შენი გიორგი გალატოზი და შვილნი მისნი – ესე სუეტი უფასოდ ააგეს“, „ნმიდაო გიორგი, შეინყალე ფალდონი გალატოზი და შვილნი მისნი ესე სუეტი უფასოდ შექმნა“ /ჯრუჭის ეკლესიის წარწერა, XI ს./)⁵¹.

მომგებლისგან განსხვავებით, ოსტატის მიზანს, როგორც ჩანს, ამქვეყნიური პატივის მოხვეჭა არ წარმოადგენდა, რადგან მას, როგორც ავგაროზ ბანდაისძის (XIV ს.) ანდერძიდანაც კარგად ჩანს, გაცნობიერებული ჰქონდა, რომ: „ნაშრომი ჰგიეს და მშრომელი წარვალს“ (A 575, 154v)⁵². იგივეს ამბობს XVI საუკუნის მღვდელი იოანე კრატოვოდან: „ხელი, რომელმაც დაწერა საფლავში ლპება, წიგნი კი მარად იარსებებს“⁵³. თავისი საქმის მიმართ ასეთ დამოკიდებულებას XVIII-XIX საუკუნეების ოსტატებიც ინარჩუნებენ, რასაც ხელნაწერთა გადამწუსხველების ანდერძ-მინაწერები მოწმობს („მშრომელი წარვალს და აპა, ნაშრომი ჰგიეს“ (A 1048, 703r, XVIII ს.).

50 წარწერების მაგალითები იხ. თუმანიშვილი, ნაცვლიშვილი, ხოშტარია, მშენებელი ოსტატები, 59–60.

51 თუმანიშვილი, ნაცვლიშვილი, ხოშტარია, მშენებელი ოსტატები, 60. საინტერესოა, რომ მხატვარი და ხატმწერი ალიმპიი (XI–XII სს.) უარს ამბობდა გასამრჯელოს მიღებაზე, ან მას სამად ანანილებდა (ხატებისთვის, შეჭირვებულთათვის და საკუთარი საჭიროებებისთვის), Древнерусские патерики, 173.

52 ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, A-II₂, 190.

53 თოდიჩ, ლични записи, 496.

ამდენად, შუა საუკუნეების ქტიტორისთვისაც და მხატვრისთვისაც მთავარი და მნიშვნელოვანი ტაძრის მხატვრობით შემკობა იყო, ხოლო ვისი ხელით განხორციელდებოდა ეს საქმე – მეორეხარისხოვანი. ამიტომაც მხატვარი, საზოგადოდ, ოსტატი თავის ნამუშევარს იშვიათად „აწერდა ხელს“ და ქტიტორიც არ მიიჩნევდა აუცილებლად მის ხსენებას წარწერაში. შუა საუკუნეების ხელოვნების ანონიმურობას მისი დანიშნულება, მომგებლისა და მხატვრის თავისი საქმისადმი დამოკიდებულება განაპირობებდა. უნდა ითქვას, რომ ანონიმურობას ავტოგრაფებისა თუ მხატვრებთან დაკავშირებული ცნობათა რაოდენობრივი სიმცირე ისე არ განაპირობებს, როგორც წარწერებში გადმოცემული მეტისმეტად მწირი ინფორმაცია. შუა საუკუნეების მხატვარი იმდენ ინფორმაციას გვანვდის თავის შესახებ რამდენიც მას და მისი წარწერის მკითხველს სჭირდებოდა. ამასთან დაკავშირებით ბუნებრივია წამოიჭრება საკითხი ვინ კითხულობდა წარწერებს.

უკანასკნელ წლებში დიდი ყურადღება ეთმობა შუა საუკუნეების ეკლესიათა, ხატებისა თუ სხვა ნივთების წარწერათა (იქნება ეს ისტორიული, განმარტებითი თუ ლიტურგიკული ხასიათის წარწერები) მნიშვნელობისა და დანიშნულების, წარწერისა და იმ ობიექტის ურთიერთმიმართების კვლევას, რომელსაც ის ეკუთვნის; მრავალ პრობლემათა შორის მკვლევართა ინტერესს იწვევს წარწერათა ვიზუალური ასპექტები, მათი მკითხველი, რამდენად ფართო იყო მისი წრე შუა საუკუნეებში, საერთოდ თუ კითხულობდნენ კედლებზე დაწერილ ტექსტებს, ან როგორ ალიქვამდნენ მათ გაუნათლებელი, წერა-კითხვის უცოდინარნი, რა დანიშნულება ჰქონდათ იმ წარწერებს, რომელთა დანახვა ძნელი, ზოგჯერ შეუძლებელიც იყო ეკლესიაში თავისი მდებარეობის გამო; ან, მაგალითად, როგორ ალიქვამდნენ კრიპტოგრამულ წარწერებს, რომელთა გაშიფრვა არ იყო იოლი. ამ პრობლემებს არაერთი საგულისხმო გამოკვლევა ეძღვნება⁵⁴.

ვფიქრობთ, ამ კითხვებზე ერთმნიშვნელოვანი პასუხის პოვნა არ არის იოლი. ყოველ კონკრეტულ შემთხვევას თავისი ახსნა მოეძებნება. შუა საუკუნეებში, როგორც ცნობილია, საჭირო გახდა საღვთისმეტყველო იდეის ორი საშუალებით – ვიზუალური და ვერბალური, გამოსახულებითა და ტექსტით გადმოცემა. რაკი განმარტებითი თუ ისტორიული წარწერების გაკეთების ტრადიცია ჩამოყალიბდა, ცხადია, მათ მკითხველიც ჰყავდათ. ამას ისიც მოწმობს, რომ მართლმადიდებელ ქვეყნებში, სადაც ბიზანტიურ იკონოგრაფიულ თემებსა და სქემებს

54 ამ საკითხებთან დაკავშირებით ვრცელი ლიტერატურაა არსებობს, დავასახელებთ რამდენიმეს: Papalexandrou, Text in Context, მისივე, Echoes of Orality; James, ‘And Shall These Mute Stones Speak?’; Rhoby, The Meaning of Inscriptions, მისივე, Text as Art?; Eastmond, Textual icons; Laufermann, Byzantine Poetry; Drpić, Epigram; Ђр-ბი: James L. (ed.), Art and Text; Eastmond (ed.), Viewing inscriptions; Berti et al (eds.), Writing Matters.

იზიარებდნენ და იქაური ნიმუშებითაც სარგებლობდნენ, ზედწერილებს ადგილობრივ ენაზე წერდნენ, რაც, ცხადია, ადგილობრივი მკითხველისთვის კეთდებოდა. მაგალითად, საქართველოში ბერძენ მხატვართა მიერ შესრულებულ კედლის მხატვრობაშიც (წალენჯიხა, გრემი, ბობნევი, მაღალაანთ ეკლესის კანკელი და სხვა) ქართული, ან ბერძნულ-ქართული წარნერებია⁵⁵. ისტორიული ხასიათის წარწერებიც, მეტადრე, როცა ავტორი მკითხველს ლოცვაში მოხსენიებას შესთხოვს იმას მოწმობს, რომ მათ კითხულობდნენ. წარწერებს ორი – ზეციური და მიწიერი მკითხველი ჰყავდა. ეს უკანასკნელი მათ სხვადასხვაგვარად, თავისი განათლების დონის შესაბამისად აღიქვამდა; ცხადია, ისიც, რომ ყველა და ყოველთვის არ ან ვერ წაიკითხავდა წარწერებს.

რამდენადაც ჩვენს ინტერესს მხატვრის სახელის შემცველი წარწერები წარმოადგენს, ამიტომ ყურადღებას მათზე გავამახვილებთ. ეკლესის კედლებზე დაწერილი მხატვრისა თუ ქტიტორის წარწერა, ერთი მხრივ, და, უპირველესად, უფლისთვის იყო განკუთვნილი და მისი მთავარი „მკითხველიც“ ის იყო, მეორე მხრივ, მიწიერი ადამიანისათვის; დ. თუმანიშვილის განსაზღვრება რომ გამოვიყენოთ, არსებობდა „სათავისო“ და „საჩინო“⁵⁶, „სასხვისო“ წარწერები.

როცა წარწერათა მკითხველზეა საუბარი მხედველობაში უნდა მივიღოთ გარემო, რომელშიც ისინი არსებობენ – ეკლესია-მონასტრები, შუა საუკუნეების განათლების ძირითადი კერები; წერა-კითხვა სოფლის უბრალო მღვდელმაც იცოდა და, ცხადია, მომგებლებმაც და ფართო საზოგადოების რაღაც ნაწილმა მაინც. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თუ საქტიტორო წარწერის, ზოგიერთის მაინც, წაკითხვაცა და მისი, ზოგჯერ საკმაოდ რთული შინაარსის გაგება არ იყო იოლი, მხატვრის „ხელმოწერის“ ამოკითხვა, თუნდაც ამოცნობა არ გაუჭირდებოდათ, რადგან ის საყოველთაოდ ცნობილი სავედრებელი ფორმულისგან შედგებოდა (ქრისტე შეინყალე, მაცხოვარო, მეოს ექმენ და სხვა), რომელსაც უბრალო მომლოცველიც წერდა ეკლესის კედელზე. როგორც ე. ისტორიდი ერთგან შენიშნავს, გაუნათლებელ მკითხველს შეიძლება ვერ ამოეკითხა ქტიტორის სახელი, მაგრამ ის ამოცნობდა ტექსტს, როგორც კონკრეტული ადამიანის ვედრებას, რომლის სახელიც ღმერთს ეცოდინებოდა⁵⁷.

55 ქართულ კედლის მხატვრობაში ბერძნული წარწერები გვხვდება გრავნილებზე, ცალკეულ სცენათა და გამოსახულებათა ზედწერილებში; არის ორენოვანი, ბერძნულ-ქართული განმარტებითი წარწერის შემთხვევებიც, მაგ., გელათის ღვთისმშობლის შობის ტაძრის ჩრდილოეთ კარიბჭის მოხატულობაში (XVI ს.), რომელიც, სავარაუდოდ, ბერძენი ოსტატის ნახელავია.

56 თუმანიშვილი, ნაცვლიშვილი, ხოშტარია, მშენებელი ოსტატები, 74-75.

57 Eastomond, Textual Icons, 79.

ბიზანტიაში ზოგი წარწერა ეკლესიაში ხმამაღლადაც იკითხებოდა⁵⁸. ჩვენთვის ცნობილ ქართულ წყაროებში ამის თაობაზე ცნობები არ გვაქვს, მაგრამ, აღბათ, არ შევცდებით თუ ასეთი პრაქტიკის არსებობას საქართველოშიც ვივარაუდებთ. წარწერათა ავტორი ხშირად მღვდელს ან უბრალო მკითხველს ლოცვაში მოხსენიებას შესთხოვს, რაც იმას მოწმობს, რომ მან იცოდა, რომ მის ვედრებას წაიკითხავდნენ. ასე მაგალითად, საბერეების III ეკლესის მხატვარი, როგორც ჩანს, მონასტრის საძმოს მიმართავს მისთვის ილოცონ (№1), პეტრიწონის მონასტრის საძვალის მხატვარი, იოანე იბერობულოსი⁵⁹, წალენჯიხაში მანუელ ევგენიკოსი, მანუელ და იოანე ფოკა⁶⁰ მკითხველს შესთხოვენ ლოცვაში მოხსენიებას⁶¹. საინტერესო ინფორმაციას შეიცავს სოფრომ მწიგნობრის ანჩის ოთხთავის ანდერძი (XII-XIII სს.). მას ოთხთავი თავისი ძმის, სკმეონის სალოცველად ანჩის ეკლესიისთვის შეუწირავს, რისთვისაც ანჩელმა ეპისკოპოსმა თევდორემ მოსახსენიებელი: „სკმეონს და ძმათა მისთა, შეუნდვენ ღმერთმან განუწესა და კედელსაცა ზედა დაწერაა“ აღუთქვა⁶². ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ სოფრომი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მას მოსახსენებლის ეკლესიის კედელზე დაწერას შეპირდნენ. ამასთან დაკავშირებით, თავის დროზე, მეტად საგულისხმო მოსაზრება გამოუთქვამს დიმიტრი თუმანიშვილს, კერძოდ, რომ „კედელსაცა ზედა დაწერაა“ გულისხმობს არა წარწერის, არამედ გამოსახულების კედელზე დაწერას, დახატვას, რადგან, როგორც საბერეების VII და VIII ეკლესიების მხატვართა წარწერებთან დაკავშირებით უკვე ითქვა, „წერა“-ს ხატვის მნიშვნელობაც აქვს⁶³. გამოდის, რომ სოფრომს ანჩის ტაძარში გამოსახულების დახატვას შეპირდნენ. ანდერძის ტექსტი ორივენაირი წაკითხვის საშუალებას იძლევა, მაგრამ ეკლესიის კედელზე სკმეონისა და მისი ძმების სავედრებელი ეწერებოდა თუ მათი გამოსახულებები, ორივე შემთხვევაში მიზანი ერთი იყო – მათი საუკუნო ხსოვნა და სულის შენდობისთვის ლოცვა.

58 Papalexandrou, Text in context, მისივე, Echos of Orality; A. Rhoby, Text as Art, 270.

59 Bakalova, Korolova, Popov, Todorov, The Ossuary of Bachkovo Monastery, Plovdiv 2003, 09; Panayotova-Puguet, Les peintures de Bačkovo; წარწერის ქართული თარგმანი იხ. სხირტლაძე, მღვდელმონაზონი მარკოს, 314, შენ. 6.

60 Gouma-Peterson, Manuel and John Phokas, 160–161, 170.

61 სხვა მაგალითები იხ. Kalopissi-Verti, Painters, 144; Drakopoulou, Inscriptions de la ville, 22–24.

62 სილოგაგა, სვანეთის წერილობითი ძეგლები II, 174–176; სილოგავა, შენგელია, ტაო-კლარჯეთი, 58–61; ასათიანი, ვაჭარაძე, ანჩის სახარება, 487–993.

63 დ. თუმანიშვილის ეს მოსაზრება ჩვენთვის ცნობილი გახდა ქ. ასათიანისა და ა. ვაჭარაძის ნაშრომიდან (ასათიანი, ვაჭარაძე, ანჩის სახარება, 490, შენ. 7). როგორც ჩანს, მან ის ზეპირი საუბრის დროს გამოიტქვა.

ეკლესიის კედელზე დაწერილ სავედრებელს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მასში დასახელებული ადამიანისთვის, რადგან მან იცოდა, რამდენჯერაც წარწერას წაიკითხავდნენ, იმდენჯერ აღავლენდნენ მისი სულის ხსნის ვედრებას.

წარწერის დანიშნულებასა და მის მკითხველს, კონკრეტულ ადრესატსაც კი დიდილად მისი ლოკალიზაციაც განსაზღვრავდა. ისტორიული ხასიათის წარწერების ეკლესიის ინტერიერსა თუ მის ფასადებზე განთავსებაში რამე კანონზომიერება არ ჩანს. მათ არ აქვთ ფიქსირებული ადგილი. უფრო მყარი ტრადიცია საქტიტორო წარწერებში შეინიშნება. ისინი ხშირად ეკლესიის შესასვლელი კარის თავზე, ან მის სიახლოეს არიან მოთავსებულნი, თუმცა დაკანონებული ადგილი არც მათ ჰქონდათ. მხატვართა „ხელმოწერებს“ ყველგან გადაეყრები. მათგან განსხვავებით ქტიტორთა წარწერებისთვის უფრო კარგად მოსახილველი მდებარეობა და უფრო რეპრეზენტაციული ხასიათია დამახასიათებელი, თუმცა ისიც აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ მხატვრები, ჩვეულებრივ, სრულიად გააზრებულად შერჩეულ ადგილას „აწერდნენ ხელს“ და ხშირად არც მათ წარმოჩენას ერიდებოდნენ.

როცა მხატვრები ეკლესიის ძნელად დასანახ ადგილას ან ორნამენტში წერდნენ თავიანთ სავედრებლებს, ისინი მათ ამ გზით კი არ მალავდნენ, არამედ მხატვართა მიზანს წარწერათა საჯაროდ წარმოჩენა არ წარმოადგენდა; ეს წარწერები კერძო, „სათავისო“ სავედრებლები იყო, რომლებიც ზეციური მკითხველისთვის იყო განკუთვნილი. ნიშანდობლივია, რომ ამ წარწერებში ოსტატი მკითხველს, ჩვეულებრივ, არც შესთხოვს ლოცვაში მოხსენიებას, რადგან იცის, რომ ის მას ვერ დაინახავს. ვარძიის საკურთხევლის აფსიდის მოხატულობაში (XII ს.) მხატვარ გიორგის ორნამენტში მოქცეული წარწერა საკურთხეველში მყოფ მღვდელსაც კი შეიძლება ვერ შეენიშნა, ან მისი ერთმანეთისგან დაშორებული გრაფემები ვერ გაეშიფრა ისევე როგორც ბეთანიაში მხატვარ დემეტრეს საკურთხევლის აფსიდში, დასაჯდომლის ორნამენტში წვრილი ასოებით ჩაწერილი წარწერა (XII ს.), მაგრამ მათ, უთუოდ, დაინახავდა უფალი. მხატვართათვის მნიშვნელოვანი იყო სავედრებლის სწორედ საკურთხევლის აფსიდში „დატოვება“. შუა საუკუნეების მხატვრები აქ ხშირად ათავსებდნენ თავიანთ წარწერებს. ამის უადრესი ნიმუშები საქართველოში საბერეების IX-X საუკუნეების მოხატულობებშია (IV და VIII ეკლესიები) შემორჩენილი, გვხვდება XII-XIII სს-ისა (ვარძია, ბეთანია, ოზაანი) და უფრო გვიანი ხანის (ბიჭვინთა, წითელხევი, ჩხარი, ყველა XVI ს.) ძეგლებშიც. საკურთხევლის აფსიდში მხატვართა წარწერების მოთავსება კარგად არის ცნობილი ბიზანტიურსა და პოსტბიზან-

ტიურ კედლის მხატვრობაშიც⁶⁴. ამავე მიზნით აქ ქტიტორებიც წერდნენ თავიანთ წარწერებს⁶⁵.

საკურთხევლის აფსიდში არსებული წარწერების პოტენციური მკითხველი სასულიერო პირებიც იყვნენ. ალბათობა იმისა, რომ წირვის დროს აქ შეკრებილი სამღვდელოება წარწერებში დასახელებულ პირებს ლოცვაში მოიხსენიებდა დიდი იყო; ეს ლოცვაში მოხსენიების გარანტია იყო⁶⁶. მხედველობის მიღმა არ დარჩებოდათ საბერების IV ეკლესის მხატვართა წარწერა, რომელიც აფსიდის ქვედა რეგისტრში კონქისა და აფსიდის მოხატულობის გამმიჯნავი ორნამენტული ზოლის ქვეშა მოთავსებული, მიუხედავად იმისა, რომ გრაფემები მცირე ზომისაა. უთუოდ წაკითხვაზეა ორიენტირებული ოზანის მხატვარ მიქაელის წარწერა (XII-XIII სს.). საკურთხეველში, ტრაპეზის წინ მდგომი მღვდლის თვალთახედვაში აუცილებლად მოექცევა მისგან მარჯვნივ, აფსიდის თაღის წინა პირზე თითქმის ადამიანის სიმაღლეზე მოთავსებული ხუთ სტრიქონად განაწილებული შავი საღებავით შესრულებული მოხდენილი წარწერა, რომელიც დეკორატიული „წანაზარდებითა“ გაფორმებულ-აქცენტირებული (სურ. 11, 12). შეუძლებელია ყურადღების მიღმა დარჩეს გიორგი ჯოხტობერიძის „ხელმოწერა“ წითელხევის წმ. გიორგის ეკლესის საკურთხევლის აფსიდში. დიდი ზომის შავი გრაფემებით შესრულებული ოთხსტრიქონიანი წარწერა მოხატულობის (XVI ს.) ქვედა რეგისტრში ეკლესის მამათა შორის ქვის ტრაპეზის თავზე გამოსახული მიძინების ხატის თავზეა მოთავსებული და მასთან ერთობლიობაში აღიქმება (სურ. 18, 19). ამიტომ ის, ნებით თუ უნებლიერ, ყოველთვის შეახსენებდა მღვდელს ჯოხტობერიძის შენდობისთვის ლოცვას. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ წითელხევის ცალნავიანი ეკლესია მეტისმეტად მცირე ზომისაა; აქ ერთდროულად რამდენიმე ადამიანი თუ დაეტევა. აღსავლის კარის გაღებისას ჯოხტობერიძის წარწერას მიძინების ხატთან ერთად ეკლესიაში შეკრებილი მრევლიც მოჰკრავდა თვალს. არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ წარწერა უშუალოდ არის დაკავშირებული მიძინების ხატთან და ლიტურგიკულ სცენაშია ჩართული. ეჭვს არ იწვევს, რომ ჯოხტობერიძემ განზრას შეარჩია ეს ადგილი თავისი სავედრებელი წარწერისთვის. სხვათა შორის, წარწერის ასეთ მნიშვნელოვან ადგილას თამამი განთავსება ჯოხტობერიძეს,

64 მაგალითები იხ. Kalopissi-Verti, Painters, 143; მისივე, Dedicatory Inscriptions, 82, 92-93. Drakopoulou, Inscriptions de la ville, 21-24; Тодић, Лични записи, 522-524, Chouliariás, The Work of the Painter, 71.

65 Gerstel, Beholding the Sacred Mysteries, 13; Drakopoulou, Inscriptions de la ville, 21. მომგებელთა წარწერების საკურთხევლის აფსიდში მოთავსების შემთხვევები საქართველოშიც გვხვდება (ნეზ-გუნი (№5), გელათი (Меписашвили, Архитектурный ансамбль Гелати, 8, Sen. 20, 9, Sen. 24), ბულია, ჯანჯალია, ახტალის მოხატულობა, 189-190, 194).

66 Gerstel, Beholding the Sacred Mysteries, 13; Drakopoulou, Inscriptions de la ville, 21; Тодић, Лични записи, 522.

შესაძლოა, ერთმა გარემოებამაც უბიძგა. საქმე ისაა, რომ წითელხევის საკურთხევლის აფსიდში ეკლესიის მამათა რიგში ისტორიულ პირთა, როგორც ჩანს, მოხატულობის თანაქტიტორთა პორტრეტებია ჩართული, რაც უჩვეულოა ქართული კედლის მხატვრობისთვის⁶⁷.

რაც შეეხება თვალსაჩინო ადგილას მოთავსებულ წარწერებს, ისინი ზეციურთან ერთად ამსოფლიურ მყითხველსაც გულისხმობდა. მაგალითად, საბერების III ეკლესიის მხატვრის წარწერა ეკლესიაში შესასვლელზეა ორიენტირებული, მის მოპირდაპირე, ჩრდილოეთ კედელზეა განლაგებული. მხატვარი ითხოვს კიდეც (ძმანო ლოცვასს გოვედია...) მის წაკითხვას (სურ. 8), ანდა საბერების VII ეკლესიის მხატვრის წარწერა (X ს.), რომელიც ჩრდილოეთი მკლავის აღმოსავლეთ კედელზე საკმაოდ დაბლაა მოთავსებული. კარგად მოიხილვება საბერების VIII ეკლესიის მხატვრის წარწერაც (X ს.). ის საკურთხევლის აფსიდის კონქში ქრისტეს დიდების კომპოზიციაშია ჩართული (სურ. 6). წარწერათა თვალსაჩინოდ წარმოდგენა უფრო დამახასიათებელი გვიანი შუა საუკუნეების მხატვრებისთვის გახდა, განსაკუთრებით ხალხური მიმართულების ოსტატებისთვის. ისინი ამ მხრივ უფრო მეტ სითამამეს იჩენენ. ასე მაგალითად, გიორგი ჯოხტობერიძის „ხელმოწერა“ გელათის წმ. ელიას ეკლესიაში დასავლეთ კედელზე, კარის ასწვრივაა მოთავსებული, საკმაოდ დიდი ზომის გრაფემებითაა გამოყვანილი და მოჩარჩოებითაცაა გამოყოფილ-გამიჯნული მის ორსავ მხარეს გამოსახულ წმინდანთა ფიგურებისგან (სურ. 20); ასევე გადაწყვეტილი მარტვილის მხატვრის (XVI ს.) წარწერაც, რომელიც სამხრეთი აფსიდის მოხატულობის ზედა რეგისტრში სარკმლის თავზეა მოთავსებული (სურ. 21). უფრო ადრეული ხანის მხატვართათვის წარწერათა ადგილის შერჩევისა და მათი აქცენტირების მხრივ მეტი მოკრძალებაა დამახასიათებელი.

ეკლესიის სივრცეში წარწერის ლოკალიზაციის თვალსაზრისით საქართველოში ჩამოსული მხატვრები ადგილობრივი ოსტატებისგან არ განსხვავდებიან, თუმცა ზოგიერთი მათგანისთვის ხაზგასმულად საზეომო ხასიათია დამახასიათებელი. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოიჩინება და განცალკევებითად დგას წალენჯიხის წარწერები. მაგრამ ბერძენი მხატვრების წარწერებთან დაკავშირებით, პირველ რიგში, სხვა საკითხი წამოიჭრება — ვისთვის კეთდებოდა

67 საკურთხევლის აფსიდში, სავარაუდოდ, ადგილობრივი მღვდლები (წარწერათა მიხიდევით — ივანე ფაირიძე და საბა კვირიკაძე) არიან გამოსახული. ეკლესიის მოხატულობის მომგებელი ითურმანიძეები იყვნენ, რასაც ამ უკანასაკნლეთა პორტრეტები და საქტიტორო წარწერა მონმობს. წითელხევში არის მოხატულობის რადენადმე გვიანი ფენაც (XVI ს-ის ბოლო) შესრულებული დემეტრაძეთა ოჯახის დაკვეთით. ამ ფენას განეკუთვნება წარწერა, რომელიც, სავარაუდოდ, მხატვარს უნდა ეკუთვნოდეს; იხ. აქვე, 23ბ. ასევე, ხუსკივაძე, ქართულ ეკლესიათა გვიანი შუა საუკუნეების „ხალხური“ მოხატულობანი, 77–110.

ბერძნულებოვანი წარწერები, ვინ წაიკითხავდა მათ საქართველოში. როგორც მართლმადიდებელ ქვეყანაში ბერძნული აქ, ცხადია, იცოდნენ, პირველყოვლისა სასულიერო პირებმა; მას საერო საზოგადოების ზოგიერთი წარმომადგენელიც ფლობდა, მაგრამ ეს იყო ვიწრო წრე. წარწერათა წაკითხვა არ გაუჭირდებოდათ ისეთ მონასტრებსა და ეკლესიებში, როგორიც იყო გელათი, ბიჭვინტა თუ გრემი და არც თავისი განსწავლით ცნობილ ბობნევის ეკლესისა და მაღალანთ ეკლესის კანკელის მოხატულობათა დამკვეთებს – თბილისის ეპისკოპოსს იოსებს (ტფილელი, სააკაძე)⁶⁸ და მცხეთის სვეტიცხოვლის ქადაგს, ნიკოლოზ მაღალაძეს⁶⁹, მაგრამ ბერძნული წარწერების წაკითხვას ყველა და ყოველთვის ვერ შეძლებდა – ვერც ყველა სასულიერო პირი და მით უფრო მრევლი ან ვინმე სხვა ეკლესიაში მისული.

ბუნებრივია, რომ ბერძენმა მხატვრებმა მშობლიურ ენაზე „მოაწერეს ხელი“, თანაც ისინი ხომ უპირველესად უფლისთვის იყო განკუთვნილი და, ცხადია, ენას მნიშვნელობა არ ჰქონდა, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში ყურადღებას სხვა მომენტები იპყრობს, სახელდობრ, რა საჭირო იყო საქტიტორო წარწერის ბერძნულად დაწერა გრემში, მით უფრო, რომ აქ მოხატულობის ზედნერილები ქართულია⁷⁰, ან რა აუცილებელი იყო ბერძნული წარწერის გაკეთება წალენჯიხაში, როცა მისი შინაარსი ევგენიკოსისა და ქვაბალია-გაბისულავას ქართულ წარწერებშიცაა გაცხადებული. აღსანიშნავია ისიც, რომ ბერძენი მხატვრების მიერ მოხატულ ეკლესიებში მთავარ და ყველაზე მნიშვნელოვან ინფორმაციას – მომგებლის ვინაობას (წალენჯიხაში მხატვრის ვინაობასაც) ადგილობრივი საზოგადოება ქართული წარწერის, ან საქტიტორო პორტრეტის (ზოგან ორივეა) მეშვეობით შეიტყობდა. ეჭვს არ იწვევს, რომ წალენჯიხაში სწორედ ამ მიზნით გაკეთდა ქართული წარწერები.

68 ბობნევის ეკლესიაში იოსებ თბილელის ორი საქტიტორო წარწერაა: სამხრეთ ფასადზე, კარის თავზე ქვაზე კვეთილი წარწერა, რომელიც იუწყება, რომ ეკლესია იოსებ ტფილელის დაკვეთით აიგო (ფირალიშვილი, ბობნევის მოხატულობა, 10–11) და ეკლესის ინტერიერში სამხრეთ კედელზე ფერწერული წარწერა: ტსახელითა [ღმრთისათა] ისა | ლ [] დს | შცნ[] იფ | და მიათვალე ძედ მა[] მ | ად შ(ე)ნდა ი(ოან)ე მა[ხარებლისა] მ | სამე[ო]დენ [] შტ[] ით[] [ა]ლვა | შენე ეკლესი(ა)ა ესე მე ც[ოდ]ვ(ილ)მ(ა)ნ ტფ[ი] | ლ(ე)ლმ(ა)ნ სააკაძე იოსებ და [] [მოვ(ა)ხატი] | ნე და შე[გამქ]ე ხ(ა) ტებით [] ჩ | ფ[] მ(ა)თ და ი დ იე | დავანერი]ინე წიგნები შე[] ვ[] შე[] დ | [] ს | [] ტოა. წარწერას ბოლოში ერთვის თარიღი — „ტოა“ (1683). წარწერა მოგვყავს გ- გაგოშიძის გადმონაწერით, რომელიც რამდენადმე განსხვავდება ადრინდელი წაკითხვისგან, შეად. ფირალიშვილი, ბობნევის მოხატულობა, 12. იოსებმა, როგორც ჩანს, ბობნევის ეკლესია თავის საძვალედ ააშენა და შეიმკო.

69 ნიკოლოზ მაღალაძის შესახებ იხ. ბერიძე, წინარეხელ მაღალაძეთა მშენებლობა; გაგოშიძე თ., „კუალად უვლინებდნენ; ხაინდრავა, მაღალაძეთა საგვარეულოს ისტორიისთვის.“

70 გრემში ბერძნული ზედნერილებიც არის, იხ. ყაუხჩიშვილი, საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი, 319–331.

წალენჯიხაში ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ აქ არ არის ვამეყ დადიანის საქტიტორო წარწერა, თუმცა არის მისი პორტრეტი და კიდევ ერთი წარწერა, რომელიც, ფაქტიურად, მის სადიდებელს წარმოადგენს⁷¹, მაშინ როცა, ვამეყისგან კონსტანტინოპოლს წარგზავნილი ქვაბალია-გაბისულავას წარწერაც არის (სხვათა შორის, ისინი არ ახსენებენ ვამეყს) და ტაძრის მაშენებელთა და მზარეულთა სავედრებელიც⁷². ვფიქრობთ, საქტიტორო წარწერის ფუნქცია აქ ევგენიკოსის წარწერებმა შეითავსეს, რომლებიც უპირველესად ვამეყ დადიანის ღვანლს წარმოაჩენენ. კონსტანტინოპოლიდან მხატვრის ჩამოყვანის სამივე წარწერაში ხაზგასმაც მისი დამსახურების ჩვენებას ემსახურებოდა. ბიზანტიის დედაქალაქიდან მხატვრის მოწვევა არც რიგითი მოვლენა იყო და არც იოლი საქმე. კონსტანტინოპოლელი მხატვრისთვის მოხატულობის დაკვეთა ვამეყისთვის მნიშვნელოვანი, უთუოდ, საპატიო და საამაყო იქნებოდა მით უფრო თუ გავითვალისწინებთ მის ამბიციურ ხასიათს⁷³. შემთხვევითი არც წარწერებისთვის შერჩეული ადგილია. ისინი, როგორც ითქვა, ბურჯებზეა განლაგებული და მოხატულობის საერთო კონტექსტიდან გამოყოფილია, რითიც მათი მნიშვნელობა უფრო ხაზგასმულია. იშვიათად მოიძებნება წარწერა, რომელიც ასე იპყრობდეს ყურადღებას. მათ გვერდს ვერ აუვლი. ტაძრის ცენტრალური, დასავლეთი კარიდან შესვლისთანავე, ვიდრე მოხატულობას მოიხილავ, დასავლეთ ბურჯებზე ადამიანის სიმაღლეზე მოთავსებული ვრცელი და საზეიმო ხასიათის წარწერები იპყრობს მნახველის მზერას, თითქოს გაიძულებს მათ წაკითხვას (სურ. 22, 23, 24). განსაკუთრებით ბერძნულენოვანი წარწერა გამოიჩინება, რომელსაც ბურჯის ფართო წახნაგი ეთმობა. ადვილად მოსახილველ ადგილას მოთავსება და რეპრეზენტაციული ხასიათი, როგორც აღინიშნა, ტაძრის წარწერისთვისაა დამახასიათებელი და წალენჯიხის წარწერები, ამ მხრივაც, საქტიტორო წარწერებს ემსგავსება, მათ უტოლდება.

არ არის გამორიცხული, რომ, თავის დროზე, გელათის ღვთისმშობლის ტაძარშიც ორენოვანი წარწერები ყოფილიყო. სამხრეთ-დასავლეთ გუმბათ-ქვეშა ბურჯზე მხატვარ ტიმოთეოსის წარწერის გაყოლებაზე მეორე ბერძნული წარწერაა, რომელიც იუნება, რომ ტაძარი იმერეთის მეფის ბაგრატ III-ის

71 წარწერა: ქ. ადიდე ღმერთმან პატრონი ერისთავი და მანდ[ატურთუხუცესი] [? ვამეყ] დედოფალი... მოთავსებულია გუმბათქვეშა დასავლეთ თაღზე. წარწერა წაიკითხა გ. გაგოშიძე.

72 მაშენებელთა, გალატოზთა და ხელისუფალთა და მზარეულთა ყოველთა შეუნდვნეს ღმერთმან, ამინ, ამინ, ამინ, ლორთული მაცხოველის წარწერის გაყოლებაზე მეორე ბერძნული წარწერაა, რომელიც იუნება, რომ ტაძარი იმერეთის მეფის ბაგრატ III-ის

73 ლორთული მაცხოველის წარწერა, რომელიც იუნება, რომ ტაძარი იმერეთის მეფის ბაგრატ III-ის წარწერაა, რომელიც იუნება, რომ ტაძარი იმერეთის მეფის ბაგრატ III-ის

შეწევნით მოიხატა (სურ. 26)⁷⁴. ამ წარწერათა სიმეტრიულად, ჩრდილო-დასა-ვლეთ ბურჯზე კი ორი ქართული წარწერაა მოთავსებული, რომელთაგან ერთ-მი კვლავ ბაგრატ III-ეა მოხსენებული (სურ. 25). მართალია, ტექსტი ბერძნული წარწერის ანალოგიას არ წარმოადგენს, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ორივეში ბაგრატია დასახელებული. მეორე ქართული წარწერისგან თითქმის აღარაფერია შემორჩენილი. ვინ იცის, იქნებაქ, თავის დროზე, მხატვარიც იყო დასახელებული⁷⁵. სხვათა შორის, არც ის არის გამორიცხული, რომ გელათშიც, წალენჯიხის მსგავსად, მხატვარ ტიმოთეოსის წარწერა ქტიტორის, ბაგრატ III-ის სურვილით დაიწერა. ამ შთაბეჭდილების შექმნას ხელს უწყობს მათი წარწერების ერთმანეთის გვერდით მდებარეობაცა და ერთნაირი მხატვრულ-კომპოზიციური გადაწყვეტაც, რის გამოც ისინი ერთმანეთს დაუკავშირდა და თანაბარი მნიშვნელობა შეიძინა (სურ. 26). ტიმოთეოსის წარწერა, რომელიც თარიღსაც შეიცავდა (ამჟამად დაზიანებულია), ფაქტიურად, ბაგრატ III-ის წარწერის დამასრულებელ წაწილად აღიქმება.

გრემის ტაძარში ბერძნულენოვანი საქტიტორო წარწერის მთავარი გზავნილი გამოსახულებითაა გადმოცემული, ვგულისხმობთ, ლევან კახთა მეფის (1518-1574) საქტიტორო პორტრეტს (სურ. 32). ერთ-ერთ სვეტზე კი საქტიტორო წარწერაში მოხსენებული წინამძღვარი საბაც არის გამოსახული. ორივე პორტრეტს ქართული ზედნერილები ახლავს. ბობნევის ეკლესიაში სამხრეთ კედელზე მომგებლის, იოსებ ტფილელის პორტრეტია გამოსახული და იქვე მისი ქართული საქტიტორო წარწერაც, რომელშიც ეკლესიის მოხატვაზეა საუბარი (სურ. 33). წარწერა, ამჟამად, ნაკლულია⁷⁶. არ არის გამორიცხული მასში ათონელი მხატვარი დანიელიც ყოფილიყო დასახელებული, რომლის ბერძნულენოვანი „ხელმოწერა“ მოპირდაპირე ჩრდილოეთ კედელზეა მოთავსებული (სურ. 34).

ორენვიანი წარწერების არსებობა გვიბიძგებს ვივარაუდოთ, რომ ქართული ტექსტები ადგილობრივი საზოგადოებისთვის იყო განკუთვნილი. ბერძნული კი — ქტიტორთათვის იყო მნიშვნელოვანი და, შესაძლოა მათი სურვილითვე ინერებოდა. ისინი მხატვრის წარმომავლობის უტყუარი დასტური იყო, მათ ავტოგრაფის ძალა ჰქონდათ, მოხატულობაზე კონსტანტინოპოლურ, ათონურ,

74 ყაუხჩიშვილი, საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი, 157–158.

75 პირველ წარწერაზე იკითხება: მეფეთა მეფეთა ბაგრატს შეუნდოს ღმერთმან. მეორე ძალზე დაზიანებულ წარწერაში რ. მეფისაშვილმა, თავის დროზე, ამოიკითხა ორი ასო: „ოფ“, რომელიც „დედოფალი“-ის წანილად მიიჩნია და წარწერა, სავარაუდოდ, აღადგინა როგორც „დედოფალთა დედოფალი ელენე“ (ბაგრატ III-ის თანამეცხედრე), მეპისავილი, არქიტექტურული ანსამბლი, 8, შენ. 20), თუმცა არ ვიცით, რამდენად სარწმუნოა ეს ვერსია.

76 წარწერა იხ. აქვე, შენ. 68.

თესალონიკურ დამღას ნიშნავდა, თუ შეიძლება ითქვას, ხარისხის ნიშანი იყო. მომგებელთათვის ბერძნული წარწერები, შესაძლოა, იმ მხრივაც იყო მნიშვნელოვანი, რომ ვინდლო ვინმე ბერძენს ან ბერძნულის მცოდნეს შემოევლო ეკლესიაში, ისიც შეიტყობდა, რომ მან ბერძენ მხატვარს მოახატვინა ტაძარი. ქართულ კედლის მხატვრობაში, როგორც აღინიშნა, ბერძნული ზედნერილები დროდადრო გვხვდება, მაგრამ ისტორიული ხასიათის ბერძნული წარწერები მხოლოდ იმ მოხატულობებში დასტურდება, რომლებიც ბერძნულენოვანი მხატვრების მიერაა შესრულებული⁷⁷. რაც შეეხება ქართულ-ბერძნულ ისტორიული წარწერებს, ამის კიდევ ერთი შემთხვევა წალენჯიხაში, სადაც ისინი მოხატულობის განმაახლებლის ეპისკოპოს ევდემონ ჯაიანის პორტრეტს (XVII ს.) ახლავთ⁷⁸. ქართულ-ბერძნულ საქტიტორო წარწერებს შეიცავს იერუსალიმის წმ. ჯვრის მონასტრის მოხატულობაც. თ. ვირსალაძის შეხედულებით, ორენვანი წარწერები აქ იმისათვის გაკეთდა, რომ ისინი გასაგები ყოფილიყო ქართველებისთვისაც, ბერძნებისა და ლათინთათვისაც⁷⁹.

თვალსაჩინო ადგილას განთავსების გამო, და ასეა წალენჯიხაში, გელათში, მაღალაანთ ეკლესიის კანკელზე (სურ. 22, 25, 35), ბერძნული წარწერები ფართო საზოგადოების მხედველობის მიღმაც ვერ დარჩებოდა. ისინი თავისი ზომითა და მხატვრული გაფორმებითაც მიიქცევდნენ ყურადღებას და უცხო და „უცნაური“ ასო-ნიშნების გამოც. ამ შემთხვევაში უნდა გავიზიაროთ შეხედულება იმის თაობაზე, რომ შუა საუკუნეებში წარწერა ვიზუალურ ზემოქმედებასაც ახდენდა. ის მაყურებელზე წაკითხვის გარეშეც მოქმედებდა, მაშინაც, როცა მისი ვერბალური მნიშვნელობის გაგების უნარი არ შესწევდა. წარწერას მაგიური ძალაც ჰქონდათ და ზოგჯერ დეკორის ფუნქციასაც ითავსებდა⁸⁰. საფიქრებელია, რომ ქართული კედლის მხატვრობის ბერძნული წარწერებიც ფართო აუდიტორიაზე სწორედ ვიზუალურ შთაბეჭდილებას მოახდენდა. ე. ისტორიული X საუკუნის ეკლესიათა საფასადო წარწერებთან (კუმურდო, იშხანი, ოშკი) დაკავშირებით შენიშნავს, რომ ისინი შეიქმნა წასაკითხადაც და საცქერლადაც; მათ „ტექსტუალური ხატის“ ფუნქცია ჰქონდა.

77 ბულია, ჯანჯალია, ახტალის მოხატულობა, 194.

78 Лортkipанидзе, Роспись в Цаленджиха, 26–27; ყაუხჩიშვილი, საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი, 95.

79 Вирсаладзе, Роспись Иерусалимского крестного монастыря, 17, 47. სხვათა შორის, ბერძნულენოვან საქტიტორო წარწერაში მხატვრებიც არიან დასახელებულნი, T. Вирсаладзе, დასახ. ნაშრ., 17–19; იხ. ასევე: ქართული ქრისტიანული თემი წმინდა მინაზე, 197–198; იქვე, გაგოშიძე გ., წმინდა მინის ქართული წარწერები, 59–62.

80 Rhoby, The Meaning of Inscriptions, 733, 751–752, მიხილე, Text as Art?; Jamse, ‘And Shall; Drpić, Epigram, 188–219.

დათ და ისევე ზემოქმედებდნენ როგორც ნამდვილი ხატი⁸¹. ისტმონდის მიერ განხილული ძეგლები, ცხადია, წალენჯიხისა თუ სხვა მხატვართა წარწერების პირდაპირ პარალელად ვერ გამოდგება, თუმცა ზოგიერთი მათგანი „ტექსტუალურ ხატთან“ ასოციაციას მაინც იწვევს. ეს განსაკუთრებით წალენჯიხის ბერძნულენვან წარწერას ეხება. ლოკალიზაციამ და მოზრდილმა ზომამ თითქოს დაჯანა მისი შინაარსი. ის ფერადოვნებითაც აქცენტირებულია. მართკუთხა ფორმატში მოქცეული თეთრ ფონზე შავი საღებავით დაწერილი მწყობრი წარწერა წითელი მოჩარჩოებითა გამოყოფილი. დაახლოებით ასეთ შთაბეჭდილებას ახდენს გელათის ღვთისმშობლის ტაძარში ტიმოთეოსისა და ბაგრატ III ბერძნული წარწერები, თუმცა აქ ეს ნაკლები სიმძაფრით არის გამოხატული. ისინი ამჯერადაც ბურჯებზეა მოთავსებული და მოხატულობისგანაც გამიჯნულია, მაგრამ წალენჯიხაში წარწერებთან უშუალო კონტაქტი მყარდება, რადგან ისინი დაბლაა მოთავსებული, გელათში კი ზედა რეგისტრშია განთავსებული და ზომითაც უფრო მცირეა, თუმცა ფერადოვანი აქცენტებითაა გამოყოფილი (წარწერათა ფონი წითელი, ყვითელი და მწვანე ზოლებისგან შედგება), რაც მათ საზეიმო იერსა და მნიშვნელოვნებას ანიჭებს (სურ. 25, 26).

ამდენად, ვფიქრობთ, რომ ქართული კედლის მხატვრობის ბერძნულ წარწერებს ფართო საზოგადოება, თუმცა გაუგებარ, მაგრამ მნიშვნელოვანი ინფორმაციის მატარებლად აღიქვამდა. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ადგილობრივ მაყურებელს ბერძნულ წარწერებზე ასე თუ ისე თვალი გაჩვეულიც ჰქონდა, თუნდაც ქრისტესა და ღვთისმშობლის მონოგრამებზე ან ჯვრის გამოსახულების ტრადიციულ ბერძნულ წარწერებზე.

ერთადერთი ბერძნული წარწერა, რომელიც თითქოს უფრო ძნელად ამოსაცნობია ბობნევის მხატვრის დანიელის „ხელმოწერაა“ (1683). ერთსტრიქონიანი წარწერა მედალიონებში მოქცეულ წმინდანთა ნახევარფიგურებს შორისაა განაწილებული, რაც მის ერთიან წაკითხვას თითქოს აფერხებს. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ მხატვარმა თავისებური კრიპტოგრამა გააკეთა. მაგრამ, მეორე მხრივ, დანიელს წარწერის დამალვა რომ სდომებოდა, ის უფრო საიმედოდ გადამალავდა მას (თუნდაც სადმე მაღლა განათავსებდა). წარწერა ჩრდილოეთ კედელზე მოხატულობის ქვედა რეგისტრში, საკმაოდ დაბლაა მოთავსებული და მის პირდაპირ განლაგებულ ეკლესიის შესასვლელზეა ორიენტირებული, საიდანაც შემოსული სინათლის სხივი უშუალოდ მას ანათებს.

81 Eastmond, Textual icons.

ძნელი სათქმელია რატომ მიანიჭეს უპირატესობა ქართულ „ხელმოწერებს“ გელათის ღვთისმშობლის ტაძრის გუმბათის ბერძენმა მხატვრებმა, მაგრამ ვფიქრობთ, მათ იმიტომ იწვალეს ქართული წარწერების დაწერით, რომ ისინი მონასტრის ღვთისმსახურთ თუ მრევლს წაეკითხა. ქართული წარწერები მხატვრებს ლოცვებში მოხსენიების იმედსა და გარანტიას აძლევდათ. ისინი შეუმჩნეველიც ვერ დარჩებოდა, მიუხედავად იმისა, რომ წარწერები მაღლა, გუმბათის ყელშია მოთავსებული. მათ დაინახავდნენ და წაიკითხავდნენ არა მხოლოდ იმიტომ, რომ საკმაოდ დიდი ზომის თეთრი გრაფემები მკაფიოდ გამოიკვეთება მუქ ლურჯ ფონზე, არამედ ტაძრის ინტერიერის კარგი განათების გამოც. წარწერები შორი მანძილიდანაც კარგად იკითხება (სურ. 27, 28, 29, 30). გუმბათის ყელის აღმოსავლეთ და დასავლეთ მონაკვეთებზე განთავსება წარწერათა გარდაუვალ წაკითხვას უზრუნველყოფდა. ორ მათგანს საკურთხევლისკენ მიპყრობილი მლოცველი ხედავს, ხოლო ორის მოხილვა საკურთხევლის აფსიდიდან ხერხდება. მაშასადამე, საკურთხევლის წინაშე ლოცვის დროსაც და საკურთხეველში ღვთისმსახურების უამსაც მხატვართა წარწერები როგორც მღვდელთმსახურთა, ასევე მრევლის მხედველობის არეში ექცევა. შესაძლოა, სწორედ ამიტომ მოაწერეს მხატვრებმა ხელი გუმბათის ყელის ორივე მხარეს. აქვე შევნიშნავთ, რომ საქართველოში მხატვრის წარწერა გუმბათის მოხატულობაში მხოლოდ გელათის ღვთისმშობლის ტაძარშია შემონახული, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ სიმეონმა და თეოდორემ, შესაძლოა, მხოლოდ გუმბათი მოხატეს და, ცხადია, იქვე „მოაწერეს ხელი“⁸².

შუა საუკუნეების მხატვრები თავიანთი სავედრებელი წარწერებისთვის კონკრეტულ იკონოგრაფიულ სცენებსა და გამოსახულებებსაც არჩევდნენ. ასე მაგალითად, როგორც აღინიშნა, საბერების VIII ეკლესიის მხატვარმა „ხელმოწერა“ საკურთხევლის აფსიდის კონქში წარმოდგენილ ქრისტეს დიდების კომპოზიციაში მოაქცია. წარწერის პირველი სტრიქონი მაცხოვრის ტერფებს შორის, მისი საყდრის ორნამენტულ ზოლშია ჩანსრილი, მომდევნო ხუთი კი მაცხოვრის მარცხენა ტერფის გვერდით მის ფეხსადგამზეა დაწერილი (სურ. 6, 7). ქრისტეს გამოსახულების ფერხთით წარწერის მოთავსებით მხატვარმა თავისი შეწყალების ვედრება უშუალოდ მას დაუკავშირა, რაც სიტყვიერადაც გამოხატა: „მაცხოვარ შემიწყალე მონავ შენი მწერალი...“. გამოსახულება და ტექსტი

82 გელათის ღვთისმშობლის ტაძარი XVI ს-ის განმავლობაში ეტაპობრივად იხატებოდა, მეფისაშვილი, ვირსალაძე, გელათი; თუმანიშვილი, ხუსკივაძე, მიქელაძე, ჯანჯალია, გელათი 900, 259-260; მამაიაშვილი, გელათის მონასტრის ღვთისმშობლის ტაძრის XVI საუკუნის მხატვრობა.

აქ ერთმთლიანობაშია მოყვანილი. საბერეების მხატვრის წარწერა ჯრუჭის II ოთხთავის (H 1667, XII ს.) მიქაელის წარწერას („ქრისტე, შეიწყალე მიქაელ და დაიცევ“) მოგვაგონებს, რომელიც ზაქეს მოქცევის სცენაში (180v) მაცხოვრის საყდრის ორნამენტშია ჩანერილი. ოღონდ ამ შემთხვევაში ის შეფარვითაა დაწერილი, ძალიან მცირე ზომის გრაფემებითა შესრულებული და ისე ერწყმის ორნამენტს, რომ მისგან გარჩევა ჭირს⁸³. მართალია, საბერეების VIII ეკლესიის მხატვარმაც წარწერა ორნამენტში მოაქცია, მაგრამ ის მკაფიოდ იკითხება, რადგან ორნამენტი მარტივი გეომეტრიული ნახატისგან არის შედგენილი, რომლის თითოეულ სეგმენტში ნაცრისფერ ფონზე შავი საღებავით შესრულებული ერთი ან ორი გრაფემაა ჩანერილი (სურ. 6, 7).

გელათის ღვთისმშობლის შობის ტაძრის მოხატულობის (1550-იანი წნ.) ერთ-ერთმა მხატვარმა წარწერისთვის „ძილი მონაფეთა“ სცენა შეარჩია; თანაც მან საბრეების VIII ეკლესიის ოსტატის მსგავსად თავისი შესაწყალებელი სრულიად მიზანმიმიართულად მაცხოვრის ფიგურას დაუკავშირა – ლოცვად მუხლმოყრილი ქრისტეს გამოსახულების ზურგს უკან დაწერა და მას შეავედრა: ქრისტე შეიწყალე სული ელიასიო (სურ. 13).

სორის წმ. გიორგის ეკლესიის მოხატულობაში (XIV ს.) მხატვარმა თავისი წარწერა ჩრდილოეთ კედელზე, მოხატულობის ქვედა რეგისტრში გამოსახული ეკლესიის პატრონი წმინდანის, წმ. გიორგის ფეხებთან მიაწერა (სურ. 38). ამ ძლიერ დაზიანებული და ნაკლული წარწერის მეცნიერთა მიერ შემოთავაზებული აღდგენილი ვარიანტი უფრო საქტიტორო წარწერას ჰგავს: „შევამკვეთ ესე ეკლესია... [შეწევნი]თა მღვდელმსა[ხურთ და] ჭარელისძე გიორგისითა, [გ] ელითა.... დავითისითა და მნათეს შვილისა ივ[ან]ესითა...“ (№18)⁸⁴, თუმცა, ჩვენი აზრით, ის მხატვრისგან უნდა იყოს დაწერილი, რასაც მისი მდებარეობაც გვაფიქრებინებს. საქტიტორო წარწერას, ჩვეულებრივ, წარმოსაჩენ ადგილას განათავსებდნენ, თანაც სორში წარწერაში დასახლებული გიორგი ჭარელისძე სამხრეთ კედელზეა გამოსახული და უფრო მოსალოდნელი იყო საქტიტორო წარწერაც იქვე მოეთავსებინათ, ვიდრე წმ. გიორგის ფიგურის ფეხებთან შეუმჩ-

83 ბარნაველი, ჯრუჭის მეორე კოდექსის ორი წარწერა, 636–637; მაჭავარიანი, წიგნის ხელოვნება, 46; მაჭავარიანი, გაჩეჩილაძე, ტატიშვილი, ხიზანიშვილი, ქართული ხელნაწერი წიგნის მომხატველ ოსტატთა შემოქმედება, 89, სურ. 81. ორნამენტში წარწერის ჩანერა ხელნაწერთა გადამწერებისა და მხატვრებისთვისაა დამახასიათებელი, მაჭავარიანი, იონა გადამწერი, 14, 16; მისივე, გადამწერსა და მხატვარს შორის შრომის განაწილების საკითხისათვის, 19–20.

84 ჭიჭინაძე ი., სორის წმინდა გიორგის ეკლესიის მოხატულობა, 55–56; სხირტლაძე, სორის ეკლესია, 18.

ნევლად მიეწერათ. ჩვენი ვარაუდით, წარწერა შეიძლება ასე აღდგენილიყო: „შეიძეო ესე ეკლესია... ჭელითა....დავითისითა...“ (და არა „შევამკვეთ ესე ეკლესია... ჭელითა...“). ამ შემთხვევაში ის დავითის დაწერილი გამოვიდოდა.

მაცხოვრის, ღვთისმშობლის ან რომელიმე წმინდანის გამოსახულების სიახლოეს სავედრებელ წარწერებს შუა საუკუნეების სხვა ოსტატებიც ხშირად წერდნენ. ეს განსაკუთრებით დამახასიათებელია ხატებისთვის. საბერების VIII ეკლესის მოხატულობის მსგავსი შემთხვევები გვაქვს, მაგალითად, იელის მაცხოვრის ჭედურ ხატზე (XI ს.), სადაც ოსტატის, თევდორე გვაზავაისძის წარწერა ქრისტეს საყდრის ორსავ მხარესაა განაწილებული; ლანჩვალის ხატზე (XI ს.) ქტიტორისა და ოქრომჭედლის წარწერები მაცხოვრის საყდრის ფეხებთან არის მინერილი⁸⁵ და სხვა. წმინდანთა გამოსახულებს წარწერებს ხშირად უკავშირებენ ხელნაწერი წიგნის გადამწერ-მომხატველნიც⁸⁶.

ბეთანიაში ზემოხსენებულმა მხატვარმა დემეტრემ თავისი სავედრებელი გოლგოთის ჯვრის გვერდით დაწერა⁸⁷. ჯვარი, სიკვდილზე გამარჯვებისა და კაცთა მოდგმის ხსნის სიმბოლო სამოთხის წიაღშია მოქცეული, რომელიც სიმბოლურად მცენარეული ორნამენტის სახითაა გადმოცემული. მხატვარმა სასუფეველში დამკვიდრების იმედით სწორედ ამ გარემოში დატოვა თავისი სავედრებელი. ჯვარი და მასთანვე დემეტრეს წარწერა ამავდროულად ლიტურგიული სცენის ცენტრშია მოქცეული, მის ორსავ მხარეს ეკლესის მამები არიან გამოსახულნი (სურ. 9). ამ კონტექსტში ჯვარი ევქარისტიული მსხვერპლის სიმბოლოცაა. ამ მხრივ ბეთანიაში იგივე საზრისია გამოხატული, რაც წითელხევში, ასევე ბიჭვინტის ღვთისმშობლის ტაძრის სამხრეთ-დასავლეთი კაპელის მოხატულობაში (XVI ს.), სადაც ბერძენმა მხატვარმა, პარასკევამ წარწერა საკურთხევლის აფსიდში ეკლესის მამათა რიგში პატარა წიშის ზემოთ მოათავსა,

85 ჭუბაშვილი, გрузинское чеканное искусство, 379, 382, სურ. 375.

86 მაგალითები იხ. გაჩეჩილაძე, ტატიშვილი, ხიზანიშვილი, ქართული ხელნაწერი წიგნის მომხატველ ოსტატთა შემოქმედება, 35, 108-109, სურ. 29, 106.

87 ისტორიული ხასიათის წარწერების, მათ შორის, მხატვართა სავედრებლების ჯვრის სიახლოეს განთავსების არაერთი შემთხვევაა ცნობილი შუა საუკუნეების ხელოვნებაში. ეს ჯერ კიდევ კაპადოკიის ანიკონურ მოხატულობებში დასტურდება (მაგ. სინასოსის წმ. ბასილის ეკლესის საქატიტორო წარწერა /IX-X სს./, რომელშიც მხატვარიც არის დასახელებული, Thierry, Mentalité, 88-89; წარწერის ქართული თარგმანი იხ. სხირტლაძე, ადრეული შუა საუკუნეების ქართული კედლის მხატვრობა, 59) და მოგვიანებითაც ხშირად გვხვდება, მაგ. ოხრიძის წმ. სიოფიის ტაძრის წმ. იოანე ნათლისმცემლის კაპელის მოხატულობაში (1347-1350) მხატვრებმა კონსტანტინებმ და მისმა შვილმა იოანემ გოლგოთის ჯვრის გვერდით და მის ქვემოთ დაწერეს თავისი წარწერები, Суботић, Охридски Сликар; Тодић, Лични записи, 512. ჯვრის გამოსახულებას სავედრებელ წარწერებს ხშირად უკავშირებენ ხელნაწერთა მომგებელნი, გადამენერები და მომხატველნი, მაჭავარიანი, გაჩეჩილაძე, ტატიშვილი, ხიზანიშვილი, ქართული ხელნაწერი წიგნის მომხატველ ოსტატთა შემოქმედება, 159-160, სურ. 38, 80.

რომელშიც ასევე ჯვარია გამოსახული⁸⁸. მხატვრები, თავიანთი სავედრებლის აფსიდის ქვედა რეგისტრში დაწერით, იქ, სადაც ლიტურგიკულ-ევქარისტიული ხასიათის სცენებია წარმოდგენილი, თითქოს ევქარისტის თანაზიარნი ხდებიან. შემთხვევითი არ არის, რომ ბიზანტიურსა და პოსტბიზანტიურ კედლის მხატვრობაში არაერთი შემთხვევაა, როცა მხატვარი ევქარისტიული სცენას ურთავს თავის სახელს⁸⁹.

ერთი შეხედვით მოხატულობის კონტექსტიდან გამიჯნულია გერასიმეს წარწერა უბისის წმ. გიორგის ეკლესიაში, სადაც ის სატრიუმფო თაღის შიდა ვიწრო პირზე, მის ცენტრშია მოთავსებული, მაგრამ, მეორე მხრივ, ის მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის გამოსახულებასა და სატრიუმფო თაღს გაყოლებულ წარწერას (ფსალმუნი, 112, 3) შორისაა მოქცეული. გერასიმეს წარწერა ხატი ხელთუქმნელის გამოსახულებას „ეკვრის“, რითაც მას უკავშირდება. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ წარწერისთვის შერჩეული ადგილი – სატრიუმფო თაღი – მას მნიშვნელოვნებას ანიჭებს (სურ. 37).

ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ საქტიტორო წარწერებს საზეიმო ხასიათი და თვალსაჩინო ლოკალიზაცია ახასიათებთ. ისინი, ჩვეულებრივ, მოჩარჩოებითაცაა გამოკვეთილი, ხშირად ზომითაც საკმაოდ მოზრდილია და კომპოზიციური და მხატვრული გადაწყვეტითაც აქცენტირებული. ამის საუკეთესო ნიმუშია იფრარისა და ნაკიფარის წარწერები.

იფრარის მთავარანგელოზთა და ნაკიფარის წმ. გიორგის ეკლესიებში მეფის მხატვარმა თევდორემ საქტიტორო წარწერებისთვის კანკელები შეარჩია. ისტორიული ხასიათის წარწერების კანკელზე განთავსება საკმაოდ გავრცელებულია შუა საუკუნეებში; აქ წარწერებს ზოგჯერ ოსტატებიც წერდნენ (ლენჯერის მხერის ეკლესიის, მაღალანთ ეკლესიის კანკელები, ზედაზენის კანკელის რელიეფური ფილა (XI ს.)⁹⁰ და სხვა).

იფრარისა და ნაკიფარის სუსტად განათებულ ეკლესიებში (განსაკუთრებით იფრარში) კანკელი ყველაზე ნათელი ადგილია, სინათლის სხივი დასავლეთ კედელში გაჭრილი კარიდან და სარკმლიდან უმუალოდ მას ეცემა. ორივე ეკლესიაში შესვლისთანავე თვალსაწიერში აფსიდის კონქში გამოსახული ვედრების მონუმენტური და შთამბეჭდავი კომპოზიცია და მასთან ერთად აფსიდის წინ აღმართული ქვის მოხატული კანკელი და მის კარნიზს გაყოლებული წარწერები

88 ვინაიდან ბიჭვინთის ტაძრის ადგილზე ნახვის შესაძლებლობას მოკლებულნი ვართ ამიტომ ვეყრდნობით თ. ყაუხჩიშვილისა და ლ. შერგაშიძის ნაშრომებს, ყაუხჩიშვილი, საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი, 60–61; Шервашидзе, Средневековая монументальная живопись Абхазии, 172–190.

89 Todić, “Signatures”, 650–652, მისივე, ლични записи.

90 Шмерлинг, Малые формы, 113.

ექცევა (სურ. 39). თეთრი საღებავით დაწერილი ორსტრიქონიანი ასომთავრული წარწერები მკაფიო კალიგრაფიითაა გამოყვანილი და ნათლად გამოიკვეთება მუქ მწვანე ფონზე⁹¹. კანკელთა ანტაბლემენტზე ორივე ეკლესიაში წმინდათა წელზედა ფიგურებია გამოსახული.

კანკელზე წარწერების განთავსებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა⁹². ეს მათ გარდაუვალ წაკითხვასაც განაპირობებდა და, მაშასადამე, მათში დასახელებულ პირთა მოხსენიებასაც. თევდორეს წარწერების შემთხვევაში ეკლესიათა მცირე ზომებიც გასათვალისწინებელია. აქ დიდი რაოდენობით მრევლი ვერ დაეტევა. წარწერების ძირითადი მკითხველი ღვთისმსახურნი იქნებოდნენ, მაგრამ მათ, რა თქმა უნდა, ეკლესიაში შეკრებილნიც (თუნდაც მცირე რაოდენობის) მიაჰცევდნენ ყურადღებას; წირვა-ლოცვის დროს მრევლი სწორედ კანკელისკენაა მიპყრობილი.

თევდორეს საქტიტორო წარწერებთან შედარებით უფრო მოკრძალებულად გამოიყურება მხერის მთავარანგელოზთა ეკლესიის მხატვარ დავითის, ამჟამად, ძლიერ დაზიანებული, წარწერა (XIV ს.), რომელიც კანკელის კარნიზზე კი არა არის მოთავსებული, არამედ მის ქვედა ნაწილში, სამხრეთი ფილის კიდეზეა დაწერილი (სურ. 40)

ლაგურკაში საქტიტორო წარწერისთვის თევდორემ დასავლეთი კედელი შეარჩია მიუხედავად იმისა, რომ კანკელი აქაც არის, მაგრამ ის იფრარისა და ნაკიფარის კანკელებისგან სტრუქტურულადაც განსხვავდება და არც კარნიზი აქვს⁹³, ხოლო ანტაბლემენტზე წმინდანთა წელზედა გამოსახულებათა ზემოთ წარწერისთვის საკმარისი ადგილი არ რჩება (სურ. 41, 42). ამას გარდა, ლაგურკაში კანკელის წინ საკურთხევლისწინა ჯვარი დგას, რომელიც თავისი ზომისა და მოელვარე ზედაპირის (ჯვარი მოჭედილია მოოქრული ვერცხლის ფირფიტებით) გამო ეკლესიის ინტერიერის მხატვრულ დომინანტად იქცევა⁹⁴. მონუმენტური ჯვრის უკან კანკელის წარწერა დაკარგავდა თავის მნიშვნელობას და ვერც მისი ერთიანად აღქმა მოხერხდებოდა⁹⁵. ვფიქრობთ, ლაგურკაში

91 ნაკიფარის წარწერა დაზიანებულია და ცუდად გაირჩევა, იხ. აქვე, N8.

92 კანკელის წარწერების მნიშვნელობისა და დაწინებულების შესახებ, იხ. Pallis, *Messages from a Sacred Space*, 145–148.

93 Шмерлинг, Малые формы, 227, 230–231, 234–235, 246–247.

94 იქვე, 227.

95 ლაგურკისგან განსხვავებით, იფრარისა და ნაკიფარის ეკლესიებში საკურთხევლისწინა ჯვრები არ არის, თუმცა შესაძლოა ისინი, თავის დროზე, იყო კიდეც. მაგრამ ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია მათი ზომა და მდებარეობა. სვანეთის ეკლესიებში საკურთხევლისწინა ჯვრები ხშირად კანკელის კიდეებში იდგა და ისინი მას მთლიანად არ ფარავდა. რ. შემრლინგს იფრარის კანკელის რეკონსტრუქციის ნახაზზე საკურთხევლისწინა ჯვარი ჩრდილოეთით აქვს დატანილი, მისი სიმაღლე არ სწოდება კანკელის კარნიზს, Шмерлинг, Малые формы, 227, 231, ნახ. 25.

წარწერის კანკელზე განთავსებაზე თევდორემ უარი იმიტომ თქვა, რომ აქ არც მისი ადგილი იყო და ის ვერც კარგად აღქმადი იქნებოდა. დასავლეთ კედელზე მდებარე წარწერა კანკელის წარწერებთან შედარებით ნაკლებ საზეიმოა, თუმცა მისი მნიშვნელობა მაინც აქცენტირებულია. ეკლესიიდან გასვლისას ყურადღებას იქცევს კარის ლიობის თავზე თეთრი სალებავით დაწერილი სამსტრიქონიანი წარწერა, რომლის ზემოთ ეკლესიის პატრონი წმინდანები – კვირიკე და ივლიტა გამოსახული, ხოლო ქვემოთ კარის ორსავ მხარეს წმ. ბარბარე და წმ. ეკეტარინე (სურ. 42)⁹⁶.

საქტიტორო წარწერები საზეიმოდ არის წარმოდგენილი გრემის მთავარანგელოზთა ტაძარშიც და განსაკუთრებით ერთაწმინდის წმ. ევსტატეს ეკლესიაში. გრემში ის საქტიტორო წარწერისთვის ტრადიციულ ადგილას, შესასვლელი კარის თავზეა მოთავსებული, მის ზემოთ ღვთისმშობლის მიძინების დიდი კომპოზიციაა (სურ. 31). ერთაწმინდაში წარწერა აღმოსავლეთ კედელზე, სამკვეთლოს კარის თავზე, საკმაოდ დაბლა მდებარეობს, მოზრდილი ზომისაცაა და ზედმიწევნითაც არის გაფორმებული ორნამენტითა და დეკორატიული მოჩარჩოებით (სურ. 43).

აქ, ცხადია, ყველა წარწერას ვერ შევეხებოდით, არამედ განვიხილეთ, ჩვენი აზრით, საგულისხმო და საინტერესო ნიმუშები, რომელთა საფუძველზეც შეიძლება დაგასავნათ, რომ მხატვრები თავიანთ წარწერებს შემთხვევით ადგილას კი არ მიაწერდნენ, იქ, სადაც მოუხერხდებოდათ, არამედ საგანგებოდ არჩევდნენ ადგილსაც ეკლესიის სივრცეში და კონკრეტულ სცენებსა და გამოსახულებებსაც. ამ თვალსაზრისით ისინი იმავე ტენდენციას ავლენენ როგორსაც საზოგადოდ შუა საუკუნეების ბიზანტიული მხატვრები, რომლებიც სცენებშიც წერდნენ თავიანთ წარწერებს, წმინდანთა გვერდითაც და სულაც მათ გამოსახულებებზეც კი⁹⁷. რაც შეეხება, საქტიტორო წარწერებს, მათ მხატვართა „ხელმოწერებისგან“ განსხვავებით რეპრეზანტატიულობა ახასიათებთ და ეკლესიის სივრცეში უფრო დომინანტური მნიშვნელობაც აქვთ.

96 თევდორეს წარწერათა ინტერპრეტაციის თაობაზე, იხ. Chichinadze, King's Painter.
97 Todić, 'Signatures', მისივე, ლიчни записи; Kalopissi-Verti, Painters, 142–143.



სურ. 1. ნეზგუნის მაცხოვრის ეკლესია. საკურთხევლის აფსიდის
მოხატულობა და საქტიოფორო წარწერა. X ს.

Nezguni. Church of the Saviour. Sanctuary apse. Murals, donor inscription. 10th c.




სურ. 2 იფრარის მთავარანგელოზთა ეკლესია. საკურთხევლის კონქის და კანკელის
მოხატულობა. საქტიტორო წარწერა. 1096 წ.

Iprari. Church of the Holy Archangels. Sanctuary conch and chancel barrier. Murals, donor inscription. 1096.



სურ. 3. ნაკიფარის წმ. გიორგის ეკლესია. ხედი აღმოსავლეთისკენ.

Nakipari. Church of St. George. View to the East.



სურ. 4. ლაგურკა (წმ. კვირიკესა და წმ. ივლიტას ეკლესია). დასავლეთი კედელი.

წმ. კვირიკე და წმ. ივლიტა. საქტიტორო ნარნერა. 1111 წ.

Kala. Church of Sts. Cyriacus and St. Julitta (Lagurka). West wall. Sts. Cyricus and Julitta,
donor inscription. 1111.



სურ. 5. მაცხვარიშის მაცხოვრის ეკლესია. ჩრდილოეთი კედელი. წმ. ეკატერინეს გვირგვინდება. კვირიკე მამასახლისის და მიქაელ მაღლაველის წარწერები. 1140 წ.

Matskhvarishi. Church of the Saviour. North wall. Coronation of St. Catherine, inscriptions of Kvirike

Mamasakhli and Michael Maglakeli. 1140.



სურ. 6. საბერეების მონასტრის VIII ეკლესია. კონქის მოხატულობა. ქრისტეს დიდება. X ს.
Sabereby Monastery. Church VIII. Sanctuary conch. Christ in Majesty. 10th c.



სურ. 7. საბერეების VIII მონასტრის ეკლესია. მხატვრის წარწერა. დეტალი. X ს.
Sabereby Monastery. Church VIII. Inscription of the painter. Detail. 10th c.



სურ. 8. საბერეების მონასტრის III ეკლესია. ჩრდილოეთი კედლის მოხატულობა.

მხატვრის წარწერა. IX ს.

Sabereebi Monastery. Church III. North wall. Murals, inscription of the painter. 9th c.



სურ. 9. ბეთანიის ღვთისმშობლის შობის ეკლესია. საკურთხევლის აფსიდის მოხატულობა. XII ს.
Betania. Church of the Nativity of the Virgin. Sanctuary apse. Murals. 12th c.




სურ. 10. ბეთანიის ღვთისმშობლის შობის ეკლესია. აფსიდი. დემეტრეს წარწერა. XII ს.
Betania. Church of the Nativity of the Virgin. Sanctuary apse. Inscription of Demetre. 12th c.



სურ. 11. ოზაანის ამაღლების ეკლესია. საკურთხევლის აფსიდის მოხატულობა. XII-XIII სს.

Ozaani. Church of the Ascension. Sanctuary apse. Murals. 12th-13th cc.



სურ. 12. ოზაანის ამაღლების ეკლესია. საკურთხევლის აფსიდი. მიქაელის წარწერა. XII-XIII სს.

Ozaani. Church of the Ascension. Sanctuary apse. Inscription of Michael. 12th-13th cc.



სურ. 13. გელათის ღვთისმშობლის შობის ტაძარი.
დასავლეთი კედელი. ძილი მოწაფეთა. 1550-იანი წელი.
Gelati. Church of the Nativity of the Virgin. West wall. Agony in Gethsemane. 1550s.



სურ. 14. საფარის წმ. საბას ეკლესია. სამხრეთი კედელი. ჯაყელთა პორტრეტი. XIII-XIV სს.

Sapara. Church of St. Sabas. South wall. Portrait of the Jaqeli. 13-14th c.



სურ. 15. საფარის წმ. საბას ეკლესია. სამხრეთი კედელი. თეოდორეტის წარწერა. XIV ს.

Sapara. Church of St. Sabas. South wall. Inscription of Theodoret. 14th c.



სურ. 16. წვირმი-ჩობანის წმ. გიორგის ეკლესია. დასავლეთი კედელი. ქტიოტორი. XII ს.

Tsvirmi-Chobani. Church of St. George. West wall. The donor. 12th c.



სურ. 17. ნიკორწმინდის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის კარიბჭის მოხატულობა.

ქტიოტორები და მხატვართა ნარჩერა. XVI ს.

Nikortsminda. Church of St. Nickolas. West porch. Donors and painters' inscription. 16th c.



სურ. 18. წითელხევის წმ. გიორგის ეკლესია. აფსიდის მოხატულობა. XVI ს.

Tsitelkhevi. Church of St. George. Sanctuary apse. Murals. 16th c.



სურ. 19. წითელხევის წმ. გიორგის ეკლესია.

ხატი მიძინებისა და გიორგი ჯოხტობერიძის
ნარწერა. XVI ს.

Tsitelkhevi. Church of St. George. Man of Sorrow,
inscription of Giorgi Jokhtoberidze. 16th c.



სურ. 20. გელათის წმ. ელიას ეკლესია. დასავლეთი კედლის მოხატულობა,
გიორგი ჯოხტობერიძის წარწერა. XVI ს.

Gelati. Church of St. Elias. West wall. Murals, inscription of Giorgi Jokhtoberidze. 16th c.



სურ. 21. მარტვილის ტაძარი. სამხრეთი მკლავის მოხატულობა, გიორგის წარწერა. XVI ს.

Martvili Cathedral. South apse. Murals, inscription of Giorgi. 16th c.



სურ. 22. წალენჯიხის მაცხოვრის ეკლესია. ხედი აღმოსავლეთისკენ.


მოხატულობა და წარწერები. 1384-1396 წწ.

Tsalenjikha. Church of the Saviour. View to the East. Murals and inscriptions. 1384-1396.




სურ. 23, 24. წალენჯიხის მაცხოვრის ეკლესია. წარნერები ბურჯებზე. 1384-1396 წ.

Tsalenjikha. Church of the Saviour. Inscriptions on the piers. 1384-1396.



სურ. 25. გელათის ღვთისმშობლის ბობის ტაძარი. ხედი დასავლეთისკენ.

Gelati. Church of the Nativity of the Virgin. View to the West.



სურ. 26. გელათის ღვთისმშობლის შობის ტაძარი. სამხრეთ-დასავლეთი ბურჯი.

ბაგრატ III-ის და მხატვარ ტიმოთეოსის წარწერები. 1550-იანი წნ.

Gelati. Church of the Nativity of the Virgin. South-west pier.

Inscriptions of King Bagrat III of Imereti and of the painter Thimoteos. 1550-s.



სურ. 27. გელათის ღვთისმშობლის შობის ტაძარი. გუმბათის მოხატულობა. 1520-იანი წე.

Gelati. Church of the Nativity of the Virgin. Dome. Murals. 1520s.



სურ. 28. გელათის ღვთისმშობლის შობის ტაძარი. გუმბათი. წინასწარმეტყველები. 1520-იანი წე.

Gelati. Church of the Nativity of the Virgin. Dome. Prophets. 1520s.



სურ. 29. გელათის ღვთისმშობლის შობის ტაძარი.
გუმბათი. წწ. სოლომონი, სიმეონის წარწერა.
1520-იანი წწ.

Gelati. Church of the Nativity of the Virgin. Dome.
Prophet Solomon, inscription of Simeon. 1520s.



სურ. 30. გელათის ღვთისმშობლის შობის
ტაძარი. გუმბათი. წწ. დავითი, თეოდორეს
წარწერა. 1520-იანი წწ.

Gelati. Church of the Nativity of the Virgin. Dome.
Prophet David, inscription of Theodore. 1520s.



სურ. 31. გრემის მთავარანგელოზთა ეკლესია. დასავლეთი კედელი.

მიძინება, საქტიოტორო წარჩერა. 1577 წ.

Gremi. Church of the Holy Archangels. West wall. Dormition, donor inscription. 1577.



სურ. 32. გრემის მთავარანგელოზთა ეკლესია. დასავლეთი კედელი. ლევან კახთა მეფე. 1577 წ.

Gremi. Church of the Holy Archangels. West wall. King Levan of Kakheti. 1577.



სურ. 33. ბობნევის წმ. იოანე მახარებლის ეკლესია. სამხრეთ კედელი. იოსებ ტფილელის
პორტრეტი და წარწერა. 1683 წ.

Bobnevi. Church of St. John the Evangelist. South wall. Portrait and inscription of Ioseb Tpileli. 1683.



სურ. 34. ბობნევის წმ. იოანე მახარებლის ეკლესია. ჩრდილოეთი კედლის მოხატულობა. 1683 წ.

Bobnevi. Church of St. John the Evangelist. North wall. Murals. 1683.



სურ. 35. წინარეხის მაღალაანთ ეკლესიის კანკელი. 1680-იანი წნ.
Tsinarekhi. Magahlaant Eklesia. Chancel barrier. 1680s.




სურ. 36. მაღალაანთ ეკლესიის კანკელი. ელენე მაღალაძე და მხატვრის წარწერა 1680-იანი წნ.
Magahlaant Eklesia. Chancel barrier. Elene Maghaladze, inscription of the painter. 1680s.



სურ. 37. უბისის წმ. გიორგის ეკლესია. აფსიდის მოხატულობა. XIV ს.

Ubisi. Church of St. George. Sanctuary. Murals. 14th c.



სურ. 38. სორის წმ. გიორგის ეკლესია. ჩრდილოეთ კედელი. წმ. გიორგი, დავითის ნარნერა. XIV ს.
Sori. Church of St. George. North wall. St. George, inscription of David. 14th c.



სურ. 39. იფრარის მთავარანგელოზთა ეკლესია. ხედი აღმოსავლეთისკენ.

Iprari. Church of the Holy Archangels. View to the East.



სურ. 40. მხერის მთავარანგელოზთა ეკლესია. აფსიდის და კანკელის მოხატულობა. XIV ს.
Mkheri. Church of the Holy Archangels. Sanctuary apse and chancel barrier. Murals. 14th c.



სურ. 41. ლაგურკა. ხედი აღმოსავლეთისკენ.
Lagurka (Church of Sts. Cyriacus and St. Julita). View to the East.



სურ. 42. ლაგურკა (წმ. კვირიკესა და წმ. ივლიტას ეკლესია). დასავლეთი კედელი.
Kala. Lagurka. (Church of Sts. Cyriacus and St. Julitta). West wall.



სურ. 43. ერთანმინდის წმ. ევსტათეს ეკლესია. მოხატულობა და საქტიტორო წარწერა. 1654 წ.

Ertatsminda. Church of St. Eustathius. Murals and donor inscription. 1654.

ცორები შუა საუკუნეების მხატვრების შესახებ (ფერწერული წარწერების მიხედვით)

IX-XVII საუკუნეების ქართულ კედლის მხატვრობაში შემორჩენილი მხატვრის სახელის შემცველი წარწერები ძირითადი წყაროა შუა საუკუნეების მხატვართა თაობაზე. ერთი საერთო ნიშანი, რომელიც მეტად თუ ნაკლებად ყველა დროის წარწერებს ახასიათებთ ინფორმაციის მეტისმეტი სიმწირეა, რაც, როგორც ჩანს, მათი ფუნქციით იყო გაპირობებული¹. საქტიტორო წარწერებიცა და მხატვართა „ხელმოწერებიც“ უმთავრესად, მხოლოდ მხატვრის სახელის აღნიშვნით შემოიფარგლება. რა თქმა უნდა, ვინმე გიორგის, თევდორეს, დემეტრეს, გიორგი ჯონეტობერიძის და სხვათა სახელები არაფერს მატებს ჩვენს ცოდნას შუა საუკუნეების მხატვართა შესახებ. მაგრამ წარწერებში დროდადრო მაინც გამოკრთება ხოლმე საყურადღებო ცნობები.

მხატვრებთან დაკავშირებული ინფორმაციის სიმწირეს თუ გავითვალისწინებთ არცთუ ცოტა და, რაც მთავარია, უაღრესად მნიშვნელოვანი ცნობები მოგვეპოვება მხატვარ თევდორეზე. მარტო ის რად ღირს, რომ საქტიტორო წარწერებიდან დანამდვილებით ვიცით, რომ მან ზემო სვანეთის სამი (იფრა-რის მთავარანგელოზთა (1096), კალას წმ. კვირიკესა და ივლიტას (ლაგურკა, 1115) და ნაკიფარის წმ. გიორგის (1130)) ეკლესია მოხატა; ვიცით თითოეულის შესრულების ზუსტი თარიღიცა და მომგებელნიც (ხევის აზნაურები და მოსახლეობა), მაგრამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მაინც ის ფაქტია, რომ სამივე წარწერაში თევდორე მეფის მხატვრად არის დასახელებული. თევდორე შუა საუკუნეების ერთადერთი მხატვარია საქართველოში, რომელიც ასეთი წოდებითაა ცნობილი. ვარაუდობენ, რომ ის წარმოშობით სვანი იყო, რომელიც დედაქალაქში ან გელათის მონასტერში დახელოვნდა².

1 ამ საკითხზე იხ. აქვე, ქ. მიქელაძე, შუა საუკუნეების მხატვართა წარწერები.

2 Аладашвили, Алибегашвили, Вольская, Живописная школа, 100–101; Вирсаладзе, Фресковая роспись художника Микаела Маглакели, 222.

რადგან თევდორეს სამივე მოხატულობა თარიღიანია, ეს საშუალებას იძლევა თვალი გავადევნოთ მის შემოქმედებას 34 წლის (1096-1130) განმავლობაში. ამავე დროს, ეს იმასაც მონმობს, რომ თევდორე, ყოველ შემთხვევაში, ნაკიფარის ეკლესიის მოხატვის (1130) დროს ახალგაზრდა ვერ იქნებოდა. ცნობები შუა საუკუნეებში მხატვრის ხელობის სწავლების სისტემის თაობაზე ქართულ წყაროებში არ მოგვეპოვება. ამ მხრივ არც ბიზანტიური მასალაა მდიდარი, თუმცა XIV-XV საუკუნეების კრეტელი და განსაკუთრებით რენესანსის მხატვართა შესახებ არსებული დოკუმენტებისა და ცნობების მიხედვით, ირკვევა, რომ შუა საუკუნეებში მხატვრის ხელობის შესწავლა ხუთიდან რვა წლამდე გრძელდებოდა. დამოუკიდებელ მუშაობას 20-25 წლის ან ცოტა უფროს ასაკში იწყებდნენ³. საფიქრებელია, რომ დაახლოებით ასეთი სისტემა იქნებოდა საქართველოშიც⁴. იფრარის ეკლესია თევდორემ 1096 წელს მოხატა, მაგრამ, ის, უთუოდ, უფრო ადრეც მოღვაწეობდა, რადგან აქ ის უკვე მეფის მხატვრად ჩანს და მას რომ ეს თანამდებობა/წოდება მოეპოვებინა გამოცდილების დაგროვება, სახელის მოხვეჭა დასჭირდებოდა, რაც გარკვეულ დროს ითხოვდა⁵. გამოდის, რომ თევდორემ ნაკიფარის წმ. გიორგის ეკლესია სადღაც 60-65 წლისამ მოხატა. მიუხედავად იმისა, რომ მონუმენტური მხატვრობა საკმაოდ შრომატევადი საქმეა, შუა საუკუნეების მხატვრები ზოგჯერ 40-50 წლის განმავლობაშიც კი მუშაობდნენ. ამ მხრივ თევდორე არ არის გამონაკლისი. მაგალითად, XVII საუკუნის ბერძენი მხატვარი კონსტანტინე 50 წლის განმავლობაში მოღვაწეობდა⁶.

საყურადღებო ცნობას გვაწვდის მცხეთის სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრის „ცხოველი სვეტის“ წარწერაც, რომელშიც მხატვარი გრიგოლ გულჯავარასშვილი (1678-1688) მოქალაქედ გვეცნობა: „...დავხატე მე, ფრიად ცოდვილმა მოქალაქემ გულჯავარასშვილმა გრიგოლ...“ (№33). მოქალაქის წოდება გვიან შუა საუკუნეებში (XVI-XVII ს.ს.) მეფის ბრძანებით მხოლოდ დედაქალაქის, თბილისის მოსახლეობის გარკვეულ ფენას, უმთავრესად, ვაჭრებსა და ხელოსნებს ენიჭებოდათ, მაგრამ არა განურჩევლად ყველას. მოქალაქეობის მოპოვების ძირითადი პირობა თბილისში მუდმივი საცხოვრებელი, უძრავი ქონება და ხაზინაში გადასახადის შეტანა იყო⁷. მაშასადამე, გრიგოლ გულჯავარასშვილი თბილისის მოქალაქე იყო, მას უძრავი ქონებაც ჰქონდა და სახაზინო გადასახადსაც იხდიდა.

3 Marković, Painters in Late Byzantine World.

4 XVIII-XIX სს-ის ქართული დოკუმენტებიდან ცნობილია, რომ ამქრებში ხელობის შესწავლას 8-10 ან 13 წლის ასაკში იწყებდნენ; სწავლა 3-10 წელი გრძელდებოდა, მესხია, საისტორიო ძიებანი, II, 365-568.

5 გამოთქმულია მოსაზრებები თევდორეს მიერ შექმნილი სხვა ნამუშევრების თაობაზე, ბურჯულაძე, მონუმენტური და დაზგური მხატვრობის ურთიერთმიმართების საკითხისათვის, 122-129; ოქროპირიძე, სვეტიცხოვლის საკურთხევლის მოხატულობისთვის, 23-28.

6 Drakopoulou, Remarques, 55.

7 მესხია, საისტორიო ძიებანი, II, 296-312.

საგულისხმოა, რომ XVI-XVII საუკუნეების რამდენიმე წარწერაში მაღალი იერარქიის სასულიერო პირები არიან მხატვრებად დასახლებულნი. სამთავისის ტაძრის საკურთხეველი 1679 წელს სამთავნელმა ეპისკოპოსმა მელიტონმა, ერთაწმინდის წმ. ევსტატეს სახელობის ეკლესია იერუსალიმის ჯვრის მონასტრის წინამდღვარმა, ჯვარის მამამ მელეტიოსმა 1654 წელს, ხოლო გრემის წმ. მთავარანგელოზთა ტაძარი – პროტოსინგელოზმა ზაქარიამ (1577) მოხატეს.

კედლის მხატვრების წარწერათა წყალობით ვიცით, რომ შუა საუკუნეების საქართველოში ბერძნულენოვანი მხატვრებიც მოღვაწეობდნენ. მათ მიერაა მოხატული წალენჯიხის მაცხოვრის სახელობის ეკლესია (1384-1396), ბიჭვინტის ღვთისმშობლის ტაძრის სამხრეთ-დასავლეთი კაპელა (1557-1578), გელათის ღვთისმშობლის შობის ტაძარი ბერძენი ოსტატების მონაწილეობით 1520-იან (გუმბათი) და 1550-იან წლებში მოიხატა, გრემის მთავარანგელოზთა ტაძარი (1577), ბობნევის იოანე მახარებლის ეკლესია (1683) და წინარეხის მაღალაანთ ეკლესის კანკელი (1680-იანი წე.). არანაკლებ მნიშვნელოვანია რამდენიმე წარწერაში დასახელებული მხატვრის წარმომავლობაც: წალენჯიხაში კონსტანტინოპოლელი მანუელ ევგენიკოსი, გრემში თესალონიკელი ზაქარია და ბობნევში ათონის მთის ბერძონაზონი დანიელი. წარმომავლობას თუ მშობლიურ კუთხეს ბერძენი მხატვრები წარწერებში, ჩვეულებრივ, სხვა ქვეყანაში ან თავისი საცხოვრებლიდან მოშორებით მუშაობის დროს აღნიშნავდნენ⁸. სხვათა შორის, წარწერებში ეთნიკურ კუთვნილებას ქართული წარმომავლობის მხატვრებიც უსვამდნენ ხანს, როცა უცხოეთში ხატავდნენ ეკლესიებს – პეტრიწონის მონასტრის საძვალის მხატვარი იოანე ქართველად (იბეროპულოსი) სახელდება („მოიხატა ყოვლადწმიდა ეკლესია სრულად, ხელითა იოანესი, ისტორიოგრაფოსისა, იბეროპულოსისა, და წამკითხველნო ევედრეთ ჩემთვის უფალს“)⁹, ათონის მთის ივირონის მონასტრის კათოლიკონის XVI საუკუნის მხატვარი მღვდელმონაზონი მარკოსი ივერიელად („სამგ ზის ნეტარი უფალი მარკოზ ივერიელი და მხატვარი“)¹⁰, მაშინ როცა, ადგილობრივი მხატვრების წარწერებში წარმომა-

8 Kalopissi-Verti, Painters, 148–149; მისივე, Painters' Information, 58–61; Δρακοπουλου, Υπογραφές, 131.

9 Panayotova-Puguet, Les peintures de Bachkovo, 187–197; Bakalova, Korolova, Popov, The Ossuary of Bachkovo Monastery, 109. წარწერის ქართული თარგმანი იხ., სხირტლაძე, მღვდელმონაზონი მარკოს, 314, შენ. 6.

10 Τσιγαρίδაς, Ο ცოგრάφος Μάρκος, 275–280; სხირტლაძე, მღვდელმონაზონი მარკოს, 303–338. აქვეა სრული ბიბლიოგრაფიაც და წარწერის ქართული თარგმანიც. წარწერა მარკოსის გამოსახულებას ახლავს, რომელიც საქტიტორო კომპოზიციაშია ჩართული (მოხატულობა XVI ს-საა და განახლებულია XIX ს-ში). აღსანიშნავია, რომ მხატვრის პორტრეტულ გამოსახულებას შუა საუკუნეების სახეით ხელოვნებაში პარალელები არ მოეძებნება, თუმცა მხატვრები ზოგჯერ სიუჟეტურ კომპოზიციებშია გამოსახული, სხირტლაძე, მღვდელმონაზონი მარკოს, 314, 316; შენ. 7. აქვეა მითითებული ამ საკითხთან დაკავშირებული სამეცნიერო ლიტერატურაც.

ვლობის, ან გეოგრაფიული პუნქტის აღნიშვნის შემთხვევები არ დასტურდება.

ბერძენი მხატვრების წარნერებში დასახელებული გეოგრაფიული პუნქტები იმ მხრივაც მნიშვნელოვანია, რომ ისინი დოკუმენტურად ადასტურებენ მუა საუკუნეების საქართველოში ქრისტიანული აღმოსავლეთის მონინავე კულტურულ-რელიგიური ცენტრებიდან ჩამოსული მხატვრების მოღვაწეობას, რაც ამ ცენტრებთან მჭიდრო ურთიერთობასაც მოწმობს.

ბერძენ მხატვართა წარნერები და მოხატულობები მიანიშნებს, რომ მათი ნაკადი საქართველოში XVI-XVII საუკუნეებში მატულობს. ამავე პერიოდში კახეთის სამეფოში ჩამოდიან მოსკოველი მხატვრებიც. უცხოელ ოსტატთა მომრავლებას, როგორც ჩანს, ობიექტური და სუბიექტური მიზეზები ჰქონდა. ესაა პერიოდი, როცა საქართველო ოსმალეთის იმპერიისა და ირანის ბრძოლის ველად იქცა და მძიმე პოლიტიკურ და ეკონომიკურ მდგომარეობაში აღმოჩნდა. გამუდმებული ომებისგან დანგრეულ-დარბეულ ქვეყანაში შემოქმედებითი იმპულსებიც იწურებოდა და, ალბათ, მხატვართა ან იქნებ უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა, პროფესიული განსწავლის ოსტატების ნაკლებობაც იყო, რასაც, ქართველი მეფე-დიდებულებიც უჩიოდნენ და ამ მხრივ დახმარებასაც ითხოვდნენ. მეორე მხრივ, ბიზანტიის იმპერიის დაცემას (1453) ბერძენ მხატვართა დიდი მიგრაცია მოჰყვა. ოსმალური ბატონობის პირობებში ისინი სამუშაოს ძიებაში სხვადასხვა ქვეყნებში მიმოიფანტნენ; პოსტბიზანტიურ ხანაში მათი რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა ბალკანეთის ქვეყნებში¹¹. შესაძლოა ამავე მიზეზით ჩამოაღწიეს მათ საქართველოშიც და უფრო ადვილად ხელმისაწვდომნიც გახდნენ. მაგრამ არც ის არის გამორიცხული, რომ უცხოელ მხატვრებს საგანგებო-დაც იწვევდნენ. ჩვენ მხოლოდ წალენჯიხის წარნერებიდან ვიცით, რომ ვამეყდადინამა ქვაბალია და გაბისულავა კონსტანტინოპოლიში მხატვრის ჩამოყვანის მიზნით გაგზავნა. არ ვიცით მათ მაინცდამაინც მანუელ ევგენიკოსის ჩამოეყვანა ევალებოდათ, თუ ის ქვაბალია-გაბისულავამ შეარჩიეს, მაგრამ ფაქტი ისაა რომ, მხატვარი ვამეყის მოწვევით ჩამოვიდა¹². მხატვრის მოწვევა არც XVI-XVII საუკუნეების ქტიორებს გაუჭირდებოდათ – ლევან კახთა მეფესა (1518-1574)

11 ამ საკითხს მრავალი წაშრომი ეძღვნება. დავასახელებ რამდენიმეს: Garidas, La peinture; Χατζηδάκης, Έλληνες ζωγράφοι; Χατζηδάκης, Δρακοπούλου, Έλληνες ζωγράφοι; Δρακοπούλου, Ζωγράφοι, მისივე (Dracopoulou), Remarques.

12 გამოთქმულია ვარაუდი, რომ ქვაბალია და გაბისულავა მხატვრები იყვნენ (ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, 359, 361; Velmans, Le décor; 203; სანიკიძე, წალენჯიხის მაცხოვრის ტაძრის ისტორიისთვის, 182), რასაც არ ვიზიარებთ, თუმცა მათი როლი წალენჯიხაში კონსტანტინოპოლიდან მხატვრის ჩამოყვანით არ უნდა შემოიფარგლებოდეს; არ არის გამორიცხული, რომ მათ მატერიალური წვლილი შეიტანეს ტაძრის მოხატვაში. რაკი ქვაბალია და გაბისულავა სასულიერო პირები იყვნენ, ისინი შეიძლება მოხატულობის იკონოგრაფიული პროგრამის შედგენაშიც მონაწილეობდნენ.

თუ მის ძეს ალექსანდრე II-ს (1574-1601) გრემში¹³, მით უფრო, თუ გავითვა-ლისნინებთ, რომ ისინი ათონის მთის ეკლესია-მონასტრებზეც ზრუნავდნენ¹⁴. არ გაუჭირდებოდათ მხატვრის მოწვევა არც დასავლეთ საქართველოს კათოლიკოს ევდემონს (1557-1578) ბიჭვინტის ტაძრის სამხრეთ-დასავლეთი კაპელის და არც მცხეთის სვეტიცხოვლის ქადაგს, ნიკოლოზ მაღალაძეს (1680-იანი წე.) მაღალაპატანთ ეკლესიის კანკელის მოსახატად; იოსებ ტფილელისთვისაც (1620-1688) არ იქნებოდა რთული ათონის მთიდან მოეწვია ბერმონაზონი დანიელი ბობნევის ეკლესიის მოსახატად, რომელიც მან, როგორც ჩანს, თავის საძვალედ ააგო და შეამკო. მოსკოველი მხატვრების გამოჩენა კახეთის სამეფოსა და რუსეთს შორის პოლიტიკურ-დიპლომატიური ურთიერთობების ჩამოყალიბებას მოჰყვა თან. ამავე პერიოდში გააქტიურდა ევროპაში მიმოსვლა და ევროპული კულტურითა და მხატვრებით დაინტერესებაც¹⁵. უცხოელ მხატვართა მიმართ ინტერესი, ცხადია, მხოლოდ ადგილობრივი ოსტატების ნაკლებობით ვერ აიხსნება. ბოლოს და ბოლოს ამ უკანასკნელთა მოხატული ეკლესიები სჭარბობს კიდეც ჩამოსულ მხატვართა მიერ შესრულებულ მოხატულობებს. მომგებელი მხატვარს ეთნიკური ნიშნით, ცხადია, არ აირჩევდა, მაგრამ მისი კონსტანტინოპოლელობა ან ათონის მთაზე მოღვაწეობა უთუოდ მნიშვნელოვანი იქნებოდა.

არაფერია ცნობილი საქართველოში ჩამოსულმა მხატვრებმა რამდენ ხანს დაჲყვეს აქ, როგორი ანაზღაურება ჰქონდათ, ან სად და როგორ ცხოვრობდნენ და სხვა. ამ მხრივ, გამონაკლისია მაღალაპატანთ ეკლესიის კანკელის მხატვარი, აპოსტოლე, რომელიც, ერთ-ერთ საბუთის თანახმად ქალაქ მცხეთაში ცხოვრობდა¹⁶. აქვე, მცხეთაში, მოღვაწეობდა აპოსტოლეს დამკვეთიც, ნიკოლოზ მაღალაძე სვეტიცხოვლის ტაძრის ქადაგის თანამდებობაზე. ის გარე-

13 გრემში გარკვეული შეუსაბამობაა საქტიტორო წარწერაში (ბერძ. №4) ალიშნულ მოხატულობის შესრულების თარიღსა (1577) და ქტიიტორის, ლევან კახთა მეფის ზეობის (1518-1574) წლებს შორის. ვფიქრობთ, ტაძრის მოხატვა ლევანის სიცოცხლეში დაინყო და მისი გარდაცვალების შემდეგ, ალექსანდრე II-ის დროს (1574-1605) დასრულდა. მხატვრობა რამდენჯერმეა რესტავრირებული, სავარაუდოდ, XVII ს-ში მოსკოველი მხატვრების მიერ და უფრო გვაინაც, ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, 382; ვაჩნაძე, Некоторые особенности, 10; ვაჩნაძე, ლევან კახთა მეფე, 129. მ. ამირანაშვილის ვარაუდით, საქტიტორო წარწერაში დასახლებული საბა მხატვარი იყო (Ш. Амирранашвили, История грузинского искусства, 270), თუმცა ნარწერის მიხედვით საბა წინამძღვარია. ტ. ველმანსმა თესალონიკელი ბერი მოხატულობის დამკვეთად მიიჩნია, მაგრამ არ გამორიცხავს, რომ ის ამავდროულად მხატვარიც იყო, Velmans, Contribution, 304, 308.

14 ლევანმა და ალექსანდრემ ათონის მთაზე განაახლეს ფილოთეოსის მონასტერი, ააშენეს და მოხატეს სატრაპეზო, გაბაშვილი, მიმოსვლა, 37, 38; Григорович-Барский, Второе посещение; ლევან კახთა მეფისა და ალექსანდრე II-ის ათონზე მოღვაწეობასთან დაკავშირებით იხ. ასევე: სხიორტლაძე, მღვდელმონაზონი მარკოს, 321-323, ვაჩნაძე, ლევან კახთა მეფე, 123-127.

15 ჯანჯალია, ტრადიცია და სიახლე.

16 ქართული სამართლის ძეგლები, III, 806.

მოება, რომ აპოსტოლე მცხეთაში ცხოვრობდა, გვაფიქრებინებს, რომ მას სა-ქართველოში სხვა დაკვეთებიც უნდა შეესრულებინა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გელათის ღვთისმშობლის ტაძრის გუმბათის მხატვრებიც ერთხანს მაინც ცხოვრობდნენ საქართველოში, რადგან მათი ქართულენოვანი წარწერები მოწმობს, რომ მათ ცოტა ქართულის სწავლაც მოასწრეს.

ბერძენი მხატვრების საქართველოში შექმნილი მოხატულობების გარდა სხვა ნამუშევრები არ არის ცნობილი¹⁷. რა თქმა უნდა, მათ აქაც და თავიანთ სამშობლოშიც სხვა ეკლესიებიც ექნებოდათ მოხატული, ზოგიერთი, შესაძლოა, ხატის ან ხელნაწერთა მინიატიურების ავტორიც ყოფილიყო. ვინ იცის, რომელიმე მათგანის ნაწარმოები სადმე იძებნებოდეს კიდეც.

ზემო კრიხის მთავარანგელოზთა ეკლესიაში მხატვარ-რესტავრატორის, ვინმე ჩუბინიძეს წარწერაა შემორჩენილი (№15), რომელმაც XI საუკუნის მოხატულობის, ცალკეული დაზიანებული ადგილები განაახლა (XIII-XIV სს.)¹⁸.

წარწერათა დაზიანების გამო ზოგიერთ მათგანში მხატვრის სახელი აღარ შემორჩა. მათ რიგს მიეკუთვნება საბერეების მონასტრის მოხატულობათა წარწერები. მაგრამ VII და VIII ეკლესიების მხატვართა „ხელმოწერებში“ ერთი საყურადღებო ცნობაა გადარჩენილი, კერძოდ, აქ მხატვრის აღსანიშნავად სიტყვა „მწერალია“ გამოყენებული, რაც კედლის მხატვრობაში სხვაგან არსად დასტურდება.

ფერწერული წარწერები მხატვრებზე, თუ შეიძლება ითქვას, არაპირდაპირ ცნობებსაც გვაწვდის. მაგალითად, თ. ვირსალაძის ვარაუდით, მაცხვარიშის მაცხოვრის სახელობის ეკლესიის მხატვარი, მიქაელ მაღლაკელი წარმოშობით ქუთაისის მახლობლად მდებარე სოფელ მაღლაკიდან იყო, რადგან გვარი მაღლაკელი არ არსებობს და ის ამ სოფლის მკვიდრს, ან ამ გვარის ამ სოფლიდან წარმომავლობას მიანიშნებს. როგორც ჩანს, მიქაელის წინაპრები იმერეთიდან ზემო სვანეთში გადასახლებულან, რადგან ის როგორც მხატვარი ადგილობრივი სამხატვრო სკოლის წარმომადგენელია, რასაც მაცხავრიშის მოხატულობის იკანოგრაფიული და სტილური ნიშნებიცა და წარწერათა ფონეტიკაც მიუთითებს¹⁹.

XVI საუკუნის ხალხური მიმართულების მხატვრობის ტიპიური წარმომადგენელი გიორგი ჯოხტობერიძე მეფის მხატვარ თევდორესთან ერთად შუა საუკუნეების იმ იშვიათ მხატვართა რიცხვს მიეკუთვნება, რომლის რამდენიმე

17 ჰანს ბელტინგის ვარაუდით, მანუელ ევგენიკოსს ეკუთვნის სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის გარდამოხსნის ხატი, Belting, Le peintre Manuel Eugenikos, 111–120.

18 ვირსალაძე, Фресковая роспись в церкви архангелов, 35–37.

19 ვირსალაძე, Фресковая роспись художника Микаела Маглакели, 163–165.

ხელმოწერილმა მოხატულობამ მოაღწია ჩვენამდე. ჯოხტობერიძის მიერ მოხატული ეკლესიები მისი მოღვაწეობის გეოგრაფიული არეალის განსაზღვრის შესაძლებლობასაც იძლევა. ყველა ეკლესია (წითელხევის წმ. გიორგის, გელათის წმ. ელიას, ილემის წმ. გიორგის და ობჩის წმ. გიორგის ეკლესიები²⁰) ერთ რეგიონში, იმერეთში, ერთმანეთისგან საკმაოდ ახლოს მდებარეობს. მოხატულობათა მომგებელნი ადგილობრივი თავად-აზნაურობა და მღვდლები იყვნენ, რომლებიც ჯოხტობერიძეს სოფლის მცირე ეკლესიების მოხატვას უკვეთავდნენ²¹. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ გიორგი ჯოხტობერიძის საქმიანობა იმერეთით შემოიფარგლებოდა. ის, სავარაუდოდ, აქაური მკვიდრი იყო, იქნება ამ მხარეში სახელგანთქმული მხატვარიც. რადგან გიორგი ჯოხტობერიძე ეკლესიებს სხვა ოსტატებთან ერთად ხატავდა, რასაც მოხატულობათა შესრულების მანერა და ხელწერა ცხადყოფს, ი. ხუსკივაძის ვარაუდით, ის მხატვართა „საძმოს ან იქნებ არტელის ხელმძღვანელი იყო“²².

ერთი მხატვრის მიერ „ხელმოწერილ“ რამდენიმე მოხატულობა იმ მხრივაცაა მნიშვნელოვანი, რომ ეს გარკვეული პერიოდის მანძილზე მხატვრის შემოქმედებით განვითარებაზე დაკვირვების საშუალებას იძლევა; როგორ უდგებოდა ის ყოველ ახალ დაკვეთასა და ამოცანებს, როგორ კომპოზიციას ქმნიდა სხვადასხვა არქიტექტურული სივრცისთვის ან როგორ უსადაგებდა მას და სხვა.

ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს იმის აღნიშვნაც, რომ წარწერებში ეკლესის მოხატვის პროცესთან დაკავშირებული ერთი-ორი ცნობაც არის შემორჩენილი. წეზუნის მაცხოვრის ეკლესის საქტიოორო წარწერა (X ს., №5) ერთადერთი შემთხვევაა, სადაც მხატვრის გასამრჯელოს თაობაზეა საუბარი. მომგებელი, ვინმე ბეჭედი იტყობინება, რომ ეკლესის საკურთხეველი „...პურითა და ფასითა ჩემითა“ მოვხატეო, რაც იმას ნიშნავს, რომ მან მხატვარ გიორგის სამუშაო წატურითაც აუნაზღაურა და, როგორც ჩანს, ფულიც (ფასითა) გადაუხადა, მაგრამ რამდენს შეადგენდა ეს ანაზღაურება უცნობია. სამუშაოს მთლიანად ან ნაწილობრივ ნატურით ანაზღაურება საკმაოდ მიღებული პრაქტიკაა შუა საუკუნეების საქართველოშიც²³, ბიზანტიაშიც და პოსტბიზანტიურ სამყაროშიც²⁴. მაგრამ ქართულ წყაროებში მხატვრის გასამრჯელოს რაოდენო-

20 ობჩის ეკლესიაში ამჟამად მოხატულობის რამდენიმე უმნიშვნელო ფრაგმენტი და ჯოხტობერიძის წარწერის წანილია შემორჩენილი (№26), ხუსკივაძე, ქართულ ეკლესიათა გვიანი შუა საუკუნეების „ხალხური“ მოხატულობანი, 75, შენ. 1.

21 ხუსკივაძე, ქართულ ეკლესიათა გვიანი შუა საუკუნეების „ხალხური“ მოხატულობანი.

22 იქვე, 135–136.

23 სილოგავა, სვანეთის წერილობითი ქეგლები, II, 17–18; სურგულაძე, ‘მწერალი’, 122.

24 Kalopissi-Verti, Painters’s Information, 64; Панић, Бабић, Богородица Љевишка, 23–27; Тодић, Лични записи, 493; Bogevska, Les peintres-moines, 183–184, შენ. 15.

ბისა და რაგვარობის შესახებ ინფორმაცია არ მოგვეპოვება²⁵. ერთგან გვხვდება ცნობა, რომ ქაშოეთის დახატვისთვის მხატვარს „საახალშენე მინა“ მიუღია²⁶.

ნეზგუნის წარწერა კიდევ ერთ ცნობას შეიცავს, კერძოდ, რომ მხატვარ გიორგის საკურთხევლის აფსიდი მაისში მოუხატავს. ასეთივე ინფორმაციას შეიცავს გრემის საქტიტორო წარწერაც (ბერძ. №4), რომელშიც ნათქვამია, რომ ეკლესიის მოხატვა 1577 წლის 29 აგვისტოს დასრულდა. სამთავისის მხატვარი ეპისკოპოსი მელიტონი თავის წარწერას (№31) 1679 წლის ოქტომბრით ათარი-ლებს. როგორც ცნობილია, ეკლესიის მოხატვა, ჩვეულებრივ, წელიწადის თბილ (გაზაფხული-შემოდგომა) პერიოდში ხდებოდა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ნე-ზგუნში გიორგიმ მხოლოდ საკურთხევლის აფსიდი შეამკო ფერწერით²⁷, მაშინ, საფიქრებელია, რომ მისი მოხატვა მაისში განხორციელდა; სამთავისის აფსი-დიც, როგორც ჩანს, ზაფხულ-შემოდგომის პერიოდში მოიხატა. რაც შეეხება გრემის საკმაოდ დიდი ზომის გუმბათიან ტაძარს, ის შესაძლოა ეტაპობრივად, სულაც წლები იმკობოდა ფერწერით და 1577 წლის აგვისტოში დასრულდა²⁸.

შუა საუკუნეების მხატვრებთან დაკავშირებით ქართულთან შედარებით მეტ ინფორმაციას გვაწვდის ბიზანტიური და პოსტბიზანტიური ეპიგრაფიკა, სადაც დროდადრო მხატვართა თაობაზე საინტერესო დეტალები გვხდება, მა-გალითად, მხატვარი ასახელებს თავის მასწავლებელს, მოწაფეს, ზოგჯერ მამა-შვილი ან მხატვარი ძმები არიან დასახლებულნი და სხვა²⁹. საქართველოში სულ ერთი-ორი შემთხვევაა, როცა მხატვარი ქტიტორის გარდა ვისმეს სხვას მოიხ-სენიებს. სორის წმ. გიორგის ეკლესიის მხატვარი დავითი წარწერაში ასახელებს მეორე ოსტატს, გიორგის, რომელიც მნათეს შვილი ყოფილა (№18), ორი მხატ-ვარი – ვაჟიზბედა კეკულაძე და იოანე ჯავახაძე „აწერს ხელს“ ნიკორწმინდის კარიბჭის მოხატულობას (XVI ს. №28). აღსანიშნავია უბისის წმ. გიორგის ეკლე-სიის მოხატულობის (XIV ს.) წარწერა: „სახელითა ღმრთისადთა, მოიხატა მონას-ტერი ესე. წელითა ცოდვილისა, დამიანეს გაზრდილისა, გერასიმესითა“ (№17). ტექსტის მიხედვით დამიანე გერასიმეს გამზრდელი ყოფილა, რაც, მშობელს, მოძღვარს, მასწავლებელს შეიძლება გულისხმობდეს; მაგრამ წარწერაში არ ჩანს, რომ დამიანე მაინცდამაინც გერასიმეს პროფესიული აღმზრდელი იყო. მისი პროფესია, ისევე როგორც მისი როლი უბისის მოხატულობაში არც საკურ-თხევლის აფსიდში მოთავსებულ წარწერაში იკვეთება, რომელშიც კვლავ და-

25 მესხია, საისტორიო ძიებანი, I, 146-147.

26 ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, A-II₂, 189; ბერიძე, ძველი ქართველი ოსტატები, 17.

27 ნეზგუნის ეკლესია ორჯელ მოიხატა X ს-ში (საკურთხევლის აფსიდი) და XII ს-ში (ეკლესიის დანარჩენი სივრცე), ალაშვილი, ალიბეგაშვილი, ვოლკია, Живописная Школа, 13-15.

28 იხ. აქვე, შენ. 13.

29 მაგალითები იხ. Kalopissi-Verti, Painters, 144, 149, მისივე, Painters' Information, 63; თურიჩ, Радионица митрополита, 18-33; თოდიჩ, Лични записи, 503.

მიანეა დასახელებული³⁰. გელათის ღვთისმშობლის ტაძრის გუმბათის ბერძენ მხატვართა წარწერებიდან ერთ-ერთში ვინმე სიმეონი გამზრდელად („სიმეონ გამდელი ეს“) არის მოხსენებული. მის გვერდით მეორე წარწერაა („და შრომა სიმდაბლე თეოდორო ჭელი წერა ეს“ (№22 ა, ბ) მოთავსებული. ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში გამზრდელი ხელობის მასწავლებელს უნდა გულისხმობდეს და, მაშინ სიმეონი თეოდორეს მასწავლებლად უნდა მივიჩნიოთ³¹. შუა საუკუნეების მხატვრები წარწერები ხშირად ასახელებდნენ თავის მასწავლებელს, რომლის სახელიც წინ უძლოდა მხატვრისას³². სიმეონი რომ მხატვარია გელათის გუმბათის კიდევ ერთი წარწერაც ადასტურებს, რომელშიც წათქვამია, რომ სიმეონს აქ „საქმე“ გაუკეთებია (№22, გ), რაც ამ შემთხვევაში, უთუოდ, ხატვას გულისხმობს.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში არ შემორჩენილა წარწერა, რომელშიც მხატვარი თავისი ოჯახის წევრების შეწყალებას ითხოვს, რისი არაერთი შემთხვევა დასტურდება გვიანბიზანტიურსა და პოსტბიზანტიურ ძეგლებში³³.

სულ ეს არის, რაც IX-XVII საუკუნეების ქართულ კედლის მხატვრობაში შემორჩენილი წარწერებიდან შეიძლება ამოვკრიბოთ შუა საუკუნეების მხატვრებთან დაკავშირებით. ინფორმაციის სიმწირის მიუხედავად ეს მასალა მაინც ამდიდრებს ჩვენ ცოდნას არა მხოლოდ ადგილობრივ, არამედ ზოგადად ქრისტიანული აღმოსავლეთის შუა საუკუნეების მხატვართა თაობაზე.

30 დამიანეს ვინაობასთან დაკავშირებით სხვადასხვა მოსაზრებაა გამოთქმული. შ. ამირანაშვილი მას უბისის მხატვრად მიიჩნევდა (ამირანაშვილი, უბისი, 10. მისივე, ქართველი მხატვარი დამიანე, 12-13.). ვ. ბერიძემ წარწერათა ანალიზის საფუძველზე დამაჯერებლად დაასაბუთა, რომ მხატვარი დამიანე კი არა გერასიმეა (ბერიძე, გერასიმე, და არა დამიანე), რაც სხვა მეცნიერებმაც გაიზიარეს. გამოთქმულია ვარაუდი, რომ დამიანე მონასტრის წინამძღვარი და მოხატულობის მომგებელი იყო (ბურჭულაძე, უბისის მონასტრის ხატები, 154, შენ. 1, 179-180; ლორთქიფანიძე, „საიდუმლო სერობის“ სცენა, 271-272, შენ. 2; მიქელაძე, ხელოვან-მომხატველთა წარწერების მნიშვნელობა, 154-157). გერასიმეს დამიანეს მონაფედ მიიჩნევს ს. კალოპისი-ვერტი, თუმცა იმასაც შენიშნავს აქამდე გაურკვეველია დამიანე მხატვარი იყო თუ სასულიერო პირიო, Kalopissi-Verti, Painters, 149, შენ. 90.

31 ასე ესმოდა წარწერა ბ. ლომინაძესაც, თეოდორე მასაც სიმეონის მონაფედ მიაჩნდა, ლომინაძე, გელათი, 47-48.

32 Houliaras, The Work of the Painter, 71.

33 Kalopissi-Verti, Painters, 144, 149, მისივე, Painters' Information, 63.

მხატვართა შესახებ ცნობები ისტორიულ საბუთებსა და ნარატიულ ცყარობები

მხატვრებთან დაკავშირებული ცნობები მხოლოდ გვიანი შუა საუკუნეების (XVI-XVII სს.) ქართულ ისტორიულ საბუთებსა და ნარატიულ წყაროებში მოგვეპოვება, თუმცა მათი რაოდენობა არ არის დიდი. ამ მხრივ, პირველ რიგში ერთანმინდის წმ. ევსტატეს ტაძრის მომხატველი, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის წინამდლვარი, ჯვარის მამა მელეტიოსი (მელეტი) უნდა ვახსენოთ, რომელმაც საქტიტორო წარწერის თანახმად ტაძარი იორამ, იონათამ და იესე კარგარეთელების დაკვეთით 1654 წელს მოხატა¹. ისტორიული საბუთებისა და ერთანმინდის წარწერიდან ირკვევა, რომ მელეტიოსი 1654-1675 წლებში იერუსალიმის ჯვრის მონასტრის წინამდლვარი იყო. ის ჯვრის მონასტრის ქონებას განაგებდა; ცნობილია, რომ მას თბილისში სახლი ჰქონდა². საბუთები მელეტიოსს ულირს ადამიანად ახასიათებს. მას, საქართველოში შეგროვილი საიერუსალიმო თანხის, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის შესაწირის, გაფლანგვაში ადანაშაულებენ; იერუსალიმში თურქების ბატონობის დროს მელეტიოსი საპყრობილებიც კი მოხვდა³. მისი როგორც მხატვრის შესახებ სხვა არაფერია ცნობილი, გარდა ერთანმინდის მოხატულობისა. შუა საუკუნეების სხვა მხატვრების მსგავსად არც ის ვიცით, სად და როგორი განათლება მიიღო მან. ერთანმინდის მოხატულობა გვაფიქრებინებს, რომ მელეტიოს მხატვრის ხელობა პროფესიულ დონეზე ჰქონდა შესწავლილი (სურ. 1, 2) აღსანიშნავია, რომ ერთანმინდის მოხატულობაში ქართულთან ერთად არაბული განმარტებითი წარწერებიც არის. არაბულენოვანი წარწერები XVI-XVII სს-ის ქართულ ხელოვნებაში საკმაოდ ხშირად გვხვდება⁴. ერთანმინდაში ისინი, როგორც ჩანს, მელეტიოსის მიერ

1 მამასახლისი, ერთანმინდის ტაძრის მოხატულობის თარიღი, 32–34.

2 ხუციშვილი ნ., იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მინათმფლობელობა, 85–87, 116; მამასახლისი, ერთანმინდის ტაძრის მოხატულობის თარიღი, 34–36.

3 ხუციშვილი, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მინათმფლობელობა, 87.

4 ალექსიძე, ხონის წმ. გიორგის ეკლესიის მოხატულობა, 14; ჩიხლაძე ნ., სვეტიცხოვლის მოხატულობანი, 251–252; ბურჭულაძე, არაბულნარწერიანი ხატები, 201–202; მესხი, ხონისა და სამთავისის ეკლესიათა ფრესკების არაბული წარწერების წარმომავლობისთვის, 422–433.

არის შესრულებული, რომელიც თავის გაცემულ საბუთებსაც არაბულ ენაზე ამტკიცებს, ხოლო მის ბეჭედზე სამენოვანი, ქართული, ბერძნული და არაბული წარწერებია („მამა ჯვარისა მელეტიოზ“) დატანილი⁵.

მაღალაანთ ეკლესიის კანკელის მხატვარი, აპოსტოლე, უთუოდ, კათოლიკოს-პატრიარქის ანტონ I-ის 1748 წლის წყალობის წიგნში ხსენებული ბერძენი მხატვარი „აბისტოლე“ უნდა იყოს, რომელიც ამავე საბუთის მიხედვით მცხეთაში ცხოვრობდა და იქ სახლებიც ჰქონდა⁶, რაც იმას ნიშნავს, რომ აპოსტოლე მცხეთაში იყო დამკვიდრებული; ეს კი, თავის მხრივ, გვაფიქრებინებს, რომ მას საქართველოში სხვა დაკვეთებიც უნდა შეესრულებინა (სურ. 3). უნდა აღინიშნოს, რომ აქვე, მცხეთაში, მოღვაწეობდა მაღალლაანთ ეკლესიის კანკელის მომგებელიც, ნიკოლოზ მაღალაძე, რომელიც სვეტიცხოვლის ტაძრის ქადაგი იყო.

XVI-XVII საუკუნეების წყაროებში საკმაო ინფორმაცია მოიპოვება კახეთის სამეფოში ჩამოსულ რუს მხატვრებთან დაკავშირებით. მათი ჩამოსვლა გარემოებებმა განაპირობა, კერძოდ, რუსეთთან პოლიტიკური ურთიერთობების ჩამოყალიბებამ. როგორც ცნობილია, XVI-XVII საუკუნეებში საქართველო მაპმადიანურ სახელმწიფოებს – ოსმალეთის იმპერიასა და სეფიანთა ირანს შორის მოექცა და მათი ბრძოლის ველად იქცა. მდგომარეობას ართულებდა ცენტრალიზებული ხელისუფლების მოშლა, ქვეყნის ცალკეულ სამეფოებად და სამთავროებად დაშლა. ირანთან გამუდმებულმა ომებმა და გამაპმადიანების საშიშროებამ კახეთის მეფეებს გადააწყვეტინა ერთმორნმუნე რუსეთის-თვის მფარველობა ეთხოვა. თავის მხრივ რუსეთსაც გარკვეული ინტერესები ამოძრავებდა. ვინაიდან XVI საუკუნის ბოლოს რუსეთსა და ოსმალეთს შორის ურთიერთობა განსაკუთრებულად გამწვავდა, ის მოკავშირეებს იმიერსა და ამიერკავკასიაში ეძებდა⁷. 1587 წელს კახეთის მეფემ ალექსანდრე II-მ (1574-1601, 1601-1605) რუსეთთან ხელდებულების ფიცი დადო.

მოსკოვთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებასა და ელჩების მიმოსვლას უკავშირდება რუსი მხატვრების კახეთში ჩამოსვლა. ისინი რუსეთის ელჩობას ჩამოჰყავდა კახეთში და მათ შესახებაც ელჩების მუხლობრივი აღწერილობებიდან არის ცნობილი⁸. რუს მხატვრებთან დაკავშირებული ცნობები, თავის დროზე, შეკრიბა და შეისწავლა მ. პოლიევეტოვმა⁹. მას შემდეგ ახალი

5 ხუციშვილი ნ., იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მინათმფლობელობა, 87.

6 ქართული სამართლის ძეგლები, III, 806-807; მიქელაძე, ხელოვან-მომხატველთა წარწერების მნიშვნელობა, 169-171; მისივე, Greek Painters, 194.

7 ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, IV, 11-12.

8 რუსი ელჩების მუხლობრივი აღწერილობები იხ.: Белокуров, Сношения России с Кавказом, მიშეცვისა და დიაკი კლუჩარევის ელჩობა; Материалы.

9 Полиевктов, Новые данные.

დოკუმენტური ინფორმაცია რუსი მხატვრების საქართველოში მოღვაწეობის თაობაზე არ გამოჩენილა.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ რუსი მხატვრების „ხელმოწერილი“ მოხატულობები არ არის შემორჩენილი. ელჩების ჩანაწერებიდან ცნობილია, რომ ალექსანდრე II-ისა და თეიმურაზ I-ის ზეობაში რუსი ხელმწიფები თავის მხატვრებს (ისინი დოკუმენტებში მეფის მხატვრებად სახელდებიან) კახეთში გზავნიდნენ. მხატვრებს სახატავი მასალაც ჩამოჰქონდათ, რასაც ხშირად კახეთის მეფეებიც ითხოვდნენ. 1591 და 1637 წლების დოკუმენტები რუსეთიდან ჩამოტანილი მასალის, მისი რაოდენობისა და საფასურის ჩამონათვალს შეიცავს¹⁰.

ალექსანდრე II-ის დროს მოსკოველი მხატვრები სამჯერ ჩამოვიდნენ კახეთში. 1589 წელს ელჩობას სამი მხატვარი: პოსნიკი დერმინი და მისი ორი ამხანაგი ჩამოჰყავა¹¹, რომელთაგან ერთს ივან ტარასიევთან აიგივებენ¹²; 1591 წელს ალექსანდრე II-ის ბორის გოდუნოვისადმი გაგზავნილი წერილის საფუძველზე ელჩებთან ერთად მაქსიმ ტერენტიევ ბაზაროვი, იური მინინი და შიგალეი ვასილიევი, ხოლო 1601 წელს პერვუშა ბარიშნიკოვი და ტროფიმ ლარიონოვი ჩამოვიდნენ¹³. მომდევნო წლებში, კახეთ-რუსეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობები შეწყდა და ალარც რუსი მხატვრები ჩამოსულან, ვიდრე 1638 წლამდე, როცა რუსეთის მორიგ ელჩობას ორი მხატვარი სემენ სავინი (სენკა სავინის ვაჟი) ოსტაფიევ კაზანეცი და ივან (ივაშკო) დანილოვ კოსტრომიტინი ჩამოჰყვნენ¹⁴.

XVI-XVII საუკუნეების რუსულ დოკუმენტებში დასახელებულია ოთხი ეკლესია, სადაც მოსკოველ მხატვრებს უმუშავიათ. ესენია: თოლა, ზაგემი, თეიმურაზ I-ის სასახლის მახლობლად მდებარე ეკლესია გრემში და ალავერდი. თოლას ეკლესიაში მოხატულობა ალარ შემორჩა¹⁵, ზაგემისა¹⁶ და გრემის ეკლესიები

10 Полиевктов, Новые данные, 11–13; Белокуров, Сношения России с Кавказом, 238–239, Материалы, 165–166.

11 Белокуров, Сношения России с Кавказом, 124–125.

12 Полиевктов, Новые данные, 9, 10.

13 Белокуров, Сношения России с Кавказом, 227, 234, 238–239, 342–343; Полиевктов, Новые данные, 9.

14 Материалы, 165–168. Полиевктов, Новые данные, 10.

15 თოლას შესახებ იხ., Белокуров, Сношения России с Кавказом, 124–124, 170–171. თოლას იგივე მაჭისციხის კომპლექსში შემავალი ნმ. ნიკოლოზის სახელობის ეკლესია ლაგოდეხის ნაკრძალში, ისტორიული ჰერეთის ტერიტორიაზე მდებარეობს. XVI–XVII სს-ში მაჭი კახეთის მეფეთა საზამთრო რეზიდენცია იყო (მარჯანიშვილი, ჰერეთი, 14–16).

16 რუსი ელჩები ზაგემის მოხატულობას არ ახსენებენ. მხოლოდ იმას აღნიშნავენ, რომ სიმონ ოსტაფიევმა ამ ეკლესისთვის ხის სამწერობლები მოხატა (Материалы, 399). ზაგემი, იგივე ბაზარი კახეთის ერთ-ერთი სატახტო ქალაქი იყო. ახლა ის აზერბაიჯანს ეკუთვნის. აქ ლევან კახთა მეფის აგებული გუმბათიანი ეკლესია (XVI ს. დასაწყისი) იდგა, რომელიც 1971 წელს ააფეთქეს (ივანეცკი, ბათალოს ძველი ეკლესია, 1-2); გ. ჩუბინაშვილის ცნობით, ეკლესიაში მხოლოდ საკურთხევლის კონქი იყო მოხატული (Чубинашвили, Архитектура Кахетии, 460). ზოგი მეცნიერის ცნობით ზაგემში სლავური ნარწერები იყო, ედილი, საინგილო, 168–169).

დანგრეულია¹⁷. რაც შეეხება ალავერდის წმ. გიორგის საკათედრო ტაძარს, მოსკოველი ელჩების ცნობების გარდა¹⁸, რუსი მხატვრების მიერ შესრულებულ მოხატულობას აქ დღესაც მიედევნება თვალი¹⁹ (სურ. 4), თუმცა სახელდობრ რომელმა მხატვრებმა მიიღეს მონაწილეობა ალავერდის მოხატვაში გაურკვეველია²⁰.

რუსი ელჩების ჩანაწერებში არაფერია ნათქვამი რა პირობებში ცხოვრობდნენ მოსკოველი მხატვრები საქართველოში. გასამრჯელოს მათ, როგორც ჩანს, კახეთის მეფეები უხდიდნენ²¹; ზოგიერთი მათგანი აქ დაქორწინდა კიდეც; ბევრი სამუდამოდ დარჩა და აქვე გარდაიცვალა²². რიგ შემთხვევებში მხატვრები უკმაყოფილონიც ჩანან. 1649 წელს სამშობლოში დაბრუნებულმა ოსტაფიევმა რუსეთის ხელმწიფეს აჯა გაუგზავნა, რომელშიც ჯილდოს ითხოვს იმ მძიმე სამუშაოსთვის, რომელიც საქართველოში გასწია. მისი თქმით რუსეთის ელჩების კახეთში ყოფნის დროს თეიმურაზმა მხატვრები საპყრობილები გამოკეტა. განთავისუფლების შემდეგ კი ფიცის დადება მოსთხოვა, რომ არსად გაიქცეოდნენ²³. თავისი ბედით უკმაყოფილო იყო ივანე დანილოვიც, რომელიც როსტომ მეფის (1632–1658) კარზე აღმოჩნდა, როცა ეს უკანასკნელი ქართლ-კახეთის მეფე (1646–1656) იყო. დანილოვმა 1651 წელს სომეხ ვაჭარს, ქუთაისში მყოფ რუს ელჩებთან, ტოლოჩანოვსა და იევლევთან წერილი გაატანა, რომელშიც ის „ტყვეობიდან გამოსყიდვას ან რაიმე სხვა საშუალებით განთავისუფლებას“ ითხოვდა. ელჩები მას ვერ დაეხმარნენ, რადგან სომეხი ვაჭრებისგან შეიტ-

17 გრემში თეიმურაზის სასახლის მახლობლად მდებარე ეკლესის შესახებ იხ., მიშეცვისა და დიაკი კლუჩარევის ელჩობა, 156. ეკლესია 1930-იან წლებში დაინგრა (ზაქარაია, ნაქალაქარ გრემის არქიტექტურა, 51).

18 Белокуров, Сношения России с Кавказом, 124–125, 170–173, Материалы, 284, 365. თავადი მიშეცვის და დიაკი კლუჩარევის ელჩობა, 140–141.

19 ალავერდში სხვადასხვა დროის რამდენიმე ფერწერული ფენაა შემორჩენილი. ამის შესახებ იხ., ვირსალაძე, ალავერდის კათედრალის ახლად გახსნილი მხატვრობა, 201–214; ბურჭულაძე, მეფეთა პორტრეტები, 53–62; Преображенский, Русские живописцы, 172–267. მოხატულობის ნაწილს მხატვრულ-სტილური თავისებურებების საფუძველზე რუს მხატვრებს მიაკუთვნებენ და მას XVI–XVII სს-ის მიჯნით (Преображенский, Русские живописцы), ან XVII ს-ის 30-იანი წე-ით ათარიღებენ (ვირსალაძე, ალავერდის კათედრალის ახლად გახსნილი მხატვრობა, 207). თ. ვირსალაძეს მიაჩნია, რომ რუსმა მხატვრებმა მოხატულობა მხოლოდ განაახლეს. ალავერდის მოხატულობა დღემდე არ არის ფუნდამენტურად შესწავლილი. ვიდრე ასეთი კვლევა არ ჩატარდება, რაც აუცილებლად მის ტექნიკურ კვლევასაც უნდა მოიცავდეს, მტკიცე დასკვნების გამოტანა ფერწერულ ფენათა რაოდენობასა და მათი შესრულების დროზე ძნელია.

20 Преображенский, Русские живописцы, 212.

21 მიშეცვისა და დიაკ კლუჩარევს (კახეთში იყო 1640–43 წე-ში) დაევალათ გაერკვიათ თუ მიიღეს მხატვრებმა კახეთის მეფისგან ანაზღაურება, მიშეცვისა და დიაკი კლუჩარევის ელჩობა, 45. M. Полиевктов, Новые данные, 6.

22 Полиевктов, Посольство, 142.

23 Полиевктов, Новые данные, 14.

ყვეს, რომ დანილოვი როსტომ ხანის ქრისტიანი ცოლის (მარიამ დედოფალი) ბრძანებით თბილისში ეკლესიას ხატავდა და მას მცველები დარაჯობდნენ²⁴. არ არის გამორიცხული, რომ ამ მხატვართა „საჩივრებში” ბევრი რამე გადაჭარბებულია მეფისგან წყალობის მიღების იმედით.

რუს ელჩებს მოსკოვის ხელისუფლება მხატვრების უკან, სამშობლოში დაბრუნებას ავალებდა, მაგრამ კახეთის მეფეები მათ გაშვებას არ თანხმდებოდნენ. განსაკუთრებული მოთხოვნა პოსნიკ დერმინზე იყო²⁵, რომელიც, როგორც ჩანს, რუსეთში ცნობილი ხატმწერი იყო²⁶. ელჩებს ის აუცილებლად უნდა წაეყვანათ სამშობლოში, მაგრამ ალექსანდრე II-მ დერმინი არ გაუშვა²⁷. მოგვიანებით ვერც თეიმურაზ I შეელია 1638 წელს ჩამოსულ მხატვრებს (ოსტაფიევს და დანილოვს) და ისინი ელჩებს არ გაატანა, თუმცა დაპირდა, რომ მათ მომდევნო ელჩობას გააყოლებდა. თეიმურაზმა ოთხი წლის შემდეგ ჩამოსული ელჩებიც უარით გაისტუმრა. მან მხატვრები გადამალა და ელჩებს განუცხადა, რომ ისინი იმერეთის მეფე ალექსანდრესთან (ალექსანდრე III) იმყოფებოდნენ და მისთვის ეკლესიას ხატავდნენ. ისე დაბრუნდნენ ელჩები სამშობლოში, რომ მხატვრებს ვერ შეხვდნენ, მაგრამ ის კი შეიტყვეს, რომ ისინი კახეთში დაქორწინებულიყვნენ და სახენავ-სათესი მიწებიც ჰქონდათ ბოძებული²⁸. ჩვენ არ ვიცით სინამდვილეში რა მოხდა – თეიმურაზს შეპყრობილი ჰყავდა მხატვრები, როგორც ამას ოსტაფიევი წერდა რუსთა ხელმწიფეს, თუ იმერეთში იყვნენ გაგზავნილი. ერთი რამ ცხადია, კახეთის მეფეები ალექსანდრეცა და თეიმურაზიც ყველა ღონეს ხმარობდნენ მოსკოველი მხატვრები თავის სამეფოში დაეტოვებინათ, რისი მიზეზიც კარგად ჩანს ალექსანდრე მეფის სიტყვებიდან, როცა მან ელჩებს მხატვრები არ გაატანა: „...ურწმუნოებმა ბევრი მონასტერი და ეკლესია დაანგრიეს...მე კი მინდა ჩემს სიცოცხლეში ყველაფერი უწინდელი სახით აღვადგინო. ამიტომ ვთხოვე ხელმწიფეს ხატმწერთა გამოგზავნა. მან ჩემი თხოვნა შეასრულა, მაგრამ არც ისინია საკმარისი... მე... დამატებით მხატვრებს გთხოვთ, თქვენ კი ამათაც მართმევთ...“²⁹. ალექსანდრე რუსეთის ხელმწიფეს თედორე I-ს თავის სიგელშიც განუმარტავს, რომ დაცარიელებულ ეკლესიებში

24 ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღნერილობა, 77, 195–196. სტოლნიკი ტოლოჩანოვისა და დიაკი იევლევის ელჩობა, 44.

25 Белокуров, Сношения России с Кавказом, 280; Полиевктов, Новые данные, 10.

26 ცნობილია დერმინის მიერ საქართველოში ჩამოსვლამდე შესრულებულია ორი ხატი, ანтонова, Московский иконник, 144–152; Словарь русских иконописцев XI–XVII веков <http://rusico.indrik.ru/artists/d/dermin-posnik-ivanov-rostovec/index.shtml?adm=dd04628f09e78dbf37b3db16d6f65752>; Преображенский, Русские живописцы, 194.

27 Белокуров, Сношения России с Кавказом, 124–125, 245.

28 Материалы, 328–331; მშეცეისა და დიაკი კლუჩარევის ელჩობა, 88, 138, 142, 160.

29 Белокуров, Сношения России с Кавказом, 124–125, 219.

მხატვრობა დაზიანებულია, თქვენი გამოგზავნილი მხატვრებიც ამბობენ, რომ ჩვენ ყველაფრის შეკეთებას ვერ აუვალთო და დამატებით კიდევ სამი მხატვრის გამოგზავნას ითხოვს³⁰.

XVI საუკუნეში, მეფე ლევანის (1518-1574) და მისი ძის ალექსანდრე II-ის (1574-1605) ზეობის პერიოდი კახეთის სამეფოს აღმავლობის ხანაა. სატახტო ქალაქი გრემი ეკონომიკურად ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული და აყვა-ვებული ქალაქია. ლევანი და ალექსანდრე სააღმშენებლო-საქტიტორო საქ-მიანობას ეწევიან, კახეთში ადგილობრივებთან ერთად ბერძენი მხატვრებიც ხატავენ ეკლესიებს (გრემი, სავარაუდოდ ნეკრესი და სხვა); მათ კარზე საოქ-რომჭედლო სახელოსნოც არის, რასაც ლევანისა და ალექსანდრეს დაკვეთით შესრულებული ჭედური ხატები მოწმობს³¹. ალექსანდრე II-ს თითქოს არ უნდა ჰქონდა მხატვართა გაჭირვება, თუმცა რუსული დოკუმენტები საპირისპიროს მოწმობს. საფიქრებელია, რომ ალექსანდრეს მისწრაფებებსა და მოთხოვნებს, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ – „ყველაფერი უწინდელი სახით“ ალედგინა – ადგილობრივი ოსტატები ვერ აუდიოდნენ და ამიტომაც ცდილობდა დამატები-თი ოსტატების მოზიდვას.

სხვა ვითარებაა თეიმურაზ I-ის მმართველობის პერიოდში (1606-1648). რა გასაკვირია შაჰ აბას I-ის დამანგრეველი ლაშქრობებისგან მოოხრებულ კა-ხეთში ყველაფერთან ერთად მხატვრების ნაკლებობაც ყოფილიყო; ირანთან სამწლიანი (1614-1617) ომის დროს ასი ათასი კაცი დაიღუპა და ორასი ათასი ტყვედ წაიყვანეს. ნიშანდობლივია, რომ ვიდრე თეიმურაზ მეფე რუსეთთან დი-პლომატიურ ურთიერთობებს განაახლებდა მან ევროპაშიც სცადა მოკავშირეე-ბის პოვნა, რაც უშედეგოდ დამთავრდა, მაგრამ, ამჯერად, ჩვენთვის სხვა რამაა საგულისხმო. 1631 წელს თეიმურაზმა იტალიელ მისიონერს, პატრ ავიტაბილეს იტალიიდან მკურნალებისა და მხატვრების ჩამოყვანა დააბარა, „რათა უკანასკ-ნელთ სპარსეთისგან გაფუჭებულ-დანგრეული ეკლესიები შეეკეთებინათ“, მა-გრამ ისინი „ვერ იშოვეს“³².

მოსკოველ მხატვრებთან დაკავშირებით კიდევ ერთი რამ იპყრობს ყუ-რადღებას. რუსი ელჩების მუხლობრივი აღნერილობები ეჭვს აღძრავს, რომ ამ მხატვრების საქმიანობა საქართველოში მხოლოდ მხატვრობით არ შემოი-ფარგლებოდა; ისინი სხვა დავალებასაც ასრულებდნენ. ელჩების ჩანაწერე-ბი მოწმობს, რომ მხატვრები ძეგლების აღნერაშიც იღებდნენ მონაწილეობას. მაგალითად, ერთ-ერთ დოკუმენტში მხატვრების (დერმინის, ოსტატიევისა და

30 იქვე, 225–226.

31 საყვარელიძე, XIV-XIX საუკუნეების ქართული ოქრომჭედლობა, 113.

32 თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა, 120-121.

დანილოვის) მოსაზრება-შეფასებებია მოტანილი ალავერდში ნანახი ხატების თაობაზე³³. რუსი მხატვრები ზოგჯერ ერთგვარ აგენტებადაც წარმოჩნდებიან. ივან დანილოვი ზემოხსენებულ წერილში, რომელშიც რუს ელჩებს გათავისუფლებას სთხოვს, სანაცვლოდ მათ მეფე თეიმურაზისა და მეფე ალექსანდრეს შესახებ სახელმწიფო მნიშვნელობის ინფორმაციის გადაცემას ჰპირდება³⁴. დანილოვი მოსკოვისთვის სასარგებლო ცნობებს თბილისში 1652 წელს ჩამოსულ არსენი სუხანოვსაც აწვდის, რომელსაც ის თარჯიმნობასაც უწევდა³⁵. მხატვარი ოსტაფიევი კი, მეფე მიხეილ I-ს წერილში ატყობინებს, რომ მან თეიმურაზ მეფისგან იცოდა უფლის კვართის შესახებ. მცხეთაში დაცული უფლის კვართი რუსეთისთვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო. ცნობილია, რომ 1625 წელს რუსეთის მეფეს შაჰ-აბასმა მოტყუებით თითქოსდა მცხეთიდან წამოღებული უფლის კვართი გადასცა. მეფე დიდად იყო დაინტერესებული ნამდვილი კვართი ჰქონდა³⁶. ამ მხრივ საგულისხმოა, რომ თავად მიშეცეის კახეთში გამომგზავრებამდე დაევალა შაჰისა და თეიმურაზის ურთიერთობების გარკვევა, ხომ არ იყო შერყეული მართლმადიდებლური რწმენა საქართველოში, ისევ თუ იდგა მცხეთად წოდებული ტაძარი, რომელშიც კვართი ინახებოდა და თუ აღესრულებოდა იქ წირვა³⁷. ელჩი რომ ასეთი დავალებით გამოეგზავნა რუსეთის ხელმწიფეს არ არის გასაკვირი, მაგრამ ფაქტია ისიც, რომ იმ დროს კახეთში მყოფი რუსი მხატვრებიც ამ ყველაფრის საქმის კურსში იყვნენ და ამ ინფორმაციებით სპეკულირებდნენ კიდეც.

მოსკოველ მხატვრებს სამეგრელოს მთავარი ლევან II დადიანიც ითხოვდა. 1640 წელს მან რუსეთის მეფეს საღებავებით, ოქროთი და ვერცხლით აღჭურვილი მხატვრების გამოგზავნა სთხოვა³⁸, თუმცა, როგორც ჩანს, მისი თხოვნა არ დააკმაყოფილეს. ყველ შემთხვევაში ჩვენამდე ლევანის დაკვეთით შესრულებულ რუსი მხატვრების ნამუშევარს არ მოუღწევია.

რუსი ელჩების აღნერილობაში ყურადღებას იქცევს კიდევ ერთი ცნობა, კერძოდ, 1637 წელს რუსეთიდან ჩამოსულმა არქიმანდრიტრმა ალავერდში ყოფნის დროს მეფის ბოქაულისგან შეტყო, რომ ეკლესის მარჯვენა მხარე (ე.ი. სამხრეთი) რუსმა, მარცხენა (ე.ი. ჩრდილოეთი) კი გერმანელმა მხატვრებმა მოხატეს. ა. პრეობრაჟენსკის გერმანელი მხატვრის მონაწილეობა ალავერდის

33 Полиевктов, Новые данные, 19–20; Белокуров, Сношение России с Кавказом, 157; Материалы, 267.

34 ტოლჩანოვის იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღნერილობა, 77, 195–196. სტოლნიკი ტოლოჩანოვისა და დიაკი იევლევის, 44; Полиевктов, Новые данные, 21.

35 Прокиннитарий Арсения Суханова, 105–109.

36 ამის შესახებ იხ., ბუბულაშვილი, საქართველოს ეკლესიის სიწმინდეები, 56–71.

37 მიშეცეისა და დიაკი კლუჩარევის ელჩობა, 45.

38 Белокуров, Сношения России с Кавказом, 301.

ტაძრის მოხატვაში „ფანტასტიკურად“ ეჩვენება და ბოქაულის ნათქვამს თარგმნის დროს დაშვებულ შეცდომად მიიჩნევს³⁹. რა თქმა უნდა, დღეს ვერაფერს ვიტყვით ვინმე გერმანელმა იმუშავა თუ არა ალავერდში, მით უფრო, რომ მარცხენა მხარეს (ჩრდილოეთ კედელზე) მოხატულობა თითქმის მთლიანად წარხოცილია. მეორე მხრივ, თუკი, თეიმურაზ I მხატვრების იტალიიდან ჩამოყანას ცდილობდა, რატომ არ შეიძლება დავუშვათ, რომ ალავერდში გერმანელ მხატვარს რამე სამუშაო შეესრულებინა. გასათვალისწინებელია, რომ ეს ამბები XVII საუკუნეში ხდება.

XVII საუკუნე ის ხანაა, როცა საქართველოში ევროპული კულტურისადმი ინტერესი იზრდება. ამას დიდად შეუწყო ხელი კათოლიკე მისიონერების მიმოსვლამ და მოღვაწეობამ; მათ ევროპული წიგნები, ხატები, სურათები და სხვა ნივთები ჩამოჰქმნდათ. ცნობილია, რომ ზოგიერთი მისიონერი (არქანჯელო ლამბერტი, ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი, კრისტოფორო დე კასტელი) ხატავდა კიდეც⁴⁰. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ის არის, რომ საქართველო, თუ შეიძლება ითქვას, ევროპული სიახლის მიღებისთვის მზად აღმოჩნდა⁴¹; საზოგადოების მაღალ წრეებს, ერთი შეხედვით, მისთვის თითქოს უცხო, „ახალი ხელოვნება“ იზიდავდა. ამ მხრივ, განსაკუთრებით ლევან II დადიანი (1611–1657) გამოირჩეოდა. არქანჯელო ლამბერტის ცნობით მის კარზე იტალიაში ნასწავლი მხატვარიც იყო⁴². ცნობილია, რომ ლევან დადიანმა სამეგრელოში მყოფ ევროპელ მისიონერებს არაერთი სურათი დაახატვინა. დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი გვამცნობს, რომ დადიანმა „დონ არქანჯელოს უბრძანა სურათი დაეხატა იტალიურ ყაიდაზე“⁴³, რომელიც დედოფალსაც ძალიან მოეწონა და მან ბრძანა, რომ განზრახული აქვს არქანჯელო ლამბერტის ეკლესია მოახატვინოს.⁴⁴ რამდენიმე წლის შემდეგ, სამეგრელოში მყოფ დონ კრისტოფორო დე კასტელის-თვის ლევან II დადიანს ზუგდიდის მთავარ ეკლესიაში ერთი უცნაური ფრესკის შესრულება უთხოვია⁴⁵. აი, რას წერს კრისტოფორო კასტელი ამ მოხატულობის შესახებ: „...[ლევან დადიანმა] მომახატვინა ზუგდიდის მთავარი ეკლესია,

39 Преображенский, Русские живописцы, 199.

40 კასტელის მხატვრული მემკვიდრეობის შესახებ იხ. ჩიხლაძე მ., კათოლიკე მისიონერთა რეზიდენციები, 29–73; სხირტლაძე, ჩიხლაძე მ., დასავლეთევროპული მხატვრული სტილი, 127–164; კასტელი, ცნობები.

41 ჯანჯალია, ტრადიცია და სიახლე, 156–169.

42 ლამბერტი, სამეგრელოს აღნერა, 41.

43 ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი, წერილები, 38.

44 იქვე, 41.

45 ზ. სხირტლაძის და მ. ჩიხლაძის აზრით ზუგდიდის მთავარ ეკლესიაში ვლაქერნის ღმრთისმ-შობლის სახელობის სამეგრელოს მთავრის კარის ეკლესია უნდა იგულისხმებოდეს, რომელიც დღესდღეობით აღარ არსებობს. მის ადგილას 1825–1830 წლებში აგებული ეკლესია დგას (სხირტლაძე, ჩიხლაძე მ., დასავლეთევროპული მხატვრული სტილი, 138, 140).

და გამომასახვინა მისი თანამეცხედრის, დედოფლის დაუძლურების ისტორია და გარდაცვალება, კედელზე, ფრესკად. ეს იყო ადამიანთა ალ ნატურალეთი გადმოცემული ისტორია დედოფლის უძლურებისა და გარდაცვალებისა, სადაც ასახული იყო მთავარი და მეუღლე იგი მჯმუნვარე, გარემოცული ქალებით, ექი-მებით, და ჩვენი მამები წამლებით ხელში, რაიც იმ მხარეთა ბერძენ მხატვართა თქმით, ძალიან კარგი გამოვიდა, რომლებიც ყურადღებით აკვირდებოდნენ ჩვენს, რომაულ მხატვრობას, რადგან ბერძენთა ნახატები მშრალი, უსულო და უსიცოცხლოა; იმავე მხატვრებმა დიდად შემაქვეს, და თქვეს, რომ აღმოსავლეთში არ მოიძებნებოდა ჩემებრი მხატვარი, და რომ მე პირველი ვიყავი ასე დახელოვნებული ფუნჯის ხმარებასა და მხატვრობაში, და რომ მთავარს უნდა ებოდა ჩემთვის ყოველი, რასაც მოვისურვებდი, რათა გული ჩემი მოენადირებინა, და რათა მხატვრობით შემემკო ქვეყანა მისი⁴⁶.

აშკარაა რომ, სწორედ ასეთი, ალ ნატურალეთი ანუ ილუზიორულად შესრულებული გამოსახულებანი ხიბლავდა ლევან II დადიანს და საფიქრალია, რომ არა მხოლოდ მას, არამედ ბევრ მის თანამედროვესაც. კასტელი წერს, რომ მთავარი ყველა სტუმარს აჩვენებდა ამ ფრესკას. არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ ფრესკა ბერძენ მხატვრებსაც მოსწონებიათ. როგორც ამ რელაციიდან ვიგებთ, მათ ხოტბა შეუსხამთ კრისტოფორო კასტელისთვის, როგორც დახელოვნებული მხატვრისთვის, რომელიც „უსულო და უსიცოცხლო“ „ბერძენთა ნახატების“ ნაცვლად „რომაულ მხატვრობას“ ქმნიდა „ალ ნატურალები“. „ბერძენი მხატვრები“ ან „ბერძენთა ნახატები“ აქ არ უნდა გულისხმობს ეთნიკურ კუთვნილებას, არამედ – მართლმადიდებლურ ხელოვნებასა და მის შემქმნელ ოსტატებს.

ევროპული მხატვრობა მხოლოდ ლევან II დადიანს როდი ხიბლავდა. სანამ კრისტოფორო კასტელი სამეგრელოს ენვეოდა, იგი სხვა პატრებთან ერთად გურიაში იმყოფებოდა. დასავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა მალაქია II გურიელმა მათ თავის რეზიდენციასთან ახლოს მისცა ბინა და ხის ეკლესიაც აუშენა, რომელიც „პატრებმა შეამკეს მხატვრობით“.⁴⁷ აი რას წერს, ამის თაობაზე კრისტოფორო კასტელი: „... [მამია გურიელი] თავად გვეახლა არა ერთხელ სანახავად ჩვენი მესისა და ეკლესიისა, რომელიც მომეხატა, და განაცხადა დაუფარავად ბერძნების ნინაშე: ეს არ არის ჩვენი მიწებიდან გასაშვები კაცი, რადგან მისებრი აქ არავინ არის და უბრძანა თავის ხალხს, ნაელოთ ჩვენი ყველა ნივთი და აეღოთ ნაწილებად ეკლესია, რომელიც ხისგან იყო, და დაადგმევინა იგი თავისი სასახლის ნინ... ყველა ეკლესიის სანახავად მიჰყავდა, რო-

46 იქვე.

47 თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა, 154.

მელიც მათი, ბერძენთა, ნმინდანებით მომეხატა, რათა მეჩვენებინა თანაცხოვრება მათთვის, და მათთან ერთად ფეხზე მდგომი მოხუცი, სამოცდაათ წელს მიახლოებული, იდგა საკურთხეველთან და აკვირდებოდა ყოველივეს დიდი ყურადღებით, ესწრებოდა და ქებას ასხამდა”⁴⁸. ამ ჩანანერიდან ნათლად ჩანს მამია გურიელის დამოკიდებულება ამ ახლებური მხატვრობის მიმართ.

ცნობილია, რომ დონ კრისტოფორო დე კასტელი საგანგებოდ მიიწვია თავისთან იმერეთის მეფე ალექსანდრე III-მ, დიდი პატივით მიიღო იგი და მისი ნამუშევრებითაც ძლიერ მოიხიბლა: „რადგან პატრი კასტელიმ მხატვრობა იცოდა, მეფემ რამდენიმე ნმინდანის ხატი დაახატვინა. რაკი ძლიერ მოეწონა, კვალად სთხოვა თავისი და დედოფლის სახის გადახატვაც, რის გამო მეფე დიდად კმაყოფილი დარჩა“⁴⁹.

რუსი ელჩების მუხლობრივი აღწერილობები და ევროპელ მისიონერთა ჩანანერები, ნერილები თუ რელაციები, რა თქმა უნდა, სრულიად სხვადასხვა ხასიათისაა; მაგრამ ჩვენთვის საინტერესო საკითხთან, მხატვრებთან დაკავშირებით ერთი საერთო მომენტი იქცევს ყურადღებას. როგორც კახეთის მეფეების, ისე ლევან დადიანის შემთხვევაში არაერთხელ მეორდება, რომ ისინი მხატვრების ნაკლებობას განიცდიდნენ და ცდილობდნენ მოეზიდათ უცხოელი ოსტატები. ამას გარდა, მათ, უთუოდ, რაღაც სიახლის შემოტანაც სურდათ. მეორე მხრივ, რუსეთის ელჩობის დოკუმენტებსა და ევროპელ მისიონერთა ნაწერებში არსებითი სხვაობაც არის. პირველ შემთხვევაში არ ჩანს კახთა მეფეების დამოკიდებულება მოსკოველი მხატვრების, მათი ნაღვანის მიმართ, მაშინ როცა კასტელისა და ჯუდიჩე მილანელის ჩანანერებში ლევან დადიანი, გურიელი თუ იმერეთის მეფე ალექსანდრე III მოხიბლულები არიან მათი ხელოვნებით. XVIII საუკუნის დასაწყისიდან ევროპული მხატვრობისადმი ინტერესი კიდევ უფრო იზრდება⁵⁰.

უნდა აღინიშნოს, რომ წინარე ხანასთან შედარებით, XVIII საუკუნის სიგელ-გუჯრებში მხატვართა შესახებ ცნობებიც უფრო მეტია. ამ პერიოდის მხატვართა თაობაზე ძვირფას ცნობებს გვაწვდიან XIX ს. და XX საუკუნის დასაწყისის ავტორებიც.

48 სხირტლაძე, ჩიხლაძე მ., დასავლეთევრობული მხატვრული სტილი, 135. ავტორთა აზრით ძნელი სათქმელია იყო ეს ფრესკები თუ ხატები. კასტელს რომ ხატებიც ჰქონდა დახატული ეს მის რელაციებშიც ამკარავდება, სადაც წმ. ნიკოლოზის, წმ. იოანე ნათლისმცემლის, ღმრთის-მშობლისა და იესოს “ალ ნატურალეთი” შესრულებული ხატებია ნახსენები.

49 თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა, გვ. 216.

50 ჯანჯალია, ტრადიცია და სიახლე, 169.



სურ. 1. ერთაწმინდის ნმ. ევსტატეს ტაძარი. აღმოსავლეთი კედელი.

ნმ. ევსტატეს ოჯახის წამება. 1654 წ.

Ertatsminda. Church of Eustathius. East wall. Martyrdom of St. Eustathius's Family. 1654.



სურ. 2. ერთაწმინდის წმ. ევსტატეს ტაძარი. აღმოსავლეთი კედელი. წმ. გიორგი. 1654 წ.

Ertatsminda. Church of Eustathius. East Wall. St. George. 1654.



სურ. 3. წინარეხის მაღალაანთ ეკლესიის კანკელის მოხატულობა. დეტალი. 1680-იანი წნ.
Tsinarekhi. Maghalaant Eklesia. Chancel barrier. Murals. Detail. 1680s.



სურ. 4. ალავერდის ტაძარი. სამხრეთი აფსიდის მოხატულობა. დეტალი. XVI ს.

Alaverdi. Cathedral. South apse. Murals. 16th c.

მხატვრის საზოგადოებრივი გლობალურობა შუა საუკუნეების საქართველოში

ქართულ ისტორიულ წყაროებში შუა საუკუნეების მხატვართა, საზოგა-
დოდ, ოსტატთა საზოგადოებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობები არ მოგვე-
პოვება; დოკუმენტურად არაფერია ცნობილი არსებობდა თუ არა მხატვართა
შორის რამე სახის იერარქია; როგორი ურთიერთდამოკიდებულება ჰქონდათ
მომგებელსა და მხატვარს; არ გვაქვს ცნობები მათი საქმიანი თანამშრომლობის
თაობაზე, რა კრიტერიუმებით ირჩევდა დამკვეთი მხატვარს, რამდენად აფასებ-
და მის შრომასა თუ მის მიერ შექმნილ ნაწარმოებს, რა კონკრეტულ დავალებას
აძლევდა მას, ან რა ვალდებულებებს იღებდა დამკვეთი და მხატვარი და სხვა.
ამ მხრივ არც ბიზანტიური მასალაა მდიდარი, თუმცა იქ მაინც მეტი ცნობაა შე-
მონახული, თუნდაც გვიანბიზანტიური და პოსტბიზანტიური ხანის მხატვართა
და დამკვეთთა ხელშეკრულებები და სხვა¹. ინფორმაციისა და ფაქტობრივი მა-
სალის ნაკლებობის გამო ამ საკითხებზე მსჯელობა არაპირდაპირი მონაცემით
გვიწევს. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია მხატვრის სახელის შემცველი წარწერებიც.

შუა საუკუნეების ხუროთმოძღვართა საზოგადოებრივ მდგომარეობასთან
დაკავშირებით მეცნიერები სამართლიანად შენიშნავენ, რომ ეს საკითხი ჯერ
კიდევ საკვლევია², თუმცა ეს ერთნაირად ეხება ყველა დარგის ოსტატს და, მათ
შორის, მხატვრებსაც.

მხატვრის ხელობა შუა საუკუნეებში, რა თქმა უნდა, დამოუკიდებელი პრო-
ფესია იყო. ავგაროზ ბანდაისძე (XIV ს.) ლარგვისის პარაკლიტონის მინაწერ-
ში თავის ათ ხელობას ჩამოთვლის, რომელთა შორის მხატვრის პროფესიასაც
ასახელებს: წყალობითა ღმრთისათა მომეცა თვინიერ მოძღურისა წელოვნებად
ესევითარი: პირველად წელი – სწავავ ხუცობისაა, წელი მეორე – მწიგნობრობი-

1 მაგალითად, კრეტელი მხატვრებისა და მათი დამკვეთების ხელშეკრულებები, Vassilaki, The Painter Angelos, მისიერვა, Vassilaki, Looking at Icons.

2 თუმანიშვილი, ნაცვლიშვილი, ხოშტარია, მშენებელი ოსტატები, 67.

საა, წელი მესამე – ნერავ ხუცურისაა, წელი მეოთხე – შექმნავ ეტრატისაა, წელი მეხუთე – შეკრვავ ნიგნისაა, წელი მეექუსე – მხატვრობისაა, წელი მეშვდე – მკერ-ვლობისაა, წელი მერვე – ტყავის კერვისაა, წელი მეცხრე – ხუროვნობისაა, წელი მეათე – ყოვლისავე მსოფლიოსა მუშაობისაა (A 575, 155r)³. საყურადღებოა, რომ ავგაროზი ერთდროულად რამდენიმე ხელობას ფლობდა. ასეთი მრავალ-პროფილიანი ოსტატები, უთუოდ, სხვებიც იქნებოდნენ. როგორც ჩანს, მათ რიცხვს მიეკუთვნებოდა ავგაროზის შვილი გრიგოლიც, რომელსაც მხატვრის ხელობა, ალბათ, მამისგან ჰონდა შესწავლილი. იმავე ლარვგისის ტაძრის კარიბჭეც მოხა-ტა და დაზიანებული ხატებიც აღადგინა⁴.

მხატვრის საზოგადოებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებით უაღრესად მნიშვნელოვანია იფრარის (1096), ლაგურკისა (1111) და ნაკიფარის (1130) მო-ხატულობათა საქატიტორო წარწერები, რომლებშიც თევდორე მეფის მხატვრად არის დასახელებული. ისტორიულ დოკუმენტებში შუა საუკუნეების საქართვე-ლობში მეფის მხატვრის ინსტიტუტის, ან ასეთი წოდების არსებობა არ დასტურ-დება, მაგრამ თევდორეს მოხატულობათა წარწერები ამ ვარაუდის გამოთქმის უფლებას მაინც იძლევა, ყოველ შემთხვევაში, მისი მოღვაწეობის პერიოდში (1096-1130), რომელიც დავით IV აღმაშენებლისა (1089-1125) და დემეტრე I-ის (1125-1156) ზეობის ხანას ემთხვევა, ასეთი თანამდებობა/წოდება საქართვე-ლობში, უთუოდ, არსებობდა, წინააღმდეგ შემთხვევაში თევდორე წარწერებში არ/ვერ იტყოდა მეფის მხატვარი ვარო.

ზარზმის ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის ერთ-ერთ წარწერაში „მხატ-ვართუხუცესი“ იკითხება, კერძოდ, სარგის II ჯაყელის (1308-1334) პორტრე-ტის ზედნერილი იუნკება: „სამცხის სპასალარი სარგილ და მხატუართ უხუ-ცეს“ (სურ. 1, 2). „მხატვართუხუცესი“ ისტორიულ წყაროებში არ გვხვდება. თავის მხრივ, ზარზმის წარწერა კითხვებს წამოჭრის: რამდენად გვაძლევს ის მტკიცე ვარაუდის საფუძველს, რომ სარგის II, სამცხის ათაბაგი და სპასალა-რი, მხატვართუხუცესობასაც ითავსებდა და, რომ შუა საუკუნეების საქართვე-ლობში ასეთი თანამდებობა არსებობდა. საქმე ის არის, რომ ზარზმაში ჯაყელ-თა დროინდელი მხატვრობა (XIV ს.), ფაქტობრივად, არ შემორჩა. დღევანდელი

3 ქართულ ხელნაწერთა აღნერილობა, A-II₂, 190; ბერიძე, ძველი ქართველი ოსტატები, 14-17.

4 ხელნაწერს (A 575) გრიგოლის მინაწერი აკლია, მაგრამ ის მ. ბროსესა და თ. ჟორდანიას ნაშ-რომებიდან არის ცნობილი, ქართულ ხელნაწერთა აღნერილობა, A-II₂, 189; ჟორდანია, ქრო-ნიკები, II, 204-205; ბერიძე, ძველი ქართველი ოსტატები, 16-17. ლარვგისის მოხატულობა არ არის შემორჩენილი. ჩხარის ნმ. გიორგის ეკლესიის ძლიერ დაზიანებულ ფერწერული წარწერ-იდან (XVI ს.) ისე ჩანს, რომ ეკლესია კალატოზმა გრიგოლმა მოხატა: „...გრიგ[ოლ კალა] ზოგიერთი დახ[ატა]...“ (№31).

მოხატულობა, არსებითად, XVI საუკუნეშია შესრულებული, მისი ცალკეული ნაწილები კი XX საუკუნის დასაწყისშია განახლებულ-გაცხოველებული⁵. ზარზ-მის თავდაპირველი მოხატულობა ჯაყელთა პორტრეტებს, ალბათ, შეიცავდა, მაგრამ ჩვენ არ ვიცით რა მდგომარეობაში დახვდა ისინი XVI საუკუნის მხატ-ვარს და რა და როგორ გაიმეორა მან, ან რა ცვლილება განიცადა ფერწერამ XX საუკუნის დასაწყისში ჩატარებული სარესტავრაციო სამუშაოს დროს. ამიტომ დაბეჭითებით ვერ ვიტყვით, რომ თავდაპირველ მოხატულობაში სარგის II-ის პორტრეტის გვერდით „მხატვართუხუცესი“ ენერა და, შესაბამისად, ვერც იმას დავიჩიებთ, რომ მას ეს თანამდებობა ეკავა. ჩვენი ვარაუდით, სარგის II-ის თანმხლებ წარწერაში მოხატულობის განახლების დროს შეცდომა „გაიპარა“⁶ – „მხატვართუხუცესი“ „მანდატურთუხუცესი“⁷ ნაცვლად დაწერეს. ეს თანამდე-ბობა კი ანჩის ხატის წარწერის თანახმად სარგის II-ს ნამდვილად ეკავა⁷ და არ არის გამორიცხული, რომ, თავის დროზე, მის პორტრეტისაც ზარზმაში „მანდა-ტურთუხუცესი“ ახლდა. რაც შეეხება მხატვართუხუცესის თანამდებობას, ვფი-ქრობთ, ის, ყოველ შემთხვევაში, გვიან შუა საუკუნეებში მაინც საქართველოში არსებობდა. ზარზმის მხატვარ-რესტავრატორი ვერ დაუშვებდა ასეთ შეცდო-მას, ვერ დაწერდა „მხატვართუხუცესს“ მისთვის რომ ის უცხო ყოფილიყო.

ზარზმის „მხატვართუხუცესი“ შორეულ, მისგან დროით დიდად დაშორე-

5 ზარზმის მოხატულობის დათარილებასთან დაკავშირებით სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. ჩვენ ვიზიარებთ მ. ჯანჯალიას თარიღს, ჯანჯალია, ზარზმის მოხატულობის თარიღისთვის, 63–91. ზარზმის პორტრეტების შესახებ, იხ. მიქელაძე, ჯაყელთა პორტრეტები, 236–240.

6 ექ. თაყაიშვილის ვარაუდით, წარწერაში შეცდომაა დაშვებული — „მხატვართუხუცეს“-ის ნა-ცვლად „მსახურთუხუცესი“ უნდა ყოფილიყო (AEP3, I, 47–48, შენ. 1). შ. მესხიას და გ. ხუციშვილის შეხედულებით, წარწერაში შეცდომა არ არის „გაპარული“ და სარგის II მხატვართუხუ-ცესიც იყო (მესხია, საისტორიო ძიებაზი, I, 147–149; ხუციშვილი გ., საფარის კედლის მხატვრობა, 123–124). ალსანიშნავია, რომ გ. ხუციშვილი ცნობით, შ. მესხიას აეჭვებდა სარგის II-ის მხატვარ-თუხუცესობა და ის მოხატულობის რესტავრაციის დროს დაშვებულ შეცდომად მიაჩნდა, რისი გარკვევაც მას „არ დასცალდა“ (ხუციშვილი გ., დასახ. ნაშრ., გვ. 123). სავარაუდოდ, მესხიამ ეს მოსაზრება ზეპირი საუბრის დროს გამოთქვა, რადგან ჩვენს მიერ დამოწმებულ თავის ნაშრომში ის საპირისპიროს ნერს (მესხია, დასახ. ნაშრ., 147–149). ხუციშვილს კი მესხიას გამოქვეყნებული მოსაზრება რატომძაც გამორჩა. სამწუხაროდ, თავის დროზე, ჩვენ დავეყრდენით ხუციშვილის ცნობას და მესხიას შეხედულება გამოგვრჩა (მიქელაძე, ჯაყელთა პორტრეტები, 239–240, შენ. 78). ვ. ბერიძის მოსაზრებით, მიუხედავად იმისა, რომ სიტყვა „მხატვართუხუცეს“ სარგის II-ის გა-მოსახულებას ახლავს, ის ყუარყუარა ჯაყელს უნდა ეკუთვნოდეს, რომელიც სარგისის უკან არის გამოსახული (ბერიძე, სამცხის ხუროთმოძღვრება, 125, შენ. 1). ვფიქრობთ, „მხატვართუხუცეს“ სარგის II-ს მიემართება, თუმცა ამას, ამჯერად, არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. ალსანიშნავია, რომ ზარზმის მოხატულობის წარწერებში არაერთი შეცდომაცაა (მაგალითად, „სარგილ“ სარგი-სის ნაცვლად, სიტყვას „მხატვართუხუცეს“ აკლია ბოლო „ი“ და სხვა), რასაც თავის დროზე ვ- ბერიძემ მიაქცია ყურადღება.

7 ანჩის ხატის წარწერა იხ., ამირანაშვილი, ბექა ოპიზარი, 9–10.

ბულ იბერიის სამეფოში გვაბრუნებს. სამთავროს სამაროვანსა და მცხეთაში აღმოჩენილი სტელების (IV-V სს.) ბერძნულენოვანი წარწერები, რომელთაგან აქ ერთ-ერთს მოვიყვანთ, მხატვართუხუცესს შეიცავს: „ავრელიოს აქოლიოსი მხატვართუხუცესი და ხუროთმოძღვარი“...⁸; მაგრამ ეს წარწერები სხვა სი-ნამდვილეში, სხვა ისტორიულ გარემოშია შექმნილი და, ცხადია, მათ ზარზმის წარწერასთან ვერ დავაკავშირებთ. ამას გარდა, ბერძნული აρქიტოგრაფიც სიტყვა-სიტყვით მთავარ მხატვარს ნიშნავს, რაც თინათინ ყაუხებიშვილმა ქართულად გადმოიტანა როგორც მხატვართუხუცესი⁹ და შესაძლოა ის მხატვართუხუცე-სის როგორც მოხელის ზუსტი შესატყვისი არც არის. საყურადღებოა თ. ყაუხ-ებიშვილის შენიშვნა, რომ ტერმინი არქიტოგრაფიც ბერძნულ მწერლობაში წაკლე-ბად არის გავრცელებული, რაც იმას მონმობს, რომ „...ქართულ სინამდვილეს სჭირდებოდა ასეთი ტერმინი“¹⁰. ამ საკითხის კვლევა ჩვენ კომპეტენციას სცდება. აქ მხოლოდ იმას დავამატებთ, რომ რამდენადაც ჩვენთვისაა ცნობილი, ბიზანტიურ და პოსტბიზანტიურ ეპიგრაფიკაშიც ასეთი ტერმინი არ გვხვდება.

შემთხვევითი არ არის, რომ მცხეთის სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრის „ცხოველი სვეტის“ მხატვარმა გრიგოლ გულჯავარას შვილმა თავის წარწერაში (1678-1688) აღნიშნა მოქალაქე ვარო (№33, სურ. 2, 3). ამით მან თავის საზოგა-დოებრივ მდგომარეობასა და სოციალურ სტატუსს გაუსვა ხაზი, რადგან მო-ქალაქის წოდება გვიან შუა საუკუნეებში იმ თბილისელი ვაჭრებისა და ხელოს-ნების პრივილეგია იყო, რომელიც აქ უძრავ ქონებას ფლობდნენ და სახაზინო გადასახადს იხდიდნენ¹¹. გრიგოლი, როგორც ჩანს, გარკვეული შეძლების კაციც იყო. „მოქალაქეობა“ რომ საპატიო და მნიშვნელოვანი იყო XVIII საუკუნის ცნო-ბილი კალიგრაფისა და მხატვრის ალექსი მესხიშვილის ანდერძ-მინაწერებიდა-ნაც ჩანს. ალექსი ყველგან ხაზს უსვამს, რომ ის თბილისის „მოქალაქე ქმნილის“ მხატვრის გრიგოლის შვილია: „...ნერად ხელვყავ ტფილურთა მოქალაქე ქმნი-ლის ჭელოანის მხატვრის გრიგორ მღუდლის ძემან, დეკანოზამან ალექსიმ“ (H 1671, 321v, 1752 ნ.)¹². საგულისხმოა ისიც, რომ ალექსისთვის მხატვრის შვილო-ბაც საამაყო იყო; ის ყოველთვის საგანგებოდ აღნიშნავს „ჭელოან მხატვრის“ ძე ვარო (H 1666, 145r, H 1671, 321v, A 1093, S 4748, 214v).

8 ყაუხებიშვილი, საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი, 230, 256.

9 იქვე, 230, 256.

10 იქვე, 30.

11 მეხია, საისტორიო ძებანი, II, 296-312.

12 ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, H- IV, 100. გრიგოლ მესხიშვილის შესახებ იხ.: კარბელაშ-ვილი, ძველი ანჩისხატის ტაძარი; გაჩეჩილაძე, ქართულ ხელნაწერთა ამაგდარნი; 32-40; მაჭავარ-იანი, გაჩეჩილაძე, ტატიშვილი, ხიზანიშვილი, ქართული ხელნაწერი წიგნის მომხატველ ოსტატთა შემოქმედება, 77-78.

ჩვენს მიერ მოხმობილი ფაქტები, ვფიქრობთ, საშუალებას იძლევა ვივა-რაუდოთ, რომ მხატვართა შორის გარკვეული იერარქია არსებობდა — ვიღაც მეფის მხატვარი იყო, ვიღაც მოქალაქე, რაც მათ სხვა რიგითი ოსტატებისგან განსხვავებულ საზოგადოებრივ მდგომარეობას განაპირობებდა. სავარაუდოდ, არსებობდა მხატვართუხუცესის თანამდებობაც. ცხადია, არ იყო აუცილებელი მხატვართუხუცესი თვითონაც მხატვარი ყოფილიყო¹³.

ჩვენ არ მოგვეპოვება ცნობები შუა საუკუნეების მხატვართა ამქრებისა თუ სახელოსნოების თაობაზე¹⁴. არც ეკლესის მომხატველ ოსტატთა შრომის ორგანიზების შესახებ გვაქვს ცნობები. ამ მხრივ, ყურადღებას იქცევს მაცხ-ვარიშის მოხატულობაში (1140) კვირიკე მამასახლისის წარწერა, რომლის თა-ნახმადაც ის ეკლესის მოხატვის ზედამდგომი იყო¹⁵, მაგრამ ჩვენ დაზუსტებით არ ვიცით რა შედიოდა მის მოვალეობებში. ოშეის ტაძრის ცნობილი წარწერის მიხედვით ზედამდგომლად დასახელებული გრიგოლის საქმიანობა სამშენებლო სამუშაოს გაძლოლას, გასამრჯელოს გადახდას და მასალით უზრუნველყოფას გულისხმობდა¹⁶. მაცხვარიშში ცოტა სხვაგვარად არის საქმე — კვირიკე მამა-სახლისი, როგორც ჩანს, ამავდროულად მოხატულობის ერთ-ერთი მომგებე-ლიც, „მეორადი ქტიოტორიც“ იყო¹⁷ და ძნელი სათქმელია, ასრულებდა თუ არა ის იმ საქმეს, რომელსაც ოშეის გრიგოლი, მაგრამ ცხადი ისაა, რომ კვირიკემ, მართლაც „დიდი მოიჭირვა“ ეკლესის მხატვრობით შემკობისთვის და ამიტო-მაც სთხოვს ეკლესის მომავალ მამასახლისებს:„კვამლისგან შევკრძალეთ ხატული რომელ ფერი არ დაკალოს“... კვირიკესთან დაკავშირებით მხედველო-ბიდან არ უნდა გამოგვრჩეს, რომ ის სასულიერო პირი იყო (პორტრეტზე სამო-ნაზვონ კაბითაა წარმოდგენილი (სურ. 4), ეკლესის მამასახლისი და, შესაძლოა, ის ეკლესის მოხატვასაც ხელმძღვანელობდა და მოხატულობის კონცეფციის შექმნაშიც მონაწილეობდა.

როგორც ცნობილია, შუა საუკუნეებში ეკლესის მომხატველნი, ისევე რო-გორც სხვა დარგის ოსტატები სასულიერო პირებიც იყვნენ და ერისკაცნიც. როცა წარწერა ამასთან დაკავშირებულ ინფორმაციას არ შეიცავს ძნელია მხა-ტვარი რომელიმე წრეს მიაკუთვნო, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში ვარაუდის გამოთქმა მაინცაა შესაძლებელი, მაგალითად, საბერებების მხატვრები, უთუოდ,

13 მეხია, საისტორიო ძიებანი, I, 147-148.

14 ოსტატთა გაერთიანებებზე, სახელოსნოებსა, თუ ამქრებზე ინფორმაცია მხოლოდ XVII-XVIII საუკუნეების დოკუმენტებში დასტურდება, თუმცა ვარაუდობენ, რომ საქართველოში ოსტატთა გაერთიანებები X-XI სს-შე წარმოიშვა, მეხია, საისტორიო ძიებანი, I, 507-532.

15 სილოგავა, სვანეთის წერილობითი ძეგლები, II, 77-78, N 15.

16 თუმანიშვილი, ნაცვლიშვილი, ხოშტარია, მშენებელი ოსტატები, 63; ჯობაძე, ადრეული შუა საუკუნეების ქართული მონასტრები, 156-157.

17 იხ. აქვე, მიქელაძე, შუა საუკუნეების მხატვართა წარწერები, შენ. 24.

ადგილობრივი ბერები იყვნენ; ძნელია არ ივარაუდო, რომ მონაზონი იყო დემეტრე, ბეთანიის მხატვარი, რასაც განსაკუთრებით მისი ერთ-ერთი წარწერა (№12, ბ) გვაფიქრებინებს; შესაძლოა ბერი იყო უბისის მხატვარი გერასიმეც¹⁸. როგორც ჩანს ერისკაცები იყვნენ მეფის მხატვარი თევდორე, მიქაელ მალლაკელი, გიორგი ჯოხტობერიძე და სხვა. XVI-XVII საუკუნეების კედლის მხატვრობის წარწერები მოწმობს, რომ მხატვრის პროფესიას მაღალი რანგის სასულიერო პირებიც ფლობდნენ: ეპისკოპოსი (სამთავისი), მონასტრის წინამძღვარი (ერთაწმინდა), პროტოსინგელოზი (გრემი).

ჩვენთვის უცნობია როგორი იყო მხატვრის სამუშაოს საფასური შუა საუკუნეებში, არადა ეკონომიკური მდგომარეობა, რა თქმა უნდა, გარკვეულწილად მაინც განსაზღვრავდა მის სოციალურ სტატუსს. გვიანბიზანტიური ხანის ბიზანტიის ურბანულ ცენტრებში მხატვართა სოციალური სტატუსის ამაღლების ტენდენციას საზოგადოების ახლებურ დიფერენცირებასთან აკავშირებენ, რომელიც ფინანსურ კრიტერიუმს ემყარებოდა. ხილანდარის მონასტრის 1304 წლის აქტებიდან ირკვევა, რომ ყველაზე პატივსაცემ მხატვრად წოდებული მიქაელ პროელეუსი საკმაოდ შეძლებული კაცი ყოფილა – თესალონიკის მახლობლად მიწებსა და სახლს ფლობდა და ლვთისმშობლის ეკლესიის ქტიორიც იყო¹⁹; მხატვარი გიორგი კალიერგისი კი ნასყიდობის დოკუმენტში (1322) მოწმედ ჩნდება²⁰. საქართველოში გარკვეული შეძლების მხატვრებად შეიძლება მივიჩნიოთ XVII საუკუნის მხატვრები – გრიგოლ გულჯავარასშვილი, რომლის შესახებაც ზემოთ უკვე ითქვა და მაღალაანთ ეკლესიის კანკელის ბერძენი მხატვარი აპოსტოლე, რომელსაც მცხეთაში ორი სახლი ჰქონდა²¹. შეიძლება დაუშვათ ისიც, რომ თევდორეს, როგორც მეფის მხატვრის შრომის ანაზღაურებაც უფრო მაღალი იყო, ვიდრე რიგითი მხატვრისა, ისევე როგორც კონსტანტინოპოლიდან საგანგებოდ ჩამოყვანილი მანუელ ევგენიკოსისა.

როგორც ცნობილია, შუა საუკუნეებში საქტიორო საქმიანობას, იქნება ეს აღმშენებლობა, ტაძართა მოხატვა და სხვა საზოგადოების უმაღლესი საერო და სასულიერო წრე – ხელმწიფები, დიდმოხელენი, არისტოკრატია და ლვთისმსახურნი წარმართავდნენ. ასე იყო ეს შუა საუკუნეების საქართველოშიც, საზოგადოდ, ქრისტიანულ აღმოსავლეთში და დასავლეთ საქრისტიანოშიც²². თუმცა მომგებლებად ხშირად რიგითი მოსახლეობა, თემი ან სოფელი, ზოგჯერ

18 თუმანიშვილი, ნაცვლიშვილი, ხოშტარია, მშენებელი ოსტატები, 80.

19 ბაბიქ, Михаило Проелевсис; Kalopossi-Vreti, Painters, 150.

20 Kalopossi-Vreti, Painters, 150; Tsigaridas, L'activité artistique.

21 ქართული სამართლის ძეგლები, III, 806.

22 თუმანიშვილი, ნაცვლიშვილი, ხოშტარია, მშენებელი ოსტატები, 52.

უბრალო გლეხებიც გვევლინებიან. ასე რომ, შუა საუკუნეების ხელოვნების მომგებელთა სოციალური წრე საკმაოდ ფართო იყო. შესაბამისად მხატვრებ-საც საზოგადოების სხვადასხვა ფენის დამკვეთებთან უნდევდათ მუშაობა.

მხატვართაგან განსხვავებით, ქტიტორთა შესახებ საკმაო ინფორმაცია გვაქვს. ბევრი მათგანი ნარატიული წყაროებიდან და სხვა წერილობითი დოკუ-მენტებიდან კარგად არის ცნობილი. მაგრამ ეს ცნობები, ძირითადად მათ პო-ლიტიკურსა თუ საზოგადოებრივ ცხოვრებას ეხება; საქტიტორო მოღვაწეო-ბასთან დაკავშირებული ინფორმაცია კი, ჩვეულებრივ, ზოგადი ხასიათისაა და მომგებლის ნაღვანის წარმოჩენას ემსახურება. ამა თუ იმ პირის საქტიტორო საქმიანობაზე, მის მასშტაბსა და რაგვარობაზე წარმოდგენას ეპიგრაფიკა, ქტიტორთა პორტრეტები და საკუთრივ ძეგლები, ჩვენს შემთხვევაში, კედლის მხატვრობაც გვიქმნის. რა თქმა უნდა, წარწერები მომგებლებზე უფრო მეტ ინფორმაციასაც შეიცავს (სახელის გარდა აღნიშნულია მათი საზოგადოებრი-ვი მდგომარეობა, რეგალიები, მათგან ეკლესიისთვის გაღებული დონაცია და სხვა) ვიდრე მხატვრებზე.

ქტიტორი, ცხადია, ყოველთვის არ არის ცნობილი. ასე მაგალითად, უც-ნობია საბერეების სამონასტრო კომპლექსის კედლის მხატვრობის (IX-X სს.) მომგებელთა ვინაობა. ქტიტორის პორტრეტი VIII ეკლესიის სამხრეთი ეგვტე-რის მოხატულობაში ივარაუდება. სასულიერო პირის გამოსახულების იდენ-ტიფიცირება დაზიანების გამო ვერ ხერხდება, მაგრამ მას ამ ეგვტერისა და VIII ეკლესიის მოხატულობის მომგებლად მიიჩნევენ²³. თუ პორტრეტზე მართლაც ისტორიული პირია წარმოდგენილი, მაშინ საფიქრებელია, რომ ის ადგილობრი-ვი ბერია, რომელიც VIII ეკლესიის მხატვრის, „მწერლის“ დამკვეთი იყო, ან სუ-ლაც თავადვე იყო მომხატველიც. საზოგადოდ, საფიქრებელია, რომ საბერეე-ბის ეკლესიებს მონასტრის საძმო თავად ამკობდა ფერწერით.

არაერთი შემთხვევა შეიძლება გავიხსენოთ, როცა ქტიტორის შესახებ მისი სახელის გარდა არაფერი ვიცით, რაც ბევრს ვერაფერს მატებს ჩვენს ცოდნას მის შესახებ. მაგალითად, უცნობია ვინ იყო ან რას წარმოადგენდა ნეზგუნის მაცხოვრის ეკლესიის საკურთხევლის აფსიდის მოხატულობის (X ს.) მომგებე-ლი ბეშქენი, ან მხერის მთავარანგელოზთა ეკლესიისა და მისი მოხატულობის ქტიტორი იველდიანი და მრავალი სხვა.

23 სხირტლაძე, საბერეების ფრესკული წარწერები, 127, 130–132, ნახ. 73; ვოლსკაია, გარეჯის ფერწერული სკოლის ისტორიისათვის, 29–30. ფიქრობენ, რომ საბერეების VI ეკლესიაში, ჩრდი-ლოეთი მელავის აღმოსავლეთ კედელზე ფრაგმენტულად შემორჩენილი მამაკაცის გამოსახულე-ბაც მოხატულობის მომგებელია, სხირტლაძე, საბერეების ფრესკული წარწერები, 39. მიგვაჩნია, რომ ეს გამოსახულება კიდევ საჭიროებს კვლევას.

საქტიტორო წარწერების თანახმად, მეფის მხატვარ თევდორეს სამივე მო-
ხატულობა კოლექტიურ დაკვეთას წარმოადგენს. ისინი ხევის აზნაურთა და
მოსახლეობის ინიციატივით შესრულდა. კოლექტიური ქტიტორობა არ არის
იშვიათი შუა საუკუნეებში²⁴. ჩვენ არ ვიცით რამ განაპირობა სვანეთის მცი-
რე ზომის ეკლესიათა მოხატვაში მთელი ხევის მოსახლეობის მონაწილეობა. ამ
გზით, ალბათ, სამუშაოს საფასური ნაწილდებოდა. ამავე დროს ეკლესიის
შემკობაში წვლილის შეტანით ადგილობრივ მოსახლეობას სულის მოხსენიების
იმედიც ეძლეოდა. მაგრამ თევდორეს წარწერები სხვა მხრივაა უფრო ყურად-
სალები, კერძოდ, რომ მეფის მხატვარი ქვეყნის ცენტრალური რეგიონებიდან
მოშორებით, ზემო სვანეთში ადგილობრივი აზნაურებისა და ხევის მოსახლეო-
ბის, რომელშიც, ცხადია, უბრალო გლეხებიც შედიოდნენ, დაკვეთებს ასრუ-
ლებდა²⁵. მიუხედავად იმისა, რომ თევდორეს მიერ განხორციელებულ სამეფო
დაკვეთებს ჩვენამდე არ მოუღწევია, ეჭვს არ იწვევს, რომ მას, როგორც მეფის
მხატვარს, მეფის კარზეც უმუშავია²⁶. გამოდის, რომ თევდორე სამეფო დაკვე-
თებსაც ასრულებდა და აზნაურებსა და თემსაც ემსახურებოდა. ნიშნავს თუ
არა ეს, რომ მეფის მხატვარს ნებისმიერი სოციალური ფენის დაკვეთა შეეძლო
შეესრულებინა, რომ ეს წოდება/თანამდებობა მას ხელს არ უშლიდა უბრალო
დამკვეთებთან ემუშავა, თუ გარემოებათა გამო აღმოჩნდა თევდორე სვანეთში.
ამ კითხვებზე პასუხი ჯერჯერობით არ გვაქვს²⁷.

24 კოლექტიური ქტიტორობის მაგალითები, იხ. თუმანიშვილი, ნაცვლიშვილი, ხოშტარია, მშენე-
ბელი ოსტატები, 41-51; სილოგავა, სვანეთის წერილობითი ძეგლები, II, 37-39.

25 ლაგურკისა და ნაკიფარის წარწერებში მომგებელი დიფერენცირებულნი არიან როგორც აზ-
ნაურები და ხევის მოსახლეობა („...ამის წევისა აზნაურთა და ყოველთა...“, „...აზნაურთა ამისა
წევისათა ყოველთა ერთობითა...“). იფრარის წარწერაში კი ნათქვამია: „...ამის წევისა ყოველთა,
დიდთა და მცირეთა...“, რაც ასევე სხვადასხვა სოციალურ ფენას – მაღალსა და დაბალს უნდა
გულისხმობდეს. კოლექტიური პატრონაჟის შემთხვევებში მომგებელთა ერთმანეთისგან გამი-
ჯვნა როგორც დიდი და მცირე ან პატარა პიზანტიური წრის ძეგლებში ხშირია, რაც მათ შორის
სოციალურ სხვაობას მიანიშნებს, Kalopissi-Verti, Church Foundation 336–337; კოლექტიური პატრო-
ნაჟის შესახე იხ. ასევე: Kalopissi-Verti, Collective Patterns, 125–140.

26 გამოთქმულია მოსაზრებები თედორეს მიერ შესრულებულ სხვა ნაწარმოებებზე, იხ. ბურ-
ჯულაძე, მონუმენტური და დაზგური მხატვრობის ურთიერთმიმართების საკითხისათვის, 122-
129; ოქროპირიძე, სეტიცხოვლის საკურთხევლის მოხატულობისთვის.

27 ზოგიერთი მეცნიერი მეფის მხატვრის ზემო სვანეთში მოღვაწეობასა და წარწერებში თევ-
დორეს ამ ტიტულით დასახელებას პოლიტიკურ ჭრილში განიხილავს და სვანეთში სამეფო ძა-
ლაუფლების განმტკიცების გამოხატულებად მიიჩნევს, აპრამიშვილი, კიდევ ერთხელ ატენის
სიონის, 18-19. ჩვენი აზრით, ამ ვარაუდისთვის საკმარისი მტკიცებულებები და არგუმენტები
არ გაგვაჩნია. გასათვალისწინებელია ისიც, რომ შუა საუკუნეების ზემო სვანეთის ისტორია და
მისი ურთიერთობა ცენტრალურ ხელისუფლებასთან ჯერაც არ არის სრულყოფილად შესწავლი-
ლი. იხ. ასევე, Chichinadze, “King’s”. ფიქრობენ, რომ თევდორე თანაქტიტორიც იყო, Chichinadze,
დასახ. ნაშრ., 33.

საგულისხმოა, რომ თევდორეს მეფის მხატვრობა საქტიტორო წარწერებშია აღნიშნული, რითაც მომგებელთა ამბიციაა გამოხატული; მათთვის, რა თქმა უნდა, საამაყო და იქნებ პატივიც იყო, რომ მათ დაკვეთას მეფის მხატვარი ასრულებდა. მეორე მხრივ, არც ისაა გამორიცხული, რომ თევდორეს თავისი სურვილითა და ინიციატივით ჩაეწერა თავისი წოდება/თანამდებობა; მეფის მხატვრობა ხომ მისთვისაც საპატიო იქნებოდა.

ბიზანტიური ხელოვნების მკვლევართა შორის დამკვიდრებულია მოსაზრება, რომ შუა საუკუნეებში მხატვრის სოციალური სტატუსი დაბალი იყო და, რომ ის უბრალო ხელოსანი იყო²⁸. ამის დასტურად ხშირად ეპარქოსის წიგნი (X ს.) მოჰყავთ, რომელშიც მხატვრები სხვა ხელოსნებთან (დურგალი, მლესავი, კალატოზი, ზეინკალი...) ერთად არიან დასახელებულნი²⁹. ეპარქოსის წიგნი, როგორც ცნობილია, კონსტანტინოპოლის ხელოსანთა გილდიებს ეხება, რომელშიც დამქირავებლისა და ოსტატის მოვალეობები და ვალდებულებებია განერილი³⁰ და მხატვრებისა და ხელოსნების ერთ ჩამონათვალში მოქცევა, ვფიქრობთ, არ უნდა იყოს მაინცდამაინც იმის მაჩვენებელი, რომ მხატვარი, ყოველ შემთხვევაში, ყველა მხატვარი რიგითი ხელოსანი იყო.

რა თქმა უნდა, შუა საუკუნეების იერარქიულ პრინციპზე დამყარებული საზოგადოებრივი წყობის გათვალისწინებით, მხატვარი და ხელოსანი ერთ ფენას განეკუთვნებოდა და მათი სოციალური სტატუსიც დაბალი იყო. მაგრამ, ვფიქრობთ, ყველა მხატვარი თანაბარ მდგომარეობაში არ უნდა ყოფილიყო; არც საზოგადოებას, პირველ რიგში, მათ დამკვეთებს ექნებოდათ ყველას მიმართ ერთნაირი დამოკიდებულება. მხატვრის დაბალი სოციალური სტატუსის შესახებ წარმოდგენა არ შეიძლება განზოგადდეს³¹. ძნელი წარმოსადგენია, მაგალითად, მეფის მხატვარსა და უბრალო დურგალს ერთნაირი სტატუსი ჰქონიდათ.

შუა საუკუნეებში ხელოვან-ოსტატებს პატივს რომ სცემდნენ ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურაში გაპნეული ცნობებიც მოწმობს. მაგალითად, წმ. სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრებაში“ ნათქვამია, რომ ზარზმის ეკლესიის ასაშენებლად „წელოვნებითა განთქმული“ კაცი მოიწვიეს, გიორგი მერჩულეს ცნობით კი ხანძთაში წმ. გიორგის „ახალი“ ეკლესია „ყოვლითა სიბრძნით“ განასრულა ხუროთმოძღვარმა ამონამ³². როგორც დ. თუმანიშვილი აღნიშნავს, „წმინდა

28 ამ საკითხს არაერთი მეცნიერებარი ეხება. დავასახელებთ რამდენიმეს: Kalopossi-Vreti, Painters, 150; მისივე, Painters' Information, 57; Gouma-Peterson, Manuel and John Phokas, 159–160.

29 Kalopossi-Vreti, Painters, 150; მისივე, Painters' Information, 57.

30 Koder (ed.), Das Eparchenbuch, 138–143.

31 Marković, Painters in the Late Byzantine World.

32 თუმანიშვილი, ნაცვლიშვილი, ხოშტარია, მშენებელი ოსტატები, 71.

ბერთა „ცხორებებში“ ასეთი განსაზღვრებების გაჩენა გარკვეულ, ფესვგადგმულ შეხედულება-შეფასების არსებობას უნდა მოწმობდეს³³. ოსტატის მიმართ დამოკიდებულებას კარგად წარმოაჩენს ანჩის სახარების მინაწერი, რომელშიც ბექა ოპიზარზე ნათქვამია: მოვაჭედინე ღმრთისა მიერ კურთხეულს, ღირსსა ოქროს მქანდაკებელსა ბექასა. მიუხედავად იმისა, რომ მხატვრებთან დაკავშირებით ასეთი ცნობები არ მოგვეპოვება, ვთიქრობთ, ოსტატის მიმართ დამოკიდებულება, ხელობის მიუხედავად მაინც მეტ-ნაკლებად საყოველთაო იქნებოდა და მის ღირსებებზე იყო დამოკიდებული. თუმცა, ჩვენი ვარაუდით, შუა საუკუნეებში ხუროთმოძღვარი, ისევე როგორც ხელნაწერი წიგნის მწერალი/გადამნუსხველი (შესაძლოა ოქრომჭედელიც) მხატვარზე მეტად პრივილეგირებული იყვნენ და არ არის გამორიცხული, რომ მათი სოციალური სტატუსიც უფრო მაღალი ყოფილიყო³⁴.

³³ იქვე, 71.

³⁴ ხუროთმოძღვრის საზოგადოებრივი მდგომარეობის შესახებ იხ. თუმანიშვილი, ნაცვლიშვილი, ხოშტარია, მშენებელი ოსტატები, 61-81. მშენებელ ოსტატთა მიმართ განსაკუთრებულ დამოკიდებულობას მოწმობს ისიც, რომ ქრისტიანული აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით საქართველოში ფართოდ გავრცელდა და საკმაოდ აღრეული ხანიდანაც (VI-VII სს) მათი ქანდაკოვანი გამოსახულებები; შემორჩენილია მშენებლის ფერწერული გამოსახულებაც (XV ს.) დავითგარეჯის ნათლისმცემლის მონასტრის ერთ-ერთ სამარტომყოფელოში (თუმანიშვილი, ნაცვლიშვილი, ხოშტარია, მშენებელი ოსტატები, 95-127). დიდი პატივით სარგებლობდნენ და განსაკუთრებული უფლებებიც ჰქონდათ მწერლებს, წიგნის გადამნუსხველებს (ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია; სურგულაძე, „მწერალი“, 113-129; მაჭავარიანი, წიგნის ხელნაწერა, მაჭავარიანი, გაჩეჩილაძე, ტატიშვილი, ხიზანიშვილი, ქართული ხელნაწერი წიგნის მომხატველ ოსტატთა შემოქმედება). ნერილობით წყაროებში ცნობები სამშენებლო საქმიანობასთან დაკავშირებითაც მოგვეპოვება და ხელნაწერი წიგნის შექმნის პროცესის თაობაზეც, მაშინ როცა, ეკლესიის მოხატვის პროცესის შესახებ ინფორმაცია არ გვაქვს. ნარატიულ წყაროებსა („ქართლის ცხოვრების“ საისტორიო თხზულებები) და საბუთებში ეკლესიის მოხატვის მხოლოდ მშრალ ფაქტს თუ გადაეყრები და ისიც არცთუ ხშირად. ჩვენი ვარაუდით, საქმე ის არის, რომ სამშენებლო სამუშაო რთულიცა და ხანგრძლივიც, მეტ ხარჯსაც ითხოვს. ქტიოტორისთვისაც, პირველყოვლისა, ტაძრის აშენებაა მნიშვნელოვანი და საპატიო. ეკლესიის მოხატვა, თუ შეიძლება ითქვას, მეორე რიგის საქმე იყო, „ყოველთა სამკაულთაგან“ ერთ-ერთი. ტაძარი თავის ფუნქციას მოხატულობის გარეშეც შეასრულებდა. მშენებლობასთან შედარებით ეკლესიის მოხატვა უფრო იოლი საქმეც იყო და ნაკლებ დროსა და ხარჯსაც ითხოვდა. ხელნაწერი წიგნი კოლექტიური შრომის (ეტრატის დამზადება, გადაწერა, მოხატვა, აკონძვა, შემოსვა...) ნაყოფი და მისი შექმნის პროცესი ხანგრძლივი და შრომატევადი იყო. ამ პროცესში მთავარ „როლს“ მწერალი ასრულებდა. უმთავრესი წიგნის გადაწერაა. მისი მხატვრული გაფორმება-დასურათება ტექსტის მორთულობაა, სასურველი, მაგრამ არა გარდაუვალად აუცილებელი. წიგნს სურათების გარეშეც აქვს ფუნქცია. შესაძლოა სწორედ ეს ფაქტორები განაპირობებდა ხუროთმოძღვრისა და მწერლის განსაკუთრებულ დაფასებას ძველ საქართველოში. მხატვრებთან შედარებით გაცილებით მეტი მშენებელი ოსტატის, მწერლისა და წიგნის მხატვარ-გამფორმებლის ვინაობაცაა ცნობილი (მშენებელ ოსტატთა ნუსხა იხ.: ვ. ბერიძე, ძველი ქართველი ხუროთმოძღვრები, მისივე, ძველი ქართველი ოსტატები; თუმანიშვილი, ნაცვლიშვილი, ხოშტარია, მშენებელი ოსტატები, 245-258; ხელნაწერთა მხატვარ-გამფორმებელთა ნუსხა იხ. მაჭავარიანი, გაჩეჩილაძე, ტატიშვილი, ხიზანიშვილი, ქართული ხელნაწერი წიგნის მომხატველ ოსტატთა).

ჩვენს ხელთ არსებული მწირი მონაცემებიც კი გვაფიქრებინებს, რომ მხატვრები თანაბარ მდგომარეობაში არ იყვნენ. მათ შორის იყო უბრალო ხელოსანიც და ხელოვანიც და დამკვეთებიც, უთუოდ, ასხვავებდნენ, შესაბამისად აღიქვამდნენ და აფასებდნენ მათ. ამ მხრივ მეტად საყურადღებო ინფორმაციას გვაწვდის ბიზანტიური წერილობითი წყაროებიცა და ეპიგრაფიკაც. თეოდორე პროდრომე XII საუკუნის მხატვრებს უულალიოსსა და ხენაროსს სახელგანთქმულ მხატვრებად მოიხსენიებს³⁵; ვერის მაცხოვრის სახელობის ტაძრის მოხატულობის (1314/1315) წარწერაში გიორგი კალიერგისი „თესალიის საუკეთესო“ მხატვრად არის წოდებული³⁶, მიქაელ პროელეუსს „ყველაზე პატივსაცემ მხატვარს“ უწოდებდნენ³⁷.

ქართულ ეპიგრაფიკასა თუ წერილობით წყაროებში მხატვართა ქებისა და ხოტბის შემთხვევები არ დასტურდება, მაგრამ ამის მიუხედავად, ეჭვს არ უნდა იწვევდეს, რომ, მაგალითად, თევდორეს, როგორც მეფის მხატვრისა და რიგითი ოსტატის საზოგადოებრივი მდგომერობა ერთნაირი არ იქნებოდა და მათ არც ერთნაირად აღიქვამდა დამკვეთიცა და საზოგადოებაც. ცხადია, მანუელ ევგენიკოსსაც არავინ მიიჩნევდა უბრალო ხელოსნად, თუნდაც იმიტომ, რომ ის საგანგებოდ ჩამოიყვანეს ბიზანტიის დედაქალაქიდან. მის მიმართ დამოკიდებულება წალენჯიხის ქართულენოვან წარწერებშიც გაცხადდა, სადაც მის სახელს ერთვის „კირ“ („კირმანუელ“). ბერძნული „კირ“ (κύρος, κύριος-ის შემოკლებული ფორმა) უფალს, ბატონს ნიშნავს³⁸. ბიზანტიაში ის მაღალი საზოგადოების, არისტოკრატიის მიმართ გამოიყენებოდა; მაგრამ „კირ“-ით, განსაკუთრებით გვიანბიზანტიურ ხანაში საშუალო და ზოგჯერ დაბალი ფენის წევრებსაც, მათ შორის, ცნობილ მხატვრებსაც მიმართავდნენ მათდამი პატივისცემის ნიშნად³⁹. წალენჯიხის შემთხვევაშიც „კირ“ კონსტანტინოპოლელი მხატვრის პატივისცემას გამოხატავს. მას აქ, ალბათ, ასე მიმართავდნენ. რა თქმა უნდა, პროტოსინგელოზ ზაქარიას, რომელმაც გრემში სამეფო დაკვეთა შეასრულა და ბობნევის ეკლესიის მხატვარ დანიელს მათი წარმომავლობა – თესალონიკელობა, მეტად-რე, ათონის მთის ბერმონაზვნობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა და, უთუოდ, მათ მიმართ პატივისცემასაც განაპირობებდა. ათონის მთიდან ჩამოსული ბერი *a priori* „ქარიზმით იყო მოსილი“. შემთხვევითი არ არის, რომ, მაგალითად, მხატვარი გიორგი მიტროფანოვიჩი (XVII ს.) წარწერებში ყოველთვის აღნიშნავდა, რომ მთაწმინდელი ბერია⁴⁰.

35 Mango, *The Art of the Byzantine Empire*, 229–230.

36 გიორგი კალიერგისის წარწერა ბევრგან არის გამოქვეყნებული. იხ. მაგ., Drpić, Epigram, 72–73.

37 Бабин, Михаило Проелевсис, 59–61.

38 Lampe (ed.), *A Patristic Greek Lexicon*, 788.

39 Κοντογιαννοπούλου, Η προστηγορία κυρ, 209–226; Drpić, Epigram, 47.

40 Тодић, Лични записи, 504–506.

ამდენად, ჩვენს მიერ დასახელებული მხატვრები სხვა მრავალთაგან გამორჩეული იყვნენ; მათი სოციალური სტატუსი უბრალო ოსტატთან შედარებით უფრო მაღალი იქნებოდა, რომელთაც არც ისეთი ეპითეტებით ამკობდნენ როგორც კალიერგისა თუ პროელეუსს და არც მანუელ ევგენიკოსის მსგავსად „კირ“-ით მიმართავდნენ; ცხადია, თევდორეს მეფის მხატვრის წოდება სხვა ოსტატებთან უპირატეს მდგომარეობაში აყენებდა, ისევე როგორც, გრიგოლ გულჯავარასშვილს მოქალაქეობა. წარწერებში ისეთი დეტალების აღნიშვნა როგორიცაა მაღალი სასულიერო წოდება. მეფის მხატვარი, მხატვარი მოქალაქე, წარმომავლობა მხატვრის იდენტობის თავისებური გამოხატულებაცაა, ის ამით სხვა ოსტატებისგან გამოირჩეოდა.

მხატვართა ერთ-ერთი დამკვეთი, როგორც ცნობილია, ეკლესია იყო. სასულიერო პირებს მხატვრის მიმართ არ შეიძლებოდა არ ჰქონოდა პატივისცემა თუნდაც იმიტომ, რომ ბევრმა მათგანმა კარგად იცოდა როგორ შრომასთან და გარჯასთან იყო დაკავშირებული ტაძრის მოხატვა, იცოდა, რადგან ხშირად თვითონვე ხატავდნენ ეკლესიებს.

სოფია კალოპისი-ვერტის მოსაზრებით, ბიზანტიაში საქტიტორო თუ მიძღვნით წარწერაში მხატვარი მაშინ სახელდებოდა, როცა ის თავად იყო მომგებელი ან, როცა დამკვეთისა და მხატვრის სოციალურ იერარქიაში მცირე ან სულაც არ იყო სხვაობა, ძირითადად პროვინციულ ეკლესიებში, სადაც მომგებელი თემი ან სოფლის მოსახლეობა იყო⁴¹; ის ფაქტი, რომ გვიანბიზანტიური ხანის წარჩინებულ ქტიტორთა დაკვეთით შესრულებულ მოხატულობათა წარწერებში მხატვრები არ მოიხსენებიან, მეცნიერის შეხედულებით დამკვეთსა და ოსტატს შორის სოციალური სხვაობითა და მხატვრის დაბალი სტატუსით აიხსნება⁴². ამ წესის გამონაკლის შემთხვევად კალოპისი-ვერტი ვერიის მაცხოვრის ეკლესიისა და წალენჯიხის წარწერებს ასახელებს და მიიჩნევს, რომ „თესალიის საუკეთესო მხატვრის“ გიორგი კალიერგისისა და კონსტანტინოპოლელი მანუელ ევგენიკოსის დასახელებით ქტიტორები ამაყობდნენ და თავის პრესტიჟს აამაღლებდნენ⁴³, რასაც ჩვენც ვიზიარებთ⁴⁴. მაგრამ წალენჯიხის მოხატულობა არ არის გამონაკლისი შემთხვევა შუა საუკუნეების საქართველოში. ქართული

41 Kalopissi-Verti, Painters, 145–146, 151; მისივე, Painters' Information, 57; მისივე, Dedicatory Inscriptions, 26.

42 Kalopissi-Verti, Painters, 145–146; მისივე, Painters' Information, 57. კალოპისი-ვერტის ეს მოსაზრება საკამათოდ მიაჩნია მ. ლიდოვას (Lidova, Manifestations of Authorship, 101, შენ. 35), რასაც ჩვენც ვიზიარებთ.

43 Kalopissi-Verti, Painters, 146–147; მისივე, Painters' Information, 65–66; იხ. ასევე: Тодић, Личн записи, 500; მისივე, Надписи, 205–206. კალიერგისის შესახებ იხ. ასევე: Tsigaridas, L'activité artistique; Drpić, Epigram, 72–75.

44 Mikeladze, Greek Painters, 183–184.

ხუროთმოძღვრება, კედლის მხატვრობა, საზოგადოდ, სახვითი ხელოვნება სხვა რეალობას წარმოაჩენს. ზოგ შემთხვევაში, ალბათ, მართლაც არ იყო დიდი სოციალური სხვაობა მხატვარსა და მოხატულობის მომგებელს შორის, მაგალითად, ნეზგუნში ქტიტორ ბეჭედისა და მხატვარ გიორგის, ან მხატვარ დავითსა და მომგებელ იველდიანს შორის მხერის ეკლესიაში, მაგრამ საპირისპირო შემთხვევებიც მრავლად გვაქვს. ოსტატს უმაღლესი საერო თუ საეკლესიო ხელისუფალნიც და სხვა წარჩინებული ქტიტორებიც ახსენებდნენ წარწერებში, ის მათი სახელის გვერდითაც სახელდებოდა და მათი დაკვეთით შექმნილ ნაწარმოებსაც „აწერდა ხელს“. ამის ადრეული (X-XI სს.) ნიმუშები მთელი რიგი წარწერებით დასტურდება, რომლებშიც ხუროთმოძღვრები და ოქრომჭედლები იხსენიებიან⁴⁵. კედლის მხატვრობამ უფრო გვიანი, XIV-XVII საუკუნეების ნიმუშები შემოინახა: გრემსა და ერთაწმინდაში მხატვრები საქტიტორო წარწერებში ლევან კახთა მეფესთან (1620-1674) და როსტომ (1633-1658) მეფესთან ერთად არიან დასახელებულნი. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ გელათის ლვთისმშობლის ტაძარში ბაგრატ III-ის ნებით შესრულებულ როგორც 1520-იანი, ისე 1550-იანი წლების მოხატულობებს ოთხი მხატვრის – თეოდორეს, სიმეონის, ტიმოთეოსისა და ელიას „ხელმოწერები“ ახლავთ. ტიმოთეოსისა და ბაგრატ III-ის წარწერები ერთმანეთის გვერდითაც არის მოთავსებული. მხატვართა „ხელმოწერები“ ახლავთ დიდმოხელეთა, ფეოდალთა (წალენჯიხაში ვამეყყ დადიანი (1384-1396), სამთავისში – გივი ამილახორი) და მაღალი იერარქიის სასულიერო პირთა (ბობნევში თბილისის ეპისკოპოსის იოსები /სააკაძე/, 1620-1688), მაღალანთ ეკლესიაში – მცხეთის ქადაგი ნიკოლოზ მაღალაძე, სვეტიცხოვლის ტაძარში („ცხოველი სვეტის“ მოხატულობა) – კათოლიკოსი ნიკოლოზი /ამილახორი/) დაკვეთით შესრულებულ მოხატულობებს. ასე რომ, შუა საუკუნეების საქართველოში მხატვრები საზოგადოების უმაღლესი წრის საქტიტორო წარწერებშიც სახელდებიან და ისინი მათ მიერ დაკვეთილ მოხატულობებსაც „აწერენ ხელს“.

რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ ქტიტორები მხატვრებს თავიანთ წარწერებში იშვიათად ახსენებენ, ეს იმდენად ამ უკანასკნელთა დაბალი სოციალური სტატუსით კი არ უნდა ყოფილიყო გაპირობებული, არამედ მომგებელი გინდ წარჩინებული, გინდ დაბალი ფენის წარმომადგენელი, მისი დასახელების აუცილებლობას ვერ ხედავდა. ქტიტორისთვის მთავარი უფლისა და ეკლესიისთვის დონაციის გაღება იყო, ხოლო ვისი ხელით განხორციელდებოდა ეს – მეორეხა-

45 უმაღლესი იერარქიის საერო და საეკლესიო პირთა გვერდით ხუროთმოძღვართა დასახელების შესახებ, იხ. თუმანიშვილი, ნაცვლიშვილი, ხოშტარია, მშენებელი ოსტატები, 71-75; მესხია, საისტორიო ძიებანი, I, 21; ასეთივე შემთხვევებია ჭედური ხატების წარწერებშიც, მაგალითები იხ. ბერიძე, ძველი ქართველი ოსტატები, 31, 46, 62 და სხვა.

რისხოვანი; მიზეზი უფრო ეს არის და არა იმდენად მხატვრის დაბალი სოციალური სტატუსი ან, რომ ისინი უბრალო ხელოსნებად მიაჩნდათ.

ვერ გავიზიარებთ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მხატვრებს წარჩინებული ქტიოტორების „თანდასწრებით“ „გამოჩენა“ ერიდებოდათ და მათი დაკვეთით შესრულებულ მოხატულობებში ან არ აკეთებდნენ წარწერებს, ან „მოკრძალებულ „ხელმოწერებს“, უბრალო სავედრებელს ტოვებდნენ ეკლესის მიმალულ ადგილებში⁴⁶, როგორც, მაგალითად, მიხეილისა და ევტიხის შემთხვევაში წმინდანთა სამოსსა და იარაღზე მიწერილი წარწერებია, თუმცა ამ წარწერებს, როგორც პ. ტოდიჩმა დაასაბუთა, პრივატული სავედრებლის ფუნქცია ჰქონდათ და მათ მიზანს საყოველთაო წარმოჩენა არც წარმოადგენდა⁴⁷. თამარ მეფის პატრონაჟით შექმნილი ვარძისა და ბეთანიის მოხატულობათა ოსტატების – გიორგი ჭარისა და დემეტრეს საკურთხევლის აფსიდის მოხატულობის ორნამენტში ჩაწერილი წარწერებიც არ გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ ისინი თამარ მეფის, „თანდასწრებით“ (ორივე ეკლესიაში ხომ მისი პორტრეტებიცაა გამოსახული) ვერ „ჩნდებიან“, ან რომ არსებობდა მხატვრის „ხელმოწერის“ რაიმე შეზღუდვა. თამარის „ბრძანებითა და ნივთისა ბოძებით“ შექმნილ ანჩის ხატის მოჩარჩოების წარწერაში ანჩელი ეპისკოპოსი იოანე თამარის გვერდით ოქრომჭედელ ბექა ოპიზარს თამამად ახსენებს. გიორგი ჭარისა და დემეტრეს წარწერები ვარძიასა და ბეთანიაში უფლისთვის იყო განკუთვნილი და არა სხვათა დასანახად.

მომგებლები რომ მხატვართა „ხელმოწერის“ წინააღმდეგნი არ იყვნენ მათი ეკლესის სივრცეში განლაგებაც ადასტურებს. ისინი ხშირად ადვილად მოსახილველ ადგილას არიან განთავსებულნი, რის გამოც ქტიოტორებს მხატვართა წარწერები მხედველობიდან არ გამორჩებოდათ. ასეა, მაგალითად, წალენჯიხაში, გელათში, მარტვილში და სხვა. როგორ შეიძლება ყურადღება არ მიექცია და ინტერესი არ გამოეწვია სვეტიცხოვლის ტაძარში უფლის კვართის დაფვლის ადგილას აღმართულ „ცხოველ სვეტზე“ მოთავსებულ წარწერას (სურ. 2); ნიკოლოზ მაღალაძეს ვერ გამორჩებოდა დედამისის პორტრეტის თანმხელები წარწერა მაღალაპანთ ეკლესის კანკელზე, რომელშიც მხატვარმა აპოსტოლემ თავისი სულის მოსახენიებელი ჩაწერა. საგულისხმოა ისიც, რომ მხატვრები თავიანთ წარწერებშიც თამამად იხსენიებენ მაღალი იერარქიის მომგებლებს, მაგალითად, ბიჭვინტის სამხრეთ-დასავლეთი ეგვტერის ბერძენი მხატვარი პარასკევა კათოლიკოსს ევდემონ ჩხეტიძეს ასახელებს, გრიგოლ გულჯავარას-

46 Kalopissi-Verti, Painters, 139–140, 151.

47 თბიშ, ლични записи, მისივე, 'Signatures'. პაპადოპოულო მიიჩნევს, რომ მიხეილი და ევტიხი წმინდანთა იარაღზე „ხელმოწერით“ იარაღის ხელოსნებს ჰბაძავდხენ, რომელთათვისაც დამახასიათებელია თავისი სახელოსნოს სახელის დაწერა იარაღზე, Papadopoulos, Signatures.

შვილი — კათოლიკოს ნიკოლოზს. ზოგ შემთხვევაში მხატვართა წარწერების შინაარსი და განლაგება მათ შექმნაში მომგებლის მონაწილეობასაც გვაფიქრებინებს (მაგალითად, წალენჯიხის, გელათის ტიმოთეოსის, მაცხვარიშის მიქაელ მალლაკელის წარწერები (ამის შესახებ იხ. აქვე, ქ. მიქელაძე, შუა საუკუნეების მხატვართა წარწერები).

საქტიტორო წარწერის ტექსტს, რა თქმა უნდა, მხატვარი არ ადგენდა, ის მხოლოდ შემსრულებელი იყო. ცხადია, ის არც თავისი ინიციატივით ჩაწერდა თავის სახელს, არამედ ეს ქტიტოროს ნებით თუ მოხდებოდა. მომგებლის მიერ წარწერაში მხატვრის ხსენება მისი დაფასების გამოხატულებად უნდა მივიჩნიოთ. ქტიტორები მხატვრებს აშკარად განასხვავებდნენ, რასაც ისიც მოწმობს, რომ საქტიტორო წარწერაში, ჩვეულებრივ, ერთ მხატვარს ასახელებენ (ყოველ შემთხვევაში ქართულ კედლის მხატვრობაში მხოლოდ ასეთი შემთხვევებია შემორჩენილი), მაშინაც, როცა მოხატულობა რამდენიმე ფერმწერის მიერაა შესრულებული (მაგალითად, გრემში, ერთაწმინდაში). მაშასადამე, მომგებელი ერთ მხატვარს ანიჭებდა უპირატესობას, მაგრამ ჩვენ არ ვიცით რა კრიტერიუმები განსაზღვრავდა მის არჩევანს. შესაძლოა, ქტიტორი მთავარ ან სახელგანთქმულ მხატვარს ასახელებდა, მას, ვინც მისი შეხედულებით მაღალი ოსტატობით გამოირჩეოდა, ან იქნებ ვისაც გაურიგდა სამუშაოს შესრულებაზე. მაგრამ ვერ დავიჩემებთ, რომ მხატვრის საქტიტორო წარწერაში „მოხვედრის“ წინაპირობა მაინცდამაინც მისი სახელგანთქმულობა ან მაღალი საშემსრულებლო დონე იყო, თუკი ამის დამადასტურებელი დოკუმენტი არ გვაქვს, როგორც, მაგალითად, გიორგი კალიერგიისის შემთხვევაში. ძნელი სათქმელია რის მიხედვით შეარჩია მხატვრები, მაგალითად, იმერეთის მეფემ, ბაგრატ III-მ გელათის ლვთისმშობლის ტაძარში. ბერძენი მხატვრების მიერ შესრულებული გუმბათის მოხატულობა (1520-იანი წნ.), ჩვენი შეხედულებით, მაღალი ოსტატობით არ გამოირჩევა, პირიქით, უფრო ხელოსნური ნამუშევარია, 1550-იანი წლების ფერწერული ფენა კი პროფესიული განსწავლის ოსტატების, მათ შორის, ტიმოთეოსის მიერაა შესრულებული, მაგრამ ორივეს მომგებელი ბაგრატ III იყო⁴⁸; ორივე მოხატულობას მხატვართა „ხელმოწერები“ ახლავს. ისე ჩანს, რომ ბაგრატს მხატვრები პროფესიონალიზმის მიხედვით არ შეურჩევია, მაგრამ ეს ჩვენი დღევანდელი შეფასებაა და ვიცით კი, რომ ის

48 გელათის საკურთხევლის აფსიდში არის ბაგრატ III-ის, დედოფალ ელენესა და მათ ძეთა მოსახენიებელი წარწერა, რომელიც აფსიდის მოხატულობის პირველ ფენას (1520-იანი წნ.) განეკუთვნება და გუმბათის მოხატულობის თანადროულია. აფსიდში არის უფრო გვიანი (XVI ს-ის მეორე ნახევარი, ნანილობრივ გადაწერილი XVIII ს-ში) ხანის ფერწერული შრეებიც.

შუა საუკუნეების დამკვეთის შეფასებას ემთხვევა ან რომ იგივე ბაგრატ III-ის კრიტერიუმი მხატვრის საშემსრულებლო დონე იყო? სულაც არ არის გამორიცხული, რომ მისთვის, მათი ბერძნული წარმომავლობა უფრო მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი ყოფილიყო⁴⁹.

უნდა აღინიშნოს, რომ დამკვეთის, მეტადრე, თუ ის უმაღლესი საერო ან საეკლესიო ხელისუფალი იყო, წარწერაში მხატვრის სახელის ხსენება, ამ უკანასკნელისთვის, უთუოდ, საპატიო იქნებოდა; ეს, მათ ისევე როგორც, მეფის მხატვრის ან მოქალაქის წოდება, სხვა ოსტატებთან შედარებით, რომელნიც საქტიტორო წარწერებში არ სახელდებიან, უპირატეს მდგომარეობაში აყენებდა და მათ თვითშეფასებასაც აამაღლებდა.


49 Mikeladze, Greek Painters, 194.



სურ. 1. ზარზმის ღვთისმშობლის ტაძარი. სამხრეთი კედელი.

სამცხის ათაბაგათა პორტრეტი. XVI ს.

Zarzma. Church of the Virgin. South wall. Rulers of Samtshke. 16th c.



სურ. 2. ზარზმის ღვთისმშობლის ტაძარი. სამხრეთი კედელი. სარგის II. XVI ს.
Zarzma. Church of the Virgin. South wall. Sargis II. 16th c.



სურ. 3. მცხეთის სვეტიცხოვლის კათედრალი. „ცხოველი სვეტი”. 1678-1688 წ.

Mtskheta. Svetitskhoveli Cathedral. “Life-Giving Pillar”. 1678-1688.



სურ. 4. მცხეთის სვეტიცხოვლის კათედრალი. „ცხოველი სვეტი”. დეტალი. 1678-1688 წწ.

Mtskheta. Svetitskhoveli Cathedral. “Life-Giving” Pillar. Detail. 1678-1688.



სურ. 5. მაცხვარშის მაცხოვრის ეპლესია. სამხრეთი კედელი. გვირიკე მამსახლისი. 1140 წ.
Matskhvarishi. Church of the Saviour. South wall. Mamasakhlisi Kvirike. 1140.

„ქადაგება ფერით და ხაზებით“

შუა საუკუნეების მხატვართა შესახებ მსჯელობისას შეუძლებელია მათ მიერ შექმნილი ნაწარმოებების ბუნების, ფუნქციისა და იმდროინდელი საზოგადოების მიერ მათი აღქმის ხასიათის უგულებელყოფა. შუა საუკუნეებში გამოსახულებას – ხატს¹ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ და ის საზოგადოების ცხოვრების განუყოფელი ნაწილი იყო².

ხელოვნების ნაწარმოები, განსაკუთრებით ხატი გაიაზრებოდა როგორც ამქვეყნიური ცოდვილი სამყაროდან ზეცისკენ, ღმერთისკენ მიმავალი გზა: მატერიის და სულის დამაკავშირებელი, ღმერთთან ზიარების საშუალება (სურ. 1.) ხელოვნება არ განიხილებოდა დამოუკიდებლად, როგორც მხოლოდ ესთეტიკურ-მხატვრული ანდა სულაც დეკორატიული ფუნქციის მქონე – იგი დიდებული ქრისტიანული მსოფლწესრიგის განუყოფელი ნაწილი იყო. ხატი არა მხოლოდ მოგვითხრობდა წმინდა წერილის ამბებს, არამედ განმარტავდა კიდეც მათ. ამიტომაც უწოდებდნენ მას „ქადაგებას ფერით და ხაზებით“. ხელოვნებას საგანმანათლებლო ფუნქციაც ჰქონდა. როგორც ეკლესიის დიდი მამები ამბობდნენ, ეს იყო „ბიბლია უწიგნურთათვის“. ხატი არის პირველსახის წარმომადგენელი, მისი ენერგიის და ძალის მატარებელი, თუმცა არ უდრის მას არსობრივად. გამოსახულება დოგმატურ მნიშვნელობას იძენს და არის უტყუარი დასტური განკაცებისა, რომლის გარეშე ადამიანთა ხსნა წარმოუდგენელია³. თაყვანისცემის საგანია არა ხატი, არამედ მისი არქეტიპი ანუ „პირმშოი ხატი“, როგორც ძველ ქართულ ტექსტებში ენიჭებოდა⁴. ბასილი დიდი ამბობს: „პატივი ხატისა პირმშოისა მის სახისა მიმართ მიიჩევის“⁵.

1 ტექსტში ტერმინი „ხატი“ იხმარება ზოგადი მნიშვნელობით, ქრისტიანული შინაარსის მქონე ყოველგვარი მხატვრული გამოსახულების აღსანიშნავად.

2 Cormack, Writing in Gold, 11.

3 Преподобный Иоанн Дамаскин, Три защитительных слова, Kazhdan, Maguire, Byzantine Hagiographical Texts, 9–12.

4 Kazhdan, Maguire, Byzantine Hagiographical Texts, 11.

5 ექვთიმე მთაწმინდელი, მცირე სჯულის კანონი, 63.

იუდეურ სამყაროში უხილავი და ზედროული ღმერთის გამოსახვა მკრეხელობად ითვლებოდა. ქრისტიანობაში კი პირიქით — თუკი ღმერთმა ინება განკაცება, შეიმოსა ფიზიკური სხეულით და აქ, ამ მინაზე, ადამიანებს შორის ქრისტედ მოგვევლინა, მისი ხილული სახის აღბეჭდვა არა თუ დასაშვებია, არამედ აუცილებელიც კი არის, რადგან როგორც ქრისტემ თავისი განკაცებით აღადგინა პირველცოდვით გაწყვეტილი კავშირი ადამიანსა და ღმერთს შორის, ასევე წმინდა გამოსახულება — ხატი არის გზა ღმერთისა და საუკუნო საუფლოსკენ. გამოსახულების მნიშვნელობაზე და მის არსებობაზე კამათი — ხატმებრძოლეობა ლამის საუკუნეზე მეტი აზანზარებდა ბიზანტიის იმპერიას⁶. ეს არ იყო წმინდა ხელოვნების სფეროს საკითხი; მას გაცილებით უფრო მეტად დოგმატური მნიშვნელობა ჰქონდა. ამიტომაც რელიგიურ გამოსახულებათა აღდგენას 843 წელს მართლმადიდებლობის ზეიმი ენოდა, რაც კიდევ ერთი მტკიცებულებაა, თუ რაოდენ დიდი იყო მხატვრული გამოსახულების ადგილი, ფუნქცია და მნიშვნელობა შუა საუკუნეებში.

VII საეკლესიო კრების განჩინება აცხადებს, რომ ხატი არის განკაცების უეჭველი დასტური: „ჭეშმარიტად გამოსახვა ხატთა თანამოწამე არს ქადაგებისა მის სახიერებისა დასამტკიცებლად ჭეშმარიტებისა, რათა არავინ საოცრად შეჰრაცხოს განტორციელება სიტყვესა ღმრთისად“⁷.

მნიშვნელოვანი წყარო ჩვენი ცოდნისა შუა საუკუნეების ხელოვნების კონცეპტუალური მხარის შესახებ არის ეკლესიის მამათა თხზულებები, ეკფრაზისები, ქადაგებები. მაგალითად, იოანე დამასკელის, თეოდორე სტუდიის, პატრიარქ ფოტიუსის და მრავალი სხვა საეკლესიო მოღვაწის თუ ღვთისმეტყველის თხზულებანი; პირველ რიგში, იოანე დამასკელის მოძღვრება „სამი სიტყვა ხატთა შესახებ“⁸, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვანი და გავლენიანი თხზულებაა გამოსახულების არსზე და ფუნქციაზე ქრისტიანობაში, თუმცა კონკრეტულად ამ გამოსახულებათა შემქმნელ ოსტატთა შეფასება ან დახასიათება, ან მათ მიმართ კონკრეტული მოთხოვნები არ არის მოცემული⁹.

საქართველოში ხატის თეოლოგიურ-დოგმატურ მნიშვნელობას ღმრთისმეტყველები საგანგებო ყურადღებას უთმობდნენ. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა X საუკუნეში ექვთიმე მთაწმინდელის მიერ შედგენილი მცირე სჯულის კანონი, რომლის ორ თავში განხილულია ხატის თაყვანისცემის საღვ-

⁶ Bryer, Herrin (eds.), *Iconoclasm*; Успенский, Богословие иконы, 77–87; Cormack, Writing in Gold, 95–140; Лазарев, История Византийской живописи, 53–61; Языкова, Богословие Иконы, 48 – 57; Бельтинг, Образ и Культ, 169–212; Бычков, *Византийская Эстетика*, 452–498.

⁷ ექვთიმე მთაწმინდელი, მცირე სჯულის კანონი, 127.

⁸ Преподобный Иоанн Дамаскин, Три защитительных слова, 1–22, 43–62, 85–117.

⁹ Kazhdan, Maguire, Byzantine Hagiographical Texts, 1–2.

თისმეტყველო საფუძვლები¹⁰: VI საეკლესიო კრების წეს-განგება და ძეგლისწერა სარწმუნოებისა, გამოსახულების საზრისი. თხზულების ეს ნაწილები ეთმობა ხატების თაყვანისცემის სხვადასხვა ასპექტებს და საკმაოდ ამომწურავად გადმოსცემს ხატის თაყვანისმცემელთა მოძღვრებებს: V-VI ტრულის კრების დადგენილება აცხადებს „და გამოვსახავთ მას არა სახედ ტარიგისა, არამედ სახითა მით კაცობრივისა ხატისათა, რომელი ცხოვრებისათვის ჩუქინისა შეიმოსა“¹¹. ექვთიმე მთაწმინდელის თხზულება მნიშვნელოვანი ნაწარმოებია ხატთა არსის, მათი თაყვანისცემის და სხვა მსგავსი საკითხების განსახილველად, რაც იმ დროინდელ საქართველოში ამ საკითხებისადმი განსაკუთრებულ ინტერესს და მათ ღრმა ცოდნას მოწმობს. ხატთა თაყვანისცემის საკითხი არსენ იყალთოელის მიერაც იხსენიება და რუსის-ურბისის ძეგლისწერაშიცაა განხილული (მუხლი 19)¹².

ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი და მრავლისმთქმელი არის ბასილი ზარზმელის მიერ შედგენილი „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“. ამ თხზულებაში სწორედ უფლის ფერისცვალების ხატი გვევლინება მთავარ „გმირად“ და მთელი თხრობა მისკენ არის მიმართული. საისტორიო წყაროებშიც იკვეთება ინფორმაცია ხატების თაყვანისცემის თაობაზე, მაგალითად, ლეონტი მროველის „ცხოვრება ქართველთა მეფეთაი“, რომლის ჩანართში მოთხრობილია აწყურის ხატის ისტორია (სურ. 2), ანუ წმ. ანდრეა პირველწოდებულის მიერ მარიამის ხელთუქმნელი ხატის ქართლში ჩამობრძანების ამბავი¹³.

ბევრი სხვა წერილობითი წყარო შეიძლება დასახელდეს ხატთა თეოლოგიურ-სარწმუნოებრივ მნიშვნელობასთან დაკავშირებით, მათ შორის, ხელთუქმნელი ხატის – მანდილიონის თაობაზე არსებული ტექსტები. თუმცა, სამწუხაროდ, არაფერია თქმული უშუალოდ ჩვენთვის საინტერესო თემაზე – საქართველოში კედლის მხატვართა მოღვაწეობის სხვადასხვა ასპექტებზე, ხატის შემქმნელ ოსტატებზე, თვით ხატის შექმნის პროცესზე, დაკვეთის ხასიათზე და ა.შ.

სამონასტრო ტიპიკონებში, ისევე როგორც წყაროებში და ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებებში დაფიქსირებულია იმ საეკლესიო ნივთების ჩამონათვალები, რომლებიც მავანმა მომგებელმა გაიღო ამა თუ იმ მონასტრისა თუ ეკლესიის-თვის. მაგალითად, პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონში (თავი XXXIV) საკმაოდ გრძელი სიაა სხვადასხვა ტიპის ხატების, ლიტურგიკული ჭურჭლის, შესამოსლის და სხვა, თუმცა აქ არაფერია თქმული კედლის მხატვრობის შესახებ¹⁴.

10 ექვთიმე მთაწმინდელი, მცირე სჯულის კანონი.

11 იქვე, 67.

12 დიდი სჯულის კანონი, 543–560.

13 ლეონტი მროველი, ქართლის ცხოვრება, I, 38.

14 შანიძე, ქართველთა მონასტერი ბულგარეთში, 118–119.

ქართულ ისტორიულ წყაროებში საკმაოდ ბევრი ცნობაა მშენებლობაზე, რომლებსაც ქვეყნის ხელისუფალნი (საერო თუ საეკლესიო) ანარმოებდნენ. თუმცა, სამწუხაროდ, ქრონიკები ასეთივე ინტერესს არ იჩინენ კედლის მხატვრობის დამკვეთების ან, მით უმეტეს, შემსრულებლების მიმართ. დოკუმენტებში არის რამდენიმე ხსენება მოხატულობის დაკვეთის თაობაზე, მაგალითად, დავით აღმაშენებელი შიო მღვიმის მონასტრისადმი შენირულობის წიგნში იპარებს, რომ ახალი ეკლესია მოლესონ და მოხატონ, ანდა შეიძლება დავასახელოთ 1687 წლის სვეტიცხოვლის შენირულობის წიგნში ნიკოლოზ ამილახვარის ჩანაწერი, რომ მან თბილისის ანჩისხატის ტაძარი მოახატვინა¹⁵, თუმცა ჩვენი თემისთვის საინტერესო ინფორმაცია, როგორც ჩანს, არ იძებნება.

ითვლება, რომ ბიზანტიურ სამყაროში ჰაგიოგრაფიულ თხზულებებში ეკფრაზისებთან შედარებით მეტი ინფორმაცია იძებნება ხატების მიმართ დამოკიდებულებაზე, მათ ფუნქციაზე, მათი შექმნის ისტორიებზე, იმის შესახებ, თუ რას გულისხმობდნენ არქეტიპთან მსგავსებასა და „რეალიზმში“¹⁶.

ცალკეული მითითებები მხატვრებისთვის ეკლესიის დიდი მამების თხზულებებშიც გვხვდება, მაგალითად, წმ. იოანე ოქროპირის თხზულებათა ქართულ თარგმანში არის მითითება მხატვრებისადმი: „ჰპაძვეთ სიკელოვნითა ხატსა სულიერთასა და შეზავებად ფერთა დაამსგავსებდ ხატსა, ვითარცა-იგი იხილნის ჭორციელნი და გამოსწერეთ კაცთა და პირუტყუთა“¹⁷.

პატრიარქ ფოტიუსის სახელგანთქმული ქადაგება აია სოფიას საკურთხეველში ჩვილედი ღმრთისმშობლის გამოსახულებასთან დაკავშირებით, ლამისაა სახელოვნებათმცოდნეო კვლევის შედევრად გვევლინება¹⁸. ქადაგება ძალიან შთამბეჭდავია, როგორც ნაწარმოების, ასევე მხატვრის დაფასების მხრივ. ფოტიუსის თქმით, ფერმწერის ხელოვნებამ, ზეგარდმო შთაგონებულმა, აქ შექმნა ცოცხალი დამაჯერებელი სახე, რომელშიც შეიცნობა როგორც ქალწული, ასევე დედა, მისი მშვენიერება განასახიერებს ჭეშმარიტ არქეტიპს. ფოტიუსი აცხადებს, რომ მხატვარს ფორმების და ფერების საშუალებით შეუძლია გადმოსცეს გამოსახულების ღრმა სულიერი შინაარსი. იგი საუბრობს შთაგრძნობაზე, რაც ხელოვნების ესთეტიკური აღქმის უმთავრესი კომპონენტია. თავის ცნობილ ქადაგებაში ფოტიუსი ამბობდა: ეტყობა მხატვრის ხელოვნება შთაგონებული იყო ზეციდან ისე კარგად ბაძავს სინამდვილეს¹⁹, მისი ფიზიკური მშვენიერება ჩვენს სულს აამაღლებს ზეგრძნობადი ჭეშმარიტების სილამაზემდეო²⁰.

15 თუმანიშვილი, ნაცვლიშვილი, ხოშტარია, მშენებელი ოსტატები, 26-29.

16 Kazhdan, Maguire, Byzantine Hagiographical, Texts, 20.

17 აბულაძე, მამათა სწავლანი, 22; მაჭავარიანი, წიგნის ხელოვნება, 31.

18 Cormack, Writing in Gold, 149–150; Белътинг, Образ и Кулът, 194–197.

19 Бычков, Византийская Эстетика, 497.

20 Белътинг, Образ и Кулът, 195.

ერთი მნიშვნელოვანი წყარო ჩვენი ცოდნისა შუა საუკუნეების ხელოვნების კონცეპტუალური მხარის შესახებ არის საეკლესიო კრებების დადგენილებები და განჩინებები (სურ. 3), რომლებმაც ძალიან გააძლიერეს სახვითი ხელოვნების პრესტიჟი და მნიშვნელოვნება, თუმცა არ ეხებოდნენ უშუალოდ შემოქმედებით პროცესს და იშვიათად იძლეოდნენ მითითებებს, თუ როგორ უნდა ხატოს ოსტატმა.

შვიდი მსოფლიო საეკლესიო კრებიდან უშუალოდ ხელოვნების საკითხები განხილულ იქნა ორზე, კერძოდ, 692 წლის მეხუთე-მეექვსე კრებაზე კონსტანტინოპოლში (Quinisext - თრულის კრება. ქართულ ტექსტებში – გუმბადსა შინა სამეუფეოსი პალატისას შინა²¹), რომელიც იუსტინიანე II დროს ჩატარდა. ეს კრება წინ უძლოდა ხატების თაყვანისცემის ოფიციალურ აკრძალვას და ეპასუხებოდა საუკუნეთა განმავლობაში მიმდინარე კამათს გამოსახულების ბუნებისა და ფუნქციის თაობაზე, რაც, ცხადია, განაპირობებდა სახვითი ხელოვნების საკითხების განხილვას. ამ საეკლესიო კრებას არ გააჩნდა მსოფლიო კრების სტატუსი. ფაქტობრივად ეს იყო მეხუთე (553) და მეექვსე (680) კრებების გაგრძელება-დაჯამება. მთლიანობაში დადგინდა 102 კანონი. 72-ე ეხებოდა ეკლესიათა იატაზე ჯვრის გამოსახულების აკრძალვას, 82-ე კანონი კრძალავდა ქრისტეს გამოსახვას კრავის ან სხვა რაიმე სიმბოლური სახით²². კანონი 100 აცხადებს, რომ გამოსახულებას ძლიერი ზემოქმედება აქვს მნახველზე. ამიტომ იკრძალება ისეთი გამოსახულებების შესრულება, რომლებიც აღძრავს ადამიანში უწმინდურ, ქვენა, ხორციელ გრძნობებს, იზიდავს მზერას, აზიანებს გონებას. ამიტომ დაუშვებელია და იკრძალება ეკლესიის მიერ²³. 68-ე კანონი კრძალავს ძველი ხელნაწერების დაზიანებას ან განადგურებას, თუ ისინი ისედაც არ არის უკვე გამოუყენებელი. კანონებში საგანგებოდ ხაზგასმულია ხატების მნიშვნელობა მართლმადიდებლობისთვის²⁴.

ამ კანონებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი 82-ე კანონი იყო. ეს არ არის უბრალოდ კონკრეტული იკონოგრაფიული სახის აკრძალვა-გაუქმება (ქრისტეს სიმბოლური გამოსახვა კრავის სახით), არამედ ამ აკრძალვის ღრმად თეოლოგიური საფუძვლის განხილვა. კანონი ამბობს, რომ უფლის სიმბოლური გამოსახულებები განვლილი ეტაპია ეკლესიის ისტორიასა და უფლის წვდომაში მას მერე, რაც სიტყვა განკაცდა, ადამიანებს შორის ცხოვრობდა, ქადაგებდა, მიიღო სიკვდილი ჯვარზე. ამიტომ უკვე სიმბოლოები აღარ არის საჭირო, ქრისტე

21 დიდი სჯულის კანონი, 365–418, 419–431.

22 Cormack, Byzantine Art, 81–83.

23 Kazhdan, Maguire, Byzantine Hagiographical Texts, 10.

24 Cormack, Byzantine Art, 81–83.

უნდა გამოისახოს უშუალოდ, რადგან შესაძლებელი გახდა მისი ხილვა, აღწერა, აღქმა, გამოსახვა. ძველმა სიმბოლოებმა დაკარგეს აზრი და შეიქმნა აუცილებლობა პირდაპირი, უშუალო სახე-ხატის შექმნისა. 82-ე კანონი გვაძლევს ქრისტეს სახის დოგმატურ დასაბუთებას და სწორედ ამაში არის ამ კანონის არსი და მნიშვნელობა. ეს იყო პირველი განცხადება ხატის ქრისტოლოგიური საფუძველისა²⁵. კრების განჩინებაში ხაზგასმულია გამოსახულების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი, რაც უკვე წმინდა მხატვრულ საკითხებს მოიცავს: ანუ როგორ უნდა გამოისახოს მაცხოვარი ისე, რომ გამოსახულება მხოლოდ მის კაცებრივ პიროვნებას კი არ ასახავდეს, არამედ მის ღვთაებრივ დიდებასაც. ნათლად უნდა ჩანდეს, რომ ეს არის ღმერთკაცი. სახვითი ხელოვნების ყველა საშუალება უნდა იყოს გამოყენებული იმისთვის, რომ გვიჩვენოს კონკრეტული ისტორიული სახე და მასში გახსნას სხვა რეალობა – სულიერი და ღვთაებრივი რეალობა (სურ. 4). ჭეშმარიტება არა მხოლოდ უნდა ითქვას, არამედ ნაჩვენებიც უნდა იყოს. ეს ძალიან მაღალ მიზანს უსახავს ხელოვნებას²⁶.

ხატებრძოლების მწვალებლობის რთული საკითხის განხილვა ცდება ჩვენი კვლევის ფარგლებს, ამიტომ მოკლედ შეიძლება აღვნიშნოთ, რომ ხატმებრძოლეთა პრეტეზიას, რომ ხატზე ქრისტეს გამოსახვისას მხოლოდ მის ფიზიკურ, კაცებრივ ფორმას ვხედავთ, ვინაიდან წარმოუდგენელია ღვთაებრივი ბუნების გადმოცემა, უპირისპირდება მტკიცება, რომ ხატი (გამოსახულება) ასახავს ქრისტეს პიროვნებას, რომელიც ამ ორივე ბუნებას აერთიანებს, ანუ განცხადებულია განლმრთობილი სხეულის იდეა²⁷. ქრისტეს სხეულის გამოსახვისას დიდი სიფრთხილეა საჭირო, რადგან ის უნდა იყოს ძალიან მსუბუქი, ნაკლებ ხორციელი, თითქმის გამჭვირვალე²⁸.

მეხუთე-მეექვსე საეკლესიო კრება, რომელიც იუსტინიანე II დროს ჩატარდა, დომინირებს ბიზანტიურების ინტელექტუალურ აზროვნებაში²⁹. ამ კრებამ გზა გაუხსნა ხელოვნების განვითარებას, ქრისტეს უშუალო გამოსახვას ადამიანის ფორმით და გააძლიერა რწმენა ხატების და საერთოდ გამოსახულების ღმერთთან და წმინდანებთან დაკავშირების და კონტაქტის შესაძლებლობაში³⁰.

787 წლის ნიკეის VII მსოფლიო კრებამ დააგვირგვინა ქრისტოლოგიური

25 Успенский, Богословие Иконы, 61–67.

26 Успенский, Богословие Иконы, 61–67; Cormack, Writing in Gold, 99, 101.

27 Бычков, Византийская Эстетика, 463–467

28 Kazhdan, Maguire, Byzantine Hagiographical Texts, 10.

29 Cormack, Writing in Gold, 98.

30 Cormack, Writing in Gold, 99, 101.

დოგმატების საბოლოო ჩამოყალიბება-დამტკიცება, მათ შორის, ხატების თაყვანისცემის თვალსაზრისით. თვით კანონების ტექსტებში ეს საკითხები არ ჩანს, უფრო განჩინებებში ან აქტებში აისახა, რომლებიც ძირითადად ღირსი ითანა დამასკელის თეორიებს ეფუძნებოდა და ასევე საეკლესიო გადმოცემებს და პრაქტიკას. კრებამ დაადგინა, რომ უხილავი ღმერთის გამოსახვა შეუძლებელია და დაუშვებელი, მაგრამ განკაცებული ღმერთის გამოსახვა იესუ ქრისტეს სახით შესაძლებელია და აუცილებელიც, მით უმეტეს, რომ არსებობს მის მიერვე შექმნილი ხელთუქმნელი ხატი – მანდილიონი. ხატის ჭვრეტა მლოცველს კონკრეტული ამბის მონაწილედ აქცევს. ხატებს თაყვანს ვცემთ, მაგრამ პატივი, რომელსაც მივაგებთ ხატებს, ეკუთვნის პირველსახეს³¹.

კრების მიერ გამოცემულ აქტებში მკაფიოდ არის გაცხადებული წმინდა გამოსახულებათა მნიშვნელობა, მათი განსხვავება კერპებისგან, მათი კავშირი პირველსახესთან. ანათემას გადასცემენ, ვინც წმინდა გამოსახულებებს გამოიტანს ტაძრიდან ან აიგივებს კერპებთან და ა.შ.³². კრებამ დაადგინა, რომ ინფორმაციულობის თვალსაზრისით ფერწერული გამოსახულება ადეკვატურია ვერბალური ტექსტისა – „რასაც თხრობა გვამცნობს სიტყვებით, იმასვე მხატვრობა გადმოგვცემს ფერებით“³³. კრებამ სრული იდენტობა განაცხადა ტექსტსა და გამოსახულებას შორის და დიონისე არეოპაგიტელის მიხედვით განსაზღვრა ისინი როგორც „გრძნობადი სიმბოლოები“. ეს ძალიან დიდ ფუნქციას ანიჭებდა სახვით ხელოვნებას, მისი მნიშვნელობა ძალიან მაღალ დონეზე აიყვანა, განსხვავებით ანტიკური ხანისგან, სადაც პლატონის მიხედვით ხელოვნება იყო „ჩრდილის ჩრდილი“³⁴.

გამოსახულება განმარტავს კიდეც ტექსტს და ალრმავებს მის გაგებას, ახდენს მის ფერწერულ ინტერპრეტაციას ანუ სახითმეტყველებას³⁵. ამავე დროს, VII საეკლესიო კრებამ დაადგინა, რომ სიტყვიერი აღწერა არ იძლევა ისეთ ძლიერ ემოციურ ეფექტს, როგორც ვიზუალური შთაბეჭდილება, რომელიც უფრო ძლიერია, ვინაიდან ვიზუალური ინფორმაცია უფრო ამახსოვრდება ადამიანს³⁶.

ჩვენი ძირითადი თემისთვის განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს ამ კრების ერთ-ერთი განჩინება, რომელიც უშუალოდ ეხება მხატვრებს, მხატ-

31 Преподобный Иоанн Дамаскин, Три защитительных слова, 117.

32 Бельting, Образ и Культ, 161–162.

33 Бычков, Византийская Эстетика, 464.

34 პლატონი, სახელმწიფო, 360–361, 364–367.

35 Бычков, Византийская Эстетика, 464; Бельting, Образ и Культ, 173.

36 Бычков, Византийская Эстетика, 466, 480.

ვრობას და მათ ფუნქციას³⁷. ანიჭებენ რა საკულტო გამოსახულებას ესოდენ მაღალ ღირსებას, კრების მამები აცხადებენ, რომ ამ გამოსახულებათა „ჩანაფიქრი და შექმნა“ ეკლესის მამათა საქმეა, მხატვრები კი მხოლოდ ტექნიკურ მხარეს ახორციელებენ. მთავარი იყო გამოსახულების ზნეობრივ-რელიგიური გააზრება, ანუ ნაწარმოების შემოქმედად ფაქტობრივად ღვთისმეტყველი მიიჩნეოდა. კრებების დადგენილებებში არაფერია ნათქვამი წმინდა მხატვრული საშუალებების სპეციფიკურ საკითხებზე – ეს მთლიანად მხატვრის საქმე იყო³⁸ და ამით მხატვრებს აძლევდნენ სრულ შემოქმედებით თავისუფლებას³⁹. ამავე დროს, საეკლესიო კრებების აქტებში მოცემულ ამ წესს არ გააჩნდა კანონის ძალა, ის უბრალოდ ასახავდა გავრცელებულ პრაქტიკას და სულაც არ იყო მიმართული მხატვრების ნების თუ თავისუფლების შეზღუდვისკენ. ეს აქტი მიზნად ისახავდა ხატების (ზოგადად გამოსახულების) ადგილის და ფუნქციის განმტკიცებას ტაძრის საკრალურ სივრცეში და მიმართული იყო ხატმებრძოლეთა წინააღმდეგ, ამტკიცებდა რა, რომ გამოსახულებები მხატვართა პირადი შემოქმედების და „თვითნებობის“ შედეგი კი არ იყო, არამედ თეოლოგების მიერ შემუშავებული კონცეფცია და მართლაც არ გულისხმობდა მხატვრების შეზღუდვას და მათზე რაიმე სახის კონტროლის დადგინებას⁴⁰.

საინტერესოა, რომ მიუხედავად ზემომოყვანილი განცხადებისა, ფაქტობრივად, არაფერი ვიცით იმ საეკლესიო პირთა თუ თეოლოგების („ეონსულტანტების“) შესახებ, რომლებსაც ეკუთვნოდა გამოსახულებათა „ჩანაფიქრი და შექმნა“. მხოლოდ ვარაუდები შეიძლება გამოითქას, რომ, მაგალითად, თეოდორე მეტოქიტი, ალბათ, ხელმძღვანელობდა ჰიონას მონასტრის მოხატულობათა პროგრამების შემუშავებას და იკონოგრაფიის შერჩევასაც კი. ასევე სავარაუდოდ უნდა ვიფიქროთ, რომ სხვადასხვა ეკლესიების წარწერებში მოხსენიებულმა ქტიტორებმა რაღაც როლი ითამაშეს მათ მიერ მოგებული მოხატულობის შინაარსის დადგენაში; რომ ყინკვისის მოხატულობის პროგრამის შედგენაში აქტიურად მონაწილეობდა მისი ქტიტორი, ჭყონდიდელი მღვდელმთავარი ანტონი, რომლის პირადმა სურვილმა განაპირობა წმ. ნიკოლოზის თემის ესოდენ გაშლა და ქართველ წმინდანთა საგანგებო გამოსახვა (სურ. 5),⁴¹ მაგრამ ეს უმეტესად მხოლოდ ვარაუდებია.

37 Деяния Вселенских Соборов, 225-226.

38 მხოლოდ მეტუთე-მეექვსე კრების 82-ე კანონის განმარტებები წაწილობრივ ეხება მხატვრული ფორმის და გამოსახვის მანერის საკითხს.

39 Языкова, Богословие Иконы, 15; Cormack, Byzantine Art, 81-83; Бычков, Византийская Эстетика, 464; Cutler, Visual Memory, 38.

40 Cutler, Visual Memory, 40.

41 დიდებულიძე, საღვთისმეტყველო პოლემიკის ასახვისათვის, 116—146.

სამაგიეროდ მხატვრების მოღვაწეობის შესახებ სრულიად კონკრეტული მატერიალური მტკიცებულებები გვაქვს, კერძოდ, მათი ხელით შექმნილი ნაწარმოებები – მოხატულობები, ხატები, მინიატურები. ზოგჯერ მათი სახელებიც ვიცით, მაგრამ თუნდაც არ ვიცოდეთ, ჩვენ შეგვიძლია არსებულ კონკრეტულ ნაწარმოებში ამოვიკითხოთ მხატვრის ინდივიდუალური სტილი, განსწავლა, ტრადიციები, რომელზეც გაიზარდა, მისი ხასიათი, ტემპერამენტი, გემოვნება, ოსტატობის დონე, მხატვრული აზროვნება, ასევე თეოლოგიური საკითხების ცოდნის სიღრმე და სხვა. მართლაც, მეცნიერთა ნაშრომების უმეტესობაში მხატვარი (ძირითადად წამყვანი მხატვარი) საკმაოდ ცოცხლად წარმოგვიდგება. მისი ინდივიდუალობა მკაფიოდ იკითხება⁴². ზოგჯერ ნათლად ჩანს კიდეც, რომ წამყვანი მხატვარი ყოველგვარი კარნახის გარეშე თვით აგებდა პროგრამას და თვითვე შეასხამდა ხორცს⁴³ და ეს სულაც არ უჭირდა, ვინაიდან მხატვრები და მათ მიერ განსახიერებული იდები საერთო საფუძველს ემყარებოდა – საერთო რწმენას, მსოფლიმხედველობას, ფორმათგანცდას.

ქრისტიანული ხელოვნების ნაწარმოების ესთეტიკური ასპექტი მისი სულიერებისა და რელიგიური ფუნქციის განუყოფელი ნაწილია. ნაწარმოების რაიმე ნახნაგის იგნორირება კი მისი გაღარიბება იქნებოდა. თანაც ყველა ნაწარმოები ხომ რაიმე ფორმის სახით არსებობს, ფორმა მისი „კომუნიკაციის“ გაკეთების საშუალებას იძლევა, რასაც ქრისტიანული ხელოვნების განვითარების მთელი ისტორია ადასტურებს. ეს რომ არა, მაშინ სქემად ქცეულ, მხატვრულად სრულიად იდენტურ, ერთგვაროვან, სტერეოტიპულ გამოსახულებებთან გვექნებოდა საქმე. რადგან ქრისტიანული დოგმები და იდეები „გაფორმებულია“, ანუ ხილული ფორმა აქვთ მინიჭებული, მაშასადამე, ეს ფორმა მათი განუყოფელი ნაწილი ხდება. სიტყვისგან განსხვავებით, რომელსაც „ცნებითი“ ხასიათი აქვს, სახვითი ხელოვნების ნაწარმოები თავის შინაარსს მხატვრული ფორმის საშუალებით გადმოგცემს და არ მგონია, მისი ხასიათი და ღირებულება არაარსებითი იყოს იდეის სწორი გადმოცემისათვის. წმ. გრიგოლ ნოსელი ფერად სურათებს ეკლესიის კედლებზე ადარებს წიგნს, რომელსაც საუბრის ძალა აქვს: ფერწერამ, რომელიც უტყვია, იცის როგორ ისაუბროს კედლიდანო⁴⁴.

VII მსოფლიო საეკლესიო კრების აქტებში ძალიან საყურადღებოა მიმეზი-

42 Привалова, Ростисль Тимотесубани, 141–147; ვირსალაძე, Аტენის სიონის მოხატულობა, 177–201; Аладашвили, Алибегашвили, Вольская, Живописная Школа, 77–91.

43 Demus, The Mosaics of Norman Sicile, 135–145.

44 Maguire, Art and Eloquence, 9.

სის მოთხოვნა ანუ პირველსახესთან მსგავსება, რაც გამოსახულების უეჭველობის, ჭეშმარიტების გარანტია უნდა იყოს⁴⁵. „რეალიზმი“ ერთი იმ ცნებათაგანია, რომელიც შუა საუკუნეების და დღევანდელი ადამიანები სრულიად განსხვავებულ შინაარს დებენ. ჩვენს დროში ამ ტერმინით განსაზღვრავენ გამოსახულების სრულ ვიზუალურ იდენტურობას არსებულ რეალობასთან, გარეგნულ მსგავსებას ბუნებრივ მოცემულობასთან. სულ სხვა იყო ამ ცნების შუა საუკუნეების თეოლოგების, მხატვრების და საერთოდ საზოგადოების გაგება, რაც გახდა კიდეც საფუძველი მრავალრიცხოვანი „ასლების“, გამეორებების, გადახატვის და სხვა. ყოველივე ამის საფუძველი კი შემოქმედებითობის ნაკლებობა კი არა, არამედ ქრისტიანული გამოსახულების საზრისი და ფუნქციაა.

შუა საუკუნეების ღმრთისმეტყველებაში რეალიზმის მოთხოვნა გულისხმობს იმ პირველსახის გამეორებას, რომელიც რეალური, ცოცხალი მოდელიდან იყო დახატული. თეოლოგებისთვის მთავარი იყო სახის აუთენტურობა, ანუ მსგავსება არქეტიპთან. ეს კი გარკვეულ უცვლელობას, განმეორებადობას ითხოვდა სწორედ სახე-ხატის ჭეშმარიტების დასტურად. თუმცა ამას არაფერი ჰქონდა საერთო მხატვრებზე „ზენოლასთან“, მათ ბრმა მორჩილებასა და არაშემოქმედებითობასთან. აქედან მოდიოდა სურვილი და აუცილებლობა ძველი ნიმუშების მიბაძვისა, რათა სახის „აუთენტურობა“ გარანტირებული ყოფილიყო. სჯეროდათ, რომ ოდესალაც წმინდანი ვიღაცამ სიცოცხლეშივე დახატა, ან ხილვაში ეჩვენა⁴⁶. იგულისხმებოდა არა მხატვრული თვალსაზრისით „ნამდვილობა“, არამედ არქეტიპის მიბაძვა და მიმსგავსება და თუ ქრისტეს ჭეშმარიტი სახე ერთხელ უკვე იქნა გამოსახული, სხვაგვარი სახე „ჭეშმარიტი“ ვეღარ იქნებოდა⁴⁷.

ითვლება, რომ პირველად წმ. ლუკამ სიცოცხლეშივე დახატა მარიამი და ჩვილი ქრისტე, რაც ხაზს უსვამდა ამ სახე-ხატის აუთენტურობას და ამავე დროს იგი განკაცების დასტური იყო. IX ს-ში სამმა პატრიარქმა დაადასტურა, რომ თვით მარიამა მოიწონა წმ. ლუკას მიერ დახატული ხატი და აკურთხა იგი⁴⁸. ფაქტობრივად, აქ ჩადებულია პორტრეტის, ანუ უმუალოდ რეალური მოდელიდან დახატული გამოსახულების იდეა, რომელიც შემდგომი ხატების ნიმუში

45 “В отношении к духовному миру Церковь всегда живая и творческая, вовсе не ищет защиты старых форм, как таковых, и не противопоставляет их новым, как таковым. Церковное понимание искусства и было и есть и будет одно – реализм. Это значит: Церковь, «столп и утверждение Истины», требует только одного – истины. В старых ли или новых формах Истина, Церковь о том не спрашивает....” Флоренский, Канонический реализм иконы, 169.

46 Kazhdan, Maguire, Byzantine Hagiographical Texts, 5–8

47 Бельтинг, Образ и Культ, 33.

48 თუმცა იოანე ევბეელის ცნობით, არის სხვა ლეგენდაც, რომ მოგვეპმა თან ჩამოიყვანეს მხატვარი, რომელმაც ალბეჭდა მარიამი და ჩვილი, Бельтинг, Образ и Культ, 70–71.

ხდება და სწორედ ამაში არის ამ გამოსახულების „რეალიზმი“⁴⁹. იერუსალიმის საპატრიარქოს ბიბლიოთეკის ხელნაწერში გამოსახულია წმ. ლუკა, რომელიც მოლბერტთან ზის და ხატავს მის წინ ცოცხლად მჯდომ ჩვილედ მარიამს⁵⁰.

ბიზანტიურ ხელნაწერებში შემორჩენილია რამდენიმე გამოსახულება მხატვრისა, რომელიც ან ნატურიდან ხატავს⁵¹ ანდა იხატავს მის წინ დაბრძანებულ ერთ-ერთი წმინდანის ხატს⁵². ცოცხალი მოდელიდან ხატვა ეტყობა საკმაოდ მიღებული იყო, რაც შემდგომ თაობებისთვის წმინდანის „უეჭველობის“ ღირსებას უზრუნველყოფდა.

წმ. თეოდორე სიკიონელის ცხოვრებიდან ცნობილია, რომ კონსტანტინოპოლის ერთ-ერთი მონასტრის ბერებმა მოიწვიეს მხატვარი წმინდანის პორტრეტის დასახატად. მხატვარი მალულად უთვალთვალებდა წმინდანს და ისე შეასრულა სურათი. წმინდანს ხატი მოეწონა და დალოცა კიდეც, თუმცა საყვედური უთხრა მხატვარს უნებართვოდ და მალულად თვალთვალისთვის, რადგან გამოსახულება გარკვეულად ორიგინალის რაღაც ნაწილს „იპარავს“, მიისაკუთრებს, ანუ მისი იდენტური ხდება⁵³. ეს ძალიან მნიშვნელოვანი მოსაზრებაა, ვინაიდან აქ ჩადებულია ხატის თეოლოგიის ძირითადი იდეა – არქეტიპის და მისი გამოსახულების ურთიერთდამოკიდებულების თაობაზე.

წმ. ნიკონის ცხოვრებაში აღნერილია, რომ წმინდანის გარდაცვალების მერე საკმაოდ სახელგანთქმულ მხატვარს დაუკვეთეს მისი ხატი, თუმცა მიუხედავად სიტყვიერი აღნერისა მხატვარს გაუჭირდა მისი დახატვა, რადგან არასდროს ენახა წმინდანი. მხოლოდ წმინდა ნიკონის ხილვაში ნახვის მერე შეძლო მან ხატის შესრულება. მნახველებმა აღიარეს, რომ გამოსახულება მართლაც ძალიან ჰგავდა წმინდანს⁵⁴.

წმინდანის გამოსახულების ამოცნობადობა და არქეტიპთან მსგავსება ძალიან მნიშვნელოვანი იყო, ვინაიდან ეს იყო გზა მასთან კონტაქტისა და მისი მეშვეობით ღმერთთან კავშირის დამყარებისა⁵⁵. გამოსახულების „რეალიზმი“ მდგომარეობს იმაში, რომ ის რაც გამოსახულია, რეალურადაც არსებობს ან არსებობდა⁵⁶. ამავე დროს, მხატვრები ცდილობდნენ, მნახველს არ დავიწყებოდა,

49 Бельтинг, Образ и Культ, 70–71, 77–78.

50 Maguire, The Icons of their Bodies, 8, სურ. 2.

51 მაგ., VI ს-ის დიოსკორიდის ხელნაწერში, Kalopissi-Verti, Painters' Portraits, 129, სურ. 1.

52 Cod. Par. gr. 923 ხელნაწერის ოლევებზე ასევე გამოსახულია მხატვარი, რომელიც ნიმუშიდან იხატავს ხატს, Maguire, The Icons of their Bodies, 12, სურ. 5.

53 Cormack, Writing in Gold, 39; Maguire, The Icons of their Bodies, 7.

54 Kazhdan, Wharton Epstein, Changes, 200.

55 Бельтинг, Образ и Культ, 93.

56 Бычков, Византийская Эстетика, 478.

რომ უყურებს კაცს, რომელიც არის ღმერთი. ამიტომ სრულიად რეალისტურ მანერაში ქრისტეს არასდროს გამოსახავდნენ⁵⁷.

სხვადასხვა ჰაგიოგრაფიული ნაწერებიდან ჩანს, რომ მხატვრის წინ პოზირება არ იყო რაღაც მიუღებელი, ხოლო როცა წმინდანი დიდი ხნის გარდაცვლილი იყო, მხატვარი ეყრდნობოდა ამ წმინდანის გამოსახვის ტრადიციას, ძველ ნიმუშებს, ან ხშირად სულაც ხილვებს, მნიშვნელოვანი იყო გამოსახულების „გამოცნობადობა“, წმინდანის დეფინიციის შესაძლებლობა და სიზუსტე⁵⁸. თუ წმინდანი აღარ იყო ცოცხალი და არც ხილვაში ეცხადებოდა მხატვარს, სწორედ აქ შემოდის ტრადიციის ცნება, უკვე აპრობირებული გამოსახულების მიბაძვა/გამეორების აუცილებლობა, რათა გამოსახულება იყოს ნამდვილი და ჭეშმარიტი⁵⁹.

პორტრეტული გამოსახულებისადმი თანამედროვე და შუა საუკუნოვანი მიდგომა არსებითად განსხვავდება. შუა საუკუნეების ადამიანები თავისი წმინდანების „პორტრეტებში“ არ ეძიებდნენ გარეგან, ილუზიონისტურ მსგავსებას, არამედ დეფინიციის სიზუსტეს. ამ სიზუსტეს განაპირობებდა შემდეგი კრიტერიუმები: წმინდანთა რომელ კატეგორიას განეკუთვნება გამოსახული პიროვნება, სამოსის სპეციფიკა (მათ შორის ფერადოვნებაც), ფიზიოგნომიური მახასიათებლები, მათ შორის, ასაკიც, ატრიბუტები, დაბოლოს წარწერა. პიზანტიილებისთვის სწორედ ეს მახასიათებლები განაპირობებდნენ პორტრეტის „რეალობას“. უძველესი დროიდან შემორჩენილი ხატები უკვე იძლეოდა გარკვეულ ინფორმაციას წმინდანის გარეგნობაზე, ხოლო მისი „ცხორება“ იძლეოდა ინფორმაციას, როგორ ეცვა და რა ატრიბუტები უნდა ჰქონოდა და სხვა⁶⁰. სწორედ ეს მიდგომა განაპირობებდა ძველი ნიმუშების გამოყენების მოთხოვნილებას, რათა არ ყოფილიყო დაშვებული შეცდომა. შუა საუკუნეებში „რეალიზმი“ იყო როგორც თეოლოგიური, ასევე ესთეტიკური კონცეპტი, ნამდვილობის დასტური; დასავლეთში უფრო წინ წამოვიდა სტილის, ანუ წმინდა ესთეტიკური საკითხები⁶¹.

პატრიარქი ნიკიფორე თვლიდა, რომ მხატვრებს შეუძლიათ ვიზუალური საშუალებებით გააერთიანონ და გამოსახონ პირველსახის ხილული და უხილავი არსი. მხატვარი კი არ ყოფს ამ ორსს, არამედ აერთიანებს ერთ სახეში, ერთ პიროვნებაში. თეოდორე სტუდეილი საუბრობს „ხასიათზე“ (ანაბეჭდი, დამღა),

57 Maguire, *The cycle*, 121–151, 128.

58 Maguire, *The Icons of their Bodies*, 5–7.

59 იქვე, 9–12.

60 იქვე, 16–17.

61 Maguire, *The Cycle*, 307.

ანუ ფაქტობრივად იკონოგრაფიულ სქემაზე. თუ ობიექტის შინაგანი ეიდოსი (მისი მსგავსება, მისი ხასიათი) უცვლელი და მუდმივი რამ არის, მაშინ ამ ობიექტის ყველანაირი გამოსახულება, გინდ სხვადასხვა მასალაში, გინდ სხვადასხვა მხატვრული გადაწყვეტით უნდა ინარჩუნებდეს ამ ეიდოსის შესატყვის მდგრად ნიშნებს. მხატვრის ამოცანა შინაგანი ეიდოსის და არა გარეგნული ცვლადი ნიშნების ასახვა⁶². ეს არის საფუძველი იკონოგრაფის კანონიკურობისა: გამოსახულება და არქეტიპი ერთი მსგავსებაა და ერთი დასახელება, მაგრამ სხვა-დასხვაა არსი⁶³.

ხატის (გამოსახულების) თეოლოგია ძალიან რთული საკითხია, რომელიც მოკლე მიმოხილვაში სრულად და ამომწურავად, ცხადია, ვერ განიხილება. ამ შემთხვევაში მთავარია იმის ჩვენება, რაოდენ სერიოზული და საპასუხისმგებლო ამოცანის ნინაშე იდგნენ შუა საუკუნეების მხატვრები და რამდენად დიდი იყო მათი ქმნილებების ადგილი და როლი იმდროინდელი საზოგადოების სულიერ და კულტურულ ცხოვრებაში⁶⁴, შესაბამისად მათი სტატუსი და მათი საქმიანობის დაფასება და მათი თვითაღქმაც.

62 Б. Бычков, Византийская Эстетика 469, 474, 484, 497.

63 Cutler, Makers and Users, 307.

64 ქრისტიანული ხატის თეოლოგიურ-დოგმატური არსის და მასთან დაკავშირებული პრობლემების თაობაზე უამრავი ნაშრომია შექმნილი; აქ ვასახელებთ მხოლოდ იმ მცირე ნაწილს, რომელიც მუშაობის დროს გამოვიყენეთ: Cormack, Byzantine Art; Cormack, Writing in Gold; Лазарев., История Византийской живописи; Safran (ed.), Heaven on Earth; Бычков, Византийская Эстетика; Флоренский, Обратная Перспектива; Мейендорф, Византийское Богословие; Belting, Bild und Kult; Языкова, Богословие Иконы; Успенский Л. А., Богословие иконы; ალიბეგაშვილი, საყვარელიძე, ქართული ხატები; ჭიჭინაძე, ხატი: კულტი და ხელოვნება, ბურჭულაძე, ქართული ხატები და სხვა.



სურ. 1. მაცხოვრის ხატი. XII-XIII სს. მიჯნა. სვანეთის ისტორიის და ეთნოგრაფიის მუზეუმი.

Icon of the Saviour. 12th-13th cc. Svaneti Museum of History and Ethnography.



სურ. 2. ანურის ღვთისმშობლის ხატი. XVI ს. შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების მუზეუმი.

Atskuri Icon of the Virgin. 16th c. Amiranashvili Museum of Fine Arts. .



სურ. 3. გელათის ღვთისმშობლის შობის ტაძრის ნართექსი.

მსოფლიო საეკლესიო კრებები. XII ს.

Gelati. Church of the Nativity of the Virgin. Murals of the Narthex. Ecumenical Councils. 12th c.



სურ. 4. ვარძიის ლვთისმშობლის მიძინების ტაძარი. პირი უფლისა. XII ს.

Vardzia. Church of the Dormition. Mandylion. 12th c.



სურ. 5. ყინცვისის წმ. ნიკოლოზის ტაძარი. საკურთხევლის აფსიდი. წმ. ნიკოლოზი. XIII ს.

Kintsvisi. Church of St. Nickolas. Sanctuary apse. St. Nickolas. 13th c.

დაკვირვების მთავრობის და მხატვრები

შუა საუკუნეების ოსტატთა მოღვაწეობის ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი არის მათი ურთიერთობა დამკვეთთან. დამკვეთი-მხატვრის ურთიერთობების გარკვევა იმ უკიდურესად მნირ მასალაზე დაყრდნობით, რომელიც ქართულ-მა წყაროებმა შემოგვინახა, თითქმის შეუძლებელია, თუმცა ზოგ შემთხვევაში თვით ნაწარმოების პროგრამა, საქტიტორო თუ მავედრებელი წარწერები, ისტორიულ დოკუმენტებში გაელვებული სახელი ან ამბავი გარკვეული დამვებების საფუძველს გვაძლევს.

სრულიად ცხადია, რომ იმ დროს მხატვართა საქმიანობას, ყოველ შემთხვევაში კედლის მხატვრობის სფეროში, უმეტეს შემთხვევაში დაკვეთა განსაზღვრავდა. დამკვეთებად გვევლინება მაღალი იერარქიის საერო და სასულიერო პირები, მონასტერთა და ეკლესიათა წინამძღვრები, ცალკეული კერძო პირებიც და ზოგჯერ მთელი თემი. ისინი, ცხადია, ცდილობდნენ სახელმოხვეჭილი და კარგი „რეპუტაციის“ ოსტატები მოეწვიათ და, ალბათ, სათანადოდაც აფასებდნენ მათ მატერიალური თვალსაზრისითაც. ზოგი მათგანი ქტიტორებად გამოისახება ეკლესიათა კედლებზე, ზოგის სახელიც კი არავინ იცის, ისევე როგორც მათი ღვაწლი და წვლილი. მხატვართა ნაღვანი კი ჯერაც ამშვენებს ეკლესიათა კედლებს.

უნდა გავითვალისწინოთ, რომ აღმოსავლეთქრისტიანული სამყაროს უზარმაზარ ტერიტორიაზე უამრავი ეკლესია-მონასტერი შენდებოდა და ფუნქციონირებდა; ყოველ მათგანს ესაჭიროებოდა მოხატვა, ან უკვე არსებული მოხატულობის განახლება რომ აღარაფერი ვთქვათ ტაძართა შემამკობელ ხატებზე და ლიტურგიისთვის აუცილებელ ხელნაწერთა დასურათებაზე. ამიტომ მხატვრებზე დიდი მოთხოვნა იყო, მათ, სავარაუდოდ, მთელ ამქრებს, სხვა-დასხვა ადგილებში ეპატიუებოდნენ, ზოგჯერ სხვა ქვეყნებშიც (მაგ., იტალიაში, ნორმანულ სიცილიაზე, საქართველოში, ბალკანურ ქვეყნებში, რუსეთში და სხვ.). ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ მათ გარკვეული პატივი მიეგებოდათ.

მიუხედავად იმისა, რომ X საუკუნის კონსტანტინოპოლიურ „ეპარქეოსის წიგნში“¹, რომელიც სხვადასხვა სფეროში არეგულირებს ხელშეკრულებების საკითხებს დამკვეთსა და შემსრულებელს შორის, მხატვრები ხელოსანთა სოციალურ ჯგუფში არიან შეტანილი, მათ უდავოდ მეტი პატივი და დაფასება ექნებოდათ, ვიდრე ჩვეულებრივ დურგალსა ან მეთუნეს. მხატვრებს მაღალი ზნეობრივი ავტორიტეტი ჰქონდათ, განსაკუთრებით ხატმწერებს, რადგან ეს საქმე ღმრთის წინაშე „სათონდ“ იყო მიჩნეული. ხატის შექმნას ზოგჯერ ევქარისტიული საიდუმლოს აღსრულებას ადარებდნენ – გარდასახვის საიდუმლოს. რუსული ხატნერის დედნებში ხატმწერს ხშირად ღმრთისმსახურთანაც აიგივებდნენ; აქედან მოდიოდა მოთხოვნა, რომ ხატმწერებს იმავე წესით ეცხოვრათ, როგორც მღვდელმსახურებს ან ბერებს².

შუა საუკუნეებში მზა მხატვრული ნაწარმი გასაყიდად იშვიათად კეთდებოდა, თუ არ ჩავთვლით სხვადასხვა სახის სუვენირებს. შესაძლოა ზოგი ხატმწერი დაკვეთის გარეშეც ქმნიდა ხატებს და შემდეგ სთავაზობდა მსურველებს. თუმცა ამ ნაწარმისთვის საჭირო მასალათა სიძვირის გათვალისწინებით ეს, ალბათ, იშვიათად ხდებოდა და ჩვეულებრივ პრაქტიკას არ წარმოადგენდა. ნაწარმოებები, მათ შორის ხატებიც, და მით უმეტეს კედლის მხატვრობა, ძირითადად მაინც კონკრეტული დაკვეთის საფუძველზე სრულდებოდა. ეს იყო პირადი ურთიერთობა დამკვეთსა და შემსრულებელს შორის. არ არის გამორიცხული, რომ წინასწარ ჩანახატებს ან მონახაზებს ოსტატი დაკვეთამდეც ასრულებდა³.

დაკვეთა და შესრულება ეკონომიკურ ფაქტორსაც მოიცავდა, თუმცა „ინვესტიცია“ ხელოვნებაში როდი გულისხმობდა ფინანსურ-ეკონომიკურ მოგებას. აქუფრო მეტად ფასობდა პრესტიჟის, სახელის და, რაც მთავარია, სულიერი „სარგებლის“ მოპოვება. ცხადია დიდი დაკვეთები დამოკიდებული იყო დამკვეთის ეკონომიკურ რესურსებზე (მაგალითად, ტაო-კლარჯეთში დიდი მასშტაბის სამშენებლო და სამხატვრო მოღვაწეობას სწორედ ბაგრატიონთა გვარის მმართველები წარმართავდნენ (სურ. 1); IX-X საუკუნეებში ბიზანტიაში ძლევამოსილი და მდიდარი იმპერატორები მოღვაწეობდნენ: თეოფილოსი, ბასილი I, ბასილი II, კონსტანტინე პორფიროგენეტოსი და მნიშვნელოვანი დაკვეთები სწორედ მათგან მოდიოდა). საინტერესოა, რამდენად ზემოქმედებდა დამკვეთის პიროვნება და ხასიათი, მისი ფინანსური სტატუსი ხელოვნების ნაწარმოების შინაარსზე ან მით უმეტეს მის მხატვრულ ფორმაზე⁴.

1 Markovic, Painters in Late Byzantium, 2.

2 Успенский, Семиотика Иконы., 227, №6. 17.

3 Cormack, Patronage, 610.

4 οქვე, 611–612.

ხშირად ხდება, რომ დამკვეთი ცნობილია, შემსრულებელი კი არა. შეიძლება დამკვეთის პიროვნება სხვამ, უფრო აქტიურმა ადამიანმა დაჩრდილოს, მაგალითად, პატრიარქ ფოტიუსის როლი აია სოფიას საკურთხევლის კონქის მოზაკის შექმნაში სხვადასხვანაირად არის ხოლმე ინტერპრეტირებული, თუმცა წარწერაში მხოლოდ ღვთისმოსავი მმართველები (იმპერატორები) არიან ნახსენები⁵. მართლაც, რამ განაპირობა ამ მოზაკის მხატვრული სახე – ინტელექტუალი პატრიარქის ხასიათმა და სურვილმა, თუ ორი იმპერატორის პრაგმატულმა მისწრაფებებმა?

ხელოვნების ნაწარმოები ამ მარტივი ურთიერთობით (დამკვეთი-შემსრულებელი) არ შემოიფარგლება და უფრო ფართო კულტურული ველის ამსახველია. ინვაციებიც უფრო ფართო მასშტაბის მოვლენებით უნდა აიხსნას და არა მხოლოდ დამკვეთის ხასიათითა თუ სურვილით. ახალი იკონოგრაფიული პროგრამები საინტერესოა არა იმდენად როგორც პატრონის სურვილის, არამედ მთლიანად იმ დროის თეოლოგიური აზროვნების ფოკუსების და აქცენტების ასახვა⁶. „შუა საუკუნეების მხატვარი მღებავი როდია, რომელიც დამკვეთის მოთხოვნით რასაც გნებავს დაგიხატავთ. იგი თავის სამუშაოს პატივისცემით ეკიდებოდა, მას წმიდად მიიჩნევდა“⁷.

სხვადასხვა ქვეყნის და რანგის მმართველთა ერთობლივი „პროექტების“ მაგალითებიც არსებობს. XII საუკუნეში ბიზანტიელი იმპერატორის მანუელ კომნენოსის, იერუსალიმის ჯვაროსანი მეფის ამაღლიკ პირველისა და ბეთლემის მთავარეპისკოპოსს რალფს შორის თანამშრომლობა ბეთლემის ტაძრის შემკობის მიზნით საკმაოდ იშვიათი და გამორჩეული მაგალითია⁸.

აქვე უნდა დავაზუსტოთ, რომ დამკვეთი, ანუ მომგებელი, ერთი მხრივ და იდეის და პროგრამის ავტორი (კონსულტანტი, მრჩეველი) მეორე მხრივ, აუცილებლად ერთი და იგივე პიროვნება არ იქნებოდა. მათი ჩარევის ხარისხი და ხასიათი ნაწარმოების საბოლოო სახის შექმნაში განსხვავებული იყო. დამკვეთს და თეოლოგს (მრჩეველს) მნიშვნელოვანი როლი ენიჭებოდათ მთლიანი პროგრამის კონცეფციის შემუშავებაში, თუმცა ამ ჩანაფიქრის მხატვრული და არა მხოლოდ მხატვრული ინტერპრეტაცია და ხედვა მთავარი მხატვრის პრეროგატივა იყო. მართლაც, როგორც ჩანს, განვითარებულ შუა საუკუნეებ-

5 Cormack, Patronage 615.

6 იქვე, 613.

7 ვირსალაძე, იშხანი, 94.

8 Bacci, the mystic cave, 140.

ში საკმაოდ დიდი შემოქმედებითი თავისუფლება სუფევდა, რასაც მოწმობს შედევრების დიდი რაოდენობა, რომელთაგან არც ერთი არ ჰგავს და არ იმეორებს ერთმანეთს⁹.

შუა საუკუნეების ქრისტიანისთვის კედლის მხატვრობაში გამჟღავნებული სიმბოლური საზრისის აღქმისთვის არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა ნაწარმოების თარიღს ან დამკვეთის ვინაობას. უშედეგოა სიახლეების წყარო მხოლოდ მომგებელი-დამკვეთის პიროვნებაში ვეძიოთ ანდა ვიმარჩიელოთ ეს სიახლე პირველად ვინ მოიგონა¹⁰. უდავოა, რომ ბევრ შემთხვევაში დამკვეთი თავის სურვილს გამოხატავდა მოხატულობის პროგრამის შემადგენლობის და იდეის მიმართ, იკონოგრაფიის მიმართაც, შესაძლოა, რაიმე კონკრეტული ნიმუშების მხატვრული სახის მიბაძვაც მოეთხოვა. ამავე დროს, ეს მისი სურვილები ზოგადად იმ დროის კულტურულ-მხატვრული პრიორიტეტებითაც იყო განპიროვნებული, მაგალითად, IX-X საუკუნეებში ბიზანტიაში კლასიკური ხელოვნება „მოდაში“ იყო და მხატვრებისგან ამ ძველი ტრადიციების მიბაძვასაც ითხოვდნენ¹¹. პატრონაჟის ხასიათით ვერ აიხსნება ყველა ის ცვლილება, რომელიც მართლმადიდებლური სამყაროს ხელოვნებაში სხვადასხვა ეტაპზე შეინიშნება; პატრონაჟი არ იყო ინოვაციების მთავარი მამოძრავებელი ძალა. დიდი წილი ამ პროცესში სწორედ მხატვრებს ეკუთვნოდათ. გადამწყვეტი მაინც წამყვანი მხატვარი იყო, რომელიც თეოლოგის ჩანაფიქრს მხატვრულ ფორმაში განახორციელებდა, ახდენდა პროგრამის გახსნას, ინტერპრეტაციას, დასმული ამოცანის მთლიანობაში განხილვას და შემდგომ უკვე კომპოზიციურად განაწილებას ეკლესიის საკრალურ სივრცეში¹². განვითარებული შუა საუკუნეების საუკეთესო ნაწარმოებებს თეოლოგიური კონცეფციის ფარგლებში გამოარჩევთ წარმოსახვის გაქანება და შემოქმედებითი თავისუფლება¹³.

მიუხედავად იმისა, რომ დამკვეთისა და მხატვრის ურთიერთობის ამსახველი დოკუმენტები არ გაგვაჩინია, მხატვრობის შექმნის რთულ პროცესში მათი როლების გადანაწილებაზე გარკვეული პიპოთეზების გაკეთებაში შეიძლება თვით ნაწარმოებები დაგვეხმარონ. „გამოვიყენოთ ხელოვნება, როგორც ისტორიული დოკუმენტი“¹⁴.

ასე მაგალითად, ქართულ საისტორიო წყაროებში არაფერია ნათქვამი ყინკვისის წმ. ნიკოლოზის ტაძრის მშენებლობასა და მოხატვაზე, თუმცა საკმაოდ

9 Привалова, Ростислав Тимотесубани, 142.

10 Cormack, Patronage, 623–624.

11 οქτώ, 625–626.

12 Привалова, Ростислав Тимотесубани, 142.

13 οქτώ, 142.

14 Kazhdan, Wharton Epstein, Changes, xxi.

ბევრი ფაქტი არის მოთხოვნილი ქტიტორის, ანტონი გლონისთავიძის შესახებ¹⁵. ანალებში მოთხოვნილია ქართლის კათოლიკოსის მიქაელ მირიანის ძის მიერ ანტონის „მოვერაგებისა“ და ჭყონდიდლობისა და მნიგნობართუხუცესობის თანამდებობებიდან მისი გადაყენების ამბავი, რის გამოც თამარ მეფემ ანტონის საშველად მოიხმო იერუსალიმში განრიდებული კათოლიკოსყოფილი ნიკოლოზ გულაბერიძე, რომელიც აქტიურად ჩაერთო ანტონის უფლებების დაცვაში. ამ ამბავთან დაკავშირებით ისტორიკოსი ნიკოლოზ გულაბერიძეს უწოდებს „ნიკოლაუს, მსგავსი სეხნისა თვისისა“¹⁶. სწორედ ეს განსაზღვრება ნებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ყინულისის კედლის მხატვრობის პროგრამა ანტონის მიერ იქნებოდა შედგენილი, რადგან აქ წმ. ნიკოლოზის თემა არის საგანგებოდ გამოკვეთილი და ხაზგასმული, რაც ერთგვარი მადლიერების გამოხატვა იყო ნიკოლოზ გულაბერიძის მიმართ.

პროგრამაში უშუალოდ კათოლიკოსყოფილი არ არის არც გამოსახული, არც დასახელებული, მაგრამ ამ პროგრამის ძალიან ბევრი ასპექტი სწორედ ნიკოლოზ გულაბერიძეზე მიანიშნებს; მის მიერ არის შთაგონებული, თუნდაც ტაძრის სახელობა, წმ. ნიკოლოზის საგანგებო გამოსახვა აფსიდის ზედა რეგისტრში, ღმრთისმშობლის გამოსახულების ქვეშ (სურ. 2); ეროვნულ წმინდანთა გამოყოფა, განსაკუთრებით კი წმ. ნინოსი (სურ. 3); ჯვრის თემის მთელი ანსამბლის შინაარსობრივ „კარკასად“ გამოყენება და სხვა¹⁷. თამარ მეფის გამოსახვაც მამასთან და ძესთან დინასტიურ რიგად უთუოდ ანტონის გადაწყვეტილება იქნებოდა (სურ. 4), რადგან ქტიტორად, დამკვეთად სწორედ ის გვევლინება, რადგან წმ. ნიკოლოზის წინაშე ეკლესიით ხელში სწორედ ის არის გამოსახული. ასე რომ, თვით მხატვრობა გვაუწყებს, რომ, თუმცა სწორედ ბაგრატიონთა დინასტიური პორტრეტი არის მოხატულობაში ესოდენ გამოკვეთილი და ხაზგასმული, რეალური ქტიტორი ანტონი ჭყონდიდელია და, რაც ჩვენთვის საინტერესოა, პროგრამის ავტორიც ნამდვილად ის იქნებოდა, რაც ერთგვარი მადლიერების გამოხატვა იყო ნიკოლოზ გულაბერიძის მიმართ.

პატრონაჟის თვალსაზრისით ასევე საინტერესო საკითხი წამოიჭრება ვარძიის მოხატულობის შემთხვევაში. როგორც ცნობილია, ვარძიაში თამარ მეფე გამოსახულია ხელში ტაძრის (ან ციხე-სიმაგრის) მოდელით, რაც თითქოსდა უეჭველს ხდის მის ქტიტორობას, მას როგორც დამკვეთს და მომგებელს (სურ.

15 ბასილი ეზოსმოძღვარი, ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისა, 117-123; ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, 32-33, 69-72; სხირტლაძე, ისტორიულ პირთა პორტრეტები, 60-70; ვაჩერიშვილი, ყინწვისის მაშენებლის გამოსახულების შესახებ, 745-752.; Eastmond, Royal Imagery, 93-184; დიდებულიძე, საღვითისმეტყველო პოლემიკის ასახვის საკითხისათვის, 136-138.

16 ბასილი ეზოს მოძღვარი, ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისა, 117-118.

17 დიდებულიძე, საღვითისმეტყველო პოლემიკის ასახვის საკითხისათვის, 136-140.

5). თუმცა იმავე ჩრდილოთ კედელზე, ოლონდაც დასავლეთ მონაკვეთში გამოსახული რატი სურამელის წარწერა ერთგვარად ეჭვქვეშ აყენებს მის ამ როლს¹⁸. თუმცა თამარი, შესაძლოა, ტაძრის გამოკაფვის, „აშენების“ დამკვეთი იყო, ხოლო მოხატულობა კი რატი სურამელის მოღვაწეობის შედეგია. მაგრამ არაფერი მიგვანიშნებს, რომ მოხატულობის პროგრამის შედგენაში სწორედ რატი მონაწილეობდა. უფრო დამაჯერებელი ჩანს მოსაზრება, რომ პროგრამა მხატვრის შემოქმედების ნაყოფია. მითუმეტეს თუ გავითვალისწინებთ მის პროგრამაში ხელმწიფის, მეუფის თემის გამოკვეთას და მის უაღრესად მაღალ და უნიკალურ მხატვრულ დონეს¹⁹.

დამკვეთის მონაწილეობაზე მოხატულობათა პროგრამების შემუშავებაში (ყოველ შემთხვევაში ძირითადი კონცეფციის ჩამოყალიბებაში) საინტერესო მაგალითს წარმოადგენს ტაოში ოთხთა ეკლესიის საკურთხევლის მოხატულობა, რომელიც მკვლევართა აზრით დავით კურაპალატის დაკვეთით და მისი უშუალო მონაწილეობით უნდა გაკეთებულიყო როგორც ერთგვარი ვიზუალური მტკიცება ბაგრატიონთა წარმომავლობისა ბიბლიური მეფეების დავითისა და სოლომონის ხაზით, განსაკუთრებით კი პარალელი სოლომონთან, როგორც იერუსალიმის ტაძრის მშენებელთან²⁰. თვით ოთხთა ეკლესიის იმ დროისთვის ანაქრონული ბაზილიკური ტიპი სწორედ იერუსალიმის სიონის ტაძრის ანალოგით იქნა შერჩეული.

ასე რომ თვით მხატვრობა ხშირად ბევრს რასმე გვიამბოს, გაგვანდობს მისი პატრონაჟის თაობაზე, თუმცა დამკვეთი-მხატვრის ურთიერთობისა და თანამშრომლობისა კონკრეტული ფორმები მაინც საკმაოდ ბუნდოვანია და მხოლოდ ჰიპოთეზებით გვიხდება შემოფარგვლა.

ამ მხრივ საგულისხმოა ე.ნ. ხალხური მიმართულების მოხატულობათა პროგრამებზე დაკვირვება. როგორც ცნობილია, ამ მოხატულობათა მხატვრული „ენა“ საკმაოდ მარტივია, უშუალობით და ერთგვარი მიამიტობითაც გამორჩეული, თუმც კი ძალიან ექსპრესიული. ამ გამარტივებულ მხატვრულ ენას თითქოს არ შეესატყვისება მოხატულობათა საკმაოდ რთული თეოლოგიური შინაარსი²¹.

18 „ჰოი ლმრთისა დედაო მიითუალე.... მსახურებაა ჩემ მიერ მონისა შენისა რატი ერისთავთ-ერისთავისა და ქართლისა ერისთვისაგან, რომელმან ვიგულსმოდგინე და მოხატვით აღვამევე წმიდავ ესე ტაძარი დიდებისა შენისა/ და ნაცვალ მეგ წინაშე ძესა შენსა და ღმერთსა ჩუენსა დღესა მას დიდსა საშველისასა და ამას სოფელსა შინა ძეთა ჩემთა თანა მცველადა და მფარველად მექმებ“, გაფრინდაშვილი, ვარძია, 64.

19 კლდიაშვილი, ვარძიის ლვთისმშობლის მიძინების ეკლესიის მოხატულობის პროგრამისათვის, 35-49.

20 მგალობლიშვილი, ახალი იერუსალიმები საქართველოში, 96-100; სხირტლაძე, ოთხთა ეკლესიის ფრესკები, 201-214.

21 ხუსკივაძე, ქართული ეკლესიების გვიანი შუა საუკუნეების „ხალხური“ მოხატულობანი, 367-377.

საფიქრებელია, რომ მავანი საეკლესიო მოღვაწე მონაწილეობდა პროგრამის ძირითადი თემების და საერთო სულისკვეთების განსაზღვრაში. ცხადია, ვერ გამოვრიცხავთ ნიმუშების გამოყენებას, თუმცა უფრო სავარაუდოა, რომ მხატვრის გარდა კიდევ სხვაც მონაწილეობდა პროგრამის შედგენაში, თანაც ეს „სხვა“ მაინცდამაინც ლაშეიშვილების ან აბაშიძეების ოჯახების წევრი არ იქნებოდა, არამედ სწორედაც საეკლესიო მოღვაწე, მღვდელმსახური. მეორე მხრივ, მოხატულობის ქვედა რეგისტრში ქტიტორთა რიგში ვინ იქნებოდა გამოსახული, ალბათ, სწორედ ლაშეიშვილები და აბაშიძეები წყვეტდნენ.

პატრონაჟის ფორმების თვალსაზრისით საგულისხმოა წალენჯიხის ტაძრის მოხატულობის ისტორია. ფრესკულ წარწერებში საკმაოდ დაწვრილებითი ინფორმაციაა ვამეყ დადნიანის მიერ კონსტანტინოპოლელი მხატვრის მანუელ ევგენიკოსის მოწვევის თაობაზე. იგი, ალბათ, სათანადო თანხებსაც გაიღებდა, მაგრამ რამდენად „მოიცლიდა“ ვამეყი სახელმოვანი მხატვრისთვის „ინსტრუქციების“ მისაცემად, გაურკვეველია. თანაც მოხატულობის პროგრამის ბევრი ასპექტი უდავოდ მიუთითებს, რომ ევგენიკოსი თვით იყო ამ, ქართული ფერწერული ტრადიციისთვის ცოტა „უცხო“ პროგრამის ავტორი (სურ. 6)²².

დამკვეთის როლის შესახებ მოხატულობის ორგანიზაციასა და ზედამხედველობაში „დოკუმენტური“ მოწმობის ერთ იშვიათ ნიმუშად შეიძლება მივიჩნიოთ მაცხვარიშის მაცხოვრის ეკლესიის მამასახლისის კვირიკეს წარწერა: „ესე არს კ(ვირიკ)ე მამასახლისი რომელმან დიდი მოიჭირვა (ამ)ის ეკლესიისა ზედგომად ხატვასა ამინ“. კვირიკეს ეს და მეორე წარწერაც გამსჭვალულია ისეთი სიყვარულით, ზრუნვით და თაყვანისცემით მხატვრობის მიმართ, რომ თავისთავად იქმნება აზრი მისი მონაწილეობის შესახებ თუნდაც პროგრამის შემუშავებაში, ან წმინდანთა შერჩევაში²³, თუმცა დემეტრე I-ის მეფედკურთხევის რიტუალის გამოსახულება (სურ. 7), ალბათ, მართლაც იმ ადგილობრივი სვანი ერისთავების სურვილი იყო (და მოთხოვნაც), ვინც მეფედკურთხევის დადგენილი წესის თანახმად ამ რიტუალში იღებდნენ მონაწილეობას²⁴.

დამკვეთის ვინაობის თვალსაზრისით საინტერესო პრობლემას გვთავაზობს უბისის წმ. გიორგის ეკლესიის მოხატულობის წარწერები და უბისის ტაძრის მოხატულობისა და ხატების ავტორობა (სურ. 8). ხატების დამკვეთი ცნობილია – ბაბლავ ლასხიშვილი. უბისის კედლის მხატვრობის შემსრულებლის სახელი ცნობილია – გერასიმე. ასევე ცნობილია მეორე სახელი – დამიანე, სავარაუდოდ, მისი მასწავლებელი, გამზრდელი ან მეორე მხატვარი. გამოთქმულია

22 ლორთქიფანიძე, ჯანჯალია, წალენჯიხა, 7–8.

23 Вирсаладзе, Фресковая роспись художника Микаела Маглакели, 162–163.

24 იქვე, 147–152.

აზრი, რომ კედლის მხატვრობას და ხატებს ბევრი საერთო იკონოგრაფიული, პროგრამული და სტილური ნიშნები აქვთ²⁵. ასე რომ იქნებ ბაბლაკ ლასხიშვილი კედლის მხატვრობის დამკვეთადაც წარმოვიდგინოთ. თუმცა ეს რომც დაუშვათ, მისი მონაწილეობის შესახებ მოხატულობის პროგრამის შემუშავებაში ვერაფერს ვიტყვით. უფრო დამაჯერებლად უღერს კედლის მხატვრობის მომგებლად სწორედ დამიანე მივიჩნიოთ, მით უმეტეს თუ გავითვალისწინებთ მის მოხსენიებას საიდუმლო სერობის წარწერაში საკურთხეველში, გამოსაჩენ ადგილას²⁶.

შეიძლება დავასახელოთ საინტერესო მაგალითი ხუროთმოძღვრების სფეროდან, რომელშიც მკაფიოდ ჩანს დამკვეთის – დავით აღმაშენებლის მთავარი და უცილობელი როლი ტაძრის გარეგნული სახის მხატვრულ გადაწყვეტაშიც, თავის მხრივ, წმ. გიორგი მთაწმინდელის ქადაგების გავლენით. დ. თუმანიშვილის აზრით, გელათის მთავარი ტაძრის ხაზგასმულად სადა, „პურისტული“, ჩუქურთმებს მოკლებული მხატვრული სახე, ისევე როგორც თილვისა, სწორედ დამკვეთის სურვილის და განწყობის გამოხატულება²⁷.

ცხადია, გელათის საკურთხევლის მოზაიკით შემკობა დამკვეთის სურვილი იქნებოდა, თუმცა ამ შემთხვევაში მხატვრობის ამ ნაწარმოების მხატვრული სახე რამდენად განპირობებულია დამკვეთის მოთხოვნით, ძნელი სათქმელია (სურ 9). თვით შემსრულებლის წარმომავლობაზეც სხვადასხვა აზრი არსებობს, ყველაზე დამაჯერებელი ქ-ნ თინა ვირსალაძის მოსაზრებაა ბიზანტიის განსწავლულ-გაზრდილი ქართველო ოსტატის ავტორობის თაობაზე, რასაც ამ გამოსახულების მკაცრი ხაზობრიობა მიუთითებს²⁸. უდავოდ დამკვეთის (თვით დავითის ან მისი ძის, დემეტრეს) სურვილი უნდა ყოფილიყო ტაძრის წართექსში მსოფლიო საეკლესიო კრებების გამოსახვა, რაც იმ დროის აღმოსავლეთქრისტიანული სამყაროს კედლის მხატვრობაში უნიკალური ნიმუშია. არ არის გამორიცხული, ამ პროგრამის შედგენაში გიორგი ჭყონდიდელის გავლენაც და უშუალო მონაწილეობაც კი.

ასეთივე შთაბეჭდილება იქმნება, როდესაც ბეთანიის ტაძრის კედლის მხატვრობას ვუყურებთ, კერძოდ კი XII ს-ში სუმბატ დიდის დროს შესრულებულ ღმრთისმშობლის ბიბლიურ წინასწარუნყებების დიდ ციკლს სამხრეთ კედელზე

25 ბურჭულაძე, უბისის მონასტრის ხატები, 159.

26 მიქელაძე, ხელოვან-მომხატველთა წარწერების მნიშვნელობა, 154–157; ლორთქიფანიძე, „საიდუმლო სერობის“ სცენა, 271–272; ბურჭულაძე, უბისის მონასტრის ხატები, 149–154.

27 თუმანიშვილი, XII საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ერთი ტენდენციის გაგებისათვის, 107–121; რჩეულიშვილი, თიღვა, 99–100.

28 მეფისაშვილი, ვირსალაძე, გელათი, 10.

(სურ. 10). ახლა ვერ დავიჩემებთ, რომ ამ პროგრამის იდეა მაინცდამაინც სუმბატს ეკუთვნოდა და მისი შემუშავებული იყო, თუმცა მაინც საფიქრებელია, რომ მისი ბრძანებით ან თხოვნით იმ დროის გამორჩეულმა საეკლესიო მოღვაწემ შეიმუშავა. მართლაც, ამგვარი ციკლი ამ პერიოდში მთელს სამართლმადიდებლობის ძალზე იშვიათია, თუ უნიკალური არა. შემდგომ ხანაში, განსაკუთრებით პალეოლოგოსთა სტილის გამეფების ან პოსტბიზანტიურ ხანაში ეს თემა უფრო აქტუალური ხდება, მაგრამ არა XII საუკუნის მეორე ნახევარში²⁹.

მხატვრის გარდა მოხატულობის პროგრამის შემუშავებაში დამკვეთის ან გარეშე პირის მონანილეობა შეიძლება დავუშვათ თანდილის ეკლესიის XIII საუკუნის მხატვრობის შემთხვევაში, რომელიც ე.წ. ხალხურ მიმართულებას განეკუთვნება თავისი ძალზე გამარტივებული ფერწერული მანერით, ძლიერი დეფორმაციით, უშუალობით, მთლიანი ანსამბლის „ხალიჩისებური“ გადაწყვეტით, მარტივი ფერადოვნებით, ფიგურათა ძლიერი დისპროპორციით და სხვა ნიშნებით. ამ ფონზე გასაოცარია ბზობის სცენის სახითმეტყველებითი გადაწყვეტა – ქრისტეს ფიგურის უკან, მთაზე საფეხუროვანი გაბრწყინებული ჯვარი და პატარა სამლოცველო მის გვერდით – გოლგოთა, რისი პარალელიც ძნელად თუ მოიპოვება³⁰. ცხადია, შესაძლოა ეს აიხსნას უბრალოდ რაიმე ნიმუშის გამოყენებით (თუნდაც ხელნაწერი წიგნის), მაგრამ მაინც დამაფიქრებელია და ძნელია წარმოვიდგინოთ, რომ მხოლოდ მხატვრის მიერ იყო „მოფიქრებული“.

ამგვარი ირიბი მინიშნებები, ცხადია, კედლის მხატვრობის შექმნის რთულ პროცესში დამკვეთ-ოსტატს შორის არსებული ურთიერთობების მეტ-ნაკლებად სრულად წარმოდგენისთვის არ არის საკმარისი, თუმცა ეს სწორედ ის სფეროა, რომელშიც ოსტატის ხასიათი, ფსიქოლოგია და თვითაღქმა მნიშვნელოვან როლს თამაშობდა. რამდენად ჰარმონიული იყო მათი ურთიერთობა, რამდენად ითვალისწინებდა ოსტატი დამკვეთის სურვილებს თუ მითითებებს, თუნდაც ისინი მის საკუთარ განწყობას და მოსაზრებებს არ შეესატყვისებოდა – ყოველივე ამის ცოდნა ძალზე საინტერესო სურათს შეგვიქმნიდა შუა საუკუნეების ოსტატების და მათი მოღვაწეობის თაობაზე. სამწუხაროდ, ძალზე ცოტა რამ ვიცით შუა საუკუნეების ქრისტიანული ხელოვნების ბრწყინვალე ნაწარმოებების შემოქმედთა შესახებ. რადგან არ გვაქვს არც მათი ვრცელი ბიოგრაფიები, არც მათ მიერ დატოვებული მოგონებები ანდა მათი თანამედროვეთა მიერ კონკრეტულად მათ შესახებ გამოთქმული მოსაზრებები და ინფორმაცია, გვი-

29 Привалова, Новые данные, 8–9.

30 Аладашвили, Роспись Церкви Тангил, 17–37; Velmans, Le Peintures de L'église; Gagoshidze, Jerusalem, 135, 137.

ხდება ერთგვარი „ირიბი“ მოწმობებით სარგებლობა, რათა გარკვეული შთა-ბეჭდილება შევიქმნათ შუა საუკუნეების კედლის მხატვრობის ოსტატების თვითაღების და იდენტობის თაობაზე.

საგულისხმო მასალას გვაწვდის ოსტატთა წარწერები³¹, განსაკუთრებით ისინი, რომლებიც მხატვრის სახელით, პირველ პირში არის შექმნილი. ასევე მნიშვნელოვანია ეკფრაზისების, ჰაგიოგრაფიული თხზულებების, ისტორიულ წყაროებში, ტიპიკონებში არსებული მონაცემები, თუმცა ქართული მასალა, სამწუხაროდ, ძალიან მწირია. ამ მხრივ დამხმარედ შეიძლება დანარჩენ აღმოსავლეთსაქრისტიანობი (ე.წ. ბიზანტიურ სამყაროში) შემონახული ინფორმაციაც გამოვიყენოთ, ისევე როგორც სხვა, მომიჯნავე დარგების მონაცემები. ამიტომ ჩვენი მოსაზრებები უფრო ჰიპოთეზური ხასიათის იქნება, თუმცა ზოგი რამ ამ მწირე მონაცემების მიხედვითაც შეიძლება დავასკვნათ.

ეს საკითხები განეკუთვნება შემოქმედებითი ფსიქოლოგიის საკმაოდ რთულ სფეროს, მით უმეტეს, როცა საქმე გვაქვს მრავალი საუკუნის წინანდელ ადამიანთა ფსიქოლოგიასთან. უპირველეს ყოვლისა, შუა საუკუნეების მხატვრების თვითაღების შესაფასებლად გასათვალისწინებელია, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებდნენ ისინი თავის საქმიანობას, როგორ აღიქვამდნენ თავის ფუნქციას. შუა საუკუნეების აღმოსავლეთქრისტიანულ სამყაროში, და განსაკუთრებით სამართლმადიდებლობი გამოსახულებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა. როგორც ცნობილია, გამოსახულებას მრავალ ფუნქციას ანიჭებდნენ: საგანმანათლებლო, სახითმეტყველებითი, ანაგოგიური და, რაც მთავარია, იგი განიხილებოდა როგორც დამაკავშირებელი გზა ადამიანსა და უფალს შორის, განკაცებისა და, შესაბამისად, ადამიანის მოდგომისა და ხსნის დასტური.

ცხადია, ამ ფუნქციების რეალიზებისთვის მოწოდებული ადამიანები (ყოველ შემთხვევაში, საუკეთესონი) აცნობიერებდნენ თავის მისიას და გასაკვირი არ იქნებოდა, რომ ერთგვარი სიამაყე (არა ამპარტავნება) ამის გამო დაუფლებოდათ. ასე რომ მხატვრების თვითაღება საკმაოდ მაღალი შეიძლება ყოფილიყო. შუა საუკუნეების მხატვართა საკმაოდ მაღალ თვითაღებას ისიც განაპირობებდა, რომ წმ. ლუკა მახარებელი ამავდროულად მხატვარიც იყო და მხატვართა მფარველ წმინდანადაც იყო მიჩნეული.

ასევე, საკმაოდ სიამაყეს და თვითპატივისცემას იწვევდა ბიბლიური ლეგენდარული ოსტატი – ბესელეილი, რომელიც უფალმა გამოარჩია საწამებლის კარვის შესაქმნელად, როგორც გამორჩეულად აღვსილი უფლის მადლით. უფა-

31 მიქელაძე, ხელოვან-მომხატველთა წარწერების მნიშვნელობა, 149–177.

ლი მოსეს წარუდგენს ბესელიელს: „აღვავსე იგი სულითა საღმრთოთა, სიბრძნისათა და გულისჯის-ყოფისა და წელოვნებისათა და ყოვლისა საქმისა“ და ჩამოთვლის მის მრავალრიცხოვან ნიჭვა და უნარებს ხელოვნების სხვადასხვა დარგში (გამოსვლათა, 31: 1-11; 35: 30-35). თვით მისი სახელი ნიშნავს „უფლის წყალობის ქვეშ მყოფი“³².

ოსტატი-შემოქმედის (ამ შემთხვევაში ხუროთმოძღვრის) სულიერი მდგომარეობის შესანიშნავ აღნერას გვაძლევს გიორგი ჩუბინაშვილი წრომის შესახებ გამოკვლევაში: “Не может быть сомнения в том, что молитва в так созданном помещении церкви – при дневном свете, широко проникавшем через оконные отверстия, или вечером при тусклом свете свечей и лампад перед алтарем, в котором ярко блестело мозаичное изображение, богато снаженное золотом, – была полна строгости и глубины религиозного чувства, которое вообще характеризует раннее христианство; **мы должны себе представить архитектора Цроми как человека, который жил в своей вере и творил по своим убеждениям**“³³.

ახალი დროის ოსტატებისგან განსხვავებით, შუა საუკუნეების მხატვრებისთვის, შემოქმედება არ იყო თვითდამკიდრების ფორმა, თავისი „მე“-ს გამოჩენის საშუალება. მათთვის ეს იყო მსახურება ამ სიტყვის ყველაზე მაღალი გაგებით და ამგვარ განწყობაში არაფერი იყო დამამცირებელი. კანონიკურობის პრინციპთან ერთად „უმაღლესი შთაგონების“ იდეა არის შუა საუკუნეების ოსტატების შემოქმედებითი მეთოდის საფუძველი³⁴.

მიიჩნევა, რომ ბიზანტიური ხელოვნება იყო იმპერსონალური და ანონიმური³⁵, თუმცა ჩვენს დრომდე შემორჩენილი მნირი მასალაც გვარწმუნებს, რომ ეს არცთუ სრულად შეესაბამება სინამდვილეს. ასე მაგალითად, ოქსფორდის ბიზანტიის ენციკლოპედიურ ლექსიკონში (Oxford Dictionary of Byzantium) ხელოვნების სხვადასხვა დარგში მოღვაწე მოღვაწე ასტატების საკმაოდ დიდი სიაა, რაც მიზანმიმართულ ანონიმურობას ეჭვს ქვეშ აყენებს³⁶, თუმცა არც ეს სიაა სრული.

არსებობს მოსაზრება, რომ შუა საუკუნეების მხატვრები თავის თავს მხოლოდ უფლის ინსტრუმენტად აღიქვამდნენ და ამიტომ არც ახსენებენ თავიანთ

32 სხვათა შორის, ბესელეილთან შედარებული არის წმ. ნინო პირველი ეკლესიის მშენებლობის უამს მცხეთაში. როცა წმ. ნინო გამოუსახავდა მშენებლებს ეკლესიის სახეს „ვითარცა ახალი ბესელიელი“ და ხელმძღვანელობდა პირველი ეკლესიის აგებას, წმინდა ნინო ემბაზი ქართლისაა, 244; ჩაკვეტაძე, ეკლესიის დაფუძნების სცენა, 84–94.

33 Чубинашвили, *Цроми*, 8.

34 Бычков, Византийская Эстетика, 498.

35 Mango, Byzantium, 256.

36 Oxford Dictionary of Byzantium, 196–201.

სახელებს³⁷. თუმცა ეს სრულიად არ უშლიდა ხელს, რომ ყოველი მათგანი განუმეორებელი ინდივიდუალობა ყოფილიყო, განუმეორებელი ხელწერის და მხატვრული აზროვნების მქონე, ჭეშმარიტი შემოქმედი. ამ მხრივ საგულისხმოა შუა საუკუნეების ქართული ჭედური ხელოვნების ერთ-ერთი ოსტატის, დავით კურაპალატის ჯვრის შემქმნელის ერთგვარი წოდება, რომელის წარწერაში არის დადასტურებული: ასათ მოქმედი, ანუ შემოქმედი³⁸. ასევე ბევრის მთქმელია ანჩისხატის ჭედური ჩარჩოს შემქმნელი ოსტატის ბექა ოპოზიტის შესხმა იოანე ანჩელის მიერ ანჩის ოთხთავის მინაწერში: „ლმრთისა მიერ კურთხეულისა ღირსი ოქროისმქანდაკებელი“³⁹.

მეორე მხრივ, მხატვრის სრულ დამოკიდებულებას უფლის ნებაზე და მის ერთგვარ უუნარობას ღმერთის დახმარების გარეშე რაიმეს შექმნისა მოწმობს მანდილიონის ისტორია. მართალია, ამ ამბის მთავარი საზრისი სულ სხვაა (ხატის და პირველსახის ურთიერთდამოკიდებულება და თვით ქრისტეს მიერ გამოსახულების ნებადართულობის, დასტური როგორც განკაცების და ხსნის დოგმის აუცილებელი პირობისა⁴⁰), ფაქტობრივად პირველი ხატის შექმნა მაინც ღმერთის მიერ ხდება და არა მხატვრის. ავგაროზის ლეგენდებში, მის მიერ წარგზავნილმა მხატვარმა ვერ დახატა ქრისტე, ვინაიდან ვერ გაუსწორა თვალი მის დიდებას და ამიტომ ქრისტემ თვით შექმნა თავისი ხელთუქმნელი ხატი, რომელსაც თავისივე სასწაულმოქმედი ასლების (მაგ. კერამიონი) შექმნის უნარი ჰქონდა⁴¹. ალავერდის ოთხთავში ჩართულ ავგაროზის წერილში ნათქვამია: „მხატვარი გამოჰქისახვიდა ხატსა მისსა და ვერ ეძლო, რამეთუ ვერ განიცდიდა მსგავსებასა მისსა, მაშინ მოყუასმა მისმან ჰრქვა მას: მიეც ხილვათ იგი ხელთა მისთა, ხოლო უფალმან მიიღო ხილვაი იგი და დაედვა პირსა ზედა თვისსა და მეყსეულად გამოესახა ხატი მისი მას ზედა“⁴².

საგულისხმოა რომ მხატვართა წარწერებში ხშირად გამოყენებულია ტერმინი „მოიხატა ხელითა.....“. თითქოს ისინი ერთგვარად დისტანცირებენ თავისივე ქმნილებისგან, თითქოს ამ ხელს სხვა ხელი წარმართავს, თავად მხატვრის პიროვნება კი არ მონაწილეობს. ამავე დროს, ასეთ წარწერებში მხატვრის

37 Аверинцев, Золото в системе символов, 44–46.

38 Чубинашвили, Грузинское Чеканное Искусство, 163.

39 საყვარელიძე, ანჩისხატის კარედი, 77–91.

40 Бельтинг, Образ и Культ, 237–242; მიქელაძე, ხელთუქმნელი ხატის გამოსახულება, 20–33; Skhitladze, Canonizing the Apocrypha, 69–93; Gedevanishvili, The Representation, 11–31; ყარაულაშვილი, ედესის მანდილიონი, 54–70.

41 Бельтинг, Образ и Культ, 241.

42 მაჭავარიანი, წიგნის ხელოვნება, 27.

სახელი არის ხოლმე მითითებული, რაც მის მონაწილეობას ამ საღვთო საქმეში საჯაროდ განაცხადებს და გადასცემს კიდეც მომავალ თაობებს. ამ მხრივ საგულისხმოა XII საუკუნის ბიზანტიელი პოეტის თეოდორე პროდრომოსის მონაყოლი მის თანამედროვე მხატვარზე, ევლალიუსზე. ის ჰყვება, რომ მოციქულთა ტაძრის მოზაიკებით შემკობის დროს მხატვრის ხელს ღმრთისმშობელი მარიამი წარმართავდა. ამის ორმაგი ინტერპრეტაცია შეიძლება გაკეთდეს: ერთი, რომ ნაწარმოების ავტორი ფაქტიურად მარიამია, მეორე – ევლალიუსი იმდენად კარგი მხატვარი იყო, რომ მარიამის დაფასება და დახმარება დაიმსახურა⁴³.

წარმოდგენა მხატვარზე, როგორც უფლის ხელში მორჩილ ინსტრუმენტზე, ჩვენი გადასახედიდან თითქოს ოსტატის შემოქმედებითობის დაკნინებაა, თუმცა იქნებ იმ დროის ადამიანებისთვის ეს დიდი პატივი და პასუხისმგებლობა იყო – მათ უნარზე იყო დამოკიდებული, რამდენად სწორად განახორციელებდნენ უფლის ნებას. თანაც ამაში ვლინდებოდა ერთგვარი თვითმომწონეობაც და სიამაყეც, რადგან უფალმა სწორედ ის აირჩია თავისი ნების გამოსახატავად. ზოგს ეამაყება უფლის ინსტრუმენტად ყოფნა, ზოგი კი უკიდურესად იკნინებს თავს და თავის უღირსობას უსვამს ხაზს. ამგვარი „ორმაგი“ და წინააღმდეგობრივი დამოკიდებულება და თვითაღება მხატვართა წარწერებშიც ჩანს. „ცოდვილი, უღირსი, მდაბალი“ და სხვა ეპითეტების გამოყენება ზედნერილებში სულაც არ ნიშნავს, რომ ამ წარწერების ავტორებს დაბალი თვითშეფასება ჰქონდათ. ეს უფალთან ურთიერთობის ერთგვარი ფორმა იყო, ერთგვარი რიტუალი; წარწერის განთავსების ადგილი კი უფრო ნათლად მიუთითებს, სინამდვილეში როგორი იყო მათი თვითაღება. მაგალითად, მეფის მხატვარ თევდორეს წარწერები საგანგებოდ გამოჩენილ ადგილებზე არის დატანილი და მხოლოდ მისი სახელი კი არ არის დამოწმებული, არამედ მისი სტატუსიც – მეფის მხატვარი.

ასევე მაღალი თვითშეფასების ასახვა უნდა იყოს უბისის ტაძრის საკურთხევლის თაღზე მხატვარ გერასიმეს წარწერის განთავსება, ყოველმხრივ გამოკვეთილი და თვალში საცემი. XVI საუკუნის ოსტატი გიორგი ჯოხტობერიძე, ოთხი მოხატულობის ავტორი და, ეტყობა, საკმაოდ სახელმოხვეჭილი მხატვარი, თავის წარწერებს საგანგებოდ გამოსაჩენ ადგილას განათავსებს და იგრძნობა კიდეც, რომ მშვენივრად გრძნობს რაოდენ დაფასებულია და სულაც არ „მორცხვობს“. „ცხოველი სვეტის“ მომხატველი გრიგოლ გულჯავარასშვილი საერთოდ პირველ პირში ასახელებს თავს „...დავხატე მე ფრიად ცოდვილმა მო-

43 Преображенский, О некоторых формах выражения, 68.

ქალაქემ გულჯავარაშვილმა...“. ამ წარწერაშიც გამოსჭვივის ერთგვარი სია-მაყე თავის სტატუსითაც და მიღებული დაკვეთის მნიშვნელოვნებითაც. აკი წარწერაც საკმაოდ თვალსაჩინოდ არის განლაგებული.

მხატვრის საკმაოდ მაღალ თვითშეფასებას და ასევე მის მაღალ პრესტიჟსაც მოწმობს ბეთლემის შობის ტაძრის 1169 წლის მოზაიკური დეკორის წარწერები მთავარი აფსიდის სამხრეთ კედელზე, რომლებშიც დასახელებულია მხატვარი ეფრაიმი: განხორციელდა ხელითა ეფრაიმისა, ბერის, მხატვრის და მოზაიჩის-ტის. განსაკუთრებით საგულისხმოა, რომ ბერძნულენოვან წარწერაში იგი და-სახელებულია იმპერატორ მანუელ კომნენოსის წინ, რომ აღარაფერი ვთქვათ ამალრიკზე, იერუსალიმის მეფეზე და ბეთლემის ეპისკოპოსს რალფზე⁴⁴.

ზოგი მხატვარი თავის სახელს საქმიანობის მითითების გარეშეც კი, სხვე-ბისთვის შეუმჩნეველ ადგილას ტოვებს, მაგალითად, ბეთანიაში, დემეტრე, ანდა ოზაანში მიქაელი⁴⁵. აქ უკვე სულ სხვა თვითაღქმაა – ამ მხატვრებს თით-ქოს სულაც არ აინტერესებთ „აქაური“ დაფასება, მათთვის მთავარი ზეცათა სასუფეველში დამკვიდრებაა და იქ შენდობის მიღება.

პეჩის მონასტრის XIV საუკუნის მომხატველი აკეთებს წარწერას: „ღმერთის ძღვენი იოანეს ხელით“, რაც გულისხმობს, რომ ამ მხატვრობაში ჭეშმარიტი შემოქმედი არის ღმერთი. მეორე მხრივ, ამ წარწერით მხატვარი თავის თავის პრეზენტაციასაც ახდენს, ერთგვარი თვითდამკვიდრება, როგორც ღმერთის ინსტრუმენტად ყოფნის ღირსისა. ანუ აქ გამოსჭვივის საკუთარი თავის და საკუთარი ხელოვნების მაღალი შეფასება. თანაც ეს წარწერა საკურთხევლის აფსიდში თვალშისაცემ ადგილას არის განთავსებული⁴⁶.

XI-XII საუკუნეთა მიჯნაზე სინას მთაზე მოღვანე ქართველი ბერის იოანე თოხაბის მაგალითიც ბევრის მთქმელია ოსტატის თვითაღქმის თაობაზე. მის მიერ შექმნილ ექვსკარედზე, მისი გამოსახულებებიც არის და წარწერებიც. ბერი იოანე დონორიც იყო, მხატვარიც და შესაძლოა ეპიგრამების ავტორიც, თანაც ორჯერ გამოსახა თავი: აღსაყდრებული მარიამის ფერხთით და განკი-თხვის დღის კომპოზიციაში, სამოთხის კარიბჭესთან⁴⁷. ამგვარი გადაწყვეტა მრავალგვარი ინტერპრეტაციის საფუძველს იძლევა.

მეორე მხრივ, არსებობს წარწერები, რომლებშიც ოსტატი უკიდურესად დამაკნინებელი ფორმით მოიხსენიებს თავს. ამ მხრივ უნიკალური და უცნაუ-

44 Bacci, the mystic cave, 140.

45 მიქელაქე, ხელოვან-მომხატველთა წარწერების მნიშვნელობა, 156–158.

46 Drpić, Painter as Scribe, 334.

47 სხირტლაქე, იოანე თოხაბი, 61–72; Galavaris, An Eleventh Century Hexaptych, 25–43, ill. 1, 15; Lidova, Creating a Liturgical Space, 226–233, მისივე, The Artist's Signature და სხვ.

რი წარწერაა მიგნებული ბეთანიის ტაძრის XII საუკუნის სამხრეთი კედლის მო-ხატულობაში, ნინასწარმეტყველ აარონის ფეხთან მიხატულ მუხლმოდრეკილ პანაზინა ფიგურასთან თითქმის შეუმჩნეველი წარწერა: „უფალო, ნუ შეუნდობ სოფრომს“⁴⁸. ერთგვარად მსგავსი განწყობითაა გამსჭვალული ლიობოსტინიას მონასტრის მომხატველის მაკარიოსის, მღვდლისა და მხატვრის წარწერა, რო-მელშიც მაკარიოსი მოხსენებულია როგორც ულირსი და თავმდაბალი⁴⁹. საზო-გადოდ, შუა საუკუნეების ოსტატებს არ სჩვეოდათ თავისი განდიდება, თვითქე-ბა, უფრო მოკრძალებით მოიხსენიებდნენ თავს⁵⁰.

მართლაც, არ ჩანს, რომ შუა საუკუნეების მხატვრებს ჰქონდათ ის პატივ-მოყვარეობა და ამპარტავნება, რაც რენესანსის დროინდელ და შემდგომი დროის მხატვრებს, რომლებიც უკვე უფლის ხელში უბრალო ინსტრუმენტად კი არ აღიქვამდნენ თავს, არამედ ჭეშმარიტ შემოქმედად, ანუ ფაქტობრივად ედარებოდნენ უფალს. ამის ტრაგიკულ შედეგს ვხედავთ მიქელანჯელოს ბოლო ნანარმოებებში; ამ მხრივ განსაკუთრებით სულისშემძვრელია ე.ნ. რონდანინის პიეტა, რომელიც ამ ამპარტავნების მსხვრევის ბრნყინვალე და ამავდროულად ტრაგიკული განსახიერება⁵¹.

შუა საუკუნეების ოსტატებს ამგვარი ფსიქოლოგიური განწყობა ნამდვი-ლად არ ჰქონდათ – ისინი უფლისთვის იღწვოდნენ და უფლის სიტყვას ხილულ ფორმებში უზიარებდნენ ადამიანებს, რათა მათ უკეთ გაეგოთ და გაეთავისე-ბინათ წმინდა წერილი. ფაქტია, რომ შუა საუკუნეების ოსტატთა თვითაღქმა განსხვავდებოდა ახალი დროის მხატვართა თვითაღქმისგან, თუმცა ძნელი სა-თქმელია, ეს თვითდაკნინების, უაღრესი თავმდაბლობის გამოხატულება იყო თუ რაღაც სხვა მოვლენასთან გვაქვს საქმე, მაგალითად, უფალთან ურთიერ-თობის გარკვეულ ფორმასთან.

XI-XII საუკუნეების ცნობილი ბიზანტიიელი საეკლესიო მოღვაწე, ათენის მი-ტროპოლიტი მიქაელ ხონიატი თვლიდა, რომ საზოგადოებრივ-საჯარო აღიარე-ბა და „აპლოდისმენტები“ არაფერს შესძენს ბრძენ ადამიანს. ხელოვანის გენიას ეს კი არ შთააგონებს, არამედ სიკეთის ცოდნა და სათნოება⁵². თავმდაბლობისა და უფლის მსახურებისკენ მოუწიდებს მხატვარს დიონისე ფურნელის „ჰერმი-ნიას“ შესავალი და საგანგებო ლოცვის ტექსტს სთავაზობს მხატვრებს⁵³.

48 Привалова, Новые данные, 16–17.

49 Drpić, Painter as Scribe, 335.

50 Bacci, the mystic cave, 144

51 Дворжак, История итальянского искусства, 44, 138.

52 Kazhdan, Wharton Epstein, Changes, 197.

53 The “Painter’s Manuel”, 1–4.

საგულისხმოა, რუსეთის საეკლესიო კრების „სტოგლავის“ მითითება ოსტატის ქცევის და სათანადო განწყობის თაობაზე საკრალური გამოსახულებების შექმნის პერიოდში (თავი 43)⁵⁴. ამ დოკუმენტში საგანგებოდ არის აღნერილი და დადგენილი ხატმნერის ცხოვრების წესი, მათ შორის, ამ განსაკუთრებული მოღვაწეობისთვის სათანადო მომზადების აუცილებლობა მარხვით და ლოცვით.


ჩვენი დროის გადასახედიდან, ალბათ, ცოტა ძნელია მთელი სისავსით გავიგოთ შუა საუკუნეების მხატვართა ფსიქოლოგიური განწყობა და თვითაღება, თუმცა, როგორც ვნახეთ, მათი შექმნილი ბრწყინვალე ნაწარმოებები გვეხმარება ოდნავ მაინც ჩავიხედოთ შუა საუკუნეების მხატვართა თვითგანცდისა და თვითაღების რთულ სამყაროში.

54 Успенский, Семиотика Иконы, 227, №б. 17.



სურ. 1. იშხნის კათედრალი. გუმბათის მოხატულობა. ჯვრის ამაღლება. 1032 წ.

Ishkhani. Cathedral. Dome. Ascension of the Cross. 1032.



სურ. 2. ყინცვისის წმ. ნიკოლოზის ტაძარი. საკურთხევლის აფსიდის მოხატულობა. XIII ს.

Kintsvisi. Church of St. Nickolas. Sanctuary apse. Murals. 13th c.



სურ. 3. ყინცვისის წმ. ნიკოლოზის ტაძარი. წმ. ნინო. XIII ს.

Kintsvisi. Church of St. Nickolas. St. Nino. 13th c.



სურ. 4. ყინცვისის წმ. ნიკოლოზის ტაძარი. ჩრდილოეთი კედელი. თამარ მეფე და გიორგი III. XIII ს.

Kintsvisi. Church of St. Nickolas. North wall. Queen Tamar and George III. 13th c.



სურ. 5. ვარძიის ღმრთისმშობლის მიძინების ტაძარი. ჩრდილოეთ კედელი.

თამარ მეფე და გიორგი III. XII ს.

Vardzia. Church of the Dormition. North wall. Queen Tamar and George III. 12th c.



სურ. 6. წალენჯიხის მაცხოვრის ტაძარი. საკურთხევლის კონქი.

ღვთისმშობლის დიდება. 1384-1396 წწ.

Tsalenjikha. Church of the Saviour. Sanctuary conch. Glory of the Virgin. 1384-1396



სურ. 7. მაცხვარიშის მაცხოვრის ეკლესია. ჩრდილოეთი კედელი.

დემეტრე I მეფედ კურთხევა. 1140 წ.

Matskhvarishi. Church of the Saviour. North wall. Coronation of King Demtre II. 1140.



სურ. 8. უბისის წმ. გიორგის ეკლესია. საკურთხევლის აფსიდის მოხატულობა. XIV ს.
Ubisi. Church of St. George. Sanctuary apse. Murals. 14th c.



სურ. 9. გელათის ღვთიმშობლის შობის ტაძარი. კონქის მოზაიკა. ღმრთისმშობლის დიდება XII ს.

Gelati. Church of the Nativity of the Virgin. Mosaic in the sanctuary conch. Glory of the Virgin. 12th c.



სურ. 10. ბეთანიის ღვთიმშობლის შობის ტაძარი. წმ დავით წინასწარმეტყველი. XII ს.

Betania. Church of the Nativity of the Virgin. Prophet David. 12th c.

შუა საუკუნეების ოსტატთა შემოქმედებითი თავისუფლება

შუა საუკუნეების მხატვართა მოღვაწეობის განხილვისას ერთი მნიშვნელოვანი საკითხი მათ შემოქმედებით თავისუფლებას ეხება. სწორედ ეს ასპექტი გახდა შუა საუკუნეების მხატვრობის „ხელოვნებად“ არმიჩნევის საფუძველი, თითქოსდა მისი შემოქმედნი შებოჭილნი იყვნენ მკაცრი აკრძალვებით და იკონოგრაფიული კანონებით, მხოლოდ სხვისი დაკვეთით და მითითებებით მუშაობდნენ და არავითარი კრეატიულობა არ გააჩნდათ. ეს პოზიცია ნამდვილად არ არის სწორი, ვინაიდან, თუ გადავხედავთ მსოფლიო ხელოვნების ისტორიას, ვნახავთ, რომ ყველა ეპოქას თავისი მოთხოვნები ჰქონდა ხელოვანთა მიმართ, თავისი კანონები, თავისი მხატვრული გემოვნება და „მოდური“ თემები, ან თუ-გინდ, ალოზ რიგლის განსაზღვრებით, თავისი „kunstwollen“¹. თვით რენესანსის ეპოქაშიც, რომელიც ევროპელთა წარმოდგენაში ადამიანის შემოქმედებითი თავისუფლების და თვითგამოხატვის საუკეთესო დრო იყო, ხელოვანთა შემოქმედებას საკმაოდ მკაცრი კანონები განსაზღვრავდა, კერძოდ, ბუნებრივისა და თვალხილულის ზედმინევნით სწორი ასახვის აუცილებლობა.

ევროპელთა წარმოდგენით, შუა საუკუნეების მხატვართა შემოქმედებითი თავისუფლების ერთ მნიშვნელოვან დამაბრკოლებელ და შემზღვდავ ფაქტორს დამკვეთი და დაკვეთა წარმოადგენდა.

თუმცა, თუ დავაკვირდებით, სხვა ეპოქებშიც, რენესანსის დროსაც და მერც, საკმაო ხანს, უმეტესწილად დამკვეთი განსაზღვრავდა რა უნდა ყოფილიყო გამოსახული და რა უნდა „ეთქვა“ გამოსახულებას. თუმცა ამას რატომღაც არ მიიჩნევენ ხოლმე ოსტატის შემოქმედებითი თავისუფლების შეზღუდვად. მართლაც, უამრავი ფაქტი არის ცნობილი, როცა იდეა, კონცეფცია და შინაარ-

1 Riegl, Stilfragen, 20.

სი დამკვეთისგან მოდიოდა, მხატვარი კი თავისი შესაძლებლობებით და თავისი „სტილით“ ხორცს ასხამდა ამ შემოთავაზებას. გავიხსენოთ, მაგალითად, მიქე-ლანჯელოსა და სიქსტეს კაპელის ჭერის მოხატულობის ისტორია². საეჭვოა რუბენსის მარია მედიჩის ტრიუმფის საზეიმო პანოების იდეა თვითონ გასჩენოდა და თავისი ნებითა და სურვილით შეექმნა, თუმცა ამ პანოების მხატვრული ენა მისი საკუთარი იყო³. არის შემთხვევები, როცა ხელოვანსა და დამკვეთს შორის ურთიერთგაგება იკარგება, მაგალითად, რემბრანდტის „ლამის გუშა-გის“ ისტორია⁴.

ეს შემოქმედების ფსიქოლოგიის საკითხია: როდის გრძნობს ოსტატი, რომ მისი შემოქმედებითი თავისუფლება შეზღუდულია? ალბათ მაშინ არა, როცა კანონის ან დაკვეთის მოთხოვნები ზუსტად ეპასუხება მის შინაგან მოთხოვნებს. მაინც რა შეიძლება მივიჩნიოთ შუა საუკუნეების მხატვართა შემოქმედებითი თავისუფლების ნიშნებად?

როგორც ცნობილია, VII საეკლესიო კრებამ დაადგინა, რომ გამოსახულების ჩანაფიქრი, კონცეფცია და შინაარსი ეკლესიის მოღვაწეთა, მღვდელმსახურთა საქმეა, მხატვარი კი მათ ჩანაფიქრს შესაბამის და შესატყვის მხატვრულ ფორმას ანიჭებს. ეს განცხადება მრავალნაირად შეიძლება იყოს ინტერპრეტირებული. ერთი მხრივ, აქ თითქოსდა დაკრინებაა მხატვრის მნიშვნელობისა და ფუნქციის. მეორე მხრივ, თუ ჩავუფიქრდებით, საეკლესიო კრებების განჩინებები არაფერს ამბობს ნაწარმოების მხატვრულ ფორმაზე (გარდა იმისა, რომ გამოსახულებამ მეტისმეტად ხორციელი ვნებები არ უნდა აღძრას), ანუ ფაქტობრივად სრულ დამოუკიდებლობას ანიჭებს მხატვრებს სწორედ ხელოვნების სფეროში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დამკვეთის სურვილი და მოთხოვნა არ იყო მთავარი და გადამწყვეტი ნაწარმოების (მაგ., კედლის მხატვრობის) არც კონცეფციის და მით უმეტეს, არც მხატვრული სახისთვის.

შუა საუკუნეების კედლის მხატვართა დამოუკიდებელი შემოქმედებითი აზროვნების და მოღვაწეობის ერთ მნიშვნელოვან სფეროს მოხატულობის პროგრამა წარმოადგენდა. იგი გარკვეული კონცეფციის განსხეულება იყო, რომელიც ვრცელდებოდა მთელს სამართლმადიდებლობში და არ იყო მხოლოდ ერთი კონკრეტული დამკვეთის მიერ ინსპირირებული. სწორედ ეს ასპექტი იყო მხატვრის აქტიური მონაწილეობის და მოღვაწეობის სფერო. მხატვრის თავი-

2 Wölfflin, Classic Art, 50.

3 Фромантен, Старые Мастера, 80–81.

4 იქვე, 205–226.

სუფლება გამოიხატებოდა იმაში, თუ რამდენად შეეძლო თავისი შეხედულებების და მხატვრული ამოცანების მორგება დამკვეთის სურვილისთვის. ამავე დროს, მისი შემოქმედებითი თავისუფლება, მისი პირადი არჩევანი ვლინდებოდა იმაშიც, თუ როგორ შეარჩევდა კედელზე განსათავსებელ გამოსახულებებს, რამდენად მოარგებდა არსებულ არქიტექტურულ გარემოს, რამდენად გაითვალისწინებდა ტრადიციას, „სოციალურ მეხსიერებას“, რომელიც საერთო იყო საზოგადოების საკმაოდ ფართო წრისთვის (სურ. 1).

კონცეფტები და იდეები უფრო ადვილად რჩება მეხსიერებაში, უფრო ადვილი დასამახსოვრებელია, ვიდრე გამოსახულების დეტალები. შემოქმედთა ნალვანში ის, რაც უცვლელი იყო, შეიძლება განისაზღვროს როგორც „ენა“, ანუ კულტურულად ჩამოყალიბებული და სოციალურად გაზიარებული ნიშანთა სისტემა, ხოლო ის გარეგნული ფორმა, რომელშიც ის განაცხადებს თავს სხვადასხვა ნაწარმოებში და სხვადასხვა მომენტში, შეიძლება განისაზღვროს როგორც „სიტყვა“⁵.

ცვლილებები და სიახლეები იკონოგრაფიაშიც ხდებოდა და მხატვრულ ენაშიც და ზოგჯერ გაპირობებული იყო იმითაც, თუ ვისთვის კეთდებოდა ნაწარმოები (მამაკაცისთვის, ქალისთვის, ერისკაცისთვის თუ საეკლესიო პირისთვის და სხვა)⁶.

არაერთხელ აღინიშნა, რომ მხატვრული ფორმების ის სიმრავლე და მრავალფეროვნება, რომელსაც შუა საუკუნეების მხატვრობაში ვხედავთ, გამორიცხავს იმ დროს მოღვაწე ოსტატების „არაშემოქმედებითობას“, მათი შემოქმედებითი თავისუფლების შეზღუდვას ეკლესიის მკაცრი კანონებით და ამ კანონების მიმართ „ბრმა“ დაქვემდებარებას. გავიხსენოთ, მაგალითად, თამარის ეპოქის ბრწყინვალე მოხატულობები ვარძის (სურ. 2), ბეთანიის (სურ. 3), ყინცვისის, ბერთუბნის (სურ. 4), დავითგარეჯის ნათლისმცემლის, ტიმოთესუბნის (სურ. 5,6) ტაძრებში. ყოველი მათგანი უდავოდ მაღალი პატრონაჟის ქვეშ შესრულდა, სამეფო, საერისთავო, თუ საეპისკოპოსო დაკვეთით. ცხადია, საუკეთესო ოსტატებს და ამქრებს მიიწვევდნენ. ყოველი მათგანი მკაფიოდ ინდივიდუალური, განუმეორებელი, თვითმყოფადი ნაწარმოებია. არავითარი გამეორება ან მიბაძვა – არც პროგრამა, არც ფერადოვნება, არც შესრულების მანერა არ მეორდება. ცხადია, გარკვეული საერთო ნიშნები იკითხება, ის რაც ეპოქის მხატვრული გემოვნების, ანდა დროის თეოლოგიური აზროვნების ანარეკლია, მაგრამ ყოვე-

5 Cutler, Visual Memory, 46.

6 იქვე, 40-41.

ლი მათგანი სრულიად თავისუფალი მხატვრული შემოქმედების ნაყოფია⁷; ან გავიხსენოთ, მაგალითად, ატენის სიონის XI საუკუნის მოხატულობა, რომლის პროგრამა მართლაც უნიკალურია, კერძოდ, ტეტრაკონქის ოთხივე მკლავის მოხატულობა, ერთი მხრივ, დამოუკიდებელი შინაარსისაა, მეორე მხრივ, კი ოსტატურად არის გაერთიანებული (განსაკუთრებით სამხრეთი და ჩრდილოეთი აფსიდები) (სურ. 7, 8). ასევე უნიკალურია გუმბათის მოხატულობაში ჩართული სამოთხის მდინარეთა პერსონიფიკაციები. სამოთხის ოთხ მდინარესთან ოთხი მახარებლის გაიგივება საკმაოდ გავრცელებული იყო ადრექრისტიანული ხანიდან, თუმცა ატენისნაირი ვერსია ნამდვილად „საავტორ“ გადაწყვეტაა⁸. აქ, ცხადია, გვახსენდება დასავლეთ აფსიდის ქვედა რეგისტრში გამოსახული სამეფო რიგის თავში მათი გამძლოლი საეკლესიო მოღვაწე (იქნება ეს გიორგი მთაწმინდელი თუ გიორგი ჭყონდიდელი⁹). ორივე შემთხვევაში მისი მონაწილეობა საერთო კონცეფციის ჩამოყალიბებაში, ან თუნდაც უფრო დეტალური იკონოგრაფიული და სახითმეტყველებითი საკითხების შემუშავებაში ეჭვს არ იწვევს¹⁰.

შუა საუკუნეების კედლის მხატვართა შემოქმედებითი უნარი უპირველეს ყოვლისა პროგრამის აგებულებაში და კონკრეტულ არქიტექტურულ სივრცის მონაცემებთან მის შესატყვისობაში ვლინდება. მაგალითად, ზემო კრიხის მოხატულობა (XI ს.). მთავარი მხატვრის ძალზე კრეატიული აზროვნების საინტერესო და საგულისხმო ნიმუშს წარმოადგენს (სურ. 9). ზემო კრიხის ეკლესიის კედლები უცნაურად დანაწევრებულია მიმდებარე კედლებიდან გადმოსული მართკუთხა ფორმის კედლის მონაკვეთებით, რომლებიც ერთგვარ „დამატებით“ სიბრტყეებს ქმნიან. მხატვარი ამ სიბრტყეებს ოსტატურად იყენებს გვერდითი კედლების კომპოზიციათა ნაწილების მათზე გასავრცობად, რითაც აერთიანებს კიდეც კედლების მხატვრობას, და თანაც კომპოზიციათა ჩამოკვეთაც აღარ უხდება. ამგვარად დანაწევრებულ კედლებზე კომპოზიციების განაწილების თ. ვირსალაძის მიერ გაკეთებული ანალიზი გამოირიცხავს რაიმე „გარეშე“ მონაწილეობას ამ გადაწყვეტაში – დამკვეთის, ან თუნდაც მღვდელმსახურის „ჩარევა“ პრაქტიკულად შეუძლებელია. მოხატულობის სისტემის ეს ოსტატური, გონებამახვილური და უნიკალური კომპოზიციური სტრუქტურა და აგებულება

7 Привалова, Ростисль Тимотесубани, 125–145.

8 ვირსალაძე, ატენის სიონის მოხატულობა, 176–188.

9 იქვე, 202–240; აბრამიშვილი, ატენის სიონის მოხატულობის კტიორთა იდენტიფიკაცია, 86–100.

10 ვირსალაძე, ატენის სიონის მოხატულობა, 239.

მთლიანად და ექსკლუზიურად ოსტატის დამსახურებაა¹¹. შეიძლება დავასახელოთ ასევე უბისის წმ. გიორგის ეკლესიის კამარის მოხატულობა (XIV ს.), როგორც ოსტატ გერასიმეს შემოქმედებითი მიდგომის ბრწყინვალე დადასტურება – გუმბათური პროგრამის მორგება დარბაზული ეკლესიის კამარაზე და სამების დოგმის ორიგინალური ვიზუალური ვერსიის შექმნა¹² (სურ. 10), ანდა სულინ-მინდის ტრადიციული კომპოზიციური სქემის შეცვლა მეორედ მოსვლის თემის აქცენტირების მიზნით აჭის წმ. გიორგის ეკლესიის მოხატულობაში¹³.

მხატვრის თავისუფალი ნება გამოიხატებოდა არა მხოლოდ პროგრამების გადაწყვეტაში, არამედ ერთი და იგივე ნაწარმოებში სხვადასხვა პერსონაჟისთვის სხვადასხვა მხატვრული მანერის გამოყენებაშიც (მაგალითად, ვლადიმირის ღმრთისმშობლის ხატზე ღმრთისმშობელი მარიამის სახე და ჩვილი ქრისტეს სახე¹⁴). ოსტატები ხშირად შეგნებულად ცვლიდნენ თავის მანერას დამკვეთის წარმომავლობის გათვალისწინებით (მაგალითად, კრეტელი ოსტატები ბერძნებისთვის ბერძნული, ვენეციელებისთვის კი იტალიური მანერით ხატავდნენ¹⁵). გარდა ამისა, ერთი და იგივე მხატვარი სხვადასხვა პერსონაჟს ხშირად სხვადასხვა მანერით ხატავდა, მაგალითად, ბეთანიის მოხატულობაში წმ. მარიამ მეგვიპტელის ზიარებაში წმ. დედის სახე და ფიგურა, რომელიც უკიდურესი ასკეზის ასახულობაა (სურ. 11) კარდინალურად განსხვავდება წმ. დედების სხვა გამოსახულებებისგან, რომლებიც პირსავსე, მოხდენილი და ლამაზი გარეგნობით გამოირჩევიან¹⁶.

შუა საუკუნეების ოსტატთა შემოქმედებითობა და დამოუკიდებელი მხატვრული აზროვნება მათ მიერ შესრულებული ნაწარმოებების ბევრ ასპექტში აისახება. მხატვართა „შემოქმედებითი“ მიდგომის და დამოუკიდებელი აზროვნების ერთ-ერთი მოწმობა მათ მიერ ტაძრის სივრცეში განთავსებული გამოსახულებების მნახველის მიერ ვიზუალური აღქმის თავისებურებათა სათანადო გათვალისწინებაა¹⁷. მაგალითად, შეიძლება გავიხსენოთ ფიგურათა პროპორციების ცვლა ატენის სიონის აფსიდების მოხატულობის რეგისტრებში,

11 Вирсаладзе, Фресковая роспись в церкви Архангелов, 51–62.

12 Лордкипаниძე, О некоторых художественных особенностях, 2–3; ლიფშიცი, უბისის წმ გიორგის ეკლესიის, 204–207.

13 Иосебидзе, Роспись Ачи, 27–30.

14 Kzhdan, Maguire, Byzantine Hagiographical Texts, 3.

15 Преображенский, О некоторых формах выражения, 78–79.

16 ოქროპირიძე, ბეთანიის მხატვრობა, 23–26.

17 მეფისაშვილი, ვირსალაძე, გელათი, 10.

ანდა განათების სპეციფიკის გათვალისწინება ტაძრის შიდა სივრცის სხვადა-სხვა ნაწილებში ტიმოთესუბანში (სურ. 6). შუა საუკუნეების მხატვრები წმინდა მხატვრული საშუალებებით სათანადო შინაარსობრივ აქცენტებს სვამდნენ და დამატებითი საზრისიც შეჰქმნდათ.

შუა საუკუნეების ოსტატთა შემოქმედებითი თავისუფლების კიდევ ერთ „ირიბ“ მტკიცებულებად შეიძლება დავასახელოთ მეფის მხატვარ თევდორეს მოღვაწეობა. მის მიერ მოხატულ სვანურ ეკლესიებში არსებული წარწერები მას მეფის მხატვრის მაღალი ტიტულით მოიხსენიებს. ეს იძლევა საფუძველს დაუშვათ, რომ ამ ტიტულით იგი ბევრი სხვა, მათ შორის, სამეფო დაკვეთის შემსრულებელი იქნებოდა. არსებობს კიდევ მოსაზრება, რომ შესაძლოა იგი დავით აღმაშენებლის კარზე მუშაობდა და რომ ქრისტე-პანტოკრატორის გრან-დიოზული ფიგურა სვეტიცხოვლის საკურთხეველში სწორედ მის მიერ შექმნილი გამოსახულების XIX საუკუნეში გაკეთებული ძალზე სუსტი იმიტაცია¹⁸. რას ვხედავთ თევდორეს მიერ მოხატულ სვანურ ეკლესიებში: უნატიფესი განცდა არსებული ხუროთმოძღვრული მონაცემებისა და სივრცის. ათორმეტი დღესასწაულის ტრადიციული ციკლის „ამპუტირება“ ოთხ სცენამდე ძალზე გაბედული გადაწყვეტილებაა, თანაც სამივე ეკლესიაში სრულიად თავისებურად ინტერპრეტირებული. ეს მოხატულობები, რომლებიც მონუმენტურობის არაჩვეულებრივი განცდით არის გამსჭვალული, ეჭვს არ იწვევს, რომ პროგრამის და სისტემის ამგვარი გადაწყვეტა თევდორეს ეკუთვნის, მისი შემოქმედებითი გენის გამოვლინებაა (სურ. 12)¹⁹.

ცხადია, შუა საუკუნეების ყველა ოსტატი როდი იყო ამგვარი ნიჭით დაჯილდოებული, თუმცა ქართულმა მხატვრობამ ბევრი ნიმუში შემოგვინახა, რომლებიც მონმობს მათი შემქმნელების სრულიად თვითმყოფად, დამოუკიდებელ მხატვრულ თუ სახითმეტყველებით აზროვნებას. კიდევ მრავალი მაგალითი შეიძლება დავასახელოთ როგორც ქართული, ასევე ბიზანტიური წრის ხელოვნების ნიმუშებიდან. ერთი რამ ცხადია: შუა საუკუნეების მხატვრები სწორედ თავის საკუთარ მხატვრულ სფეროში იყვნენ თავისუფალნი. და თუ ერთგულად მისდევდნენ კანონიკას, უმეტესად ეს მათსავე შინაგან რწმენას შეესატყვისებოდა, შინაგანად გაცნობიერებული ჰქონდათ, სხვაგვარად ვერც წარმოედგინათ. მხატვრული შემოქმედება ხომ ერთობლივი რწმენითი აქტის და ცოდნის ნაწილი იყო, საყოველთაო საეკლესიო ჭეშმარიტულება.

18 ოქრობირიძე, სვეტიცხოვლის საკურთხევლის მოხატულობისთვის, 25.

19 Аладашвили, Алибегашвили, Вольская, Живописная Школа, 77–91.

ფორმის თვალსაზრისით მხატვრული ნაწარმოები „პროდუქტია“ ერთ-დროულად რამდენიმე სახის სტილისა – ინდივიდუალურის, ეპოქალურის, ეროვნულის, რომელიც ოსტატის არაცნობიერში ძირძველი მხატვრული ტრადიციების დალექვის შედეგია²⁰. ამ ტრადიციას ეფუძნება კანონი, რომელიც ბორკილი კი არ იყო, არამედ გზის მაჩვენებელი.

შუა საუკუნეების ხელოვნების კანონიკურობა მისი „შეზღუდულობის, კონსერვატიულობის, არანოვაციურობის“, ეკლესიის დიქტატის მთავარ მიზეზად სახელდება. თუმცა კანონიკურობა არცთუ მარტივი საკითხია და არც მხოლოდ შუა საუკუნეების ხელოვნებას ახასიათებს. რა იგულისხმება, როცა შუა საუკუნეების ხელოვნებაში კანონზე ვსაუბრობთ? იყვნენ კი მხატვრები შეზღუდული მკაცრი საეკლესიო კანონებით? და თუ იყვნენ, რა დოზით, რა ხარისხით?

მხატვრებისთვის მათ მიერ ხორცშესხმული იდეები მათივე შინაგანი რწმენის გამოხატულება იყო; ისინი ვერ ხედავდნენ რაიმე წინააღმდეგობას და არავითარი ძალდატანება არ იყო საჭირო, რათა, მაგალითად, ხარება გამოესახათ ისე, როგორც ამას ტრადიცია ასწავლიდა. სხვა საქმეა, როგორ მხატვრულ ინტერპრეტაციას მისცემდნენ ამ დადგენილ სქემას ან თუნდაც რა შინაარსობრივ აქცენტებს გააკეთებდნენ.

კანონის გაგება შუა საუკუნეებში სხვაგვარი იყო, ვიდრე, მაგალითად, პუსენისთვის მის მიერვე შექმნილ მათემატიკურად ნორმირებული კანონებისა²¹. აქ შეგვიძლია მხოლოდ მივანიშნოთ, რომ ყველა ეპოქა და კულტურული წრე თავის „აკრძალვებს“ ამკვიდრებს. მაგალითად, იმავე რენესანსის პერიოდის, ჰუმანისტური იდეალების და ადამიანის თავისუფლების აპოთეოზის ეპოქაში, მხატვრებს საკმაოდ მკაცრი კანონების გათვალისწინება უხდებოდათ – მათ ხომ ბუნების, ხილული სამყაროს უტყუარი სურათი უნდა შეექმნათ, არც პორპორცია დაერღვიათ, არც ფერადოვნება, არც პერსპექტივის ნორმები. ასე თუ შევხედავთ, შუა საუკუნეების ოსტატები მხატვრული თვალსაზრისით ბევრად უფრო „თავისუფლი“ იყვნენ – გინდ დააგრძელებდნენ ფიგურას, გინდ გააბრტყელებდნენ, ახლოს მდგომს პატარად დახატავდნენ, შორეულს – დიდად და ა.შ. ახალმა დრომ მაგალითად, XX ს. კი სხვა, უფრო დაბალი დონის, მაგრამ ასევე მკაცრი კანონები მოიტანა – სიახლის აუცილებლობა, კომერციული კონუნ-

20 იუნგი, ანალიზური ფსიქოლოგიის საფუვლები, 56–64.

21 Белтинг, О образ и Культ, 155.

ქტურა, სკანდალი როგორც ხელოვნების მამოძრავებელი ძალა და სხვა²². ასე რომ, როდის იყო შემოქმედება უფრო „თავისუფალი“ ჯერ კიდევ გასარკვევია, და, მით უმეტეს, გასარკვევია, რისგან.²³

ქრისტიანული ხელოვნების საყოველთაო ხასიათი მართლაც საერთო მხატვრული კანონებით არის გაპირობებული. მაგრამ რელიგიური ხელოვნება (და საერთოდ ყოველგვარი მაღალი ხელოვნება) აუცილებლად კანონიკურია²⁴, რაც სულაც არ გულისხმობს შემოქმედებითი თავისუფლების შეზღუდვას²⁵. პირიქით, კანონი განაპირობებს ხელოვნების უაღრესად მაღალ ხარისხს როგორც ფორმალური, ასევე შინაარსობრივი თვალსაზრისით, მის უნივერსალურობას, მნიშვნელოვნებას. კანონი გულისხმობს ძალიან მაღალი მიზნის დაყენებას, იგი არის „გამოწვევა“, „ნიჭის სალესი ქვა“, მამა პავლე ფლორენსკი თქმით: ‘Художественному творчеству канон никогда не служил помехой и трудные канонические формы во всех отраслях искусства всегда были оселком на котором ломались ничтожества и заострялись настоящие дарования. Подымая на высоту достигнутую человечеством, каноническая форма высвобождает творческую энергию художника к новым достижениям, к творческим взлетам. Требование канонической формы есть освобождение, а не стеснение’²⁶.

შუასაუკუნეების მხატვრების ერთგვარი, „არაშემოქმედებითობა“ ევროპელთა თვალში განპირობებული იყო არა იმდენად მხატვრობის წესებით, რამდენადაც მათი საზღვრებით. ამ საზღვრებს შიგნით შუა საუკუნეების მხატვრებს საკმარისი სივრცე და შესაძლებლობა ჰქონდათ ყოველგვარი ვარიაციებისთვის და ბევრი სიახლეც შემოჰქონდათ იგივე იკონოგრაფიულ რედაქციებში. თუმცა იყო შემთხვევები, როცა მხატვრის თვითნებური გადაწყვეტა სცდებოდა ამ საზღვრებს. ამგვარი ნიმუში აღნერილია თეოდორე სტუდიელის წერილში ერთი ბერის მიმართ, რომელმაც დაუშვა იკონოგრაფიის უხეში და მიუღებელი დარღვევა: ეკლესიის სარკმელში ჯვარცმული ქრისტეს გარშემო გამოსახულ იქნა.

22 „После распада канона.....утрата даруемой каноном эстетической питательной среды должна с этих пор возмещаться личным энтузиастическим усилием, в результате чего индивидуальные стили переходят на все более короткое дыхание, быстро иссекают и появляется соблазн подхлестывать их, заменяя проникновенность изобретательностью, творческую сосредоточенность – истерией, человеческий пафос скандалом”, Галыцева, Ответственность художника, 155.

23 ‘В каждой эпохе дается собственная мера творческой свободы и даже самые талантливые гении не могут перепрыгнуть границы этой свободы’, Кандинский, О духовном в искусстве, 99.

24 Gombrich, The Story of Art, 471–72.

25 Лосев, О понятии художественного канона, 6–15.

26 Флоренский, Иконостас, 105.

ჯვარცმული ანგელოზები, თანაც ქრისტეც და ანგელოზებიც ხანდაზმულად იყვნენ წარმოდგენილი. თეოდორე აფრთხილებს, რომ ამგვარი გამოსახულებები უფრო ეშმაკეულისგან არის შთაგონებული, ვიდრე უფლისგან²⁷.

ითვლება, რომ ქრისტიანი ოსტატების მიერ ცნობილი ხატების მრავალრიცხოვანი ასლების შესრულება სწორედ კანონიკურობის მკაცრი მოთხოვნებით იყო გაპირობებული. ამ თვალსაზრისით საინტერესოა როგორი იყო ასლის გაგება შუა საუკუნეებში. ჩვენ დროში ასლი არის ნაწარმოების გარეგნული სახის ზუსტი, ზედმინევნითი გამეორება, გამოყენებული მასალის ჩათვლით, ხშირად საგანგებო ლაპორატორიული ანალიზების საფუძველზე, მხატვრულ-ფორმალური დონის ზუსტი გარეგნული მიბაძვა. შუა საუკუნეებში მხატვრები იმეორებდნენ ნაწარმოების მთავარ საზრისს, იკონოგრაფიას, რამდენიმე გამორჩეულ ნიშანს და დეტალს. სხვა მხრივ კი ორიგინალისა და ასლის მხატვრული სახე შესაძლებელია საკმაოდ განსხვავებული ყოფილიყო. ასე რომ, თუ დაკვეთა ითხოვდა ამა თუ იმ სახელგანთქმული ხატის თუ ფრესკის „ასლის“ შექმნას, ოსტატი სულაც არ იყო შეზღუდული თავის მხატვრულ შემოქმედებაში, მხატვრულ გადაწყვეტაში. სწორედ ამიტომ ვხედავთ ასეთ მრავალფეროვნებას თითქოსდა ერთგვაროვანი სიუჟეტების გამოსახვაში²⁸; სახელგანთქმული სასწაულმოქმედი ხატების, თუნდაც პორტატისას – ივერიის ღმრთისმშობლის ხატის მრავალრიცხოვანი ასლები თავისი მხატვრული გადაწყვეტით საკმაოდ მრავალფეროვანია: კანონიკა დაცულია, მხატვრული სახე კი ორიგინალური და განუმეორებელი²⁹.

ხატების (გამოსახულებების) გადახატვა, ასლების გაკეთება ერთგვარად გაგებულ იყო როგორც წმინდა წერილის მრავალ ნუსხად გადაწყერის მსგავსი პროცესი. მხატვარი იხატავს იმ სახეს, რომელიც ტრადიციული პირველსახის მრავალგზის გამეორებით უზრუნველყოფდა ამ სახის „რეალობას“³⁰.

იკონოგრაფიული კანონები თანდათანობით ყალიბდებოდა და ვითარდე-

27 Maguire, *The Cycle*, 124.

28 ცნობილია რამდენი არქიტექტურულად სრულიად განსხვავებული ტაძარი იქნა აგებული უფლის საფლავის ეკლესიის ასლად როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქრისტიანოში, Krautheimer, *Introduction to an Iconography*, 116–130; ხომალია, ნიმუში და ასლი, 27–48.

29 Успенский, Семиотика Иконы, 222–223; Čurčić, *Architecture as Icon*, 13; Архимандрит Рафаил, О языке православной иконы, 67–68. ივირონის მონასტერში ჩამოყალიბდა მთელი სახელოსნო ივერიის ღმრთისმშობლის – პორტატისას ხატის ასლების შესაქმნელად სხვადასხვა დაკვეთით, მხატვრებს შორის, ამ მხრივ, წამყვანი ყოფილა იამვლიქი რომანზის ქ. Евсевея, Греческая икона 117.

30 Drpić, Painter as Scribe, 338.

ბოდა, ისინი ხატის საღვთისმეტყველო გაგებიდან ამოიზრდებოდა და ამიტომ კანონი იყო არა სქემა და ჩარჩო, არამედ ის ლერძი, რომელზეც იგებოდა გამო-სახულება. კანონი კი არ ზღუდავდა მხატვარს, არამედ ეხმარებოდა მას³¹.

შუა საუკუნეების მხატვართა შემოქმედებითი თავისუფლების საკითხი მჭიდროდ უკავშირდება ე.ნ. ნიმუშთა წიგნების, უფრო სწორად იკონოგრა-ფიული დედნების გამოყენებას³². ევროპულ მეცნიერებაში სწორედ ისინი სა-ხელდება შუა საუკუნეების მხატვრების შემოქმედებითი „მონობის“ ერთ-ერთ დამადასტურებელ და „მამხილებელ“ ფაქტორად. ბიზანტიური ხელოვნების წარმოდგენა, როგორც არაშემოქმედებითის, სტერეოტიპულის, არაინოვა-ციურის, გაყინულის და თეოლოგების ძლიერ კონტროლს დაქვემდებარებული მოვლენის დიდწილად სწორად ასეთი დედნების გამო გახდა. ისინი მხატვარზე გარედან კონტროლის გაწევის მთავარ ინსტრუმენტად განიხილება³³, მაგრამ იკონოგრაფიული დედნების არსებობა გვიან შუა საუკუნეებამდე თითქმის არ მტკიცდება. ამ მხრივ საინტერესოა ეკლესიის მესვეურთა პოზიცია, განსაკუ-თრებით ისეთი დიდი მოღვაწის, როგორიც იყო იოანე სინელი, კლიმაქსი (კიბის-აღმნერელი): „უშუერ არს მოძღვარი იგი, რომელი წერილითგან ოდენ ასწავე-ბენ, და მხატვარი, რომელი მაგალითსა თვისერ ვერ გამოხატავდეს“³⁴.

სინამდვილეში, ევროპელთა მოსაზრებები ეფუძნებოდა გვიანი ხანის, უფრო XVIII-XIX საუკუნეებში აღმოჩენილ იკონოგრაფიულ დედნებს და სახელმძღვა-ნელოებს, რომლებიც იმ პერიოდში შეიქმნა, როცა ბიზანტია აღარ არსებობდა და მისი მხატვრულ-კულტურული ტრადიციები გაყინულ, კლასიცისტურ სქე-მებად იქნა კოდირებულ-შენახული.

რუსეთში 1551 წლის „ასთავიანმა“ კრებამ სავალდებულოდ გამოაცხადა მხატვრებისთვის დადგენილი ნიმუშების დედნების – ერთგვარი იკონოგრაფიუ-ლი ენციკლოპედიების – გამოყენება. ამან კი კანონის სქემად გადაქცევა გამოიწ-ვია, იგი აღარ იყო შინაგანი ლერძი, საყრდენი, არამედ უსიცოცხლო სქემა³⁵.

ამგვარი ნიმუშები არცთუ მრავლად შემოგვრჩა. ძირითადად, ეს არის დასავლელი ოსტატების მიერ „გადმოხატული“ ბიზანტიური ნაწარმოებების ჩა-ნახატთა კრებულები.

31 Языкова, Богословие Иконы, 16.

32 Scheller, Exemplum; Cormack, Painter's Guides, 11– 29.

33 Cormack, Painter's Guides, 11.

34 ნმ. იოანე სინელი კლიმაქსი, 371 (ამ პასაჟის მოწოდებისთვის მადლობას ვუხდი ქ-ნ ასმათ ოქროპირიძეს).

35 Языкова, Богословие Иконы, 129; Бычков, Русская Средневековая Эстетика, 344.

რას წარმოადგენდა ე.წ. მხატვართა სახელმძღვანელოები, ნიმუშთა წიგნები, ჩანახატების ალბომები, ესკიზებისა და მოტივების კრებულები და, რაც მთავარია, იკონოგრაფიული დედნები? უპირველეს ყოვლისა საჭიროა დაზუსტდეს და გაიმიჯნოს ერთმანეთისგან, თუ რა იგულისხმება ამ ტერმინების ქვეშ, რადგან ისინი განსხვავდებიან შინაარსობრივად, ფორმისმიერად და, რაც მთავარია, ფუნქციურად³⁶.

მხატვართა სახელმძღვანელო ძირითადად წარმოადგენს ტექსტს, რომელიც მოიცავს მხატვრის პროფესიული საქმიანობისთვის სასარგებლო რჩევებსა და რეკომენდაციებს (როგორიცაა, მაგალითად, ჩენინო ჩენინის „ხელოსნის საკითხავი“) როგორ მომზადდეს ბათქაში, მისი დადების წესები, პიგმენტების თვისებები და მათი დამზადება, მხატვრობის სხვადასხვა ეტაპების აღწერა, საჭირო მასალათა და მეთოდების დახასიათება და სხვა³⁷.

სხვა ფუნქცია აქვთ ნიმუშთა წიგნებს. ამ კრებულებში ტექსტი ნაკლებად არის გამოყენებული; ისინი ძირითადად ვიზუალური მასალისგან შედგება – თავმოყრილია სხვადასხვა დროის და დარგის მხატვრობიდან აღებული ნიმუშები – კომპოზიციების, ცალკეული ფიგურებისა თუ მოტივების ჩანახატები. ეს წიგნები გამიზნული იყო ოსტატების დასახმარებლად საჭირო ნიმუშების შეთავაზებით. ასეთი კრებულების არსებობა უფრო დასავლეთ ევროპაში დასტურდება, როგორც დასავლეთევროპელი მხატვრების განსწავლის საშუალება, რომელიც უმეტესად ბიზანტიური ნიმუშებიდან არის გადმოღებული. სხვათა შორის, ნიმუშებად ხშირად დასურათებულ ხელნაწერებსაც იყენებდნენ³⁸.

სხვა ჯგუფს მიეკუთვნება საკუთრივ მხატვართა პირადი ჩანახატების ალბომები, ან ცალკეული ფურცლები, რომლებსაც შეიძლება ნიმუშთა წიგნები, უფრო კი ესკიზებისა და ჩანახატების კრებული ვუწოდოთ (მაგ. ფრაიბურგისა და ჰოპენბიუტელის ფურცლები და სხვა). ჩვენს დრომდე მოღწეული ამ ტიპის ალბომები თუ ფურცლები საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის შუა საუკუნეების ოსტატთა შემოქმედებით პროცესზე, მათ ინტერესებსა და ხედვებზე.

მხატვარების ჩანახატთა ფურცლები (მცირე რაოდენობითა შემორჩენილი) ასევე გახდა შუა საუკუნოვან ოსტატთა მიერ ნიმუშების აუცილებელი გამოყენების დადასტურება. მაგალითად, მონტე კასინოს ოსტატთა კალმით შესრულე-

36 Scheller, Exemplum.

37 Winfield, Middle and Later, 63-136.

38 მაჭავარიანი, წიგნის ხელოვნება, 49.

ბული იკონოგრაფიული სქემები³⁹. ასეთი წიგნების/ფურცლების XII საუკუნეზე ადრინდელი ნიმუშები არ შემორჩენილა⁴⁰. ისინი სხვადასხვა ნაწარმოებების ფრაგმენტთა კრებულებს წარმოადგენს, რომლებსაც ოსტატები თავის მოღვაწეობის განმავლობაში სხვადასხვა ნიმუშებიდან აგროვებდნენ⁴¹. მათ პრაქტიკული ფუნქცია ჰქონდათ – მხატვრის პირადი საჭიროებებისთვის კეთდებოდა და არ გააჩნდათ დადგენილი კანონისა და აუცილებელი რეკომენდაციის მნიშვნელობა, როგორც გვიან შუა საუკუნეებში. ისინი აქტიურად გამოიყენებოდა დასავლელი ოსტატების მიერ როგორც ნაწილი ბიზანტიურ ისტატებთან სწავლებისა⁴².

იკონოგრაფიული დედნები, ე. ნ. иконописные подлинники განსაკუთრებით XVII–XVIII საუკუნეებში რუსეთში გავრცელდა და ერთგვარად „საკანონმდებლო ნორმის“ ძალა ენიჭებოდა⁴³. როგორც აღინიშნა, სწორედ ასეთი დედნები იქნა მიჩნეული შუა საუკუნეების მხატვართა შემოქმედებითი შეზღუდულობის საფუძვლად. მათ მიერ მოწოდებული ინფორმაცია იმდენად რჩევა კი არ იყო, რამდენადაც ერთგვარი ბრძანება, მოთხოვნა. ასეთი კრებულები უფრო გვიან საუკუნეებში იქმნება და ამ დიდი ქრისტიანული ხელოვნების დაისს მოასწავებს. ბიზანტიურ პერიოდში ამგვარი იმპერატიული ხასიათის მქონე იკონოგრაფიული დედნები, დიონისე ფურცელის ჰერმინიას ან რუსული იკონომიკების მსგავსი, არ დასტურდება⁴⁴. თუმცა სხვადასხვა ტიპის და დანიშნულების „ნიმუშთა წიგნები“, უფრო კი სახელმძღვანელოები (რჩევების კრებულები) ადრებიზანტიური ხანიდანაც არის შემორჩენილი. მაგალითად, ე. ნ. ლუკას ხელნაწერი (VIII ს). მასთან არის დაკავშირებული Mappea Clavicularia – ტრაქტატი შუა საუკუნეებში გავრცელებული ტექნოლოგიების, მასალების და მათი გამოყენების მეთოდების შესახებ, რომლის რამდენიმე IX და XII საუკუ-

39 Demus, Byzantine Art and the West, 26–27; სურ. 25–27.

40 მაგალითად, ვატიკანის მუზეუმის ფურცელი (დაას. 1200 წ.) ძველი ალთქმის სცენებითა და ნინასნარმეტყველთა ფიგურებით გერმანელი მხატვრის ჩანახატები, (Demus, Byzantine Art and the West, 32; სურ. 34), ჩანახატი ფრაიბურგის Augustiner მუზეუმიდან (Demus, Byzantine Art and the West, სურ. 36), ე. ნ. ვოლფენბიუტელის ნიმუშთა ალბომი (Wolfenbüttel pattern book), XIII ს-ის საქსონელი მხატვრის ჩანახატები, რომლის წყაროდ გამოყენებულია ხელნაწერთა დასურათება და კედლის მხატვრობაც (Demus, Byzantine Art and the West, 36, სურ. 39, 41, 43), ჰორტენბურგის მონასტრის აბატისას მიერ შედგენილი ნიმუშთა წიგნი, ე. ნ. Hortus Deliciarum, რომლითაც ის თავის მონაზვნებს ხატვას ასწავლიდა (Demus, Byzantine Art and the West, 36, 38, 40, სურ. 44).

41 Demus, Byzantine Art and the West, 38.

42 იქვე, 31.

43 Лидов, Иконы, 14–15; Успенский, Семиотика Иконы, 119, 233.

44 Cormack, Painter's Guides, 24–28

ნებით დათარიღებული ლათინურენოვანი ნუსხაა შემორჩა⁴⁵; კიდევ ერთი XII ს-ის ლათინური სახელმძღვანელო (De Diversis Artibus) ეკუთვნის თეოფილუსს⁴⁶. უფრო ცნობილია ჩენინო ჩენინის XIV საუკუნის ლათინურენოვანი ტრაქტატი, ოსტატის სახელმძღვანელო (Il libro dell' arte,)⁴⁷, რომელშიც საკმაოდ დაწვრილებითი ინსტრუქციები და რჩევებია კედლის მხატვრობის ტექნოლოგიების თაობაზე. მეტი აქცენტი ტექნიკურ მეთოდებზე და მასალებზე კეთდება და ნაკლებად გამოსახატავი თემების აღწერაზე⁴⁸.

ზემოდასახელებული ტრაქტატების უმეტესობა ლათინურ ენაზეა დაწერილი და დასავლეთ ევროპაშია შექმნილი, მაგრამ გამორიცხული არ არის, რომ ისინი იმ დროს არსებულ ბერძნულ სახელმძღვანელოებს ეფუძნებოდეს, რადგან ავტორთა მიერ აღწერილი მეთოდები და მასალები სწორედაც ბერძნული (ბიზანტიური) მხატვრობის ტრადიციებს და მეთოდებს ემსაგვსება.

საკუთრივ აღმოსავლეთქრისტიანულ სამყაროს განეკუთვნება დიონისე ფურნელის ჰერმინია⁴⁹, მხატვრის გზამკვლევი⁵⁰, რომელიც XVIII საუკუნის ბოლოსაა შედგენილი და ფაქტობრივად უკვე შემწყდარი ტრადიციის მშრალ სქემას წარმოადგენს. ჰერმინიაში კოდიფიცირებულია ტექნიკური მეთოდები, გამოსახულებათა თემები, მათი იკონოგრაფია, გამოყენების არეალები და სხვა, მაგრამ ის არ შეიცავს ვიზუალურ მასალას როგორც ეს რუსულ დედნებში იყო ჩადებული სქემის სახით. წმინდა ტექნოლოგიური საკითხები და პრაქტიკული რჩევები, ალბათ, საკმაოდ ახლოს ასახავენ ბიზანტიურ პრაქტიკას. ცხადია, ამ წარმოებში უფრო ადრინდელი დოკუმენტების ამონარიდებიც იქნებოდა. მაგრამ ამ სახის დედანი ეტყობა თვით ბიზანტიაში არ არსებობდა და უფრო პოსტბიზანტიური ხანისთვის იყო ტიპიური⁵¹.

წერილობითი წყაროებში და დოკუმენტებში მხატვართა ჩანახატების ხსენება, ფაქტობრივად, მხოლოდ XV საუკუნიდან გვხვდება. მაგალითად, კრეტელი მხატვრის ანგელოს აკოტანტოსის ანდერძში, რომელშიც ის შვილს უტოვებს თავის skiasmata-ს (ჩანახატებს), როგორც ჩანს, საკმაოდ დიდ კოლექციას. თუმცა გაურკვეველია, ეს ჩანახატები ნიმუშთა წიგნები იყო, თუ თავად მხატვრის

45 Parker Johnson, Notes on some manuscripts, 72–81.

46 Winfield, Middle and Later, 64.

47 Cennino Cennini, Il libro dell' arte.

48 Winfield, Middle and Later, 64–65; 75.

49 Didron, Manuel d' iconographie; Papadopoulos-Kerameus, Dionysios of Fournia.

50 Winfield, Middle and Later, 67.

51 Белтинг, Образ и Культ, 32–34.

სამუშაო ესკიზები/ჩანახატები⁵². როგორც ჩანს, XV საუკუნეში ამგვარ ჩანახატებს დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, რადგან ანდერძებში იყო შეტანილი. ამ ტექსტების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ეს თვით მხატვრების ჩანახატები იყო.

საინტერესო და მნიშვნელოვანია სწორედ ასეთი ჩანახატების ფუნქცია. საფიქრებელია, რომ იმ დროის ოსტატებს თავის სახელოსნოებში ასეთი კრებულები პქონდათ. საფიქრებელია ისიც, რომ უფრო ადრეულ საუკუნეებშიც ჩანახატების და ესკიზების კეთება მხატვრის პროფესიული საქმიანობის ნაწილი იყო: ერთი, როგორც სავარჯიშო და წვრთნა⁵³, მეორე – მეხსიერების და ცოდნის „საცავის“ შექმნის მიზნით. სწავლების და წვრთნის ერთ-ერთ ფორმად ძველი ნიმუშების კოპირებაც მიიჩნეოდა.

ნიმუშები და ჩანახატები უფრო ადრეც არსებობდა, მაგალითად, კიევო-პეჩორის ლავრაში XI საუკუნეში მომუშავე ბიზანტიელი ოსტატების გარდაცვალების შემდეგ მათი წიგნები და გრაგნილები დარჩა⁵⁴. ბრიტანეთის მუზეუმის ხელნაწერთა კოლექციაში ინახება ორთოდოქსი ბერის ნიმუშთა წიგნი, გვიანი პერიოდისა, რომელშიც ცალკეული დეტალების ჩანახატებიც არის და მთელი კომპოზიციებისაც⁵⁵.

მოდელების თუ ჩანახატთა წიგნების მაგალითი საქართველოშიც არის მიკვლეული. ამის ნიმუშად შალვა ამირანაშვილს მოჰყავს რამდენიმე ფურცელი⁵⁶: როგორც ჩანს, ეს არის საგანგებოდ დამზადებული სახელმძღვანელო დედანი მონუმენტური მხატვრობისთვის. ძველი ხელნაწერის ფურცლებზე, რომელზეც ასომთავრული ტექსტი გაირჩევა, დატანილია საღებავებით შესრულებული ფიგურები (მარიამი, ანგელოზები, მახარებლები, წმინდანები). ამ გამოსახულებებს ეტყობა გადაკეთებები, მონიშვნები, ანუ გარკვეული ძიებები, რაც ადასტურებს, რომ ეს არ არის საბოლოო ნაწარმოები, არამედ XII საუკუნის ნაწარმოებების მიხედვით XVI-XVII სს-ის მხატვრის მიერ შედგენილი ერთგვარი სავარჯიშო, რომელიც თავისი პირადი საჭიროებისთვის დაუმზადებია⁵⁷.

ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ქაღალდის საყოველთაო გავრცელებამდე მხატვრებს გამართული ნიმუშთა წიგნების შედგენა გაუჭირდებოდათ,

52 Cormack, Painter's Guides, 16–19.

53 Scheller, Exemplum, 1–2.

54 ლააզარევ, Древнерусские художники, 25.

55 Winfield, Middle and Later, 83.

56 ამირანაშვილი, ქართული კედლის მხატვრობის დასურათებული დედნის ფრაგმენტები, 71–94, სურ. I–VIII.

57 იქვე, 88.

თუნდაც ეტრატის სიძვირის გამო. ამიტომ არის, რომ ის ცოტაოდენი რაც შემორჩა, უმეტესად ერთ ფურცელზე მრავალი, ხშირად ურთიერთდაუკავშირებელი ფრაგმენტების შემთხვევითი ერთობლიობაა სახელდახელოდ ჩახატული. ამ მასალის ესოდენ მცირე რაოდენობით შემორჩენაც იმას მოწმობს, რომ მას წმინდა დამხმარე-სამუშაო ფუნქცია ჰქონდა, ადვილადაც ზიანდებოდა და მაინცდამაინც არც უფრთხილდებოდნენ.

ზოგი მეცნიერი მეტისმეტად აზვიადებს მოდელების წიგნების მნიშვნელობას, თითქოს თვით სტილის განვითარებაც კი მათ გარეშე ვერ ხდებოდა. თუმცა ეს ასე არ არის. ცხადია, რომელილაც ოსტატი, მისთვის საინტერესო კომპოზიციებს, ფიგურებს ან დეტალებს, მათ შორის, მხატვრული სტილის თუ მანერის ნიშნებსაც, თუ ძალიან მოეწონებოდა, ჩაინიშნავდა და გამოიყენებდა კიდეც საკუთარ ნაწარმოებში⁵⁸.

საბოლოო ჯამში, ნაწარმოების შექმნაში მთავარი იყო თვით მხატვარი, მისი განსწავლა და ცოცხალი ტრადიცია და არა ნიმუშთა წიგნები. როგორც იკონოგრაფიული, ასევე მხატვრული ევოლუციის ძირითადი ფაქტორი მხატვარი იყო, რომელიც, ჩვეულებრივ, ამ დარგის გარემოში და ცოცხალ ტრადიციაზე იზრდებოდა და ყალიბდებოდა როგორც ოსტატი⁵⁹.

რა თქმა უნდა, მხატვრები განსხვავდებოდნენ თავისი ნიჭით, წარმოსახვის უნარით, კრეატიულობით, გამოცდილებით, განათლებით⁶⁰. ზოგი, ალბათ, თავისით მართლაც ვერაფერს ქმნიდა, თუ რამე ნიმუშს არ უყურებდა, მაგრამ ბევრი მოწმობაა იმისა, რომ შუა საუკუნეების ოსტატები ყოველგვარი ნიმუშების გარეშეც ხატავდნენ კედელზე. ცხადია, ეს მხატვრის ნიჭირებითა და გამოცდილებით იყო გაპირიბებული. მაგალითად, ცნობილია, რომ თეოფანე პერძენი ნიმუშის გარეშე მუშაობდა⁶¹.

ნაკლებ დასაშვებია, რომ მხატვრები ერთგულად იხატავდნენ ნიმუშებს და მხოლოდ ნიმუშით ხელში მუშაობდნენ. გამოცდილებაზე და კულტურულ ტრადიციებზე დაფუძნებით ეს „ნიმუშები“ მათ მეხსიერებაში იყო აღბეჭდილი⁶². ამ საკითხებთან მიმართებაში მნიშვნელოვანია ისეთი ასპექტის გათვალისწინება, როგორიცაა „მეხსიერება“⁶³. შუა საუკუნეების ოსტატ-მხატვარს არ სჭირდებო-

58 Winfield, Middle and Later, 94–95.

59 იქვე, 96.

60 იქვე, 96; Cutler, Visual Memory, 44.

61 Алпатов, Феофан Грек, 13–14.

62 Cutler, Visual Memory, 38.

63 Cormack, Painter's Guides, 25; Cutler, Visual Memory, 38.

და აუცილებლად ნიმუშთა წიგნების გამოყენება, რათა დაეხატა ის კომპოზიციები, რომლებიც წლების მანძილზე ჩაიბეჭდა მის გონებაში. შუა საუკუნეებში (ისევე როგორც სხვა კულტურებში) მხატვარს გააჩნდა დაგროვების და ნანახის კვლავ გამოყენება-გადაკეთების უნარი. ეს მეხსიერების სფეროა, დიდწილად სოციალური მეხსიერების⁶⁴. მახსოვრობას ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მხატვართა შემოქმედებაში. ცნობილია, რომ თეოფანე ბერძენიმა ეპიფანე ბრძენის თხოვნით კონსტანტინოპოლის წმ. სოფიას გამოსახულება ყოველგვარი ნიმუშის აზ ჩანახატის გარეშე დახატა, თანაც საკმაოდ ზუსტად, მხოლოდ თავისი მეხსიერებით⁶⁵.

კედლის მხატვრობის ოსტატები ბევრს მოგზაურობდნენ სხვადასხვა ადგილას მდებარე ეკლესიების მოსახატად; ბევრს ნახულობდნენ, იმახსოვრებდნენ ნანახს, მათ ჰქონდათ უნარი ყოველივე ეს თავისივე ადრე ქმნილთან ერთად მოერგოთ კონკრეტული, უმეტესად განსხვავებული გარემოებებისთვის. როგორც ჩანს, მხატვრები საკმაოდ შემოქმედებითად უდგებოდნენ ამ ნიმუშებს, ადვილად გადააკეთებდნენ და მათ ადაპტაციას ახდენდნენ⁶⁶.

ამდენად, აუცილებელი, კანონის ძალის მქონე ნიმუშთა დედნების არსებობა ბიზანტიურ ხანაში არ ჩანს და არც მათი „უმთავრესობა“ შემოქმედებით ჰროცესში, მით უმეტეს ეკლესიისა და დამკვეთთა მხრიდან მათი მხატვარზე ზენოლის და კონტროლის ინსტრუმენტად გამოყენება⁶⁷. მხატვრის თავისუფლებაზე ამგვარი ზენოლა, ასეთი ზემოქმედება დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ხელოვნებაში უფრო დასტურდება⁶⁸.

თვით ოსტატები მხატვრულ-ფორმალურ მხარეზე თითქოს არც კი ფიქრობდნენ და, ამავე დროს, სწორედ აქ იჩენდა თავს მათი ინდივიდუალობა, ნიჭი და შემოქმედებითობა⁶⁹.

არსებული ნაწარმოების ან დედნის მიხედვით გაკეთებულ ნამუშევარს რუსეთში უწოდებდნენ თარგმანს – перевод, რაც სწორად გადმოსცემს ამ მოვლენის არსს: დადგენილ, ჭეშმარიტებად აღიარებულ შინაარსს „თარგმინდნენ“ საკუთარ მხატვრულ დიალექტზე. ეს განაპირობებდა მხატვართა თავისუფლებას მხატვრული გადაწყვეტის და გამომსახველობის მხრივ⁷⁰. სხვისი სახე-ხატის

64 Cutler, Visual Memory, 38.

65 Алпатов, Феофан Грек, 13–14.

66 Kitzinger, Mosaics of Monreale, 64–68.

67 Cormack, Painter’s Guides, 21, 29.

68 Cutler, Visual Memory, 32.

69 Успенский, Семиотика Иконы, 119.

70 οქვე, 240.

გამეორება ან მისი „გადათარგმნა“ არ ითვლებოდა „ქურდობად“ და პლაგიატად, ისევე როგორც გარკვეული ტექნიკური და ტექნოლოგიური მეთოდების გადმოღება⁷¹.

მაინც რა იყო ცვლილების, ინოვაციის გენეზისი, მიზეზი? ერთ-ერთი იყო თანადროული პოლიტიკური, თუ უფრო მეტად, რელიგიური აზროვნების ცვლილებები, მწვალებლობათან დაპირისპირება. ასევე დამკვეთის სურვილი, ასევე გარკვეული აზრის უფრო მკაფიოდ და შთამბეჭდავად გამოსახვის მცდელობა, სხვა ქვეყანაში ან თუნდაც სხვა ეკლესიაში მიღებული ახალი შთამბეჭდილება, დასურათებული ხელნაწერი წიგნის გავლენა და სხვა⁷².

იკონოგრაფიული ან სტილური ინოვაციები ყველაზე მეტად მხატვრის მიერ იქმნებოდა, „სოციალური მეხსიერებით“ მიღებული ტრადიციის თავისებური ინტერპრეტაციის, ადაპტაციის და „თარგმანების“ საფუძველზე, ახალი აქცენტების დასმით, გარკვეული ასპექტების გამძაფრებით და ა.შ. ეს მისი თავისუფლების დომენია. ეს მისი აუთენტური ხმაა. მაშინაც, როცა არ ვიცით მისი სახელი⁷³.

შუა საუკუნეების მხატვართა შემოქმედებითი თავისუფლების პრობლემას უკავშირდება მხატვრობის ეროვნული ფორმის საკითხიც, რომელიც აგრეთვე დაკავშირებულია შემოქმედებითი ფსიქოლოგიის სფეროსთან. თუმცა ეს საკითხი ხშირად მიაჩნიათ სრულიად არარელევანტურად ქრისტიანულ ხელოვნებასთან მიმართებით⁷⁴.

მსოფლიო ხელოვნების ხანგრძლივი განვითარების ისტორიისთვის ერთი თვალის გადავლებაც კი გვარწმუნებს, რომ ეროვნული თავისებურებები უთუოდ არსებობს და ნამდვილად აქტუალურია ხელოვნების ნაწარმოებისათვის. გავიხსენოთ თუნდაც ის, რომ უცნობი ავტორის ნაწარმოების ატრიბუციის დროს მას ადვილად მიაკუთვნებენ სწორედ რომელიმე ეროვნულ სკოლას. ალბათ, იმის გახსენებაც საკმარისია, რამდენად განსხვავდება ფრანგული გოთიკა ინგლისურისა ან გერმანულისაგან, იტალიური რენესანსის ნაწარმოებე-

71 Cutler, Visual Memory, 44.

72 იქვე, 45.

73 იქვე, 48.

74 ხელოვნების ნაწარმოების ეროვნულ ხასიათზე საუბარი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კარგა ხანს იყო ტაბუირებული. ფაშიზმის შემაძრნუნებელი ტრაგედიის პირისპირ ტერმინი „ნაციონალური“ საფრთხობელასავით მოქმედებდა დასავლეთის მეცნიერებზე, რომლებიც ყოველნაირად გაურბოდნენ მას, თუმანიშვილი, შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ეროვნული ერთიანობის შესახებ, 73; მისვე, ეროვნულობის შესახებ ხელოვნებაში, 288–292; დიდებულიძე, ეროვნული ფორმის საკითხი, 211–238.

ბი ამავე დროის და ასევე რენესანსული გერმანული ნიმუშებისგან და სხვა. XX საუკუნის ერთი უდიდესი ხელოვნების ისტორიკოსის, ჰაინრიხ ვაოლფლინის კლასიკური ნაშრომი იტალიური და გერმანული რენესანსის შესახებ ბრწყინვალედ აჩვენებს ხელოვნების ნანარმოებში ეროვნული ნიშნების არსებობას⁷⁵.

ის, რასაც ჩვენ ეროვნულ ფორმას ვუწოდებთ, თავისთავად ჩნდება შემოქმედებით პროცესში, ოსტატისგან დამოუკიდებლად და შეპირობებულია იმ კულტურული წრითა და ტრადიციით, რომლის წიაღშიც ჩამოყალიბდა და განვითარდა. ეროვნული ფორმათშეგრძნების იმპულსები სხვადასხვა ხარისხით და ოდენობით განაპირობებენ ნანარმოების მხატვრულ სახეს როგორც გარეგანს, ისე შინაგანს. ეს იმპულსები გაუცნობიერებლად მონაწილეობს ნანარმოების შექმნის აქტში და მხოლოდ მისი აღქმის დროს იჩენს თავს. ხელოვნების ნანარმოების ერთი ძირითადი მახასიათებელი არის ის, რომ მას ვიღაც „აღიქვამს“, როგორც არსებულს, მას ჰყავს „აღმქმელი“. მხატვრული ფანტაზიის სახე-ხატთა განსახიერება და ობიექტივაცია ბერით და მხედველობით ფორმებში ხდება⁷⁶. შემოქმედი (მხატვარი) ხშირად ვერც კი ხსნის რატომ მიმართა ამა თუ იმ ხერხს ან საშუალებას⁷⁷.

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მხატვრულ ენას ყოველ ეროვნულ კულტურულ გარემოში აქვს თავისი „გრამატიკა“ და ამ გრამატიკის განსხვავებული წესების გამოვლენა სულაც არ უშლის ხელს და, მით უმეტეს, არ ენინააღმდეგება ზოგადქრისტიანული შინაარსის სწორ და ადეკვატურ ასახვას, ანუ საეკლესიო ხელოვნების ნანარმოების მთავარი და ძირითადი ფუნქციის შესრულებას. თუ არა და, მაშინ უნდა დავსვათ საკითხი, განეკუთვნება თუ არა საერთოდ რელიგიური ნანარმოები ხელოვნების სფეროს, ანუ რამდენად კორექტულია მღვდელმსახურებისთვის გამიზნული ქმნილების ხელოვნების

75 Схемы видения видоизменяются в зависимости от национальности. Существуют итальянский и немецкий способы представления, которые остаются одинаковыми в течении веков. Разумеется, это не постоянные величины в математическом смысле, но установление национального типа фантазии является необходимой вспомогательной конструкцией для историка». Г. Вельфлин, Искусство Италии и Германии, 279.

76 უზანაძე, ნარმოსაახვის ფსიქოლოგია, 598, 601.

77 Юнг, Психология и поэтическое творчество, 118; იუნგი, ანალიზური ფსიქოლოგიის საფუვლები, 205; ი. შპენგლერი „კულტურის მორფოლოგიის“ შესწავლის საგნად იდეებს კი არა, არამედ სწორედ ფორმებში არაგამიზნული შინაგანი მოცემულობების გამოვლენას სახავდა, რომლებიც პრინციპულად „გამოუთქმელია“ – გაუცნობიერებელი: რიტმი, ტაქტი, კომპოზიციური სტრუქტურა, ფერთა შეხამება, პლასტიკური ჟესტი და სხვა, Аверинцев, Предварительные заметки, 381.

ნაწარმოებად განხილვა. იქნებ ის პრინციპულად არ ექვემდებარება სახელოვ-ნებათმცოდნეო ანალიზს?

ქართველმა მხატვრებმა მართლაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საერთო აღმოსავლურქრისტიანული ხელოვნების საგანძურში. მათი მოღვაწეობის ძვირფასი შედევრები კვლავაც ბრწყინავს ეკლესია-მონასტრების საკრალურ სივრცეებში.

როცა ვსაუბრობთ შუა საუკუნეების ქართულ ქრისტიანულ ხელოვნებაზე, ვგულისხმობთ საერთო ქრისტიანული კულტურის საგანძურში ქართული მხატვრული „ენის“ არსებობას, რომელიც საერთო-ქრისტიანულ ჭეშმარიტებებს თავისებური ფორმით გვიცხადებს, რომელიც მრავალსაუკუნოვანი კულტურული ტრადიციის წიაღში ჩამოყალიბდა და განვითარდა. იგი საერთო მართლმადიდებლური კულტურის მრავალხმიანობაში ერთი ხმათაგანია, უფლის სადიდებლად აუღერებული, თავისი ტემპრის, უღერადობის, დიაპაზონისა და ტონალობის მქონე (სურ. 13).



სურ. 1. ყინცვსის წმ. ნიკოლოზის ტაძარი. შიდა სივრცის მოხატულობა. XIII ს.

Kintsvisi. Church of St. Nickolas. Murals in the interior. 13th c.



სურ. 2. ვარძიის ღმრთისმშობლის მიძინების ტაძარი. სამხრეთ კედელი. ჯვარცმა. XII ს.
Vardzia. Church of the Dormition. South wall. Crucifixion. 12th c.



სურ. 3. ბეთანიის ღმრთიმშობლის შობის ტაძარი. საკურთხევლის აფსიდის მოხატულობა. XI-XII სს.

Betania. Church of the Nativity of the Virgin. Sanctuary apse. Murals. 11th-12th cc.



სურ. 4. ბერთუბნის ღვთისმშობლის ტაძარი. კამარა. ჯვრის ამაღლება. XIII ს.

Bertubani. Church of the Virgin. Vault. Ascension of the Cross. 13th c.



სურ. 5. ტიმოთესუბნის ღვთისმშობლის ტაძარი. გუმბათი. ჯვრის დიდება. XIII ს.
Timotesubani. Church of the Virgin. Dome. Glory of the Cross. 13th c.



სურ. 6. ტიმოთესუბნის ღმრთისმშობლის ტაძარი. დასავლეთი კედელი. განკითხვის დღე XIII ს.
Timotesubani. Church of the Virgin. West wall. Last Judgment. 13th c.



სურ. 7. ათენის სიონი. სამხრეთ აფსიდი. ღმრთისმშობლის ცხოვრების ციკლი. XI ს.

Ateni. Sioni Church. South apse. Life Cycle of the Virgin. 11th c.



სურ. 8. ატენის სიონის ტაძარი. დასავლეთი აფსიდი. განკითხვის დღე. მართალთა გუნდები. XI ს.
Ateni. Sioni Church. West apse. Last Judgment. Fragment. 11th c.



სურ. 9. ზემო კრიხის მთავარანგელოზთა ეკლესია. საკურთხევლის მოხატულობა. XI ს.

Zemo Krichi. Church of the Holy Archangels. Sanctuary apse. Murals. 11th c.



სურ. 10. უბისის წმ. გიორგის ეკლესია. კამარის მოხატულობა. XIV ს.

Ubisi. St. George Church. Vault Murals. 14th c.



სურ. 11. ბეთანიის ღმრთიმშობლის შობის ტაძარი. წმ. მარიამ მეგვიპტელის ზიარება. XII ს.
Betania. Church of the Nativity of the Virgin. Communion of St. Mary of Egypt. 12th c.



სურ. 12. ნაკიფარის წმ. გიორგის ეკლესია. საკურთხევლის აფსიდი. ვეძრება. 1130 წ.

Nakipari. Church of St. George. Sanctuary apse. Deisis. 1130



სურ. 13. იშხნის კათედრალი. გუმბათი. ჯვრის ამაღლება. ანგელოზი. დეტალი. 1032 წ.
Ishkhani. Cathedral. Dome. Ascension of the Cross. Angel. 11th c.

ଡାନ୍ତରଟିକ

ବାରବରୀକିମ୍ବା ପାତାଳଗାଁ

ქართული ნარცერები

საბერეების III ეკლესიის მხატვრის წარწერა. IX ს. (სურ. 1)

საბერეების კლდეში გამოკაფული სამონასტრო კომპლექსის III ეკლესიის¹ ინტერიერში ჩრდილოეთ კედლის აღმოსავლეთ კუთხეში, იატაკიდან 215 სმ-ის სიმაღლეზე, წმ. მხედართა ჰერალდიკურ კომპოზიციის მარჯვენა ნაწილში შავი სა-ლებავით ხუთსტრიქონიანი ასომთავრული წარწერაა დატანილი. წარწერა ძლიერ დაზიანებულია. ვინაიდან ის იატაკიდან საკმაოდ მაღლაა მოთავსებული, ამიტომ, ვფიქრობ, მართებულია ზ. სხირტლაძის ვარაუდი, რომ წარწერა შესაძლებელია ეკლესიის მომხატავ ოსტატს ეკუთვნის, რადგან მის დასაწერად ხარაჩო იქნებოდა საჭირო². ამას გარდა, ის ძალიან ჰავას კონეში გამოსახული მაცხოვრის გადაშლილი წიგნის წარწერასა და აფსიდის ქვედა რეგისტრის გამოსახულებათა ზედნერილებს და სავარაუდოდ ერთი ხელითაა შესრულებული³. წარწერა მოხატულობის თანადროულია და შესაბამისად IX საუკუნით თარიღდება. წარწერის ზომები: 10,8X14,4სმ; უდიდესი გრაფემა: 1,9 სმ, უმცირესი – 1,6 სმ. ქარაგმის ნიშანი, მოკლე ჰორიზონტალური ხაზი⁴.

ზ. სხირტლაძე წარწერას ასე კითხულობს, რასაც სრულიად ვიზიარებ.

ჭარბი ზოგიც. ზ. იბეჭ ცნ

ძმა | ნო ლოც | ვა[ს]ა გ[ო] | კედი | ა ა(მშ)ნ

გოგედია, გვედია — ზმნის „ვედრება“ ერთ-ერთი ფორმაა⁵.

გამოცემა: ზ. სხირტლაძე, საბერეების ფრესკული წარწერები, 24-27.

¹ საბერეების სამონასტრო კომპლექსის გამოქვაბულები დანომრილია გ. გაფრინდაშვილის ნახაზის მიხედვით, იხ. ძველი ხელოვნება დღეს, 04, 2013, 44-45. ზ. სხირტლაძის ნუმერაციით III ეკლესიის შეესაბამება V ეკლესიას, სხირტლაძე, საბერეების ფრესკული წარწერები, 12.

² სხირტლაძე, დასახ. ნაშრ., 26, ნახ. 11.

³ იქვე, 26.

⁴ წარწერის პალეოგრაფიული მონაცემები იხ.: სხირტლაძე, დასახ. ნაშრ., 24–26.

⁵ იქვე, 25.

საბერეების IV ეკლესიის მხატვრის წარწერა. IX ს.

საბერეების სამონასტრო კომპლექსის IV ეკლესიის⁶ საკურთხევლის აფსიდის ქვედა რეგისტრში, სამხრეთით კონქის მოხატულობის გამმიჯნავი ორნამენტული ზოლის ქვემოთ ძლივს გაირჩევა შავი საღებავით შესრულებული ერთსტრიქონიანი ასომთავრული წარწერის ანაბეჭდი. წარწერა მოხატულობის თანადროულია და IX ს-ით თარიღდება. წარწერის ზომები: 51,1X6,7 სმ; გრაფემების სიმაღლე: 2,7–2,5 სმ. წარწერის წაკითხვის ზ. სხირტლაძის ვარიანტი:

[....] ატეს [.....] ე [..]ა ღირს ვი | [ქმენ] [...]⁷

ზ. სხირტლაძე წარწერის პირველ სიტყვას აღადგენს როგორც „[მოხ]ატეს“, რაც სავსებით დასაშვებია და წარწერას მხატვარს მიაკუთვნებს⁸.

წარწერის ამჟამად შემორჩენილი ფრაგმენტებია:

...ც ისასთა ...

.....ა ღირს ვი(ქმენ).....

გამოცემა: სხირტლაძე, საბერეების ფრესკული წარწერები, 41-42.

საბერეების VII ეკლესიის მხატვრის წარწერა. X ს. (სურ. 2)

შავი საღებავით შესრულებული ერთსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა ეკლესიის ჩრდილოეთი მკლავის აღმოსავლეთ კედელზე, იატაკის დონიდან 170 სმ-ის სიმაღლეზე მოთავსებული. წარწერა ძლიერა დაზიანებული და დღეს კედელზე მხოლოდ მისი ანაბეჭდილაა შემორჩენილი. ზ. სხირტლაძის მიერ გაკეთებულ ასლა და ფოტოზე კარგად მოჩანს წარწერის პირველი ასო-ნიშანი „მ“, რომელიც დღეს აღარ არსებობს⁹. წარწერა კედლის მხატვრობის თანადროულია, X საუკუნისა. წარწერის ზომები: 64X6 სმ. გრაფემების სიმაღლე: 4,9X2სმ.

შირტლი ლეცცხლი 49

[მ]ნერალი გლახაკი კვ[ირიკე შემინყალე ღმერთო]¹⁰

6 ზ. სხირტლაძის ნუმერაციის IV ეკლესია შეესაბამება VI-ს, სხირტლაძე, დასახ. ნაშრ., 37.

7 იქვე, 42, ნახ. 21.

8 იქვე, 42.

9 იქვე, 67–68, ნახ. 39, სურ. 14.

10 ზ. სხირტლაძის განმარტებით “კუ” –ზე დაწყებული სახელებია: კვრიკე, კვრილე, კვრიაკე, კვპრიანე, კვრინე, კვროს, თუმცა საქართველოში პოპულარობით კვრიკე გამოირჩევა, სხირტლაძე, დასახ. ნაშრ. 68

ტერმინი „მწერალი“ ამ შემთხვევაში, ისევე როგორც, VIII ეკლესიის წარწერაში (N4) მხატვრის მნიშვნელობითაა ნახმარი¹¹.

გამოცემა: სხირტლაძე, საბერეების ფრესკული წარწერები, 67–71; მისივე, ტა-დრის მომხატავი ოსტატის აღმნიშვნელი ტერმინისათვის, 221–224.

4

საბერეების VIII ეკლესიის მხატვრის წარწერა. X ს. (სურ. 3)

საბერეების VIII გუმბათიანი ეკლესიის საკურთხევლის აფსიდის კონქში გა-მოსახული ქრისტეს დიდების კომპოზიციაში ჩანსერილია ნუსხურნარევი კუთხო-ვანი ასომთავრული ექვსსტრიქონიანი, შავი საღებავით შესრულებული წარწერა. ის ძლიერ დაზიანებულია. მისი პირველი სტრიქონი აღსაყდრებული მაცხოვრის ტერფებს შორის გეომეტრიულ ორნამენტულ ზოლშია ჩანსერილი, ბოლო კი, ხუთ სტრიქონად ეშვება კომპოზიციის მარჯვენა კიდეში. წარწერა მოხატულობის თანა-დროულია, X ს-ისა.

წარწერის ზომები: 72X20 სმ; უდიდესი გრაფემა: 3 სმ, უმცირესი – 1 სმ. განკვე-თილობისა და ქარაგმის ნიშნები არ ახლავს.

წარწერის პირველი გამომცემელი პალეოგრაფი თემიურაზ ბარნაველი მას ფოტოსურათით კითხულობს. მისი განმარტებით წარწერა მხატვრის ვედრებას წარმოადგენს. მკვლევარი წარწერის ბოლოში, გარკვეული ეჭვით ქორონიკონს – ძვ. (რქ.) – 970 წელს აღადგენს¹². ზ. სხირტლაძე ასწორებს თ. ბარნაველის მცდარ წაკითხვას; მისი ვარაუდით, თ. ბარნაველმა სხვა წარწერის გრაფემები შეცდომით საკვლევი წარწერის ქორონიკონის აღმნიშვნელ ასონიშნად მიიჩნია¹³. მხატვრის აღ-სანიშნავად წარწერაში ტერმინი „მწერალი“ იხსენიება, ისევე როგორც VII ეკლესიის მხატვრის წარწერის (N3) შემთხვევაში¹⁴. ზ. სხირტლაძე წარწერის ბოლო სიტყვის სავარაუდო გახსნას არ გვთავაზობს, თუმცა, ვარაუდობს, რომ აქ ოსტატის სახელი ეწერა¹⁵. არსებითად ვიზიარებ მის მიერ შემოთავაზებულ წაკითხვას, ოღონდ ბოლო

11 იქვე, 68–70; მისივე, ტაძრის მომხატავი ოსტატის აღმნიშვნელი ტერმინისათვის, 221–224.

12 თ. ბარნაველი სამონასტრო კომპლექსს აზერბაიჯანელი მწყემსების შერქმეულ სახელს – მაღაზ-ანს უნდოდებს, იხ. კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები, 58. აქვეა წარწერაც: ‘...[....მ] მხატო-ვარ[ი] შემიწყალენ, ცოდ[ვანი] შემინდვენ] მწერალ[ი] ლ[ო]ცვე[სას]’ (მომისქნეთ); ქორონიკონს] ძვ. (რქ.) – 190+780+970 წ. (?).

13 სხირტლაძე, საბერეების ფრესკული წარწერები, 115.

14 სხირტლაძე, დასახ, ნაშრ., 114; მისივე, ტაძრის მომხატავი ოსტატის აღმნიშვნელი ტერმინი-სათვის, 221–224.

15 სხირტლაძე, საბერეების ფრესკული წარწერები, 116.

სიტყვას ვკითხულობ არა „ი[-]ირნ[-]?“, როგორც ზ. სხირტლაძე ვარაუდობს¹⁶, არა-მედ „იჭ?ირნ[ა]“.

ნარნერა:

ჭ..ღორჩა ყჲ..წყ. ჭორც| ყ.. ჭწერა| წ... | ყწ. | წმ. | წმ. | წმ.

მ[აც]ხოვარ შ(ე)მ[ი]წყალ[ე] მონა| მ[ენ]ი მნ| ერალ| ი ლ[ოცვა] | ყავ[თ] | იჭ(?) ირნ[ა]...

ბოლო სიტყვა სრულად ვერ იკითხება. მისი მეორე გრაფემის შემორჩენილი ზედა ნაწილი და ქვემოთ მარცხნივ მიმართული კაუჭი თითქოს ასომთავრულ „ყ“ – „შ“-ს, „ბ“ – „ჭ“-ს, ან ნუსხურ „ბ“ – „ბ“-ს გვაგონებს. უფრო სავარაუდოა გრაფე-მა „ჭ“-ს აღდგენა. ამ შემთხვევაში ეს სიტყვა შეიძლება წავიკითხოთ როგორც „[მო] იჭირნ[ა]“ და მაშინ მივიღებთ: „მაცხოვარ შემიწყალე მონაა შენი მწერალი. ლოცვა ყავთ.....მოიჭირნა(?)“.

მოჭირნე ნიშნავს – უძლური, სნეული, ავადმყოფი¹⁷; ჭირვება – წვალება, გარ-ჯა¹⁸, მოჭირვება – მოთმენა, გაჭირვების ატანა¹⁹. წარნერა უნდა გავიგოთ ან რომ მისი ავტორი – „მწერალი“ სნეული იყო, ან უფრო, რომ მან დიდი გარჯითა და გაჭირვებით იშრომა.

გამოცემა: კახეთის ისტორიული ძეგლების წარნერები, 58; სხირტლაძე, საბე-რეების ფრესკული წარნერები, 115-116; მისივე, ტაძრის მომხატავი ოსტატის აღმ-ნიშვნელი ტერმინისათვის, 221-224.

5

ნეზგუნის მაცხოვრის ეკლესიის საქტიტორო წარნერა. X ს. (სურ. 4)

ეკლესიის საკურთხევლის აფსიდში იატაკიდან 200 სმ-ის სიმაღლეზე, მოხატულობის დამასრულებელი ორნამენტის ქვეშ, წითელი სალებავით წაწერი ერთსტრი-ქნიანი ასომთავრული წარნერა აფსიდს შემოუყვება და საკურთხევლის სარკმლის ღიობით ორ წაწერი არის გაყოფილი. წარნერა რამდენჯერმერა გამოცემული ჩვენ სრულად ვიზიარებთ ვ. სილოგავას წაკითხვას²⁰.

16 მ[აც]ხოვარ, შ(ე)მ(ი)წყალე მონაა შ[ენი] მწერალი. ლ[(ო)ცვა] ყავ[თ] ი[-]ირნ[-]?, სხირტლაძე, სა-ბერების, 115.

17 აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, 290.

18 იქვე, 557.

19 ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, 1088.

20 სილოგავა, სვანეთის წერილობითი ძეგლები, II, 15-20, 67-68.

წარწერის სიგრძე: 560 სმ.; ასოების სიმაღლე: 4-5 სმ. ქარაგმა: განივი მოკლე კლაკნილი ხაზი.

... ერთ იტე...ტც ტც ... ცტურატც ჩრის ჭადაზარაცაც შე... ეს ჭირება
ჩა ეს სტატიაზარა უყაჟაც ტც ფს.ც | ჩრის სტატიაზარა ტც არაც
არაც ტც ჭადაზარაც შეიტაც არაც სტატიაზარა ტც ტც ტც
.... ტც ჭადაც ტც

[† სახელითა ღ(მრ)თისათა და [მომ]ადლებითა წ(მი)დისა მაც[ხ]ოვრისათა
მე [ბეშქ]ენ²¹ მოვწერე წ(მიდა)დ ესე საკურთხეველი პურითა და ფ[ა]ს[ით]ა
ჩემითა სალოცველად თავისა ჩემისა და მოსახსენებლად მშობელთა ჩემთა ს(უ)
ლისათუის ჯელითა გი(ორგი)სითა ... თ(უე)სა მაი(ს)სა, ამენ.

წარწერის მიხედვით ნეზგუნის ეკლესიის საკურთხეველი მხატვარმა გიორგიმ
მაისის თვეში მოხატა, მაგრამ აღარ შემორჩა თარიღი. აფსიდის მოხატულობა X
ს-ით თარიღდება²² და ვინაიდან ამავე ფერწერულ ფენას მიეკუთვნება წარწერაც,
ეს უკანასკნელიც X საუკუნეშია შესრულებული. ამავე პერიოდს მიუთითებს წარწე-
რის პალეოგრაფიული ნიშნებიც²³.

ქტიტორი ბეშქენი, როგორც ჩანს, სოფელ ნეზგუნის მკვიდრი იყო. მისი სახელი
(ბეშგენე) ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადზეცაა ამოკვეთილი²⁴.

გამოცემა: სილოგავა, სვანეთის წერილობითი ძეგლები II, 15-20, 67-68.

6

იურადის მთავარანგელოზთა ეკლესიის საქტიტორო წარწერა. 1096. (სურ. 5)

ეკლესიის კანკელის არქიტრავის დარბაზისკენ მიმართულ პირზე, მწვანე ფონ-
ზე თეთრი საღებავით შესრულებულია ორსტრიქონიანი ასომთავრული საქტიტო-
რო წარწერა. იგი დაზიანებულია; არის მონაკვეთები, სადაც ტექსტი მთლიანად და-
ღუპულია. მიუხედავად ამისა წარწერის შინაარსი გასაგებია.

წარწერის ზომები: 140X10 სმ; ასოების სიმაღლე: 3,5-3სმ; ქარაგმა ბოლო-
წერტილოვანი, მოკლე ჰორიზონტალური ხაზი, განკვეთილობის ნიშანი: ორი და
სამი წერტილი.

21 სახელი „ბეშქენი“ აღდგენილია ვ. სილოგავას მიერ, სილოგავა, დასახ. ნაშრ., 67–68.

22 ალაშვილი, ალიბეგაშვილი, ვოლსკა, Живописная Школа, 13-14.

23 სილოგავა, დასახ. ნაშრ., 19-21.

24 იქვე, 17.

წარწერა ასე იკითხება:

ცტერნი იმპერიას ჭიათურა და გორგა ბურგო არის ცალ
ყველა ყველა კავკაცია მარტინ გორგა არის ცალ
ყველა ყველა კავკაცია მარტინ გორგა არის ცალ

სახ(ე)ლითა ღ(მრ)თისათა მოიხატა და შეიმკო წმიდა ესე ეკლესია[ღ ს(ა)ლ(ო)
ცვ(ე)ლ(ა)დ] ამის ჯევისა ყ(ოვე)ლთა დიდთა და მც(ი)რ(ე)თა შვ(ი)ლთა და მომავ(ა)
ლთა მათთა და ს(ულ)ისა მ(ი)ცვ(ა)ლ(ე)ბ(უ)ლთა მ(ა)თთისა | წმ(ი)დ(ა)ნო მთ (ა)
ვ(ა)რანგ(ე)ლ(ო)ზნო შ(ეინყალ)ენ ორთავე ცხორებითა ა(მე)ნ. მო[იხატა დასაბა]
მ(ი)თგ(ა)ნთა წელთა ხე ქ(ო)რ(ო)ნივ(ო)ნსა ტივ წელთა თ(ევდორ)ე მეფისა
მხ(ატვრ(ი)საითა. წ(მიდა)ნო მთ(ა)ვ(ა)რა[ნგ]ე(ო)ზნო შ(ეინყალ)ეთ.

წარწერა მრავალგზისაა გამოქვეყნებული. ჩვენი წაკითხვა მცირე შესწორებით,
არსებითად, ვ. სილოგავას წაკითხული ტექსტის ვარიანტს მიჰყვება²⁵. მეორე სტრი-
ქონში მეფის მხატვარ თევდორეს დაშვებული აქვს შეცდომა „...დასაბ]მ(ი)თგან
წელთა ხე..“. ვ. სილოგავა ქორონიკონის მიხედვით ასწორებს ტექსტს და ამბობს,
რომ „უნდა იყოს ჭლ (7600)=1096“²⁶, თუმცა პატივცემული მკვლევარი ცდება. ტე-
ქსტში უნდა იყოს არა „ჭლ“, არამედ „ხლ“ – 6700-5604=1096, რომელიც შეესაბამება
წარწერაშივე მითითებულ ქორონიკონს „ტივ“ – 316+780=1096.

გამოცემა: თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩუმ-სვანეთში,
199–200; Амиранашвили, История грузинской монументальной живописи, 134–135;
Аладашвили, Алибегашвили, Вольская, Живописная школа, 30–31. სილოგავა, სვანე-
თის წერილობითი ძეგლები, II, 29–34, 70–71.

7

კალას წმ. კვირიკესა დ ივლიტას ეკლესიის (ლაგურკა) საქტიტორო წარწერა. 1111 ნ. (სურ. 6)

თეთრი საღებავით მწვანე ფონზე შესრულებული სამსტრიქონიანი ასომთა-
ვრული წარწერა მდებარეობს ეკლესიის დასავლეთ კედელზე, კარის ზემოთ. წარწე-
რა ძლიერაა დაზიანებული და ამჟამად თითქმის ისევეა შემორჩენილი, როგორც ვ.

25 სილოგავა, დასახ. ნაშრ. 70-71.

26 იქვე, 71. ამავე ნაშრომის 33-ე გვერდზე სილოგავა მსჯელობს იფრარის წარწერის ორგვარი
დათარილების (დასაბამითგან და ქორონიკონი) შეუთავსებლობაზე, თუმცა იქაც მსგავს შეცდო-
მას უშვებს.

სილოგავას აქვს გამოქვეყნებული²⁷. ჩვენი წაკითხვა არსებითად სილოგავას წაკითხვის მსგავსია უმნიშვნელო განსხვავებებით.

წარწერის ფართობი: 240X30 სმ., გრაფეტების ზომა: 4,5-5სმ. განკვეთილობის ნიშანი ორი წერტილი; ქარაგმის ნიშანი – კიდურწერტილოვანი განივი ხაზი.

წარწერა ასე იკითხება:

სტატ. იქს... გერეტ თც ყაჭყო წ~ ეს ეს... სტატ~ერეტ|ცას ტრას
ცერცარც: თც : ყ~რ: ქ~სა ცყრარა ცა... |... თც სტატ~ჭარ~რც წ~რც
:ქო: ქან.ნს...

სახ(ე)ლით[ა] ღ(მრ)თ(ი)სა[თა].....[მო]იხატა და შეიმკო ნ(მიდა)ღ ესე
ეკლეს[იად].....სად(ი)დებელ(ა)დ | ამის ჭევისა აზნაურთა და ყ(ოვე)ლთა რ(ომე)
ლნი აშენებენ ამა... | ...ა დასაბამ(ი)თგ(ა)ნთა წელთა ხლიე (6715-5604=1111 ნ.)
ქ(ო)რ(ო)ნ[იკო]ნს[ა]...

პირველ სტრიქონში ვეღარ იკითხება ნმ. კვირიკეს სახელი. აღარ არის შემორჩენილი წარწერის ბოლო ნაწილი, სადაც ეწერა „ქორონიკონსა ტლა“ და იხსენიებოდა „მეფის მხატვარი თევდორე“²⁸.

გამოცემა: Амиранашвили, История Грузинской монументальной живописи, 138;
Аладашвили, Алибегашвили, Вольская, Живописная школа, 31; სილოგავა, სვანეთის წერილობითი ძეგლები, II, 34-36; 73-74.

8

წაკიფარის ნმ. გიორგის ეკლესიის საქტიტორო წარწერა. 1130 წ. (სურ. 7)

თეთრი საღებავით წაწერი ორსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა მდებარეობს ეკლესიის კანკელის არქიტრავზე. წარწერა ძლიერ დაზიანებულია, აცვენილია საღებავის ფენა, რომლის ქვეშაც მოჩანს კანკელის ძველი ფერწერული დეკორი – წითელი საღებავით დახატული გეომეტრიული ფიგურები (X ს.).

წარწერის ფართობი: 330X17სმ. ასოების ზომა: 5-7სმ. განკვეთილობის ნიშანი – ორი წერტილი, ქარაგმა – ბოლონწერტილოვანი განივი ხაზი.

მაზარ იდასაც: ჟილეც: თც ყაჭყო: სტყბარ: ეს: წრეს: ეს:სც:
ცერცარც... ც ქ~საც ყ~საც ე.ც.ც | ც: ეს: ჭ~ც~ქ~შ~ ყა: თც ცცყრარ: ცს:
ჟილცც: თც ცას... ესაც ცა: ჟაფს: ჟ~რ~ქ~საც

[სა]ხელითა ღ(მრ)თის(ა)ღთა მოიხ(ა)ტა და შეიმკო საყდარი ესე ნ(მინ)დისა

27 სილოგავა, დასახ. ნაშრ., 73-74.

28 Амиранашвили, История грузинской монументальной живописи, 138.

გ(იორგის)ა ...ისა აზნა(უ)რთა ...ა წ(ე)ვ(ი)ს(ა)თა ყ(ოვე)ლთა ე[რ]თ(ო)ბ(ი)თ | [ნ]ო
გ(იორგ)ა მთავ(ა)რმ(მონამე)ო შ(ეინყალ)ენ და ააშენენ ა(მე)ნ. მოიხატა და
ქორ]ონ(იკო)ნსა ...[წე]ლითა თ(ევდორ)ე მეფ(ი)სა მხ(ა)ტვრ(ი)სათა.

წარწერის თარიღის აღმნიშვნელი გრაფემები, რომლებიც წარწერის პირველი
გამომცემლის, ამირანაშვილის დროს ჯერ კიდევ ნაწილობრივ ჩანდა „...ქორონიკონ-
სა ტნ...“ და, რომელიც 1130 წელს შეესაბამება, დღეს აღარ არის შემორჩენილი.

წარწერის შესახებ დაწვრილებით იხ. სილოგავა, სვანეთის წერილობითი ძე-
გლები, II, 36–39, 74, 75.

გამოცემა: Амиранашвили, История Грузинской монументальной живописи, 143;
Аладашвили, Алибегашвили, Вольская, Живописная школа, 32; სილოგავა, სვანეთის
წერილობითი ძეგლები, II, 36-39, 74-75.

9

წვირმი-ჩობანის წმ. გიორგის ეკლესიის წარწერა. XII ს.

სოფელ წვირმის ქვედა უბნის (ჩობანი) წმ. გიორგის ეკლესიის დასავლეთ კე-
დელზე, კარის მარცხნივ (სამხრეთით) გამოსახულია საერო პირი. გამოსახულე-
ბის თავისა და მხრის არეში, მარჯვნივ ბუნდოვნად მოჩანს შვიდსტრიქონიანი (?)
ასომთავრული წარწერა, რომელიც შავი საღებავითაა ნაწერი. წარწერაში ერთგან
შეიმჩნევა განკვეთილობის ნიშანი – ორი წერტილი და ქარაგმა – მოკლე, სწორი ჰო-
რიზონტალური ხაზი.

სახელითა ღმრთ[ისად] | თა მოი...ა: წ(მინდა)ი ე[კ] | ლე[სია] ...კ რის|ა ას ძისა
წე|... ზვიადი | ...აობი...| შსა.

ამ ძლიერ ფრაგმენტირებული წარწერიდან ვადგენთ, რომ წარწერაში ლაპარაკია
ეკლესიის მოხატვაზე და იხსენიება ვინმე „ზვიადი“. ეს წარწერა პირველად ამოიკი-
თხა ე. თაყაიშვილმა. მის ნაშრომში მოტანილია ასომთავრულით დაწერილი ტექს-
ტის მხედრული ტრანსლიტერაცია: სახელითა ღმრთისა | თა მოიხატა წმიდაი | ესე
ეკლესია | გუხაფათის წელითა ზვიადისა | წელოსნობასა | პაიშისა (?)
ქტიტორის გამოსახულების მარცხნივ თაყაიშვილი გარკვეული ეჭვით კითხულობს
- „ესე არს თ[ავ]ადი აარონ...“²⁹.

29 თაყაიშვილი, არქეოვლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში, 214-215.

წარწერის წაკითხვა XX საუკუნის ორმოციან წლებში სცადა ხელოვნებათმცოდნე თინათინ ვირსალაძემ³⁰. აშკარაა, რომ იმ დროს წარწერა უკეთ იკითხებოდა. ჩვენს ხელთაა ვირსალაძის ჩანახატი, რომლის მეორე სტრიქონში ჩანს სიტყვა — „**ჭილადი**“ – „მოიხ(ა)ტა“, მეხუთე სტრიქონში იკითხება სახელი „ზვიად“.

6. ალადაშვილისა და ა. ვოლსკაიას აზრით გუხაფისძე მხატვარია³¹. რ. ყენიას და 6. ალადაშვილი მიიჩნევენ, რომ ეკლესია მოიხატა გუხაფის ძის ზვიადის ხელით³². მხატვრად მიაჩნია გუხაფათი სილოგავასაც. მისი აზრით ზვიადი სვანთა ერისთავია³³.

1987 წელს წარწერის წაკითხვა სცადა ხელოვნებათმცოდნე ე. კავლელაშვილმა და მოგვიანებით გამოაქვეყნა წარწერის ასლიც:

„სახელითა დმრთ(ი)თა მოიხტა წ(მიდა)ი ეკლესი(აი) კარის(ა)ა გ(უ)შაფისძისა წელითა ზვიადის...აო...შსა.“

ქტიტორის მარცხენა (სამხრეთ) მხარეს „ესე არს თავად აარონ.“

კავლელაშვილი თაყაიშვილისგან განსხვავებით კითხულობს გუშაფისძეს. მას მიაჩნია, რომ მხატვრის სახელია ზვიადი, აარონ გუშაფისძე კი ადგილობრივი ფეოდალია.

ვფიქრობ, კავლელაშვილის დასკვნები მისაღებია, თუმცა დღეს ამ წაკითხვის გადამოწმება მისი მძიმე მდგომარეობის გამო შეუძლებელია, რადგანაც გრაფემები ისეა გადაცრეცილი, რომ ფონისგან აღარ განირჩევა.

გამოცემა: თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩიუმ-სვანეთში, 214-215; ალადაშვილი, ვოლსკაია, ზემო სვანეთის კედლის მხატვრობის ძეგლები, 34; სილოგავა, სვანეთის წერილობითი ძეგლები, II, 93-94; კავლელაშვილი, მხერის ეკლესიის მხატვარი, 99; ყენია, ალადაშვილი, ზემო სვანეთი, 60.

10

მაცხვარიშის მაცხოვრის ეკლესია.

მიქაელ მაღლაკელის წარწერა. 1140 წ. (სურ. 8)

მხატვარ მიქაელ მაღლაკელის თეთრი საღებავით ნაწერი ათსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა მდებარეობს ეკლესიის ჩრდილოეთ კედელზე, საკურთხევ-

30 თ. ვირსალაძის ჩანახატი ინახება გ. ჩუბინაშვილის სახ. ეროვნული კვლევითი ცენტრის არქივში, გ.ჩ.ც./ფ/თ. ვ. – 63/131

31 ალადაშვილი, ვოლსკაია, ზემო სვანეთის კედლის მხატვრობის ძეგლები, 34.

32 ყენია, ალადაშვილი, ზემო სვანეთი, 60.

33 სილოგავა, სვანეთის წერილობითი ძეგლები, II, 94.

ლის აფსიდის მახლობლად, კედლის დეკორაციული თაღის მარჯვენა, აღმოსავლეთ ნაწილზე. წარწერის საღებავის ფენა ნაწილობრივ დაზიანებულია.

წარწერის ფართობი: 61X31 სმ. ასოების სიმაღლე: 4-4,5 სმ. განკვეთილობის ნიშანი – ორი წერტილი, ქარაგმა – განივი სწორი ხაზია.

ჭყაბართ სი | ყბა თუ ჭ | გფირთს | თაჭერას | ს ჩას | : გვ. ყაზა | ც ჭა |
ჭა. | ც ყაზა | ს ც ჭ

მოხატა სა | ყდარი ესე მ | ეფობასა | დემეტრეს | ა ნ(ე)ლსა იე: წელი | თა მ(ი)ქ(აე)[ლ]
| მალ[ლ] | აკელი | სათა.

მეხუთე სტრიქონში გამორჩენილია სიტყვა წლსა – ნ(ე)ლსა, რომელიც შედარებით მომცრო ასოებით, შემდეგ მეექვსე სტრიქონზეა დაწერილი. წარწერა თარიღდება დემეტრე მეფის ზეობის მე-15 წლით (ი“ე-ი“ე = 15), რაც 1140 წელია.

გამოცემა: თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩუმ-სვანეთში, 350, Вирсаладзе, Фресковая роспись художника Микаела Маглакели, 176; სილოგავა, სვანეთის წერილობითი ძეგლები, II, 76-77.

11

ვარძიის ღვთისმშობლის ტაძარი. გიორგი ჭარის წარწერა. XII ს. (სურ. 9)

წარწერა ამჟამად აღარ გაირჩევა. ის, თავის დროზე, წაიკითხა კ. მელითაურმა. მის ნაშრომში გამოქვეყნებულია წარწერის ფოტოც³⁴. მელითაურის აღწერით საკურთხევლის აფსიდის კონქისა და ქვედა რეგისტრის მოხატულობის გამმიჯნავი ორნამენტული ზოლის ცალკეულ სეგმენტებში ერთმანეთისგან დაშორებული რამდენიმე ასომთავრული გრაფემა იყო ჩაწერილი: „ჩრდილოეთით მღვდელმთავარ ელეფთერისა და იოანე ოქროპირის შუახაზს ასწვრივ მოთავსებულ ყვავილში“ ეწერა „ლ“ – „გ“ „...იმ ყვავილში, რომელიც საკურთხევლის აღმოსავლეთი სარკმლის აღმოსავლეთ ნიბოს ასწვრივ მდებარეობს“ – ასო-ნიშანი „ბ“ – „ჭ“, ხოლო „ამ ყვავილის გვერდით ერთი რაპორტის გამოშვებით ყვავილშივე“ „ქ“ – „რ“³⁵. მელითაურმა წარწერა საბოლოოდ გამართა როგორც „გიორგი ჭარი“ და ის ტაძრის მომხატველად მიიჩნია³⁶.

34 მელითაური, ვარძიის სამშენებლო-ხუროთმოძღვრული შესწავლის საკითხები, 13, სურ. 10, 11. მელითაურის ცნობით 1940 წელს მხატვარმა გ. თვალავაძემ შეასრულა ორნამენტის პირი, რომელიც შემდგომ დაიკარგა, მელითაური, დასახ. ნაშრ., 13. შენ. 4. ვარძიის წარწერის ფოტოს (სურ. 9) ვაქვეყნებთ მელითაურის წიგნიდან.

35 იქვე, 13.

36 იქვე, 13.

გამოცემა: მელითაური, ვარძიის სამშენებლო-ხუროთმოძღვრული შესწავლის საკითხები, 13, გაფრინდაშვილი, ვარძია, 129.

12

**ბეთანიის ღვთისმშობლის შობის ტაძარი.
დემეტრეს და სოფრომის წარწერები. XII ს. (სურ. 10)**

ბეთანიის წარწერების ადგლზე შესწავლის საშუალება არ მოგვეცა. ამიტომ ისი-ნი მოგვყავს ე. პრივალოვას ნაშრომის მიხედვით³⁷.

ა) ერთსტირქონიანი შავი საღებავით შესრულებული ასომთავრული წარწერა საკურთხევლის აფსიდში, დასაჯდომელის ორნამენტზეა დაწერილი ძალზე პატარა გრაფემებით:

† ყ ზღ

ქ(რისტ)ე შ(ეინ)ყალ)ე დ(ემ)ე(ტ(რ)ე

წარწერის მდებარეობის გათვალისწინებით ე. პრივალოვა მას მხატვარ დემეტრეს მიაკუთვნებს³⁸.

ბ) წარწერა მოთავსებულია საკურთხევლის აფსიდში დემეტრეს წარწერის (№12 ა) მახლობლად. ე. პრივალოვა მასაც დემეტრეს მიაკუთვნებს³⁹.

წარწერა:

არ მარტო ვარ, შავპირი, ჭეშმარიტად. მსაჯულო ყოველთაო, ნუ მარტოქმენ ყოველთა ქრისტიანეთა წმიდათა შენთაგან.

აღსანიშნავია, რომ წარწერას ლექსის ფორმა აქვს.

გ) თეთრი საღებავით შესრულებული ასომთავრული წარწერა მდებარეობს ეკლესიის სამხრეთი მკლავის დასავლეთი სარკმლის წირთხლში, საკმაოდ მაღლა. ის წმ. აარონის ფიგურის ქვემოთაა მიწერილი.

წარწერა:

უფალო, ნუ შეუნდობ სოფრომს.

ლოკალიზაციის გათვალისწინებით ე. პრივალოვა წარწერას მხატვარს მიაკუთვნებს, რომელიც მას თავად სოფრომი მიაჩნია⁴⁰.

გამოცემა: Привалова, Новые данные, 16-17.

37 Привалова, Новые данные, 16-17

38 იქვე.

39 იქვე.

40 იქვე, 16-17.

ოზაანის ამაღლების ეკლესია. მიქაელის წარწერა. XII-XIII სს. (სურ. 11)

შავი საღებავით ნაწერი ხუთსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა მდებარეობს საკურთხევლის აფსიდის თაღის პირზე, იატაკიდან 170 სმ-ის სიმაღლეზე. მოჩარჩოებულია წვრილი შავი ხაზით; სტრიქონები წვრილი შავი ხაზითაა გამიჯნული, რომლებიც შავი დეკორატიული „წანაზარდებითაა“ გაფორმებული.

წარწერის ფართობი — 45X15 სმ. განკვეთილობის ნიშანი ორი წერტილია, ქარაგმა – ბოლონერტილოვანი, განივი, კლაკნილი ხაზი. გრაფემა “ც”-“ა”-ს უღელი ტანსაა მოცილებული, რაც XII საუკუნიდან შეინიშნება.

†~QI ყრ | ზენ | ჭ+ს | ცჲნ

ქ(რისტე) ღ(მერთ)ო | შ(ეუ)ნდ | ვენ | მ(ი)ქ(აე)ლს | ამ(ე)ნ.

გამოცემა: კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები, 124-126, Чубинашвили, Архитектура Кахетии, 357; Привалова, Ростисль церкви «Вознесения», 123-124.

ჭოხულდის მაცხოვრის სახელობის ეკლესია.

საღირის წარწერა. XIII ს. (სურ. 12)

ერთსტრიქონიანი შავი საღებავით შესრულებული ასომთავრული წარწერა ეკლესიის დასავლეთ კედლის ქვედა რეგისტრში, კარის მარცხნივ, სულიწმიდის მოფენის კომპოზიციაშია ჩანსერილი. წარწერა დაზიანებულია. ზომები: გრაფემების სიმაღლე 4-4.5 სმ. ქარაგმა – კიდურწაისრული, განივი ხაზი.

წარწერის ადგილზე შესწავლა ვერ მოხერხდა. წარმოვადგენთ ვ. სილოგავას გადმონაწერს:

ჭQ ი~ცI ს~იქ ყI

ძ(ე)ო ღ(მრ)თი(საო), ს(ა)ღ(ი)რ შ(ეინყალ)ე⁴¹.

წარწერის ცალკეული სიტყვები: „ლთი“ და „სღრ“ მოციქულთა სამოსზე შავი საღებავით შემოხაზულ ზემოთკენ თავგახსნილ წრეებშია მოქცეული. პირველ („ძო“) და ბოლო („შე“) სიტყვების შესახებ სილოგავა ამბობს „თითქოს იკითხებაო“⁴². წარწერის ვ. სილოგავას შემოთავაზებული წაკითხვა სარწმუნოდ გვეჩვენება, მა-

41 სილოგავა, დასახ. ნაშრ. 72.

42 იქვე, 72.

გრამ ვერ გავიზიარებთ მის მოსაზრებას, რომ ის შეიძლება უკავშირდებოდეს ამავე, დასავლეთ კედელზე, კარის მარჯვნივ გამოსახულ ქტიტორს⁴³. ჩვენი ვარაუდით, ნარწერა მხატვარს, საღირს ეკუთვნის.

ვ. სილოგავა წარწერას XI ს. – XII ს-ის I ნახევრით ათარიღებს და მას მოხატულობის თანადროულად და იმავე მხატვრის შესრულებულად მიიჩნევს, რომელმაც ეკლესია მოხატა⁴⁴, მაგრამ ჭოხულდის მოხატულობა XIII საუკუნითაა დათარიღებული⁴⁵ და წარწერაც ამ პერიოდს უნდა ეკუთვნოდეს.

გამოცემა: ვ. სილოგავა, სვანეთის წერილობითი ძეგლები, I, 23, 72-73.

15

ზემო კრიხის მთავარანგელოზთა ეკლესია.

მხატვრის წარწერა. XIII-XIV სს.

ზემო კრიხის ეკლესია და მისი მოხატულობა 1991 წელს მიწისძვრის დროს დაზიანდა. მაშინ განადგურდა მხატვრის წარწერაც, რომელიც ჩრდილოეთ კედელზე ქტიტრის გამოსახულების ფეხებთან იყო მიწერილი. ზემო კრიხის მოხატულობა XI ს-ით თარიღდება, წარწერა კი XIII-XIV სს-ს განეკუთვნებოდა და ის იმ მხატვრის, ვინმე ჩუბინიძის, მიერ იყო შესრულებული, რომელმაც თავდაპირველი მოხატულობის, ცალკეული დაზიანებული ადგილები განაახლა (XIII-XIV სს.)⁴⁶. ათსტრიქონიანი ნუსხური წარწერა რამდენჯერმეა გამოქვეყნებული და ის აქ ამ ნაშრომების მიხედვით მოგვყავს:

[მო]იხატა წ(მიდა)ი ესე ეკლე | სიაი დეკანოზობას | გ(იორგ)ი კორცანი(სძის)ასა |
| ასისთავობასა ი(ოა)ნე | ლომაისძისასა | და ი(ოა)ნე დევიძისი(სა) | შე(იწყალე)ნ
წ(მიდა)ნო მთავარ | ანგელოზ(ნო) | ამისა მ(ო)ხა(ტ) | (ვ)ისა ჩ(უ) [ბინისძე]⁴⁷

გამოცემა: ბოჭორიძე, რაჭა-ლეჩხუმის ისტორიული ძეგლები, 163; Вирсаладзе, Фресковая роспись в церкви архангелов, 35-37.

43 იქვე, 23.

44 იქვე, 73.

45 Аладашвили, Алибегашвили, Вольская, Живописная школа, 124; ყენია, ანსამბლის აგების თავისებურებანი, 78-80.

46 Вирсаладзе, Фресковая роспись в церкви архангелов, 35-37.

47 იქვე, 35.

საფარის წმ. საბას ტაძარი. თეოდორეტის წარწერა. XIV ს. (სურ. 13)

საფარის წმ. საბას ტაძრის სამხრეთ კედელზე, საქტიტორო რიგის მეოთხე გა-მოსახულების სამოსის – თეთრი პერანგის ქობაზე დატანილია ერთსტრიქონიანი სტილიზებული მხედრული წარწერა. მამაკაცი, რომელიც ჯაყელთა საქტიტორო რიგის ბოლო ფიგურაა მოგვიანო ხანაში ამოქოლილ კარზეა დახატული და ის არ არის იდენტიფიცირებული. შემორჩენილია წარწერის სამი სიტყვა, რომლებიც ერთმანეთისგან განკვეთილობის ნიშნებითაა გამოყოფილი. ეს ნიშნები ორი ხაზით შემოვლებული ორი და სამი მცირე წრეა (წარწერის ფართობია: 65,5X12,5 სმ. გრაფემების ზომაა: 10 სმ – 2 სმ).

წარწერა მცენარეული ორნამენტის შთაბეჭდილებას ტოვებს და მას წარწერად მხოლოდ დაკვირვების შემდგომ შეიცნობ. პირველი სიტყვა მუქი წითელი, მეორე — შავი, ხოლო მესამე სიტყვა ისევ მუქი წითელი საღებავითაა ნაწერი. წარწერა ქტიტორის პერანგის ვერტიკალური ნაოჭების აღმნიშვნელი მწვანე ფერის ხაზებზეა დატანილი და პერანგის ქობის ორნამენტული გაფორმების სახე აქვს. წარწერის გრაფემები ორი ხაზითაა შემოხაზული, მცენარეული წანაზარდები კი ერთი კონტურით.

სამეცნიერო საზოგადოებას ამ წარწერის შესახებ, პირველად ისტორიკოსმა და ეპიგრაფიკოსმა თემურ ჯოჯუამ ამცნო. მისი წინასწარული მონაცემებით საქმე გვაქვს მხატვრის წარწერასთან, მხატვრის სახელი „პეტრეა“. მართლაც, იატაკიდან 217 სმ-ზე შესრულებული ეს წარწერა მხოლოდ მხატვარს შეიძლება დაეწერა. გრაფემები ძლიერ სტილიზებულია და დამატებითი მცენარეული მორჩებით და ყლორტებითაა გაფორმებული, ამდენად ასონიშნების ამოცნობა რთულია და ჩვენეულ წაკითხვასაც სრული უეჭველობის პრეტენზია არ აქვს.

წარწერა:

პტრო: ძესა: : თგრეტს ... (ან) თბრეტს...

თუ ვიგულისხმებთ, რომ უკანასკნელი სიტყვის მეორე ასონიშანი ასომთავრული “ზ”-“დ” არის, მაშინ ეს სახელი გაიხსნება, როგორც – თდრეტ – თეოდორეტ (?):

პ(ა)ტრ(ე)თ ძესა თ(ეო)დ(ო)რეტს [შეუნდვენ ღმერთმან] (?)

ან

პ(ა)ტრ(ა)თ ძესა თ(ეო)დ(ო)რეტს [შეუნდვენ ღმერთმან] (?)

ანდაც

პ(ე)ტრ(ე)თ ძესა თ(ეო)დ(ო)რეტს [შეუნდვენ ღმერთმან] (?)

პირველი სიტყვა, ვფიქრობ, უნდა გაიხსნას როგორც: პ(ა)ტრ(ა)თ ან პ(ა)ტრ(ე)თ ან პ(ე)ტრ(ე)თ, თუმცა გადაჭრით თქმა თუ რა სახელიდანაა ნაწარმოები იგი გამიჭირდება; ეს სახელი მახსენებს იერუსალიმის ჯვრის მონასტრის სამხრეთ-დასავლეთი ბურჯის დასავლეთ ნახნაგზე მოციქულების წმ. პეტრესა და წმ. პავლეს ფიგურებს შორის გამოსახული დრანდელი მთავარეპისკოპოსის გაბრიელის გვარს – პატრაძეს, სავარაუდოდ იგი XIV ს-ში მოღვაწე პირი უნდა იყოს. კედლის მხატვრობა XVI ს-ით თარიღდება⁴⁸. არ არის გამორიცხული ამ სიტყვაში შევიცნოთ ბერძნული სიტყვა, *πατέρ* – მამა, რადგანაც ბერძნული უღერადობის სახელი თეოდორეტი (თეოდორიტე), რომელიც ნაკლებ პოპულარულია ქართველთა შორის „კარგად მოერგება“ ამ ვითარებას. ხომ არ შეიძლება დავუშვათ, რომ ბერძენი წარმოშობის მხატვარმა, დასატა საფარის წმ. საბას ეკლესიაში ეს საქტიტორო გამოსახულება?! გამოვრიცხავ პირველი სიტყვის ამგვარ – „პ(ა)ტრ(ო)ნთ“ – გახსნას.

17

უბისის წმ. გიორგის ეკლესია. გერასიმეს წარწერა. XIV ს. (სურ. 14)

ერთსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა სატრიუმფო თაღზე მდებარეობს; შესრულებულია თეთრი საღებავით მუქ ლურჯ ფონზე. მისი ცალკეული ნაწილები დაზიანებულია. ქარაგმის ნიშანი – ჰორიზონტალური კლაკნილი ხაზი, განკვეთილობის ნიშანი – ოთხი, ზოგან სამი წერტილი.

„სტარიაც.. ი~ც~რ~ა~ც.. ჭ~ღ~ღ~ც ჭ~ღ~ს~ჲ~ჲ~. ე~ს~. ყ~წ~ა~ც.. ც~ღ~წ~ა~ს~. რ~ჭ~წ~ი~ს.. ზ~ჲ~ა~ს~ა~ც.. ზ~ჲ~ა~ს~ა~ც..“

სახელითა ღ(მრ)თის(ა)ითა მოიხ(ა)ტა მონ(ა)სტ(ე)რი ესე ჭელითა ცოდვილ(ი)სა დ(ა)მ(ი)ანეს გ(ა)ზრდ(ი)ლისა გერ(ა)სიმ(ე)სითა.

შ. ამირანაშვილმა წარწერა დამიანეს მიაკუთვნა, რომელიც ტაძრის საკურთხევლის აფსიდში გამოსახულ საიდუმლო სერობის სცენაში ჩართულ წარწერაშიცაა დასახელებული და ის მიიჩნია უბისის ეკლესიის მხატვრად⁴⁹. ვ. ბერიძემ ეს ვერსია უარყო. მან ყურადღება მიაქცია იმას, რომ წინადაღება ისეა გამართული – („მოიხატა ჭელითა...გერასიმესითა“), რომ მხატვარი გერასიმეა. დამიანე რომ ყოფილიყო მხატვარი, მაშინ დაწერდნენ „დამიანესითა“ (მოიხატა ჭელითა დამიანესითა) და არა „დამიანეს“⁵⁰.

48 Didebulidze, Janjalia. Wall Paintings, 61.

49 ამირანაშვილი, უბისი, 10; მისივე, ქართველი მხატვარი, გვ. 12-13
50 ბერიძე, გერასიმე და, არა დამიანე.

გამოცემა: ამირანაშვილი, უბისი, 10; ამირანაშვილი, ქართველი მხატვარი და-
მიანე, 13; ბერიძე, გერასიმე და, არა დამიანე.

სორის წმ. გიორგის ეკლესია. დავითის წარწერა. XIV ს.

მუქ ლურჯ ფონზე თეთრი საღებავით, გაკრული ხელით შესრულებული მხე-
დრული წარწერა ეკლესის ჩრდილოეთ კედელზე, დასავლეთიდან მეორე პილას-
ტრის მარცხნივ, წმ. გიორგის ფიგურის ფეხებთან მდებარეობს იატაკიდან 107 სმ-ის
სიმაღლეზე. წარწერა ძლიერაა დაზიანებული. გ. ბოჭორიძის ცნობით, რომელმაც
რაჭაში 1925-27 წლებში იმოგზაურა, სორის ეს წარწერა ცამეტსტრიქონიანი ყოფი-
ლა, მაგრამ ის უკვე დაზიანებული იყო⁵¹.

დღეს ადგილზე შემორჩენილია წარწერის მხოლოდ ცხრა სტრიქონი (ფართობი
- 44X21 სმ.), მოჩანს ცალკეული გრაფემები, რომელთა მოხაზულობა ბუნდოვანია,
ვერ დგინდება წარწერის საზღვრები, განკვეთილობის ნიშანი ორი წერტილია.

წარწერის წარწერის აღვადგენთ არსებული პუბლიკაციების მიხედვით:

....ღვდელ.....ჭარელისძე გ | |ელითა ფ | [რიად | ცოდვ]ილისა დ | [ავი]თისი-
სა და მნათეს შ | [ვილის] ივ | ანესითა და ვინცა | [შენდო]ბა ბრძანოთ | თქვენცა
შეგინდვნეს ღ(მერ)ომ(ა)ნ.

ი. ჭიჭინაძემ წარწერა საბოლოოდ ასე გამართა:

[ქ. შევამკვეთ ესე ეკლესია მრავალძალის] | წმიდა გიორგისა...[შენევნითა] | თა
მღვდელმს[ახურთა და] ჭარელისძე გი [სი]თა | [წ]ელითა ფ(რიად)დ ცოდვი[ლი-
სა და(ვი)თისისა და მნათეს | შ[ვი]ლისა იქ[ან]ესითა და ვინცა] | შ[ენდო]ბა ბრძა-
ნო[თ] | [თქვენცა] შეგი[ნდ | ვნეს] ღ[მერთ]თმან⁵².

გამოცემა: კაკაბაძე, წინასწარი ცნობა, 108; ბოჭორიძე, რაჭა-ლეჩხუმის ის-
ტორიული ძეგლები; ჭიჭინაძე ი., სორის მოხატულობა, 55-56; სხირტლაძე, სორის
ეკლესია, 17, 19.

51 ბოჭორიძე, რაჭა-ლეჩხუმის ისტორიული ძეგლები, 217-218.

52 ჭიჭინაძე ი., სორის წმ. გიორგის ეკლესის მოხატულობა, 55-56.

ჭულეს წმ. გიორგის ეკლესია. არსენის წარწერა. 1381 წ. (სურ. 15)

ჭულეს წმ. გიორგის ეკლესის მხატვრის წარწერა ჩრდილო-დასავლეთი გუმბათქვეშა ბურჯის სამხრეთ გვერდზე, იატაკიდან 240 სმ-ის სიმაღლეზე თეთრი საღებავითაა ნაწერი. ასომთავრული წარწერა ხუთსტრიქონიანია (წარწერის ფართობი: 55X34 სმ.) და სიგანეში ბურჯის სამხრეთი გვერდის ლილვებს შორის განივზომას მთლიანად ფარავს. წარწერის ყოველი სტრიქონი ორი გაკაწრული ხაზით მონიშნულ ველშია ჩაწერილი; ზედა ოთხი სტრიქონი თანაბარია, მეხუთე სტრიქონი კი განსხვავებულია, ზედა სტრიქონებთან შედარებით მცირეა. ასომთავრული წარწერის გრაფემების დუქტუსი საგრძნობლად წაგრძელებულია, ასოები შენიაღებულია, ქარაგმის ნიშანი ჰორიზონტალური კლაკნილი ხაზია, განკვეთილობის ნიშანი — ორი წერტილი, წარწერის ბოლოს სამი წერტილი და მძიმის მსგავსი ჰორიზონტალური ბუნიაა დასმული. წარწერის მე-4 და მე-5 სტრიქონების დიდი ნაწილი ნალესობის აცვენის გამო დაღუპულია.

წარწერა ასე იკითხება:

ყავ. ჩამ. იდეს თე წიც 77 ბივასთა ქარ სავა გამა ზემა ზევასთა: 77
ბივასთა ას | ზემა აზა აზა პართას: 77 ას გ | 77: შრ: 77:
ის: | 77 ას :

შეწევნითა: ღ(მრ)თ(ი)სათა და წ(მიდი)სა გ(იორგ)ი ჭულისად | თა სრულ
იქმნა ეკლესია: ესე ჭუეისაი ხა | ტ(ე)ბითა წელითა მხატვრისა: არსენით
| ა: შ(ეუ)ნ(დღ)ს ღ(მერთმა)ნ | ადთა:.

წარწერის ტექსტში შეინიშნება შეცდომა. მეორე სტრიქონში ტოპონიმ „ჭულეს“
გადმოცემისას ასონიშან „ლ“-ს ნაცვლად რატომდაც „ე“ არის დაწერილი. ასონიშ-
ნების ფორმა, მოხაზულობა, სტილი XIII საუკუნის მიწურულისა და XIV საუკუნის
ფარგლებში ექცევა.

წარწერა არაერთხელაა გამოქვეყნებული. პირველად მას ყურადღება მარი
ბროსემ მიაქცია, რომელმაც 1847 წელს იმოგზაურა სამცხეში. ჭულეს წარწერა მა-
შინ უკეთ იყო შემონახული, წარწერის ბოლოს იკითხებოდა: „ქს თა:“, რაც ეკლე-
სის მოხატვის თარიღს აღნიშნავს – 1381 წ⁵³. ამავე დროს, მხატვრის სახელის – არ-
სენი შემდგომ ასონიშან „თ“-ს გასწვრივ გრაფემა „ფ“-ს კითხულობს და მიიჩნევს,
რომ ჭულე არსენი თფილელის მოხატული ყოფილა.

პ. უვაროვას, რომელიც ჭულეში XIX ს-ის დასასრულს იყო, გამოქვეყნებული
აქვს მხატვარ არსენის წარწერის ასლი, რომელზეც გარკვევით ჩანს ქორონიკონი

53 Brosset, Rapports, II^e rapp., 136.

„თა“ (1381 წ.); ამავე დროს, მხატვრის სახელის მარჯვნივ არსებული ასონიშან „თ“-ს ძირში აღნიშნულია მარჯვნივ განზიდული ხაზი⁵⁴, რაც შესაძლებელია თ-სთან შენიაღებული „ბ“-ს ფეხი იყოს.

ექ. თაყაიშვილი სრულად იზიარებს ჭულეს წარწერის ბროსესეულ ტექსტს და დათარიღებას. მხოლოდ მცირე კორექტივი შეაქვს, კითხულობს – არსენი თბილელს⁵⁵.

გიორგი ბოჭორიძე ჭულეს მხატვარ არსენის თორელ ეპისკოპოსად მოიაზრებს⁵⁶. შ. ამირანაშვილი „თორელს“ ან „თმოგველს“ კითხულობს⁵⁷.

წარწერაში მხატვრის სახელის შემდგომ არსებული „თ“ გრაფემა ინტერპრეტირებისთვის დიდ ასპარეზს არ იძლევა, ამდენად, ამ საკითხს ღიად ვტოვებ. რაც შეეხება თარიღს – 1381 წ. – მის სისწორეში ეჭვის შეტანა არ არის მართებული, რა-დგანაც ამას დოკუმენტურად ადასტურებული არ არის. ბროსე, პ. უვაროვა და ექ. თაყაიშვილი; ამავე დროს, წარწერის პალეოგრაფიული მონაცემები სრულიად ეთანხმება აღნიშნულ თარიღს.

ვ. ბერიძე ვრცლად იხილავს აღნიშნულ წარწერას და ბროსე-თაყაიშვილის წაკითხვას იზიარებს⁵⁸.

გამოცემა: Brosset, Rapports, II^e rapp., 136; MAK, IV, 65, ნახ. 51; AEP3, I. 107; ბერიძე, სამცხის ხუროთმოძღვრება, 150–151; ბოჭორიძე, მოგზაურობა, სამცხე-ჯავახეთში, 155.

20

წალენჯიხის მაცხოვრის ეკლესია. მანუელ ევგენიკოსის, ქვაბალიასა და გაბისულავას წარწერები. 1384-1396 წწ. (სურ. 16,17)

წალენჯიხის მაცხოვრის ჯვრ-გუმბათოვანი ეკლესიის გუმბათქვეშა დასავლეთ ბურჯებზე შავი საღებავით შესრულებული ორი ქართული წარწერაა, რომლებიც ეკლესიის მოხატვასთან დაკავშირებულ ცნობებს შეიცავს.

ა) სამხრეთ-დასავლეთ ბურჯის ჩრდილო-დასავლეთ წახნაგზე ჩვიდმეტ-სტრიქონიანი ასომთავრული წარწერაა. დღეს მისი მეთორმეტე სტრიქონი აღარ არსებობს, ამ ადგილას შელესილობა ჩამომტვრეულია. წარწერას წითელი ფერის მოჩარჩოება ევლება. ტექსტი ბურჯის კაპიტელის შეზნექილი ზედაპირიდან იწყება და ბურჯის ბაზისკენ ეშვება. წარწერის ბოლო სტრიქონსა და ბაზას შორის დარჩე-

54 MAK, IV, 65, ნახ. 51.

55 AEP3, I, 107.

56 ბოჭორიძე, მოგზაურობა, სამცხე-ჯავახეთში, 155.

57 ამირანაშვილი, ბექა ოპიზარი, 10.

58 ბერიძე, სამცხის ხუროთმოძღვრება, 150, 151.

ნილ არეზე მცენარეული ორნამენტია გამოსახული. განკვეთილობის ნიშნად ორი, სამი და ოთხი წერტილია ნახმარი. ქარაგმა – ჰორიზონტალური კლავნილი ხაზია. ასოები ზოგან შეწიალებულია. სტრიქონები ორი გაკანრული ხაზით მონიშნულ ველშია ჩაწერილი.

ნარნერა ასე იკითხება:

† სტეპილი | რა: ქარტის: თც | ჭრცექა: ქე | ცის: თცთარის | ზცჭყას: ქაქცერის: ქი.... | ხოსტრესუზა: ქეცერა: | ხაქცერის: | ზირნერის: | თც თცთალ... ზც | იჯაფ... | ც ყნ ... | ჭცხილ... | ჩც: ყ~ს: | ც~ნ: ც~ნ: ც~ნ
† პატრონისა | ე(რისთავ)თ ერ(ის)თ(ა)ვ(ი)სა და | მ(ა)ნდატ(უ)რთ უხ | (უ)ცესისა დადიანისა | ვამეყის ბრძა | ნებითა მოვ[ედი] | კოსთანტიპ | (ო)ვლით მხატვარი | კირმანული | ევიენიკოს | და დავხ(ა)ტ[ე] ესე [ეკლესია] | ღმრთ... | [ვინც]ა შ(ე)ნ | [დობა ბრ]ძანოთ ... | [თქვე]ნცა შ(ეგინ)დ(ვნე)ს [ღმერთმან] | ა(მე)ნ, ა(მე)ნ, ა(მე)ნ.

სიტყვა „დავხ(ა)ტ[ე]“ ამჟამადაც თითქმის სრულად იკითხება. „დავხატე“ აქვს გად-მოწერილი, თავის დროზე, მ. ბროსესაც⁵⁹. სხვა გამოცემებში ამ სიტყვის მხოლოდ დასაწყისი – „და“ არის გადმოწერილი, თუმცა გაზიარებულია მ. ბოროსეს ვერსია⁶⁰.

ნარნერის გვერდით, ამავე ბურჯის დასავლეთ ნახნაგზე მოთავსებულია მა-ნუელ ევგენიკოსის ბერძნული ნარნერა (იხ. აქვე, ბერძ. 1).

გამოცემა: Brosset, Rapports, IX^e rapp., 16–17; თაყაიშვილი, არხეოლოგიური მო-გზაურობანი, 211; Лорткипанидзе, Роспись в Цаленджиха, 14; ლორთქიფანიძე, ჯან-ჯალია, ნალენჯიხა, 5.

ბ) ჩრდილოეთი ბურჯის სამხრეთ-დასავლეთ ნახნაგზე ჩვიდმეტსტრიქონიანი შავი სალებავით შესრულებული ნარნერაა. მას სამხრეთ ბურჯის ნარნერის პარამეტრები აქვს – ინყება ბურჯის კაპიტელის შეზნექილი ზედაპირიდან და სრულდება ნახნაგის ქვედა მონაკვეთში. ნარნერის მერვე, მეცხრე და მეათე სტრიქონი დაზიანებულია; ამ ადგილას შელესილობა ჩამომტკვრეულია.

განკვეთილობის ნიშანი – ორი, სამი და ოთხი წერტილი; ქარაგმა – ჰორიზონტა-

59 Brosset, Rapports, IX^e rapp., 17.

60 Лорткипанидзе, Роспись в Цаленджиха, 14–15; ლორთქიფანიძე, ჯანჯალია, ნალენჯიხა, 5; სანიკიძე, ნალენჯიხის მაცხოვრის ტარის ისტორიისათვის, 176–177. ექ. თაყაიშვილი განსხვავებულად აღადგენს ნარნერას, კერძოდ სიტყვა „მოვ[ედი]-ის ნაცვლად – „მოვიყვანე“-ს, ხოლო „დავხ(ა)ტ[ე]“-ს მაგივრად „დავახატვინე“ აქვს (თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობანი, 211), რაც არ არის სწორი, რადგან, მაშინ გაუგებარია ვისგან არის დაწერილი ნარნერა. თაყაიშვილის მოსაზრება, თავის დროზე, გაიზიარა ქ. მიქელაძემაც, მიქელაძე, ხელოვან-მომხატველთა ნარნერა-თა მნიშვნელობა, 167.

ლური კლაკნილი ხაზია. ასოები შეწიაღებულია. სტრიქონები ორი გაცაწრული ხა-
ზით მონიშნულ ველშია ჩანერილი.

წარნერა ასე იყითხება:

† წარმომადგრად: | მაცხოვისა: | უწოდება: არ | სახელისათვალი: თ: თა ჭიათურა: გა: მარტიანი: გა: ბაჟარია: ... | არ... | მაცხოვისა: | თავისა: თა: თარ ქართველი: სახელისათვალი: თა არათქარა: | მაცხოვისა: კარ: | თავისა: არარა: | თავისა: ფარ: | სახელისათვალი: თა: თა: თა

† წარვეგზ(ა)ვნ(ე)თ | მაცხოვრისა | შენ(ე)ვნითა კო | სტ(ა)ნტიპოვლე | ს და მო-
ვიყვ(ა)ნ | ეთ მხატვ(ა)რი ე | სე კირმანოელ | ჩვენ.... | ონ... | მახარებელმ(ა)ნ |
ქვაბალია და ანდ | რონიკე გაბისულა | ვა და ვევედრებით | მაცხოვარსა
რათა | გვიხსნას ჩვენცა | დიდსა დღესა მას გა | ნკითხვისასა, ა(მე)ნ, ა(მე)ნ, ა(მე)ნ.

პუბლიკაციებში „მახარებელმ(ა)ნ“-ის მხოლოდ დასაწყისი „მა“ არის გადმოწე-
რილი და ის აღდგენილია როგორც „მახარობელი“⁶¹, თუმცა დღემდე შემორჩენილი
ასო-ნიშნები „მახარებელმან“-ის აღდგენის საშუალებას იძლევა.

წალენჯიხის წარნერების გრაფემათა მოხაზულობაზე დაკვირვებამ დაგვანახა,
რომ ორივე მათგანი ერთი ხელით, ქართული მწიგნობრობის მცოდნე პირის მიერაა
ნაწერი, აშკარაა, რომ ქართული მისი მშობლიური ენაა.

ჩრდილოეთი ბურჯის წარნერა, როგორც დასაწყისშივე მრავლობით ფორმაში
გადმოცემული ზმნა „წარვეგზავნეთ...“ და ნაცვალსახელი „ჩვენ“ გვატყობინებს, მა-
ხარებელი ქვაბალიასა და ანდრონიკე გაბისულავას საავტორო ტექსტია.

სამხრეთი ბურჯის წარნერა მანუელ ევგენიკოსისაა, ის პირველ პირშია დაწე-
რილი, მაგრამ, როგორც ჩანს, კონსტანტინოპოლელი მხატვარი, სავარაუდოდ, ბერ-
ძნულად კარნახობდა ტექსტს ქართველ ოსტატს. აქედან გამომდინარე წარნერაში
ვლინდება ბერძნული ფორმატიკისთვის დამახასიათებელი ნიშნები, რაც ქართული
ბგერების დარბილებაში გამოიხატება, მაგალითად, კოსთანტიპოვლი, ან მხატვრის
გვარი ევიენიკოს – ევგენიკოსის ნაცვლად; და, რაც მთავარია, ეს გვარსახელი სა-
ხელობით ფორმაში ქართული „ი“ სუფიქსის გარეშეა ნახმარი. წესით, წარნერის
ეს მონაკვეთი გამართული ქართულით ასე უნდა ყოფილიყო „...მოვედი... მხატვარი
კირმანოელ ევგენიკოსი...“. თავის მხრივ, ევგენიკოსი თავის ბერძნულ წარნერაში
(ბერძ. №1) ქართულ გვარსახელებს (ანდრონიკე გაბისულავა და ქვაბალია) ბერძნუ-
ლი ფორმით წერს⁶².

61 Лорткипанидзе, Ростислав в Цаленджиха, 13-14: ლორთქიფანიძე, ჯანჯალია, წალენჯიხა, 5; სანი-
კიძე, წალენჯიხის მაცხოვრის ტარის ისტორიისათვის, 177; მიქელაძე, ხელოვან-მომხატველთა
წარნერათა მნიშვნელობა, 167. „მახარებელი“ აქვს მ. ბროსესაც და ექ. თაყაიშვილსაც, Brosset,
Rapp. IX, 17–18; თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობანი, II, 211–212.

62 ყაუხჩიშვილი, საქართველოს ბერძნული წარნერების კორპუსი, 94–95; Velmans, Le décor, 202.

ჩრდილო-დასავლეთ ბურჯზე ქვაბალიასა და გაბისულავას წარწერის ქვემოთ, შემორჩენილია შავი საღებავით ნაწერი შვიდსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა, რომელიც ადგილმდებარეობით სამხრეთ-დასავლეთი ბურჯის წარწერის ქვევით გამოსახულ მცენარეულ ორნამენტს შეესაბამება. წარწერა ასე იკითხება:

¶ ... ჭა ... | ყრელობა: | ლცხვისა: | ბა: ლასიაფა: | ბა: ჭახიაფა
ყრა: ყა: ი ... | ცხ: ცხ: ცხ:

ეკლესიისა მა] | შენებელთა | გალატოზთა | და ხელისუფა | ლთა და
მზარ[ე] | ულთა ყ(ოველ)თა შ(ეუნდვნე)ს ღ[მერთმან] | ა(მე)ნ, ა(მე)ნ, ა(მე)ნ.

წარწერაში მშენებლების და გალატოზების ხსენება მიგვანიშნებს, რომ XIV საუკუნის მიწურულს, ვამეყ დადიანის დროს ეკლესიის მოხატვის პარალელურად სამშენებლო საქმიანობაც მიმდინარეობდა.

გამოცემა: Brosset, Rapports, IX^e, 17–18; თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობანი, 211–212; Лорткипанидзе, Ростпись в Цаленджиха, 14; ლორთქიფანიძე, ჯანჯალია, წალენჯიხა, 5; სანიკიძე, წალენჯიხის მაცხოვრის ტაძრის ისტორიისათვის, 177.

21

მხერის მთავარანგელოზთა ეკლესია. დავითის წარწერა. XIV ს.

დავით მხატვრის ასომთავრული წარწერა მდებარეობს ეკლესიის კანკელის სამხრეთი ფილის ზედა კიდეზე. წარწერა წითელი საღებავითაა შესრულებული და ძლიერაა დაზიანებული. წარწერა პირველად გამოაქვეყნა ე. კავლელაშვილმა. მკვლევარი აღნიშნავს, რომ წარწერა დაზიანებულია, თუმცა მას სრულად კითხულობს. 2018 წლის აგვისტოში, წარწერა მნიშვნელოვნად დაზიანებული დაგვხვდა. მისი ნაწილი შელესილობის ჩამოცვენის გამო განადგურებულია. ამდენად, ტექსტს აღვადგენ ე. კავლელაშვილის მიხედვით. განკვეთილობის ნიშნებად ნახმარია ორი წერტილი.

:ჭახე...ჟა...ზად: :ჭა...ცას:

მაცხ[ოვა]რო [მეოხ ექმენ და]ვითს მხ[ატვ]არსა.

წარწერის გრაფემები მოყვანილობით ჰგავს ეკლესიის საქტიტორო პორტრეტის თანმხლები წარწერის ასონიშნებს და XIV საუკუნით თარიღდება.

გამოცემა: კავლელაშვილი, მხერის ეკლესიის მხატვარი, 96–100.

**გელათის ღვთისმშობლის შობის ტაძარი. თეოდორეს, სიმეონის და ელიას
წარწერები. 1520-იანი წნ., 1550-ანი წნ. (სურ. 18, 19, 20, 21, 22)**

გელათის ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის გუმბათის ყელში, სარკ-მელთშორის კედლებზე ფეხზე მდგომი წინასწარმეტყველთა გამოსახულებების ფეხის ტერფების ქვეშ, სარკმლის რაფის ზონაში მუქ ლურჯ ფონზე თეთრი სა-ლებავით შესრულებული ასომთავრული წარწერებია. წარწერათა გრაფემები მო-საზულობით ზედმინევნით ჰგავს წინასწარმეტყველთა განმარტებითი წარწერების ასონიშნებს, რაც მიგვანიშნებს, რომ ისინი ერთი ხელითაა ნაწერი და კედლის მხატ-ვრობის დროინდელია (1520-იანი წნ.).

წარწერები გუმბათის ყელის სხვადასხვა არეზეა დატანილი და ოთხ ჯგუფად ნაწილდება მის აღმოსავლეთ და დასავლეთ მონაკვეთზე. განკვეთილობის ნიშნად ორი წერტილია ნახმარი.

ა) აღმოსავლეთით წნ. სოლომონის ფიგურის ქვეშ, ორსტრიქონიანი ასომთა-ვრული წარწერა:

საჭირო: რცჲ გვარი: გვ.:

სიმეონ გამ | დელი ესე

ბ) წნ. სოლომონის ფიგურის გვერდით (სამხრეთით) წნ. დავითის გამოსახულე-ბის ქვემოთ სამსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა:

ზურავილი: სამსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა:

და შრომა ს(ი)მდაბლე | თეოდორო | ხელი წერა ესე.

გ) გუმბათის ყელის დასავლეთ ნაწილზე, წნ. იონას გამოსახულების ქვემოთ ორსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა:

საჭირო: რცჲ გვარი: გვ.:

სიმეონ | საქმე აქა.

დ) წნ. იონას გვერდით, ამჟამად, თითქმის მთლიანად ჩამოშლილი წინასწარ-მეტყველის გამოსახულების ქვემოთ ძლიერ დაზიანებული სამსტრიქონიანი ასომ-თავრული წარწერაა. შემორჩენილია მხოლოდ მისი მარჯვენა მონაკვეთი; მესამე სტრიქონის გრაფემები ზედა ორთან შედარებით მცირე ზომისაა და სარკმლის მო-ჩარჩოების წითელ ზოლზე გადადის:

...ს(?) გვ. | ...გვ. | ...გვ. (?)

...ს(?) თე | ორი | ღლბ (?)

ეს საკმაოდ ბუნდოვანი შინაარსის წარწერები მდებარეობის მიხედვით, როგორც ჩანს, მხატვრებს ეკუთვნით. ერთ-ერთ წარწერაში იხსენიება ვინმე სიმეონი, რომელიც სავარაუდოდ, მეორე წარწერაში დასახლებული თეოდორეს გამ(ზ)დელი ყოფილა. წარწერები, როგორც ჩანს, თეოდორემ შეასრულა. აშკარაა, რომ ის არ არის ქართველი, სხვა მხრივ გაურკვეველი იქნებოდა აგვესნა თუ რატომაა წარწერებში ამდენი გრამატიკული შეცდომა. მაგალითად, თეოდორეს წარწერის სიტყვათა წყობა — „თეოდორო ხელი წერა“ გამართული ქართულით ასე იქნებოდა: „ხელი თეოდორესი“ ან „დაიწერა/მოიწერა ხელითა თეოდორესითა“. სავარაუდოდ თეოდორეს ესმოდა ელემენტარული ქართული და ქართული ანბანიც იცოდა, მაგრამ არ შეეძლო დამოუკიდებლად გამართული ქართული ტექსტის შედგენა. თეოდორესა და სიმეონს ბერძენ მხატვრებად მიიჩნევენ⁶³.

თეოდორეს წარწერის „წერა“, აქ ხატვის მნიშვნელობითაა ნახმარი. ძველქართულში ეს ტერმინი გამოხატავს ტექსტის წერასაც და ხატვასაც.

გამოცემა: Brosset, Rapp. XI^e, 13; Церетели, Полное собрание, 232-233; Мифисашвили, Архитектурный ансамбль, 10; მამაიაშვილი, გელათის, მონასტრის ღვთისმშობლის ტაძრის XVI საუკუნის მხატვრობა, 125.

ე) მხატვარს უნდა ეკუთვნოდეს თეთრი საღებავით შესრულებული ორსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა, რომელიც ტაძრის დასავლეთი მკლავის დასავლეთ კედლის ზედა რეგისტრში გამოსახული ძილი მონაფეთა კომპოზიციაში ქრისტეს მუხლმოყრილ ფიგურასთან არის მიწერილი. განკვეთილობის ნიშანი — სამი წერტილი.

†7: ყაყუ: სQ7a | 7a7c7e:

ქ(რისტ)ე შ(ე)იწყ(ა)ლ(ე) სული | ელიასი

წარწერა პალეოგრაფიულადაც და ხელწერითაც ამავე სცენის ზედწერილების ანალოგიურია და მოხატულობის თანადროულია, 1550-იანი წლებისა.

გამოცემა: ი. მამაიაშვილი, გელათის მონასტრის მონასტრის ღვთისმშობლის ტაძრის XVI საუკუნის მხატვრობა, 144.

63 მიქელაძე, ხელოვან-მომხატველთა წარწერათა მნიშვნელობა, 155, მისივე, Greek Painters, 178-179. ავტორის ვარაუდით, წარწერა „ხელი წერა“ ბერძნულიდან არის გადმოქართულებული; ბერძენი მხატვრები ხშირად აკეთებენ „ხელმოწერას“, რომელიც შედგება სიტყვისგან „ხელი“ და მხატვრის სახელისგან (მაგ., „ხელი მიხეილის ევგენის“ (χειρ Μιχαήλ Ευττυχίου); „თეოდორო“-ც (Γεωργία) ბერძნული თეოდორის-დან უნდა იყოს გადმოტანილი. მხატვარმა, როგორც ჩანს, ბერძნული ხეიρ თეოდორის (ხელი თეოდორესი) გადმოიტანა. „ო/უ“ (Ω) დაბოლოება ბერძნული „უ“-დანაა (οὐ) გადმოტანილი. იხ., Mikeladze, Greek Painters, 179, შენ. 20. აღსანიშნავია, რომ შეცდომებია დაშვებული გუმბათში გამოსახული ნინასნარმეტყველების განმარტებით წარწერებშიც. სიტყვა „ნინასნარმეტყველი“ ბერძნულად წერია, საკუთარი სახელები კი ქართულად, ოლონდ ხან ბერძნული დაბოლოებით (მოისის, იონას და სხვა) ხან შეცდომებით (ოსტატი ‘კ’-ს და ‘ფ’ ურევს – დფიდ (დავით), სოკონიას (სოფონია), ყაუხჩიშვილი, საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი, 159-160).

წითელხევის წმ. გიორგის ეკლესია. გიორგი ჯოხტობერიძის წარწერა. XVI ს.
(სურ. 23)

შავი საღებავით შესრულებული ოთხსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა საკურთხევლის აფსიდში, სარკმლის ქვეშ, ხატი მიძინების გამოსახულების თავზე მდებარეობს. წარწერა ვიწრო შავი და წითელი ხაზებითაა მოჩარჩობული. ქარაგმა – ბოლონერტილოვანი სწორი განივი ხაზია. განკვეთილობის ნიშანი – სამი წერტილია.

ცხა: შემთავა | ქუთა: აზოელია | ყრის იპი | ცხა

ამის მხ(ა)ტვ(ა)რ(ს)ა | [გიო]რგის ჯოხტ(ო)ბე[რიძეს] | შეუ(ნ)დოს ღმე[რთმან] | ამენ.

გამოცემა: ბურჭულაძე, დევიძეების ეკლესიის კედლის მხატვრობის შესახებ, 53; ხუსკივაძე, ქართულ ეკლესიათა გვიანი შუა საუკუნეების „ხალხური“ მოხატულობები, 96.

ეკლესიის ჩრდილოეთ კედლის აღმოსავლეთ მონაკვეთში, ქვედა რეგისტრის ძირში მოხატულობის მოგვიანებით (XVI ს-ის ბოლოს) დატანილ ფენაზე კიდევ ერთი წარწერაა, რომელიც ი. ხუსკივაძის ვარაუდით, ამ პერიოდის მხატვარს (გაბრიელ რყეშელაშვილს)⁶⁴ ეკუთვნის, რაც სავსებით შესაძლებელია, თუმცა წარწერა, ისევე როგორც, მისი მიმართება მოხატულობასთან კიდევ ითხოვს კვლევას.

ასომთავრული წარწერა წითელი საღებავითაა შესრულებული:

იღ გრგო ჟაზ ყჩენასოზა | ზაჟაზეს აჩყურა გრიგორი ყრის აზ გრიგორი
ყრ გრგორი

ღ(ერთ)ო ღ(ა) წმ(იდა)ო გ(იო)რგ(ი) შ(ეი)წყ(ა)ლე სული | გ(ა)ბრ(ი)ელ(ი)
სა რტყ(ეშე)(ლ(ა)შვ(ილი)სა⁶⁵ ღ(ა) ვინცა შ(ე) | ნდობა ბრძ(ა)ნა თქ(ვენ)ც
შენდ(ობილ) | იქმენით“.

გამოცემა: ხუსკივაძე, ქართულ ეკლესიათა გვიანი შუა საუკუნეების „ხალხური“ მოხატულობანი, 84-85

64 იქვე, 84-85.

65 ხუსკივაძე კითხულობს – ტყეშელაშვილს, ხუსკივაძე, ქართულ ეკლესიათა გვიანი შუა საუკუნეების „ხალხური“ მოხატულობანი, 84-85.

გელათის წმ. ელიას ეკლესია. გიორგი ჯოხტობერიძის წარწერა. XVI ს. (სურ. 24)

წითელი საღებავით შესრულებული სამსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა დასავლეთ კედლის ზედა რეგისტრში კარის ასწვრივ, სარკმლის ქვეშ არის მოთავ-სებული. შემოსაზღვრულია წითელი მოჩარჩოებით. განკვეთილობის ნიშანი – სამი წერტილი, ქარაგმა – ჰორიზონტალური კლაკნილი ხაზი.

ცარი: პატიანას | უკავე: აბე: გარებას | ყიდვები: იცავს: ცარი

ამისა მხ(ა)ტვ(ა)რსა | გიო(რ)გ(ი)ს ჯოხტ(ო)ბერიძ(ე)ს | შეუნდ(ო)ს ღმე(რ)თ(მა)ნ ამ(ე)ნ.

გამოცემა: მეფისაშვილი, არქიტექტურული ალისამბლი, 162; ხუსკივაძე, ქართულ ეკლესიათა გვიანი შუა საუკუნეების „ხალხური“ მოხატულობები, 111.

ილემის წმ. გიორგის ეკლესია. გიორგი ჯოხტობერიძის წარწერა. XVI ს.

მხატვარ გიორგი ჯოხტობერიძის წარწერა ამჟამად აღარ არის შემორჩენილი. ი. ხუსკივაძის ცნობით, ის ეკლესიის (სამნავიანი ბაზილიკა) შუა ნავის ჩრდილოეთი პილასტრის კაპიტელზე იყო მოთავსებული⁶⁶.

მოგვყავს ი. ხუსკივაძის გადმონაწერი:

ამის მხატვ(არსა) გიორგის ჯოხტობერიძეს შეუნდოს ღმერთმან, ამინ.

გამოცემა: ხუსკივაძე, ქართულ ეკლესიათა შუა საუკუნეების „ხალხური“ მოხა-ტულობები, 135.

ობჩის წმ. გიორგის ეკლესია. გიორგი ჯოხტობერიძის წარწერა. XVI ს. (სურ. 25)

მხატვარ გიორგი ჯოხტობერიძის წარწერა ეკლესიის სამხრეთი კედლის დასა-ვლეთ მონაკვეთში, ქვედა რეგისტრში მდებარეობს. წითელი საღებავით შესრულე-ბული ერთსატრიქონიანი ასომთავრული წარწერიდან მცირე ფრაგმენტია შემორჩე-ნილი. გ. ბოჭორიძის დროს ჯერ კიდევ გაირჩეოდა გვარი – ჯოხტობერიძე. ქარაგმის ნიშანი – გრძელი კლაკნილი ხაზი.

66 ხუსკივაძე, ქართულ ეკლესიათა შუა საუკუნეების „ხალხური“ მოხატულობები, 135.

წარწერა დღევანდელი სახით ასე იკითხება:

... ერთ გარე ცან

... ეუ ღმ(ერ)თ(მა)ნ ამ(ე)ნ

ბოჭორიძის გადმონაწერი: „...ჯოხტ(ა)ბ(ე)რს შ[ეუნდოს] ღმ(ერ)თ(მა)ნ“

გიორგი ჯოხტობერიძის სხვა წარწერბის (№23, 24, 25) გათვალისწინებით ი. ხუსკი-ვაძემ ობრის წარწერა ასე აღადგინა: „ამისა მხატვარსა გიორგის ჯოხტობერიძეს შეუნდოს ღმერთმან, ამინ“.

გამოცემა: ბოჭორიძე, იმერეთის ისტორიული ძეგლები, 60–61; ხუსკივაძე, ქართულ ეკლესიათა გვიანი შუა საუკუნეების „ხალხური“ მოხატულობანი, 75, შენ. 1.

კალაურის წმ. გიორგის ეკლესიის წარწერები. XVI ს. (სურ. 26)

კალაურის წმ. გიორგის სახელობის სამეცნიერო ბაზილიკის ცენტრალური ნავის მოხატულობის ისტორიული ხასიათის წარწერებიდან სამეცნიერო ლიტერატურაში ოთხი იყო ცნობილი. 2009 წელს მოხატულობის სარესტავრაციო სამუშაოს დროს გამოვლინდა აქამდე უცნობი რამდენიმე წარწერა და გამოსახულება და დაზუსტდა ზოგიერთი ადრე წაკითხული წარწერაც. მიუხედავად იმისა, რომ ეს წარწერები მხატვართან დაკავშირებულ ცნობებს არ შეიცავს, მათი აქ წარმოდგენა მაინც მიზანშეწონილად მივიჩნიეთ.

ყველა წარწერა ასომთავრულითაა დაწერილი და არაფრით განსხვავდება კედლის მხატვრობის განმარტებითი წარწერებისგან, მსგავსი ხელითაა წაწერი და მისი თანადროული, XVI ს-ისაა. წარწერებში ქარაგმისა და განკვეთილობის ნიშნები მსგავსია: ქარაგმა მოკლე კლავნილი ჰორიზონტალური ხაზია, განკვეთილობის ნიშანი – სამი წერტილი. რამდენიმე წარწერის ბოლოში ორი წერტილი და მათ შორის მოკლე ჰორიზონტალური ხაზია დატანილი.

ა) მხატვართა წარწერა ეკლესიის შუა ნავის ჩრდილოეთი კედლის აღმოსავლეთ მონაკვეთზე, საკურთხევლის აფსიდის მახლობლად, გვერდითა ნავში (სამკვეთლო-ში) გასასვლელი ღიობის თავზე, მოხატულობის ქვედა რეგისტრშია მოთავსებული. თეთრი საღებავით მუქ ლურჯ ფონზე, იატაკიდან 209 სმ-ის სიმაღლეზე დატანილი ორსტრიქონიანია ასომთავრული წარწერა მოგვიანებით აღმართული ქვის კანკელის არქიტრავითაა დაზიანებული. წარწერის ფართობი: 61X18 სმ, უდიდესი გრაფემა – 9 სმ, უმცირესი გრაფემა: 5, 5სმ.

ცან : ჭავაჩავა : გარე ცან

ამისა მხატვართა | შეუნდვნელი ღმერთმან

გამოცემა: ხუსკივაძე, ქართულ ეკლესიათა გვიანი შუა საუკუნეების „ხალხური“ მოხატულობანი, 331.

ბ) საკურთხევლის აფსიდის ჩრდილოეთ კალთაზე, ქვედა რეგისტრში, მცირე ნიშის ქვეშ მუქი წითელი საღებავით შესრულებული ორსტრიქონიანია ასომთავრული წარწერა (ფართობი: 17X38სმ, უდიდესი გრაფემა: 5,5სმ, უცირესი: 4სმ).

ზოზის გულისასა | შეუნდოს ღ(მერთმა)ნ.

გ) ამ წარწერის ქვემოთ, იატაკიდან 58 სმ-ის სიმაღლეზე მეორე ორსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა (ფართობი: 15,5X9,5სმ, უდიდესი გრაფემა: 8 სმ, უმცირესი — 4სმ.)

ზოზის გულისასა | შეუნდოს ღ(მერთმა)ნ.

გოგას შ(უნდოს)ს ღ(მერთმა)ნ.

ეს ორი წარწერა ერთმანეთისგან არ არის გამიჯნული.

ჩრდილოეთი კედლის წარწერაში (ა) სიტყვა მხატვარი მრავლობით რიცხვშია მოცემული, რაც იმას გვაუწყებს, რომ ეკლესია ერთზე მეტმა მხატვარმა მოხატა. შესაძლებელია მხატვართა სახელებია საკურთხევლის აფსიდის კედელზე ერთმანეთის ქვემოთ დატანილ წარწერებში (ბ, გ) ნახსენები გულია და გოგა.

დ) საკურთხევლის აფსიდის სამხრეთ კალთაზე, ზიარების კომპოზიციის ქვემოთ, იატაკიდან 207 სმ-ის სიმაღლეზე წითელი საღებავით შესრულებული ერთსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა. მისი დასაწყისი გადაშლილია (ფართობი: 182X10სმ, უდიდესი გრაფემა — 10 სმ, უმცირესი — 5სმ.)

ცე: ... სის...წეს ჭარბები გულისასა | შეუნდოს ღ(მერთმა)ნ.

ამის[...]:სომ...ნესა მართლად შ(უნდოს)ს ღ(მერთმა)ნ⁶⁷.

წარწერები (ბ, გ, დ) გამოქვეყნებული აქვს თ. ბარნაველს, თუმცა წაკითხვაში დაშვებულია შეცდომები. მართებული არ არის არც მათი XIX ს-ით დათარიღება⁶⁸.

ე) სარესტავრაციო სამუშაოს დროს, საკურთხევლის აფსიდის მოხატულობის ჭვარტლისგან განმენდის შემდეგ, ქვედა რეგისტრში ჩრდილოეთით, წმ. მღვდელმთავართა გამოსახულებებს შორის ისტორიული პირის პორტრეტი და მისი თანმხლები წარწერა გამოვლინდა.

წითელი საღებავით შესრულებული ხუთსტრიქონიანი ასომთავრული წარწე-

67 ი. ხუსკივაძის წაკითხვა: „...მართლად შ/უნდო/ს ღ/მერთმა/ნ“, ხუსკივაძე, ქართულ ეკლესიათა გვიანი შუა საუკუნეების „ხალხური“ მოხატულობანი, 320.

68 კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები, 107-108.

რა გამოსახულების თავთან, მის ორსავ მხარეს არის განაწილებული (ფართობი: 24X23სმ, უდიდესი გრაფემა – 7,5 სმ, უმცირესი – 3,5 სმ)

ც~ჟC ლT~ს | ჟQԾს | Ո~ნ ჭTԳ| ՏAԿԾն | Q~ն:

აქა გ(ი)ვის შე(ნ)დ(ო)ს | ღ(მერთმა)ნ მათე | დეკან | ოზს [შეუნდოს ღმერთმან].

ვ) სარესტავრაციო სამუშაოს შედეგად სამხრეთ კედლის აღმოსავლეთ მონაკვეთზე, სარკმლის აღმოსავლეთი წირთხლის აღმოსავლეთით, იატაკიდან 190 სმ-ზე, მუქი წითელი საღებავით შესრულებული ოთხსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა გამოვლინდა (ფართობი: 38X25 სმ, უდიდესი გრაფემა: 9სმ, უმცირესი — 4 სმ.)

ჭQ~հC | ՒԾ: Պ~Ծն | Շ~ն Ո~ն

մო(უ)რა | զսա ց | լ(ո)ռზს | შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთმა)ნ.

კალაურის მოხატულობის წარწერებიდან გამოვლინდნენ აქამდე უცნობი საერო და სასულიერო პირები: მოურავი ელიოზი და მათე დეკანოზი, სავარაუდოდ, მათი ძალისხმევით უნდა მოხატულიყო ეკლესია.

28

ნიკორწმინდის წმ. ნიკოლოზის ტაძარი. ვაჟიზბედა კეკულაძის და იოანე ჯავახაძის წარწერა. XVI ს. (სურ. 27)

ნიკორწმინდის ტაძრის დასავლეთი კარიბჭის ჩრდილოეთ კედელზე, ქტი-ტორთა პორტრეტის თავზე, იატაკიდან 230 სმ-ის სიმაღლეზე წითელი საღებავით შესრულებული ექვსსტრიქონიანი ასომთავრული წარწერაა (წარწერის ფართობი: 44X34 სმ). წარწერა წითელივე საღებავით შემოხაზულ ჩარჩოშია ჩანერილი:

ԵՇԱԾ ՔԷՑԵՒ | ԵՀԳԾ ԻՇՎԻՆ | ՂԾԸԼԾ | ՂԾԸԼԾ ԿՂՕՆԾ ՃՂԾԸԼ | ԽԾԻԾ ԲԾՃՂԸԼ
Մ~ Ո~ն | ԻՒԾԾ: ՊԱԺԾԾԾԾ | ԳՒԾԾԾ: Մ~և: Ո~ն: Ե~ն:

ამისა მხატვა/ართა ვაჟიზბედასა კეკულაძესა და იოან(ე)ს | ჯავახაძესა შ(ეუნდო)ს ღ(მერთმა)ნ | ვ(ი)ნცა პრძანოთ | თქ(უე)ნცა შ(ეგინდვნე)ს ღ(მერთმა)ნ ა(მე)ნ.

გამოცემა: კაკაბაძე, წინასწარი ცნობა, 104.

მარტვილის ტაძარი. გიორგის წარწერა. XVI ს. (სურ. 28)

შავი საღებავით შესრულებული ოთხსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა მდებარეობს ეკლესიის სამხრეთი მკლავის სარკმლის თავზე, წითელი ხაზით შემო-ვლებულ მოჩარჩოებაში. განკვეთილობის ნიშანი სამი წერტილია, ქარაგმა – ჰორი-ზონტალური, მოკლე კლავნილი ხაზი.

ჩ: ყა~ზე: ჩი: | ჭ~: ლ~: ჭა~: ჭა~: ჭ~: ჭ~: ..

ყო(ვ)ლად წ(მინდა)ო | შ(ეინყალ)ე გ(იო)რგი მ|ხა(ტ)ვარი ა(მე)ნ |..ა⁶⁹

გამოცემა: თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობანი, II, 123; ჩიხლაძე, მარ-ტვილის ტაძრის მოხატულობათა ფენები, 98.

ჩხარის წმ. გიორგის ეკლესია. გრიგოლის წარწერა. XVI ს. (სურ. 29)

წითელი საღებავით ნაწერი შვიდსტრიქონიანი ასომთავრული ძლიერ ფრაგმენ-ტირებული წარწერა მდებარეობს ეკლესიის საკურთხევლის აფსიდში ცენტრალურ და ჩრდილოეთ სარკმლებს შორის არეზე. განკვეთილობის ნიშანი - ორი და სამი წერტილია, „უ“ გრაფემა მხედრულადაა დაწერილი. წარწერა პირველად წაიკითხა გ. ბოჭორიძემ – „ე მუმიჭ“ | გრიგ(ოლ) (?) კა[ლა] | ტ(ო)ზ(ს) (?) დ(ა)ხ(ა)ტა | მერ-უ შ(ეინყა) | ლე (?) სული... | გულისა... | მუკარ...⁷⁰.

2019 წლის 28 ივლისს წარწერა უფრო მეტად დაზიანებული დაგვხვდა, წარწე-რის გრაფემები გადაშლილია. მხედრულ ტრანსლიტერაციაში კვადრატულ ფრ-ჩხილებში მომაქვს გ. ბოჭორიძის მიერ ამოკითხული გრაფემები:

ზ: ჭუჭაზ | ლალ | ღ: ბრე | ჭ ჟუ | ზ: ს (?) | ლულს | უკუჭაზ

ე: მუმიჭ... | გრიგ[ოლ კალა] | ტ(ო)ზ: დახ[ატა] | ... მე რუ [შეინყა] | ლე სა (?)... | ...გულის... | ...ეუყარეს...

წარწერის ტექსტი ბუნდოვანია, ირკვევა კალატოზის სახელი გრიგოლი. გ. ბოჭორი-ძის წაკითხვით აქვე წერია სიტყვა „დახატა“, თუმცა რა კავშირია ამ სიტყვასა და გრიგოლ კალატოზს შორის გაურკვეველია; დაბეჯითებით იმის თქმაც შეუძლებე-ლია — გრიგოლი არის თუ არა კალატოზი, რადგანაც ბოჭორიძის ცნობით ჩრდი-ლოეთ კედელზე გამოსახული იყო დიდებულის სამოსით მოსილი პირი, რომელსაც

⁶⁹ ექ. თაყაიშვილი წარწერის მდებარეობას შეცდომით უთითებს ჩრდილოეთ აფსიდში, თაყაიშვი-ლი, არხეოლოგიური მოგზაურობანი, II, 123.

⁷⁰ ბოჭორიძე, იმერეთის ისტორიული ძეგლები, 199.

ახლდა წარწერა: „აქა გრიგოლს შეუნდოს ღმერთმან“⁷¹. ეს გამოსახულება, რო-
მელიც გ. ბოჭორიძის დროსაც ფრაგმენტების სახით იყო შემორჩენილი და მისი
წარწერა ამჟამად აღარ არსებობს.

გამოცემა: ბოჭორიძე, იმერეთის ისტორიული ძეგლები, 199.

31

ერთანმინდის წმ. ევსტატეს ტაძარი. საქტიტორო წარწერა. 1654 წ. (სურ. 30)

მუქ ფონზე, თეთრი სალებავით შესრულებული ასომთავრული წარწერა მდე-
ბარეობს სამკვეთლოს კარის თავზე. მას ფიგურული მოჩარჩოება საზღვრავს, რო-
მელიც მოგვაგონებს იერუსალიმის წმ. თეკლას მონასტრის ქაიხოსრო ზედგინიძის
წარწერის (XV-XVI სს-ის მიჯნა) მოჩარჩოებას⁷².

წარწერა (ფართობი: 110X54 სმ, გრაფემების ზომა: 6სმ - 2,5სმ; ქარაგმა ჰო-
რიზონტალური მოკლე კლაკნილი ხაზია, განკვეთილობის ნიშანი – სამი წერტი-
ლი; ცალკეული ასონიშნები შენიალებულია) ცხრა სტრიქონიანია, ბოლო მეცხრე
სტრიქონი მოჩარჩოების ქვედა კიდედან გასულია, თარიღი ვერტიკალურად წერია
წარწერის მარცხენა გვერდთან.

† ცირი: ი~ი: გ~გარა: გ~გარა: ს~სარა: ა~არა: რ~რა: რ~რა: გ~გარა: გ~გა-
რა: გ~გარა: ს~სარა: გ~გა: გ~გ: ყ~ყარა: რ~რა: ყ~ყარა: ი~ი: რ~რა: რ~რა: გ~გა-
რა: გ~გარა: ს~სარა: გ~გა: გ~გ: ყ~ყარა: რ~რა: ი~ი: რ~რა: რ~რა: გ~გა-
რა: გ~გარა: ს~სარა: გ~გა: გ~გ: ყ~ყარა: რ~რა: ი~ი: რ~რა: რ~რა: გ~გა-
რა: გ~გარა: ს~სარა: გ~გა: გ~გ: ყ~ყარა: რ~რა: ი~ი: რ~რა: რ~რა: გ~გა-
რა: გ~გარა: ს~სარა: გ~გა: გ~გ: ყ~ყარა: რ~რა: ი~ი: რ~რა: რ~რა: გ~გა-
რა: გ~გარა: ს~სარა: გ~გა: გ~გ: ყ~ყარა: რ~რა: ი~ი: რ~რა: რ~რა: გ~გა-
რა: გ~გარა: ს~სარა: გ~გა: გ~გ: ყ~ყარა: რ~რა: ი~ი: რ~რა: რ~რა: გ~გა-
რა: გ~გარა: ს~სარა: გ~გა: გ~გ: ყ~ყარა: რ~რა: ი~ი: რ~რა: რ~რა: გ~გა-

† ადიდე ღ(მერთ)ო მეფეთ მეფე პ(ა)ტრ|ონი როსტ(ო)მ და თ(ან)ა მეცხედრე
მ(ა)თი | დედოფ(ა)ლი პ(ა)ტრ(ო)ნი მ(ა)რ(ია)მ. მ(ა)თ უამთა ნ(ე)ბითა | და
შენევნითა ღ(მერთ)ის(აღ)თა და მ(ეო)ხებითა ნ(მ)ი(დი)სა ევსტ(ა)თისითა | ბრძ(ა)
ნე(ბი)თა პ(ა)ტრ(ო)ნ(ი)ს იორამისითა ჩ(უე)ნ კარგ(ა)რეთელმ(ა)ნ⁷³ | იონათამ და
იესე დავახ(ა)ტვინეთ წელი | თა იმ(რუსა)ლ(ე)მ(ი)ს ჯ(ვრ)ის მონასტრის მღ(ვ)
დ(ე)ლმო(ნაზო)ნ(ი)სა | მელეტიონსეს(ი)თა ს(უ)ლისა ჩ(უე)ნისა საქსრად და ც(ო)
დვათ[ა] | ჩ(უე)ნთა შესანდობლად. ვინცა მიემთხ(ვი)ნეთ შენდობა თქვით⁷⁴ |
ქ(ორონი)კ(ონ)სა ტმბ (1654 წ.).

გამოცემა: მამასახლისი, ერთანმინდის ტაძრის მოხატულობის თარიღი, 31-39.

71 იქვე, 199.

72 გაგოშიძე, წმინდა მიწის ქართული წარწერები, 43, ნახ. 34

73 ამ სიტყვის მეორე გრაფემა „ა“ მხედრულადაა დაწერილი.

74 სიტყვა „თქვით“ გამორჩა ი. მამასახლისს, რომელსაც ეს წარწერა აქვს გამოქვეყნებული, მამა-
სახლისი, ერთანმინდის ტაძრის მოხატულობის თარიღი, 32.

სამთავისის ტაძარი. მელიტონ სამთავრულის წარწერა. 1679 წ. (სურ. 31)

სამთავისის ეკლესის გუმბათქვეშა სამხრეთ-აღმოსავლეთ ბურჯზე იატაკი-დან საკმაოდ მაღლა მდებარეობს ყვითელ ფონზე თეთრი საღებავით ნაწერი შვიდს-ტრიქონიანი ასომთავრული წარწერა, რომელიც წითელი საღებავით მოხაზულ მოჩარჩოებაშია მოქცეული. განკვეთილობის ნიშნად სამი წერტილი, ხოლო ქარაგმად მოკლე პორიზონტალური, კლაკნილი ხაზია გამოყენებული.

თკმ-ზ: წ-ზ: | ჟ-კარმ-ს-ც-ჭ-ს ტ-ზ: | ჟ-ჭ-რ-ზ უ-ზ: ჭ-ზ: გ-ზ: | გ-ზ: გ-ზ: გ-ზ: გ-ზ:

და(ი)ხ(ა)ტა წ(მი)და | საკ(უ)რთხ(ევე)ლსა | ამას წ(ე)ლ(ი)თა | სამთ(ა)ვ(ნე)ლ ეპ | (ის)კ(ო)ბ(ო)ზ მელ(ი)ტო(ნისითა) | [შე]უვნდნ(ე)ს ღ(მერ)თ(მა)ნ | ტაზ თ(უეს)ა ოკ(ტომ)ბ(ერ)სა.

